

114
1974/3



საქართველოს
რესპუბლიკის
ქვეყნული ბიბლიოთეკა

ბუნებისმეტყველება

9

1974

გნათობი

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი-პოლიტიკური ჟურნალი

უძველესი ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივი-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 50-ე

№ 9

სექტემბერი, 1974 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

| | |
|---|-----|
| ირაკლი აბაშიძე — ნოინოლოგი ანტილიბერალიზმის წინააღმდეგ | 3 |
| თამარ ვარსამიანი — ლექსები | 4 |
| გრიგოლ აბაშიძე — ცოტნე ანუ ქართველთა დედა და ანაბეზიბა რომანი | 11 |
| გონდო კეზელაძე — ლექსები | 84 |
| თედო გაბრიელი — ლექსები | 87 |
| თემურ აბულაშვილი — ძვა და ზნა. მოთხრობა | 90 |
| აპაი აბთილაშვილი — თოვლი და მწვანე კიტრები. მოთხრობა | 96 |
| გურამ დოჩანაშვილი — სამოთხეო პირველი. რომანი | 105 |
| დასავლეთის კარგანულანოვანის ლიტერატურა. ვერვანელიდან თარგმანი. ნოდარ კაკაბაძემ | 134 |

ნაკრებები ხუროთმოძღვრული დღეების

| | |
|---|-----|
| გიორგი ხორგაშვილი — სიტყვას არ წააქვნივან | 142 |
|---|-----|

კრიტიკა და კულტურისათვის

| | |
|---|-----|
| ვლადიმერ ჯიბუტი — დრო და კოორდინა | 153 |
| როინე მებრეველი — სიტყვის კონა ანუ ცოდნის სალაგო | 159 |
| ქეთევან გოდიჩიშვილი — სახელი და სასიყვედურ | 167 |
| არნოლდ საპრიაშვილი — რომანი და ფილოსოფიური წყაროები | 173 |

წიგნები, მოგონებანი

| | |
|--|-----|
| ბელენი საპარაკლიძე — სამანუილიძის ბიოგრაფიის გზაზე | 177 |
|--|-----|

საქართველოს კ. მ. ხანთაშვილი უნივერსიტეტის გამომცემლობა

კ. მ. ხანთაშვილის სახ. სსრკ-ის
საბჭოთაო საზოგადოებრივი-პოლიტიკური
ჟურნალი „გნათობი“

მოთავსი რედაქტორი ბიორბი ნატროფილი

საკრედიტო კოლეგია:

ბ. აბაშიძე, რ. ანუშაძე (პ/მზ მდიანი), დ. ბინაშვილი, დ. ბანუარაშვილი, ვ. ლეხა-
ნიძე, ე. მალაქია, ბ. მღვინი, ა. ნულაპური, ა. თეთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შან-
შელიანი, ვ. წულუაძე, თ. ვილახე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯივლაძე.

ტექნიკური რ. ჩაპინაძე

გადეცა ასაწობად 16/VII-74 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 6/IX-74 წ., ასაწობის ზომა
7¹/₄ × 12, ქაღალდის ფორმატი 70 × 108¹/₁₆,
ფიზიური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო
თაბაში 12.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბეჭდვითი: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მზ. მდიანის — 93-55-13. განყოფილება.
ზის — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

№ 00126. ტირაჟი 13.000. შტაბ. № 2743
საქ. კ. ც.-ის გამოცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



მონოლოგი არჩილბათას

საბრალო უმცროსი ძმა
მგონი ბაღვაყი.

ჩვენ ვცოცხლობთ ახლა
პოეტების ორთავ ცხოვრებით.
ვცოცხლობთ ორ ფერში —

მე თეთრ დღეში,
თქვენ შავ ღამეში;
თქვენ გძინავთ მშვიდად,
მე კვლავ იმ სვლით,
იმ გაცხარებით
დაედივარ გზებში,
ოჯახებში,
სახელგამებში.

მე ვცოცხლობ ახლა
თქვენს ლანდებში,
თქვენს აჩრდილებში;
მე ვცოცხლობ თქვენთან,
კვლავ იმ ძმობით,
კვლავ იმ კამათით,
რომ ჩემი სელები
უკანასკნელ ორ-სამ ილეტში
თვითვე არ ვუთხრა უნებურად
ჩემს თავს შამათი.

თქვენც თან მდევთ,
როგორც გაუწვეველს გაწვეულები,
განაბულ სუნთქვას
სუნთქვა ჯერაც გაუნაბავი;

დაგშორდით წლებით,
წლებით...
ზოგსაც ათწლეულებით,
ათწლეულებით...

დიდი რამე,
დიდი ამბავი!

დავალ თქვენს შორის
ისევ იმ მზით დამწვარ ქალაქში,
თქვენს ძველ ბინებთან
სულს ვიბრუნებ
როგორც ნიაფში;

თქვენ იქვე ცხოვრობთ:
ვერის ხიდან და სოლოლაკში,
მაჩაბლის თავზე,
„კახ-იმერთან“,
ასბინიანში.

და სანამ ვსუნთქავ
ჯერაც სუნთქვით
თქვენის თაობის,
სანამ ჯერ ვუცდი
ჩემად მოსულ თქვენს მატარებელს,
მე არ ვწყვეტ დავას
დავას ღმერთთან,
როგორც ვდავობდით,
მე არ ვწყვეტ თქვენთან
იმ საუბრებს დაუმთავრებელს.

მე კვლავ ის რწმენა
 მაწერია დღემდე გულ-მკერდზე,
 კვლავ მას ვმსახურებ,
 მრწამსს ჩვენიულის,
 კანონს ჩვენიმეიერს,
 ქართულ მიწაზე
 ჩვენ ვხედავდით
 მხოლოდ უკეთესს,
 ქართულ მიწაზე ჩვენ ვეძებდით
 მხოლოდ მშვენიერს.

მარად გულწრფელად,
 მარად წმინდად,
 მარად უცვლელად,
 ყოვლის უადრეს,
 უწინარეს,
 ყოვლის უადრეს —
 ქართულ სუნთქვაში ჩვენ ვეძებდით
 მხოლოდ რუსთველურს,
 ქართულ სუნთქვაში ჩვენ ვეძებდით
 მხოლოდ უმაღლესს.

ყველა სიახლეს,
 ყველა სიყრმეს,
 ყველა სანატრელს
 მე კვლავ შევსარი,
 კვლავ ვდარაჯობ,
 კვლავ არ ვღალატობ, —

მხოლოდ უმაღლესს,
 მხოლოდ უღრმეს **ქრისტულს**
 და უღამაზეს **სპირიტუალს**
 ვმსახურებ კვლავაც
 უღალატოდ,
 უმეღავათოდ.

სულს უცნობ გზებში,
 სულს ვატარებ ცისკრის ფერებში,
 ცხოვრების ბრუნვაც
 კვლავ არ მაკრთობს,
 კვლავ არ მაშინებს...
 ეს არის ჩემი უმთავრესი,
 უპირველესი
 თქვენთან და ღმერთთან
 რაც მაერთებს,
 რაც მაკავშირებს.

მე ვცოცხლობ ახლა
 თქვენს ლანდებში
 თქვენს აირდილებში;
 მე ვცოცხლობ თქვენთან
 კვლავ იმ ძმობით,
 კვლავ იმ კამათით,
 რომ ჩემი სვლების
 უკანასკნელ ორ-სამ ილეთში
 თვითვე არ ვუბნრა უნებურად
 ჩემს თავს შამათი.



სივოსხლის ქრუანტელი

დადის სივოსხლის ქრუანტელი
მთებიდან მთებზე

მწვანე ბალახად,
ყვითელ ბალახად,
მომხრიალე ბალახის ღეროდ;

დადის სივოსხლის ქრუანტელი
მთებიდან მთებზე

სისხამი დილის
თვალეების ფშვინეტად
და რიბირაბოდ;
შუადღის მზეში
ცივ წყაროსთან
მოსულ წყურვილად,
იდუმალეებით დაყურსული
მიმწუნსრის ეჭოდ.

დადის სივოსხლის ქრუანტელი
მთებიდან მთებზე
მარწყვის სიწითლედ,

შაშვის სტვენად,
ირმის ბღავილად,
ულრან ტყეების
მოუთმენელ
მწვანე ხმაურად
და მოლოდინის სულგანაბულ
ფერმკერთალ სიჩუმედ.

დაიძვრის მერე, —
მოედება
ქალაქების რკინა-ბეტონებს
და როგორც ძაფი ნემსის ყუნწში,
გაატანს ქვამი,
გაატანს ძვალში
მიწის სიმწვანედ,
მიწის სუნთქვად,
ცის რიბირაბოდ...
და შეუდგება ქვას და რკინას
სივოსხლის სიღობო.

იბერიის გახსენება

ლეღვის ხესთან ბინდი მიწვა მოზვერვიით
და ხის ტანზე ცხელი ქედი მიაფხანა,
მთები იდგნენ — ღმერთის ხელით მოწელილი
და ცამ გახსნა ვარსკვლავების წარაფხანა.

იყო მიწის შრიალი და ჩუმი ლელვა
ალვის ხენი ჩურჩულებდნენ ზეცის კართან,



მთვარე ჰგავდა მოქმეული თოხის უღვას
და მთვარემდე მიჰყვებოდა ვაზი ხარდანს.

მოდითოდა ღამე, როგორც გლეხი კაცი
და ქამარში გარჭობილი ქქონდა წალდი,
იცრებოდა, იცრებოდა დიდი საცრით
წამი, წუთი, დღე, კვირა და წელიწადი.

იღვნენ მთები, — ცის კიდესთან მიჯრილები,
შელამებას სუნი ქქონდა ნედლი თივის,
ძილ-ფხიზლობდნენ ბიის ტოტზე ყვინჩილები
და დილისთვის ინახავდნენ პირველ ყივილს.

თ ი ბ ვ ა

ძირს გაწოლილი მთების ჩრდილები
ბარიდან წასვლას აგვიანებენ,
დილაადრიან მულხრის ქალაში
ცელებს ლეხავენ მარგიანები.

მერე მზის სხივებს, დაღვრილებს წითლად,
დაღვრილებს ყვითლად, ლურჯად და მწვანედ
მოაგროვებენ გრძელი ფიწვლებით
და უზარმაზარ კონებად ჰკრავდნენ.

და მზე რომ მალლით ჩამოიხედავს,
სადაც მთას ფერდი დაგაკებია,
თივის ზვინები დახვდება ისე,
თითქოს სამსხვერპლო ზვარაკებია.

ძირს გაწოლილი მთების ჩრდილები
ახანგრძლივებდნენ ზაფხულის დილებს
და მზის სხივების ფერად სათიბში
მარგიანები მღერიან ლილეს.

შენწყობილი ბაღად

ფშავის არაგვის ხეობაში მთა არის ერთი
და შრიალია თელის რტოების,
და ამ მთის თავზე განმარტოებით
ერთი სახლი დგას.
ისე ახლოა ის სახლი ცასთან,



რომ მოინდომო მის კართან ასვლა,
 მუხლი გჭირდება უთუოდ ირმის.
 იქვე, მთის ძირში არაგვი მირბის,
 მისი ტალღები კლდესთან დაობენ;
 არაგვის გაღმა მთაა — საორბე
 და იქით კიდევ — სასოვე თავი, —
 მთებიდან მთებზე გადადის ფშავი.

ფშავის არაგვის ხეობაში
 მთა არის ბევრი,
 ზოგ მთაზე იყო
 ბილიკი მდევრის,
 ზოგან დევები კალოს ლეწავდნენ;
 ბევრი ვიარე,
 ბევრი ვეწადე,
 მაგრამ ყველა მთა ვერ გადავლახე,
 ფშავის ველებს და ფშავის სანახებს
 სანახევროდაც ვერ ვეზიარე;
 ვერ დავუდექი მოყმედ იახსარს,
 მაგრამ მის ცასაც და მის წიაღსაც
 შევნივთე და შევეკავშირე,
 და ნაკვერცხალი მისი კერისა
 ხსოვნაში როდი დავანახშირე.

ა ლ ბ ა თ

ქოდა, იმ მთასთან,

რომ შრიალებს თელის რტოებით,
 და სახლი რომ დგას მის მწვერვალზე განმარტოებით,
 სადაც ღრუბლები და ნიხლები უფრთოდ მიჰქრიან,
 გზად ამივლია,
 ჩამივლია

და მიფიქრია: —

აღბათ, იმ სახლში ცხოვრობს ვინმე გრუნა მეცხვარე,
 ჩემზე უფროსი, ან ჩემი ტოლი
 და ჰყავს ლამაზზე ლამაზი ცოლი;
 (მრავლად არიან აქ ასეთი ფშავლის ქალები, —
 მზეზე დამწვარი სახის კანით,
 ხორბლისფერ თმებით
 და მოცისფრო
 მწვანე თვალებით)...

აღბათ, იმ სახლში სიყვარული ისე ანთია,
 როგორც გასათიბ ბალახებში ნამის ციალი,
 სიცოცხლეს, როგორც ლუდს და არაყს,
 ისე სვამენ, —

საესე ფილით
 და მზესთან ერთად იღვიძებენ ყოველ განთიადს



გაადვილებენ ლოყაწითელ ბუთხუნა ბიჭებს,
ჩიტების ხმაზე ლოგინიდან წამოდგებიან;
და მერე პაპა შემოირტყამს ქამარს და ხანჯალს
ძველებურ რიხით
და წლების იქით

დატოვებულ სილამაზეს უჭებს ბებიას...
და ირგვლივ ისევ ლურჯი მთებია,
და მზე სხივებს გულუხვად ხარჯავს.
ბიჭები დგანან მთების ქეროზე,
მუჭში უჭირავთ ყველი და პური
და მადიანად ილუკმებიან,
ბიჭებს შორსა აქვთ თვალი და ყური, —
იქით, საითაც ლურჯი მთებია.
ფშავეის ველებზე აღმა-დაღმა დაფრენს მერცხალი,
ყვავილობს ბალბა,
შორიდან ისმის სალამური ვიდაც მეცხვარის,
მამაა, ალბათ!

ს ტ უ მ რ () ბ ა

თეთრი ბილიკი მიჰყვება მადლობს
და ადის მალლა, ცის კარის ახლოს,
სადაც ფშაველი მეცხვარე სახლობს.

ძაღლის ყუფაზე გადმოდგება მალლიდან ქალი,
მოსულებს მწვიდად გაზომავს თვალით
და წამოვა ჯოხზე დანდობით,
სტუმრებს მიიწვევს მასპინძელის გულითადობით,
იქითკენ სადაც დარბაზია
ქვედა სართულის
და ფშაური ტყბილი ქართულით
ეტყვის მადლობას.

დარბაზში,

სადაც ფშავესურები
ჰკიდებენ ფარ-ხმალს,
თოფსა და ხანჯალს
და სადაც სტუმარს ეგებებიან: —

მობველ მშვიდობით,
შენ გაგიმარჯოს;

კედლიდან მოდის როგორც ქარბუქი

დიდი სურათი გრუნა ჭაბუკის

და შავი ჩარჩო.

მერე სურათთან ფუსფუსებენ დედის ხელები,

თითქოს ჰქონდეთო შვილის ქორწილი, —
დედის ხელები, — დამარღვეული და დაკორმძილი,
როგორც ფესვები ასწლოვან თელის,
რომელსაც მესხი დაეცა და მაინც გადარჩა;

(გ. ბერიშვილი)



ხელები თრთიან,
 კანკალებენ,
 ხსნიან ზარდახშას
 და უწმინდესი საგანძურის ფრთხილი შეხებით
 ამოიტანენ
 სამკუთხედი ბარათების გაცვეთილ დასტას.
 ხელები თრთიან,

კანკალებენ
 და ლოცულობენ,
 მათი ლოცვა კარგახანს გასტანს...

ბარათებს მოაქვს ქარიშხლების
 გუგუნე შორი, —
 ყირიმი. ქერჩი.
 ათას ცხრაას ორმოცდაორი.

დაუსაბამო ხილურჯეა მთისა და სერის,
 ყვავილობს ბალბა,
 და თელის ხიდან გამოთლილი ფანდური მღერის
 გმირების ამბავს.

მ ა რ ა ლ ი ს ო ბ ა

ფშავის არაგვის ხეობაში
 როცა ნისლია,
 არ ჩანს არაგვის მწვანე ტალღები,
 ნისლის ბინდ-ბუნდში თოფებს ისერიან,
 სიჩუმეს ნთქავენ,

ფრთაში დაჭრილი არწივივით ეშვება ღამე
 და დიღამდე მიწას ფხოკნის
 ბასრი ბრჭყალებით.

ფშავის არაგვის ხეობაში როცა ნისლია
 და ღრუბლებს იქით შუგა ურგები,
 სადღაც სივრცეში ტივტივებენ მთების ზურგები
 და ცა ისეა

ჩამქრალი და ჩამუქებული,
 როგორც უღველფო კერის ნაცარი,
 გეგონება, რომ ცა არც არი.

ჩამოაქვს წყალი დიდ მდინარეს,
 ნაპირებს ახლის,
 და ტალღები კლდეებს რეცხავენ;
 ნისლის ბინდ-ბუნდში ყუფა იმის
 შეცხვარის ძაღლის, —
 ალბათ, იქვე დადის შეცხვარეც.

ბოლოთქმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფშავის არაგვის ხეობაში
როცა თენდება,
როდესაც ცაზე გამოჩნდება ნიშანი დარის,
ფიჭვები გაღმა-გამოღმა მხარის
შეერთებენ კენწერობას,
როგორც მახვილებს
და საქორწინო მაყრიონი უნდა გახვიდე
მზეო, არაგვის ხეობაში,
ამ ფიჭვებს შორის, —
გადაბანილი წუხანდელი ნამით და თქორით
მწვანე ქალები დაგიგებენ ფეხქვეშ ყვავილებს,
აგისრულდება, რასაც იმ წამს გულში გაიფლებ...
...
და დედამიწის გაზაფხულიც გვიმედება,
ფშავის არაგვის ხეობაში
როცა თენდება.



გრიგოლ აბაშიძე

ცოტნე ანუ ქართულთა დაცემა და ამაღლება

რომანი

წინასიტყვა

ცოტნე დადიანისა და კოხტისთავის შეთქმულთა თავგადასავალი იმდენად მოკლედაა ნაამბობი „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკაში, რომ ცდუნებას ვერ ვძლიე და, მთელი ეს ეპიზოდი ეპიგრაფად წაეუმძღვარე წინამდებარე წიგნს.

გმირობისა და ზნეობის ამ იშვიათი წყაროს შეხსენება მკითხველისათვის ჩვენ არაერთხელ მოგვიხდება და, ამიტომაც ვცანით საჭიროდ იგი თავფურცლად დართოდა ამ წიგნს.

მონგოლთა უნაპირო იმპერიისაგან ქართველთა განდგომის გაბედულ ცდას იმ დროს დიდი გამოძახილი ჰქონია და, ამისი მოწმობა შემოგვინახა ყარაყორუმის კარზე მყოფმა იტალიელმა მისიონერმა, წმინდა ფრანჩესკო ასიზელის სიყრმის მეგობარმა პლანო კარპინიმ.

უცხო წყაროთაგან კოხტისთავის შეთქმულების კიდევ ერთი ბუნდოვანი ანარკული გვაქვს სომხურ მატრიანეში.

ეს არის და ეს! ქართველი ხალხის ცხოვრების წიგნის ამ უღამაზეს ფურცელს შე-

ტი არც დამმოწმებელი ჰყავს, არც უარმყოფელი.

„ქართლის ცხოვრების“ ამ მომხიბლავი მოთხრობის კითხვისას, ალბათ ბევრს აღძვრია სურვილი მოეთხრო იგი ვრცლად და დაწვრილებით, ყველა სახისა და დეტალის სრულად გადმოცემით.

ამ სურვილით მეც დიდხანს ვიყავი შეპყრობილი, მაგრამ, როცა ცოტნეს თავგადასავლის ვრცლად და ჩემებურად მოთხრობისათვის თავი მზად ვიგრძენი, ჩემს წინაშე დადგა ამოცანა — მეჩვენებინა გმირი მისი ადამიანობის ყველაზე დიდი გამოცდის ქანს.

ამ გადაწყვეტილებამ მიკარნახა ჩემს მოთხრობაში მთავარი ადგილი დამეთმო ცოტნეს ბავშვობისა და ყრმობისათვის, იმ სოციალური გარემოსათვის, რამაც მისი ხასიათი ჩამოაყალიბა და მომავალი გმირი თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის გადასადგმელად მოამზადა.

დანარჩენი მასალიდან, ყველაფერი, რაც ამ ამოცანის ამოხსნისას სამსახურს ვერ გამიწედა, ჩემს მიერ უგულბებლყოფილი აღმოჩნდა. ფაქტებისადმი ამგვარი მიდ-

* მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკა. წიგნი მესამე.

გომა იმანაც განაპირობა, რომ დაეაგუცუ-
ბული ცოტნე იმ დროში და იმ ადამიანებ-
თან ერთად ცხოვრობდა, რომლებზედაც
ვრცლად მოგვითხრობს „ლაშარელა“ და
„დიდი ღამე“.

„ცოტნე“ „ლაშარელასა“ და „დიდი
ღამის“ გაგრძელებაა, ტრილოგიის მესამე
წიგნია და, ამიტომ იყო, რომ გმირის სი-
ტაბუკისა და სიმწიფის ხანაში მომხდარი
ამბების მოკლედ და ისიც რეტროსპექტი-
ვად გადმოცემა ვიკმარე.

ცოტნეს ბედსა და თავგადასახალზე და-
ფიქრებამ, ბუნებრივია, კოხტისთავის
შეთქმულების მარცხის მიზეზების კვლევა
და მოლაღატის ძიებაც ჩამაგონა.

საქმეს ის ართულებს, რომ მემატიანის
მიერ ჩამოთვლილი ყველა შეთქმული კოხ-
ტისთავის ეპიზოდის შემდეგაც აგრძელებს
მატიანის ფურცლებზე ცხოვრებას და, არც-

ერთის მიმართ ჟამთააღმწერელი გადაკრუ-
ლი ნათქვამითაც კი, არცდღღღღ ჩვენი
ქუვის აღძვრას. მაინც მათი ცხოვრება და
მოღვაწეობა, რომ უფრო ღრმა და საგან-
გებო დაკვირვების საგნად შექცია, მათგან
უფრო ღირსეულნი ცალკე გამოვყავი და.
თითოეულს ცალ-ცალკე ნოველა თუ ისტო-
რიულ-მხატვრული ესეე მივუძღვენი.

ამ წიგნს იმის პრეტენზია არა აქვს შე-
აფსოს ჟამთააღმწერლის მიერ კონსპექტუ-
რად გადმოცემული ცოტნეს თავგადასახე-
ლის ყველა ხარვეზი, სრულად აღადგინოს
და აჩვენოს, „თუ როგორ მოხდა სინამდ-
ვილეში ყველაფერი“.

ჩემი ამოცანა, როგორც ზემოთ აღვნიშ-
ნე, განსაზღვრული იყო და, თუ ეს წიგნი
ამ ამოცანას პასუხობს, ჩემს შრომას გა-
მართლებად ესეე ვყოფა.

„...ამით შეფოთა შეკრებს ყოველნი მთავარი საქართველოსანი კოხტას
თავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარ-
ყუარე, კუპრი შოთა, თორღაი, პერ-კახნი, ქართველნი, თორელ-გამრეკელი,
სარგის თმოგუელი, მესხნი და ტაოელნი. და ყოველნი იტყოდეს: „რა ვყოთ?
აღარა არს ნათესავი ქართველთა მიუფთა, რათა წინამძღუარ გუქქმნას და
ვბრძოდით თათართა, და ჩუენ ერთი-ერთისაგან განდგომილ ვართ, ვერ წინა-
აღუდგებით თათართა. და იგინი ბოროტად გუაპირვებენ ესეოდნე, რომელ
ყოველთა წელთა აღმუთს წარვალთ ჳირთა და ყოველთა დუაწლთა შემთხუ-
ვად. არა არს ღონე, დაღათუ უმიფუო ვართ, არამედ შევეკრბეთ ყოველნი, და
ვბრძოდით თათართა“. დაამტკიცეს ომი, და დადვეს პეშანი ქართლს შეკრები-
სა, და განიყარნეს. უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი,
კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საცაკობოთა, და რაქის ერისთავი, —
ესენი ყოველნი წარვიდეს კახმად. ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქარ-
თველთა, წარმოვიდეს ბიჩუ და ანგურგ, და მივიდეს კოხტას თავსა, დაწუდეს
ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, ლაშქარი გაყრილ იყო, და ვერღარა
წინააღუდგეს, და წარასხეს ქუეყანასა ანისისასა, აღვილსა, რომელსა ეწოდე-
ბის შირაკავანი. ხოლო ვითარ მიიწივნეს ჩარმადან ნოინს წინაშე, რქუა: „რა
არს შეკრება თქუენი, უკეთუ არა იქმთ განდგომილებასა?“ ხოლო მთავარი
მიუტებდეს: „არა განდგომად შევეკრბით, არამედ რათა განევაგოთ საქმე თქუენი
და ხარკი განვიჩინოთ“, რომელსა — იგი უწოდეს ხარაკად. ესე რა ესმა, არა
სრულიად ირწმუნა, და ბრძანა განძრევა ყოველთა, მხართა შეკრვა ყოველთა.
სიცხესა შინა შიშველთა მოედანთა ზედა დასხდომა, და ყოველთა დღეთა ჰკი-
თხადის მიზეზსა შეკრებისასა, და უკეთუ არა აღიარონ ჳეშმარიტი, სიკუ-
დილსა მისცენ ყოველნი ესე ზემოხსენებულნი მთავარი. ხოლო იგინი დაამტ-



კიცებდეს, „რათა განვაჩინოთ ხარაჯა“. და ამას ჰყოფდეს მრავალ დღე, რამეთუ არა არწმუნებდეს.

და ვითარ მოეახლა პეემანი, მივიდა დადიანიცა ცოტნე, ლაშქრითა; მათ და აღვილსა, რომელ არს რკინის-ჭუარი, შორის სამცხისა და ლაღოსა, და ვითარ აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად, და შეკრებულთა ყოფა სატანჯველთა შინა ბორბთა ვითარ ესმა, მწუხარე იქმნა უბო-მოდ, და თვისად სიკუდილად და სირცხვილად შერაცხა საქმე იგი. და წარავ-ლინა ლაშქარი თვისი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამღები სულისა თვისისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისა, რომელსა იტყვის: „უფროს ამის-სა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუასისა თვისი-სათვის.“, რომელ ყო პატიოსანმაცა ამან კაცმან ცოტნე სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკვირველი დ ყოველისა ქებისა ღირსი. განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისსა.

რამეთუ ჭალაქად შესრულ იყვნეს ნოინნი, და ესე წარჩინებულნი, მოედან-სა შინა დაკრულნი მხრითა, შიშველნი მსხდომარე იყვნეს. ვითარ იხილნა ცოტ-ნე წარჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკუდილად განწირულ-ნი, გარდახდა ჰუნისაგან, და დააბნია სამოსელი თვისი, განწიშულდა, და შეიკ-რნა მხარნი, და დაჯდა წარჩინებულთა თანა. და ვითარ იხილეს თათართა, გან-კვირდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ: „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, და განიძარცვა სამოსელი თვისი, და შეკრული დაჯდა ქართ-ველთა თანა“. რამეთუ კეთილად მეცნიერნი იყვნეს ცოტნესი, რომლისათვის განკვირდეს თათარნი, და წინაშე მათსა მიუწოდეს, და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისვლისა მისისასა.

ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „ჩუენ ყოველნი ამაღ შევიკრიბებით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება თქუენი აღვასრულოთ, — ესე იყო შეკ-რება ჩუენი. აჲ თქუენ ძვირის-მოქმედთა თანა შეგვრაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკე თუ ღირსი რამე სიკუ-დილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე; რამეთუ თვინიერ ჩემსა არაა უქმ-ნიეს; უკეთუ ცხოვრდენ, მათ თანა ვიყო. და ვითარ ესმა ესე ცოტნესგან ნო-ინთა, განკვირდეს სათნოებისათვის მისისა და თქუეს: „ვინათგან ნათესაუნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან, და არა განცრუვდებიან, რომელ აფხა-ზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თვისი მოყუარეთათვის, და არა გან-ცრუენეს, ესრეთ განწირა თავი თვისი სიკუდილად, — არა არს სიცრუე მათ ში-ნა, და ამის ძლით უბრალოდ ეპოვებთ. ამისთვის განუტეოთ ყოველნი“.

მდინარის პირას, მინდორზე, ყმაწვი-ლი ციციანათელას მისდევდა.

დაქანცული ციციანათელა ოდნავდა ბეუტავდა, აღმადღმა მიქანაობდა და, სადაც იყო, ახლად გათიბულ ბალახში ზავარდებოდა.

ყმაწვილს მუხლი დაღლოდა და, სული ყელში მობჯენოდა.

ციციანათელა ბუჩქთან დაეშვა. ბუჩქ-ნა ზედ გადაეფარა, ფრთხილად აიყვა-ნა, ქუდში ჩაავდო და გაიქცა.

თვის ბულულზე ძიდა მიწოლალიყო, კალთაში გოგონა უჯდა და უნანავებდა.

ბიჭუნამ ბულულთან ჩაიჩოქა, ქუდ-ში ხელი ჩაპყო, ციციანათელები ბლუ-ჯად ამოიყვანა და გოგონას თმებზე და-აყარა.

გოგონას თმები თვალისმოშორებულ აკიაფდა.

— როგორ გაგაბრწყინა. თამარ! ვარსკვლავებით მოქედულ ცაზეთ გა-

ნათლი! — გაიხარა გადიამ, ბოქუნას ხელი მოჰხვია და მიეაღერსა:

— მოდი, ბატონიშვილო, მოდი, თოლიგე!

ბატონიშვილი გამდელს მიეკრა, თავით მის ჰკერდს მიეყრდნო და ოდნავ ძილმობარული თვალით ცას ახედა.

— როგორი მოკედელი ცაა! რამდენი ვარსკვლავია! — აღმოხდა ბატონიშვილს.

— აბა, თუღა გახსოვს, ცოტნე, გაიმეორე:

ბეა დია ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჭიმა ჩქიმი*...

ყმაწვილმა ლექსი სხაპა-სხუპით გაიმეორა.

— მე რომელი მურიცხი ვარ, უღუგადია? — იკითხა ყრმამ და ცას მიაშტერდა.

— შენა? შენ, აი, ის ვარსკვლავი ხარ, შენს სწორა რომ ანათებს.

— ჩემი დაი, ჩემი დაიკო რომელი-ღა?

— თამარი? შენს გვერდით რომ ბრწყინავს, შენთან რომ სულ ახლოს არის!

სადაც მყვარი აყიყინდა. უმაღლე ბაყაყების მთელი გუნდი აპყვა და მყუდრო ლამე უცებ ახმაურდა.

ნიავე ახლად გათიბულ თივის სურნელს ჰფანტავდა, საამოსა და მომთენთავს.

თამარის თმებში ციციანათელები ბეჭუტავდნენ და ძილმობარულ გოგონას თვალი ეხუჭებოდა.

ბეა დია ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჭიმა ჩქიმი...

ჩურჩულებდა ცოტნე და მოკედელ ცას თვალს არ აშორებდა.

* შუგ დედაა ნეპი,
მოყარე — მაჩაჩეპი,
მოციციით ვარსკვლავებო
და დო ჭიმა ჩქიმი.

მინდორზე თხუთმეტეტივე მწიკის ბიჭი გამოჩნდა.

— გუგუტა! მომეხმარე! — ხმადაბლა მიმართა უღუმ. ბიჭი დაიხარა, მიძინებელი თამარი აიტატა და მკერდზე მიიხუტა.

გადიამ ცოტნეს ჩაჰკიდა ხელი და ოთხივენი სინათლით გაჩახახებულ სასახლისკენ წავიდნენ.

კავკასიონის მაღალ კლდეზე მიჯაჭვული ცოტნე თავჩაქინდრული თვლემს. თვალმიხუტულს ტუჩზე ღიმილი დასთამაშებს. ძველსა და ლბილში კარგახნის ჩასული ჭაჭვი სხეულის ნაწილად ქცეულა, შეჩვევია და აღარ აწუხებს. რკინა ადრინდებულად ცივი აღარ არის, ისიც სხეულივით — გამთბარა, ეს სითბო თავით ფეხამდე უვლის კლდეზე დაბმულს და სიამით თენთავს.

გაღეულა, დამდნარა ცოტნეს სხეულს შეხორცებული, ძვლებამდე დასული ჭაჭვი. დაუსრულებელი ტანჯვა, ბოლოს, ნეტარებად ქცეულა და კავკასიონის მაღალ კლდეზე მიჯაჭვული გპირი ახლა იმას ფიქრობს, სულ გაილევა თუ არა ეს ჭაჭვი, მართლა დაიშხერევა და მოსცილდება, თუ არა, უხსოვარი დროიდან შესისხლხორცებული რკინა. მაგრამ ჭერ გაწყვეტამდე კლდე ბევრი უკლია ჭაჭვს. ამასობაში დიდი ხუთშაბათიც დადგება, მკედლები გრდემლებზე უროს დასცხებენ და ჭაჭვი ისევ გაივსება, გამსხვილდება და გამთელდება.

მანამდე კი მისი არსებობის განუყრელ ნაწილად ქცეული, ტანზე სუროსავით შემოხვეული ჭაჭვი ათბობს და სიამის ჟრუანტელით ავსებს კლდეზე დაბმულს.

უცებ ცამ გრიალი მოიღო. ცოტნემ თვალი გაახილა. თენდება. მზის პირველი სხივები კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს გაეთამაშა და დაბლა, მიწაზე უზარმაზარი ჩრდილი დაეცა.

ის ჩრდილი ნელა წამოვიდა რწყევითა და ტორტმანით და კლდეზე მიჯაჭვუ-

ლი მიხედა, არწივი მოფრინავდა მისი ღვიძლის საკორტნელად.

ერთ დროს იმ არწივის მოლანდებაც კი შიშის ზარსა სცემდა. მაგრამ იმის შემდეგ უთვალავმა საუკუნემ ჩაიარა და არწივის მიერ გულღვიძლის ძიძგნა ჯერ ჩვეულებად, ხოლო შემდგომ და შემდგომ მოთხოვნილებად ექცა.

ცოტნე მის მოახლოებაზე ძრწოლების მაგიერად სიზარულს გრძნობს და ღვიძლის გლეჯის სიამის განცდით წინასწარ სტკებდა.

მიჯაჭვეულმა თვალი დახუჭა. არწივი მხარზე დააჯდა. გუშინდელი ნაკორტნი მოძებნა; ნაკრილობევი ბრჭყალებით გახსნა და სისხლს დაეწაფა.

სევამ და სევამ სისხლს არწივი. ცოტნე გრძნობს როგორ მიდის სისხლი მისი სხეულიდან და ამ სისხლთან ერთად ძალღონეც როგორ მიიპარება, როგორ ერევა ნეტარების მომგვრელი სისუსტე და, როგორ თანდათან ეკარგება აღქმის უნარი.

მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ტკივილის ნაცვლად რაღაც საამოთრობა თუ გაბრუნება ეუფლება. ეს განცდა ჯერ კიდევ ასაკში შეუსვლელ, სიცოცხლის სიამეთა განუცდელ ყრმა ცოტნეს არსებაში ერთადერთი უმადლესი ნეტარების გახსენებას იწვევს და სიზმარში უცებ ყველაფერი იცვლება. აქამდე რომ კლდეზე მიჯაჭვულ ამირანად ხედავდა თავის თავს ცოტნე, ახლა ჩვილ ბაღდად ქცეულა და ღვიძლის ძიძგს ჩაეკრია. ღვიძლის რძე საამო სითბოთი უვსებს სხეულს ძიძგსჩაკრულ ბიჭუნას. მას ამ ქვეყნისა სხვა აღარაფერი ესმის, თავადაც იმ ძიძგს ნაწილად ქცეულა და ნეტარებით დამართობელი სითხე გამაბრუნებლად გადადის ერთი სხეულიდან მეორეში.

უცებ დედა შეინძრა. მარტო დედა კი არა, დედამიწა იძრო, ისე მოეწვენა პატარა ცოტნეს, ძიძგს მოსწყდა და ნეტარ სიზმარებში წასულ ყრმას ვაეღვიძა.

შენდებოდნენ... ანთ თიხანტოტ ათ

ლოგინიდან ჩიტივით წამოფრინდა ყმაწვილი. ტანსაცმელი სწრაფად ჩაიკცა და ოთახიდან გაეარა.

გარეთ, კარის ეკლესიის ეზოში მოძღვარი ეგულეობდა.

ივლიანე მოძღვარი მამლის ყვილზე ღვებოდა და ყოველ დილას ხედავდა, როგორ ფრთების ტყლამუნით მიფრინავდა არწივი კავკასიონის შორეულ მწვერვალებისაკენ კლდეზე მიჯაჭვული ამირანის გულღვიძლის საჯიჯგნად.

აგერ, რამდენი წელიწადია, ივლიანე მოძღვარი გატაცებით უყვება თავის მოწაფეს, ცოტნე ბატონიშვილს კლდეზე მიჯაჭვული გმირის კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობის, მისი დაუსრულებელი ტანჯვის სიამედ ქცევის ამბავს.

— უდიდესი ბედნიერება ის ბედნიერებაა, როცა ადამიანისათვის ტანჯვის სიმწარე სიამედ იქცევა. წამება კი მაშინ იქცევა სიამედ, როცა უკიდურესობამდე მისულ გამაბრუნებელ ტკივილს ადამიანი ეჩვევა და ღრმად იმსჯელება იმის შეგნებით, რომ კაცობრიობის სიკეთისათვის, სამშობლოსა და კაცთამოღგმის ბედნიერებისათვის იტანჯება.

ამირანს მხოლოდ იმითომ მიუსაჯეს სატანჯველი ღმერთებმა, რომ მან ადამიანებს ცეცხლი მოუტანა და, ამით უკვდავი ღმერთების ქმნილებანი — კინალამ იმავე ღმერთების სწორი გახადა.

ყველა ადამიანს უნდა ჰყავდეს გულღვიძლის მკორტნელი არწივი. ეს არწივი სამშობლოსა და ხალხისათვის ზრუნვა, ადამიანის უკეთესი მომავლისათვის გამუდმებული ფიქრია, და ვინაეც ეს ფიქრი არ აწუხებს, იგი კაცის სახელის ღირსიც არ არის, — არაერთხელ უთქვამს ფიქრში წასულ ივლიანეს ცოტნესათვის, მაგრამ მოძღვარს უმალვე მოწაფის ასაკი ახსენებოდა, ღრმავაროვან მსჯელობას სწყვეტდა და ცოტნესაც და თავის თავსაც ბოღიშს უხდიდა.

— შენ ჯერ ვერ გზრუნავ... ანთ ყრმა

ხარ, უსაკო. ოღონდ ეს იცოდე, ქრისტეცა და ამირანიც ჩვენი სიკეთისათვის ეწამენ და შეხც მათ უნდა მიბაძო, ჩვენი ქვეყნისა და აღამიანების სიკეთისათვის უნდა დასდო თავი, თუ უფალი ამას ღირსად გცნობს. როცა ამას შესძლებ, ის არწივი შენთანაც მოფრინდება, რომ შენი გულღვიძლი ჰკორტოს და სხვათათვის მიუწევდომელი სიამე განგაცდევინოს. მე ეს ვერ შევძელი, ბატონიშვილო, მაგრამ შენ უნდა შესძლო, შენ ვალდებული ხარ სამშობლოსა და სარწმუნოების წინაშე!

ამირანის ამბავს ნაირნაირად მოუთხრობდა მოძღვარი ოდიშის მთავრის მემკვიდრეს.

— აი, იმ ორთავიან მწვერვალს ხედავ? — იტყოდა ივლიანე და თვალზე ცალხელმორდილებული, მეორე ხელს კავკასიონის მწვერვალისაყენ გაიწვდიდა.

— ვხედავ, მოძღვარო, — თავის ქნევით უდასტურებდა ცოტნე და შეაზე გაპობილ თოვლიან მწვერვალს თვალმოუშორებლად გაჰყურებდა. ამბობენ, მაგ მწვერვალზე მიაჯაქვეს ამირანი ღმერთებშო. იმასაც იტყვიან, ჯერ რკინის პალოზე დააბეს, მერე ზემოდან მთა დახურესო. არც ეგ ადგილია აქედან შორს, აბრსკილის გამოქვაბულს ეძახიან. ახლაც ირწმუნებიან, რომ სწორედ იმ გამოქვაბულშია რკინის პალოზე დაბმული ამირანი.

უცხო-უცხო ფერადოვნებით გამუდმებულად მონათხრობდა ამირანის ამბავში, მოუწყინარმა შეგონებამ, რომ ყველა ჭეშმარიტი ვაჟკაცი ხალხისა და სამშობლოსათვის უნდა ეწამოს, უკვე გონებაში ჩავარდნილ ყმაწვილს ოცნებად უქცია კავკასიონის ორთავიანი მწვერვალისა და აბრსკილის ქვაბების ნახვა.

ფიქრითა და ოცნებით ძილატებული ცოტნე თვალს გვიან ხეჰვადა და გვიან იღვიძებდა. თავზე რომ მზე დაადგებოდა, თვალს მისინ ახელდა და, მამლის ყვირლზე წამომდგარ ივლიანე

მოძღვრისაყენ გარბოდა, რომ ერთხელ მაინც დაენახა ამირანის მკვლელობის საძიებნად კავკასიონის მწვერვალზე არწივი.

მაგრამ მშვიერი არწივი ოდიშზე მზის ამოსვლამდე გადაიფრებდა ხოლმე და გვიან ამდგარი ცოტნე ამაოდ ელოდა მის გამოჩენას.

ახლა, ნეტარი სიზმარი ძეძუს მოწყვეტამ რომ დაუფრთხო და გაეღვიძა, პირველად დაასწრო მზის ამოსვლას, ფეხზე წამოხტა და კარის ეკლესიისკენ გაეარდა.

ივლიანე მოძღვარს ცისკრის ლოცვა დაესრულებინა, ეკლესიის ეზოში გამოსულიყო და ხელპირდაბანილო შექალაქარაგებულ შავ წვერს ივარცხნიდა.

ცოტნეს ძიძიშვილ გუგუტას მოძღვრისათვის წყლის დასხმა ჰოეთაგებინა, ცალ ხელში თუნგი ექარა, მხარზე პირსახოცგადაკიდებული შორიახლო იდგა, მოძღვარს რაღაცას უამბობდა და ორივე გულთანად იცინოდა.

ივლიანემ ფეხის ხმაზე პირი ცოტნესკენ იბრუნა.

— ბატონიშვილს ვახლაერთ! დღეს კი ხარ ვაჟკაცი, აღრე ადგომა გინებებია! — ივლიანე მთავრის მემკვიდრეს მიეგება, პირჯვარი გადასახა და ეამბორა.

— არწივი! ამირანის არწივი! — აღმობდა უცებ გუგუტას.

სამივემ თავი ცისკენ მოიღვრა. უზარმაზარი ფრთების ქნევით ხომალდით სწრაფად მისცურავდა ცაში არწივი.

— სწორედ ის არის! — დადასტურა გუგუტას ნათქვამი ივლიანე მოძღვარმა, — იქით მიფრინავს.

თვალს ვერ ამორებდნენ ისარივით სწორად და სწრაფად მიმქროლავ ფრთოსანს.

— მშვიერია, ჩქარობს. ახლა ნამდვილად გავს ფრინველთა მეფეს და ლამაზიც არის. უკან როცა ბრუნდება ხოლმე, გამაძღარია და კმაყოფილი, დაძმობებული ზანტად მოიზღაზნებდა, თითქოს ფრენა მოსწყინდა და ცხოვრე-

ბა ეხარებაო, — თქვა იელიანემ და თვალი თავხედადაქრიალებულ არწივს გაეყოლა.

გამბუტულივით ტრეგავსებულ გოგონას სარკმლიდან მომვლარი მხია სხივები დაეცა.

გრძელი წამწამები შეერბა. პატარა ფუნაულა ხელი მომუშტა და თვალები მოისრისა.

მერე მოპირდაპირე კედელს გახედა. ანგრეულ საწოლზე არაფერი იწვა.

თამარი დაჩვეულა იყო, როგორც თვალს გაახელდა, იმ ლოგინიდან მისი ტყუბის ცალი ცოტნე ღიმილით წამოწვედა ხოლმე თავა, თვალეზზე აფარებული ხელის თითებშუა გამოხედავდა და დაუძახებდა:

— ჭიტა!
რაკი ძმა ხმას არ სცემდა და არც არსად ჩანდა, თამარს სახე მოედრებულა და თვალზე ცრემლი მოადგა.

— გაადიია! — გასძახა გულანწყებულია.

ხმა არაფერი გასცა.
წაწყენი ლოგინზე წამოჯდა და ატირდა.

ოთახში უდრე შემოვიდა. სანდომიან გამდელს ყველაფერი უცინოდა, შილა-რაცა და თათლისფერი თვალეზიც, ფართო შებლიც და ფეროვანი ლოყებიც.

— გაიღვიძე, გადია გენაცვალოს? — მიეყვავილა მტირალ ბავშვს, — შენს თვალზე ცრემლს რა უნდა, თოლიგე! მოგიკედეს ჩემი თავი!... — მოეხვია და გულამომვლარი გოგონა გულში ჩაიკრა.

— ცოტნე სად არი? — იკითხა თამარმა.

— ბატონიშვილი დღეს ადრე ადგა.

— უჩემოდ ადგა და გაიპარა, არა?

— არა, თოლიგე, სად უნდა გაპარულიყო?

— თბილისს ვაპირებდით გაპარვას, იქ დიდ თამარს უნდა ეხლებოდით; ცოტნე და გუგუტა თამარის ლაშქარს შეუერთდებოდნენ და საქართველოს მტრებს შეესევოდნენ, — თამარმა ხმას დაუწია, — რა ხანია, საიდუმლოდ ვემ-

ზადებოდით გეპარავდ. ყოველ დღე, შემოქმედებოდა, ბავშვებსა და მათს თო, თვალდახუჭული, თავმოქმედებულნი ვუცდით ხოლმე ხეის გასვლას. როგორც კი ჩაგვკოცია და ფეხაქრეთი გახვალ, ცოტნე თვალს დაწყობტაეს, ჩემს ლოგინთან მოდის, თავით ჩამომიჭდება და სულ იმას ვოცნებობთ, როგორ გავიპაროთ.

— შენ სადღა უნდა გაიპარო, ჩემო ანგელიოსო, შენც ომში უნდა წახვიდე?

— არა, მე თამარის კარზე დავარბები, დედოფლის ამაღაში.

— თო, ეს ცუდად როდი განგზრახავთ, მაგრამ მე რას მიპირებთ? მე არ წამიყვანთ?

— შენა? შენზე არ გვიფიქრია... ვეტყვი და შენც წაგიყვანთ. აბა უშენოდ როგორ წავალთ... ცოდეა ხარ.

— მარტო როგორ გავძლებ უთქვენოდ... აბა, ახტი, გენაცვალე, ჩაეცვათ და ცოტნე მოვძებნოთ.

— თუ გაპარულია?

— დავეწიოთ და დავაბრუნოთ.

— ოღონდ დედას არ გავაგებინოთ.

— არა, ნუ გავაგებინებთ, — იცინოდა ბავშვის ტიტინით გახარებული გადია, გოგონას თავს დასტრიალებდა, ტანთ აცმევდა და კოცნიდა.

ჩაიკცა თუ არა, თამარი ოთახიდან შურდულივით გავარდა. ჩვეულება დაარღვია, დიდი ქალბატონის საწოლში დიღამშვიდობის სათქმელად და საამბორებლად არ შევიდა, ეზოსკენ დაემავა და გაიქცა.


გადია მისდევდა, მაგრამ ვერ ეწეოდა.

თამარი თვალის ცეცებით ვარბოდა. შინაყმები გზას უთმობდნენ, თავს დაბლა უხრიდნენ და უღამოდნენ.

ცოტნე ეზოში არ ჩანდა. უნდოდა შეჰკითხოდა ვისმე, ზომ არ გინახავთო, მაგრამ საიდუმლოს გამკლავების ეშინოდა, ხმის გაუცემლად მსახურებს წინ გაურბენდა და აწყვეტილი თიანგივით მიხტოდა.

— თამარ! მომიცადე, დავეცვლე... გეძინებოდა გადია, მაგრამ თამარი

Handwritten mark on the left margin.



ქ. ბარჭაის სახ. საქ. სსრ. სახელმწიფო არქივის დოკუმენტი.

სირბილს უფრო უმატებდა.

ბოლოს, ეზო რომ თითქმის გაირბინა და თვითონაც დაიქანცა, საგონებელში ჩავარდნილი შეჩერდა.

— ქაჯი ხარ, გოგო კი არა, — საყვედურით მიუახლოვდა გამღელი, — გული ამომივარდა ამდენი სირბილით...

აქომინებული გადია სულს ძლივს ითქვამდა. გაფითრებული თამარის გვერდით დაეშვა და კუნძზე ჩამოჯდა.

— უი, რატომ არ გამახსენდა, თეთრონით აპირებდა წასვლას. თუ თეთრონი საჩინიბოში არ არის, წასულა!

— აგერ, ცოტნეს თეთრონი! — ხელი გაიშვირა გამღელმა.

მეჩინიბეს თეთრი ულაცი მოკყავდა. ნესტობებაბერილი კვიცი თვალების ფეთებით, თამაშ-თამაშით მოდიოდა. იტყოდი, მიწას ფეხს არ აკარებდნო.

— ცოტნე ბატონიშვილი არ გინახავს, ოტია? — გასძახა გადიამ.

— არა, ბატონო, არ მინახავს, — უპასუხა მეჩინიბემ, თავი დახარა და წელში მოღუნული მიესალმა:

— დილა მშვიდობისა!

— მე ვიცი, სადაც იქნება! — წამოიძახა უცებ ფიქრში წასულმა თამარმა, — მოძღვართან იქნება, მამა ივლიანესთან.

თამარმა გადიას ხელი ჩაჰკიდა, გამღელი წამოდგა და მიჰყვა.

— რაც ეგ მოძღვარი გამოჩნდა, აღა რეინ ვახსოვართ, გული სულ მისკენ მიუწევს.

— ოო, ეგ კარგია, თოლიგე! ყრმას რომ მწვრთნელი უყვარს, ბედნიერებაა. საღეთო სჯულს ისწავლის, ქვეყნის აკარგს გაიგებს. მემკვიდრე ბატონიშვილი განათლებული და მკოდნე უნდა იყოს, რომ მეფის კარზე გამოჩნდეს და სახელმწიფოს საქმეები განაგოს.

— საღეთო სჯულს სულ არ ასწავლის მამა ივლიანე. ბერძენთა და ლათინთა ზღაპრებს, მეფეებისა და ომების ამბებს უყვება და მერე იმის მონაცოდს მე მიამბობს ხოლმე... შეუღამედღეურობები იქნება.

— ეგეც საჭიროა ბატონიშვილისათვის, რომ დაეაყვადებოდეს მეფეებთან და მთავრებთან უნდა იტრიალოს, ომიც ბევრი უნდა გადაიხადოს და განსაცდელიც მრავალი უნდა ნახოს.

აღმართი აათავეს და მამაკაცის რობრონი მოესმათ.

— მაგას რას ბრძანებ, გუგუტა ბატონო! რაც დედამიწის ზურგზე ხალხია, ყველა ქართულად როგორ ილაპარაკებს! — სიცილით ამბობდა სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი ივლიანე.

მოძღვარს ხელში ჯოხი ეჭირა და მიწაზე რალაცას ხაზავდა.

კარის ეკლესიის გვერდით, ჩრდილში ისხდნენ ივლიანე მოძღვარი, გუგუტა და ბატონიშვილი. მოძღვარს ანაფორის კალთები მუხლებზე აეკეცა, ჯოხს მიწაზე დაატარებდა და ომახიანად მეტყველებდა:

— დედამიწაზე, როგორც ბუნებაა ნაირნაირი, ისე ხალხები და ენებიც ნაირნაირია. ყველა ხალხს თავისი ენა აქვს ერთმანეთისაგან განსხვავებული.

— მერე ერთიმეორეს როგორ აგებინებენ? — იკითხა გუგუტამ.

— ერთმანეთის ენას სწავლობენ. ვინც მეტი ენა იცის, მას მეტ პატივსაცემენ. აი, ცოტნე ბატონიშვილმა ბერძნული ხომ იცის! სპარსულსა და არაბულსაც შეგასწავლი და დიდი თამარის კარზე რომ მოხვდება, სირცხვილს არ სჭამს. განათლებულ მეფეებს იმას არ ათქმევინებს, ოდიშის მთავარს უწვრთნელი შვილი ჰყოლიათ.

— სულ რამდენი ენა არი ქვეყანაზე? იკითხა სმენად ქცეულმა ბატონიშვილმა.

— ბევრი. რამდენი ერიც არის, იმდენი ენაა.

— ერი? ერი რამდენიდა არი?

— მაგას ვინ მოთვლოს, ბატონიშვილო! ზოგი ერი მრავალრიცხოვანია, დედამიწის დიდი ნაწილი უპყრია და მის ენაზე ურიცხვი ადამიანი ლაპარაკობს. მაგრამ სულ მცირე ერებიც არიან. მე თვითონ მინახავს: კავკასიონის მთებში, ზოგიერთ პატარა სო-

ფელსი იმისთანა ხალხი ცხოვრობს. რომლის ენაც იმ სოფლის იქით, მთელ დედამიწის ზურგზე არავის ესმის.

ყმაწვილები მიწაზე ჯოხით გამოყვანილ ნახაზს დაჰყურებდნენ: ოსტატს ქვიშაზე ორი ზღვა მოეხაზა, შუაში მათ თავზე სქელი დაკლავნილი ხაზი გაევილა.

— ზღვა რამდენიდა არის ქვეყანაზე, ოსტატო? ზღვაც ბევრია?

— ბევრი?... არც ისე ბევრია, თითებზე ჩამოითვლება. იმ ზღვათაგანი ორი საქართველოს სამეფოს ეკვრის, — მოძღვარმა ჯოხით ორი ზღვის შუა წრე მოხაზა, — დასაბამიდან ჩვენი მოდგმა დასავლეთით შავზღვას იყო მიბჯენილი. ჩვენი წინაპრები სულ იმას ედილობდნენ აღმოსავლეთით კასპიის ან გურჯანის ზღვას მისწვდომოდნენ და ორ ზღვას შუა გაეშალათ მხრები. ქართველთა ეს საუკუნო ნატურა ახლა ისხამს ხორცს, ჩვენს თვალწინ. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა საქართველოს ძლიერა სახელმწიფო შექმნა, დონემოცემული ქართველობა ერთნაირი დაუინებით მიიწიეს აღმოსავლეთითა და სამხრეთით. ჩრდილოეთით ჩვენი ბუნებრივი საზღვარი კავკასიონის ქედია, — ივლიანემ სქლად დაკლავნილ ხაზს გააყოლა ჯოხი, — თუ აღმოსავლეთითაც ასეთივე ბუნებრივი საზღვრად კასპიის ზღვა დავიდევით, ამის შემდეგ, გამრავლებულსა და გაძლიერებულ ქართველთა მოდგმას შორს გაწივებისა და მიწა-წყლის გაფართოებისათვის სამხრეთით და რჩება — კასპიისა და შავი ზღვის გაყოლებით.

— შავი ზღვა მართლ ჩვენია, ქართველებს? — იკითხა ისევე გუგუტამ.

— არა, შავი ზღვა ბერძნებისა და ბრავალთა სხვათა კუთვნილება არის.

— სხვათა კუთვნილება რად უნდა იყოს, ზღვა ხომ ჩვენს ნაპირთან არის?

— ეგრე და უმეტესად სხვათა ნაპირთანაც არის შავი ზღვა, ადრე ჩვენი ნაპირი უფრო მცირე იყო, მაგრამ იმის შემდგომად, რაც ღვთივ გვირგვინოსანმა თამარმა თავისი სამეფო ვანავრცო

და გააძლიერა, საქართველოს ნაპირმა იმატა და ახლა ტრავმებზე და სინოპიმდე აღწევს ჩვენი ზღვა.

— ეგ შორს არი?

— შორს არი, ძალიან შორს, აი, თითქმის აქამდე, — მოძღვარმა ჯოხით საქართველოს სამხრეთით შავი ზღვის სანაპიროს მოზრდილი ნაწილი შემოხაზა.

— ეს მიწა-წყალი სულ ლაზებით არის დასახლებული. ლაზებს ენაც ჩვენი აქვს და ზნე-ჩვეულებაც, მაგრამ მათი სამეკიდრო ანგარ ბერძნებს ჰქონდათ მიტაცებული. მეფეთ მეფე თამარმა წაართვა ბერძნებს ჩვენი სანაპირო და, ახლა ბაგრატიონთა ნათესავე კომნიანოსი ზის ტრაპიზონის ტახტზე კეისრად.

— ეს მეორე ზღვა? — ახლა ცოტნემ იკითხა და აბრეშუმის ქიის მსავსად მოხაზულ მიწის მონაკვეთს დააქტურდა.

— ეგ ზღვა უმთავრესად სპარსელებისაა, თუმცა ერთი ნაწილი საქართველოს ტახტის ერთგულ შირვანშაჰებს უპყრიათ. დადგება დრო და ეგ ზღვაც მთლიანად ჩვენი იქნება. სპარსეთი დასუსტებულია და ქართველთა წინააღდგომის ღონე აღარა აქვს. ამიტომ დალაშქრეს ეგრე ძლიერმოსილად ყაზვინი და რომგური მხარგრძელებმა და შენმა დიდებულმა მამამ. დახე, რა გზა გაიარეს!

ივლიანემ ქართველთა ლაშქრის მიერ განვლილი გზა ქვიშაზე გრძელი ხაზით გამოსახა.

— ეს ქალაქებიც ძალიან შორს არის! აფერ, რა ხანია, გამარჯვების მახარობელი შოვიდა ხორასანიდან. თვეზე მეტია ველით ღვთივებდნიერად შემოქცეულთ და თბილისს მხოლოდ ამ ერთი კვირის წინ მოსულან.

მიწას ჩაშტერებულმა გუგუტამ თავი ასწია და თვლით ცოტნეს რაღაც ანიშნა.

ცოტნე მიწაზე გაბოხდა. ბალახინ ღერზე ასული კიამაია ფრთხილად იყ-

ვანა, ხელისგულზე დაისვა და დააცქერდა.

მოძღვარმა ბატონიშვილის უყურადღებობა შენიშნა, შუბლი შეიკრა და დადუმდა.

— ფრინდი-ფრინდი, მიაი, ხვალ თუ კარგი დარია! — ხმადაბლა იმეორებდა ლექსს ცოტნე და ხელისგულზე მიმლოდავ ღამაზ მწერს სახეგაბრწყინებული დაკუთრებდა.

— ფრინდი-ფრინდი, მიაი! — ბუტბუტებდა ცოტნე, მაგრამ კიამაია ფრთების გაშლას არ ჩქარობდა.

— აი, სად ყოფილან! — გაისმა გადიას ხმა და ცოტნე შეერთა. თამარისა და გამდელის დანახვაზე ბატონიშვილს თვალები გაუნათდა, მინდვრის ყვავილების კონას დასწვდა და მათკენ წავიდა.

— რა ხანია გეძებთ! სად დაგვეკარგე, არც პირი დაგიბანია, არც საუზმე მიგიერთმევეია... — საყვედურით მიმართა გადიამ.

ცოტნე გამდელს ყურს არ უგდებდა, განზე გამდგარი თამარისკენ ფრთხილი ნაბიჯით მიდიოდა, წინგაშვერილ ხელისგულზე კიამაია დავსვა, მეორე ხელში ყვავილები ეჭირა და იმ ხელს კიამაიას ზემოდან აფარებდა, რომ უცებ არ გაფრენოდა.

თამარი მისკენ არ იხედებოდა.

ცოტნე მივიდა, ლოყაზე აკოცა და ორივე ბელი გაუშვირა.

— დახედე!

გაბუტული გოგონა ჩიუტობდა, მისკენ თავის მობრუნებას არ აპირებდა.

— შენია! ეს ყვავილებიც შენთვის დავკრავდი!

— რატომ მეც არ ვამალვიძე? — წყენით თქვა თამარმა და ძმაზე გულმობრუნებულმა თავიც მიიბრუნა.

უცებ ცხენის ფეხის ხმა მისწვდათ.

— მოდიან... მოდიან... — გაისმა ძახილი.

ცხენოსანმა გაქაფული ლაფშა კიმკართან მოაგდო. დაიჭვეითა და ეზოში შემოსულმა ხმამალლა დაიძახა:

— დიდი მთავარი მობრძანდება!

ეზო-კარში ერთი გნისაი ატყდა.

სამზადიდან და მარნიდგეყე თორნიდან და საჭინიბოდან მსახურნი და მინახურნი დაფეთებულნი გამოცვიდნენ. იქაურობა აჩოქოლდა და აფორიაქდა. შეიქმნა ერთი ძახილი და მოხმობა, წინ და უკან სირბილი, გაქცევა და გამოქცევა.

მთავრის მეუღლე ნათელა თავდაუბურთავი გამობრძანდა აივანზე, მაცნედ დაწინაურებული მთავრის მხლებლისაგან ქმრის მოახლოების ამბავი მოისმინა, მახარბელი საჩუქრებით აავსო და სწრაფადვე შინ შებრუნდა.

მთავრის მეუღლე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი იყო. სანატრელი შერგილის დაბრუნებას ასე უეცრად არ ელოდა და ახლა მისი შეხვედრის მოლოდინით აღელვებულს გული საგულეში აღარ უდგებოდა.

ფარეშები თავს დასტრიალებდნენ, ჩქარობდნენ, ჩაცმასა და დაფარცხნას შევლოდნენ. მაგრამ ნათელა ვერ ისვენებდა, თვალი და ყური კიშკრისკენ ჰქონდა, ეშინოდა, ამდენი ხნის უნახავ ქმარს კობტად ჩაცმულ-დაუბურავისთვის არ მოეცწრო.

ქალბატონი წარბ-წამწამს ისწორებდა, სარკეში იცქირებოდა და თან განკარგულებებს იძლოდა, ბავშვებისთვის ტანთ რა ჩაცმიათ, მთავარს წინ ვინ შეგებებოდა, სუფრა სად გაეშალათ, ნამგზავრთათვის სამწყურვალოდ რა მიერთმიათ და, სტუმრად ვინ მიეპატიენათ.

ნათელამ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი სარკეში თავისთავს და საკუთარი მშვენიერებით კმაყოფილი საწოლიდან გამოვიდა.

გამდელმა კობტად დავარცხნილი, საღღესასწაულოდ გამოწყობილი ბავშვები წარუდგინა.

ღედამ ტყუბებს მიუალერსა, ჩაცმულობა მსრუნველად გაუსინჯა, ჩაპკოცნა, შუაში ჩაუღვია და მათთან ერთად კიბზე დაეშვა.

ცხენების თქარათქურის ხმა მოახლოვდა.

ფართოდ გაღებულ ჭიშკარში ცხენ-
დაცხენ შემობრძანდა მთავარი. შაახუ-
რები აღვირსა და უზანჯს ეცნენ. შერ-
გილი უნაგირიდან გადმოეძვია, დაიქვე-
ითა, წინ მიგებებულ კარის მოძღვარს
თავდახრილი მიუახლოვდა და ლოცვა-
კურთხევა მიიღო.

ის იყო მოძღვრის ხელის სამთხვევად
დაიხარა, რომ კალთაზე ბაღლები აეკ-
რნენ.

— მამა! მამილო!
— ამიყვანე, მამიკო!

ხელს ხვედნენ და ფეხებში ებლან-
დებოდნენ ბავშვები.

შერგილი დაიხარა, ცალ-ცალი ხე-
ლით ძლივს აიყვანა ქალ-ვაჟი და გულ-
ში ჩაიხუტა.

ბავშვები ჭივილ-ხივილით ეკვროდ-
ნენ, კოცნიდნენ. გულაჩუყებულ ბემ-
ბერაზს თითქოს ეშინოდა ხელიდან არ
გამოვარდესო, ბაღლები მკლავებში
ჰყავდა მოქცეული. ხელებს ვერ ითავი-
სუფლებდა, ტყუბებს თავითა და პირ-
სახით ელამუნებოდა, კოცნიდა და საა-
ლერსო სიტყვებს ებუბუბუტებოდა.

გულზე ბაღლებბახუტებული მიეახლა
მეუღლეს, ბავშვები ძიძის ჩამოსვლა და
თუმცა ცოლის მაგრად მოხევევა გულით
უნდოდა, ხალხში თავშეკავებულად მი-
ესალმა, მხოლოდ მხარზე ეამბორა.

სახლობა თბილისიდან ჩამოყოლილ
სტუმრებს წარუდგინა და ცოლ-შვი-
ლით წინ დაიძრა.

ახლობლებსა და შინაურებს დანატ-
რებული, ყველას გულითადად ესალ-
მებოდა, ხელს ართმევდა, ზოგს ეხვე-
ოდა და ჰკოცნიდა, მარჯვნივ და მარც-
ხნივ თავს უკრავდა და ღიმილს აფრქ-
ვევდა.

იმ დღეს ღარიბთა და ჭვრივ-ობოლ-
თათვის უამრავი საბოძვარი გასცეს
მთავარმა და მისმა თანამეცხედრემ.

საკლავი უანგარიშო დაიკლა და სე-
ფაში გრძელი სუფრა გაიშალა. მთავა-
რი თავს ძალას ატანდა, იცინოდა და
ენაწყლიანობდა, რომ თავისიანებს მზი-
არული ჩვენებოდა. ისე კი თავის ტკი-
ვილი აწუხებდა, თვალი უბრწყვილდებ-

და და ტანში უჩვეულო სიმბურვალეს
გრძნობდა. მოყვარული ცოლის ფეხს
რა დაემალებოდა და, ნათელს ბორცვს
ლი შეხვედრისთანავე არ ეჭაშნიკა
ქმრის წამოწითლებული სახე და ამღვ-
რეული თვალები.

მერე და მერე, სუფრაზე გვერდით
მჯდარ ქმარს რომ რამდენჯერმე ნებით
თუ უნებლიეთ შეეხო, მისი სხეულის
უჩვეულო სიმბურვალემ შეაკრთო.

ძილაღმიდრეკილივით თავს ძლივს
იკავებდა მთავარი, ცდილობდა სუფრა-
ზე გამართულად მჯდარიყო, მაგრამ
ვერ ისვენებდა, ბორგავდა და ხვენწო-
და.

ნათელა შეშფოთებული შეჰყურებდა
ჩვეულებრივ ღზინის სულსა და გულს,
დარღვიანდობით ცნობილი შერგილის
უცნაურ ქცევას: სახეშეცვლილი იჭდა
მთავარი, იცინოდა, მაგრამ უფრო მოწ-
ყენილსა ჰგავდა, ხუმრობდა და არ გა-
მოუღიოდა.

— შეუძლოდ ხომ არ ბრძანდები,
ბატონო? — წასჩურჩულა ნათელამ
სადღეგრძელოს სათქმელად ფეხზე წა-
მომდგარ მთავარს.

— უღონოდ ვარ, ალბათ გრძელი
გზის ბრაღია, — ნაძალადევად გაუღი-
მა შეწუხებულ მეუღლეს შერგილმა.

მთავარმა სადღეგრძელო ენის ბორ-
ძიკით თქვა მოკლედ და სასმისი დაცა-
ლა.

დაჭდა თუ არა, თავბრუს ხვევამ უმა-
ტა.

ერთხანს არ იმჩნევდა, ღზინის გაუ-
გემურება არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს
თავის ტკივილი მიეძალა და გულის
რევა ვეღარ შეიკავა. ბოდიშით წამოდ-
გა, ახლავე მოვალო, წაიდუღუნა. და
გავიდა.

შეშინებული ნათელა უკან მიჰყვა
ქმარს.

გულის რევამ დედის რძე აღარ შე-
არჩინა შერგილს.

შებლზე ქირის ოფლი გადასდიოდა
ფერდაკარგულსა და ღონეგამოცლილ
მთავარს.

ავადმყოფი ლოგინში დააწვიანეს და ექიმები იხმეს.

ჯერ საკმელს დააბრალებს, ნამდვილად რაღაცამ აწყინაო.

ორ დღეს ნაწყენს მკურნალობდნენ, მაგრამ წამლებმა ვერა არგეს რა.

გულს ისევ აზიდებდა, ძვლებში ამტკრევდა და სიცხე უმატებდა. ვიღაცამ თქვა გათვალულიაო.

მაშინვე გამომლოცველები მოუყვანეს.

ჩოქვით უარეს ყელზე დღეუკმობ-მულებმა, სლოკინითა და მთქნარებით ულოცეს, მაგრამ ვერც ამან უშველა.

მეოთხე დღეს მთელ სხეულზე შავად გამოფინა მთავარს.

— ნამდვილად ბატონებია, ან სხვა რამ ვადამდეები სენი, ბავშვები მოარიდეთ. თქვენც ნუ მიეკარებით, — და არიგეს ექიმებმა მოუცილებლად სნეულის თავთან მოფუსფუსე ნათელა.

იმ დღესვე ორივე ბავშვი გამდელითურთ ქუთაისს გაზიზნეს ნათელას მშობლებთან და სატახტოში კაცი აფრინეს.

დიდად შეაწუხა თურმე ცოტნეს ნათელია — გულმოწყალე თამარი რომ-გურის გმირისა და მისი ტახტის ერთგული მთავრის ავადმყოფობის შეტყობამ. მაშინვე სამეთო კარის მკურნალი გაგზავნა ოდიშს. ნათელა ძვირფასი საჩუქრებით მოიკითხა და ნუგეშის წერილიც მოაყოლა. მეფის მკურნალს სნეულის დანახვისთანავე ეცვალა ფერი.

— სწორედ ის არის, რისიც მეშინოდა. — განაცხადა საგონებელს ჩაფარდნილმა. — ირანიდან მობრუნებულ რამდენიმე მხედარს ქაბოლსა და კახეთშიაც გამოაჩნდა ეს სნეულება. უცნობი სენია და წამალი არა უდგება რა.

შეშფოთებულ მთავრის მეუღლეს მკურნალმა ცალკე გაანდო, — სნეულება ვადამდებია, მომვლელის მეტი არავინ მიეკაროსო. ნათელა ქმრის მოვლას არავეს უთმობდა. ძალით გამოიწვევინებდა ავადმყოფის ოთახიდან, მაგ-

რამ იქაურობას მაინც არ გაშორდა. დღენიადაც კართან იდგა მოყურებულო და ღამეებს თეთრად ათევდა.

სნეულს თავის ტკივილი არ ეხსნებოდა. მერე ის იყო, თვალები აეწვა საშინლად, სინათლეს ვეღარ იტანდა და შუქს თვალს ვეღარ უსწორებდა.

ერთთავად თვალდახუჭული არც არაფერს ნატრობდა, არც ვისმე ნახვის სურვილს აცხადებდა.

იწვა სიცხისაგან მივარდნილი და სნეულებასთან ბრძოლის ხალისს აღარ ამტკიცებდა.

ერთ დილას თვალი გაახილა და ვერაფერი დინახა.

— როდის გათენდება, ექიმო, ეს ღამე რა გაუთავებლად გაგრძელდა! — ხმადაბლა თქვა შერგილმა.

— დიდი ხანია გათენებულა, მთავარო!

— მერე რატომ ვერაფერს ვხედავ? მთავარს ხმაში შემოთება შეეტყო.

მკურნალი წამოდგა, ავადმყოფთან დაიხარა და დააკვირა.

— თვალი თითქო გახელილი მაქვს...

— გახელილი გაქვთ, მთავარო, ორთავ თვალი.

— მერე რატომ ვარაფერს ვხედავ?

— მე ვერ ვხედავ?

ღია კარში შეშინებული ნათელა იდგა.

— ვერც შენს მეუღლეს ქალბატონს ხედავ?

— ვერა, ვერც შენ ვხედავ, ვერც მეუღლეს... ვერც ვეღარაფერს... ნუთუ... ნუთუ დაებრმავდი?!... — აუკანალდა ხმა მთავარს და ბავშვები სატირლად აუთამაშდა.

— მაგას რას ბრძანებთ, მთავარო! ცოტახნით ალბათ ბინდი გადაგეფარათ და გაგივლით, — ანუგეშებდა ექიმი, მაგრამ თავის ნათქვამისა თვითონ არ სჯეროდა და შეშინებული დაპყურებდა ბინდგადაკრულ, უაზროდ მზირალ თვალებს.

— მთავარმა ერთი ყრუდ დაიგმინა, სა-

ბანი თავზე წაიხურა და ოთახში დაგუ-
ბულა კვითინის ხმა გაისმა.

ორი კვირის თავზე ავადმყოფს სიც-
ხემ უკლო. ნელნელა მოხედვა დაეტყო
და ექიმებს იმედი მოეცათ.

გახარებულ მკურნალებს ის აღარ-
დებდათ, სწულს რომ თვალში ნათელი
არ უბრუნდებოდა, მაგრამ ავადმყოფს
ძველებურად ამხნეებდნენ, დრო გაეა,
თვალი დაგიბრუნდებო. შერგილსაც
სჯეროდა და სამზეოსა და ცოლ-შვილის
დანახვას მონატრებული, გაორკეცბუ-
ლი ძალით ებრძოდა სწულს.

თითქმის ყველაფერი უკეთესობისა-
კენ იწყებდა შემობრუნებას დადიანე-
ბის ოჯახში.

მაგრამ ერთ დღეს ნათელამაც ველარ
აიტანა სხეული ლოგინიდან. გულის
რევა და თავის ტკივილი ცუდად ენიშ-
ნა ექიმებს. ექვი მალე დადასტურდა
მთავრის მეუღლეს ქმრის სენი აღმოაჩ-
ნდა.

დედულში გახიზნულ ბატონიშვი-
ლებს გუგუტაც თან ახლდა.

ნათელას ძმის მამულები გელათის
ახლო იყო. ბაღ-ვენახებით დაფარული
ფერდობები, მწვანე მინდვრები და ქო-
ჩორა ტყეებიანი გორაკები ბავშვებს
სულ თავისკენ იზიდავდნენ და შინ გუ-
ლი არ უდგებოდათ. ცოტნესა და თამა-
რის ძიძიშვილი უკვე ჰკუაში ჩავარდ-
ნილი ყმაწვილი იყო. მთავრის შვილე-
ბის გულისათვის წყალში ჩადგებოდა
გუგუტა. მისავეთ ერთგული ბატონი-
შვილებს სხვა არავინ ჰყავდა და ამი-
ტომ, როცა ბავშვები მასთან ერთად
ეგულებოდათ, უფროსები არხეინად
იყვნენ.

უზოში რომ ბავშვებს თვალს ვერ
მოჰკრავდნენ, ჯერ გუგუტას მოიკით-
ხავდნენ, ბატონიშვილებთან ერთად
არისო, შეიტყოზდნენ და დამშვიდებუ-
ლნი ძებნას ეხსნებოდნენ.

გუგუტას დედა რომ დადიანების სა-
სახლემი მოიყვანეს, გუგუტა სამიოდ
წლისა იქნებოდა. უღუს მამინ ძეძუთა
ბავშვი ჰყავდა. მთავრის ტყუპებს დე-

დის რძე არ ჰყოფნიდა და გუგუტას
მომდევნო დის ძუძუს მოზივებდნენ.
დნენ. გუგუტა ჯერ იმოდენა არ იყო,
რომ შინ უდედოდ დაეტოვებინათ. ამი-
ტომ ისიც თან მოჰყვა დედას და მთავ-
რის სახლში ბატონიშვილებთან ერთად
ცხოვრობდა. საკუთარ ქალაქსა და ძი-
ძიშვილებს ერთმანეთში არ არჩევდნენ
შერგილი და ნათელი. ბავშვები აკვანი-
დანვე შეეჩვივნენ და შეეთვისნენ
ძიძიშვილს. პატარა თამარი უმისოდ
ფეხს არსად დგამდა და გუგუტასაც სა-
კუთარ თავზე მეტად უყვარდა მთავრის
ასული. ძიძიშვილი ყველაფერი იყო
თამარისათვის, ძმაცა და მზრუნველიც,
მსახურიცა და მფარველიც. გუგუტა
ბატონიშვილებზე სამიოდ წლით უფ-
როსობას იფერებდა და მათთან თავი
მოზრდილივით ეჭირა.

უკვე ცამეტი წლის გუგუტას თავის
სიკებაუკის აღიარებად მიაჩნდა ბატო-
ნიშვილების ხლება, მთავრის ოჯახისა-
გან ესოდენ დიდი ნდობის გამოცხადე-
ბა. თავისი ასაკისა და ამ ნდობის შეგ-
ნებამ პასუხისმგებლობა გაუორკეცა,
ბატონიშვილებს აჩრდილივით თან დას-
დევდა, მათ სიმშვიდეს დარაჯობდა და
მათი სურვილის ასრულებას ვერაეინ
ასწრებდა.

სოფლის ლალმა შვილმა მარტო გა-
მოქებაულები და ჩიტის ბუდეები კი
არ იცოდა, ზღაპრების გუდა მუდამ სა-
ესე ჰქონდა და, ყველა შესაფერის შემ-
თხვევაში რუსთაველის სტრიქონებს
იმორწმებდა.

— გუგუტა, ზღაპარი გვიამბე! — შე-
ეხვეწებოდა ძილის წინ თამარი და
ცოტნეც მხარს აუბამდა:

— გუგუტა, აი ის გვიამბე მარგალი-
ტის ცრემლებისა.

გუგუტა ბევრს არ ახვეწინებდა. —
იყო და არა იყო რა, შაშვი იყო მგალო-
ბელი... მოჰყვებოდა გატაცებული და
მსმენელებსაც იტაცებდა იმ ზღაპრული
ქვეყნებისაკენ, სადაც უძლეველი გმი-
რები ცხრათავიან დევებს ამარცხებდ-
ნენ, ნაცარქექიები ჰვას წვენს აღენდნენ

და მზეთუნახავი ასულები ხალიჩებით ცაში დაფრინავდნენ.

ფერიცვალება დღეს მარტუშიანთა ოჯახი გელათისაკენ დაიძრა.

პატარა თამარი დილიდანვე ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ იმის შიშით, წირვაზე არ წამიყვანენ და გელათს ვერ ენახავო, თავის ტკივილი არაეის გაუმხილა.

წირვა დიდხანს გაგრძელდა. გოგონა ისედაც ფეხზე ჩამოწყდა, თავბრუსხვევამ და ტანში მტკრევამ უმატა. გუმბათიდან მოწყალედ მზირალ ღვთისმშობელს ამღვრეული თვალებით მიჩერებოდა თამარი. სოფიის კენჭებით დახატული წმინდა ქალწული უცნაურად ქანაობდა, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა და მალეა მიშტერებული ბავშვის სიცხიანი თვალები მოუსვენრად მოძრაობდნენ. ბოლოს გულის ზიდება დააწყებინა და შუბლზე ცივი ოფლი დაასხა. აქ გული არ ამერიოსო, გაიფიქრა და ბარბაცით კარისკენ წავიდა.

უფროსებს საყდრიდან თამარის გასვლა არ შეუშინებიათ. მხოლოდ თვალმოუცილებლად მისკენ მზირალმა გუგუტამ დაინახა, როგორ გაჭირვებით მიიკვლევდა გზას თამარი მლოცველებში. თვითონაც უკან მიჰყვა და ტაძრის კართან ჩაკეცილ თამარს რომ წამოეწია, ბევრი არ უფიქრია, ბატონიშვილი ხელში აიტაცა და შინისკენ გააქანა.

მარტუშიანთა სახლი ფეხზე დადგა.

თამარი სიცხისაგან გათიანგული იწვა; გულისრევისაგან მისუსტებული თვალებს უაზროდ ატრიალებდა და ნარბენივით ქოშინებდა. აფორაქიებული ბიძა და ბიცოლა ავადმყოფის ლოგინს არ ტოვებდნენ, ერთმანეთს შემფოთებულნი მიჩერებოდნენ და უსიტყვოდ გამოხატავდნენ უზომო შიშს რაღაც დიდი უბედურების წინაშე.

შერგილისა და ნათელას ავადმყოფობის ამბავს ყოველ დღე ტყობილობდნენ. თამარის სწეულების ნიშნები ზედმიწევნით ჰგავდა ყოველივე იმას, რაც ოდიშის მთავრისა და მისი მეუღლის

სწეულებისა იცოდნენ და, აბა, როგორ არ შეშინებულყვნენ მარტუშიანთა თამარს მაშინვე მოაშორეს ცოტნე და თავიანთი შვილები. ექიმები მოიყვანეს და ჯერ კიდევ იმედიანები ლოცვითა და ლიტანიით ავედრებდნენ უფალს უცოდველი ბავშვის განკურნებას.

მეოთხე დღეს თამარმა მოიხედა, გამოცოცხლდა და გახალისდა. მარტუშიანების სახლში ისევ შუქი ჩადგა.

მეხუთე დღეს ავადმყოფს სიცხე დაუვარდა.

ექიმებმა შვებით ამოისუნთქეს, საშიში აღარაფერიაო, დაასკენეს და, ახლობლებს თამარის ოთახში შესვლის ნება დართეს.

როგორც კი ზღურბლს გადასცდა ცოტნე, თამარმა ხელები გაასაგსავა:

— ახლო არ მოხვიდე, არ მომეკარო, თორემ ვიტირებ.

ბატონიშვილი შეცბა. დაბნეული შედგა.

თამარი მიხვდა, რომ ნათქვამი ცუდად გამოუვიდა.

— ძალიან მომენატრე, ცოტნე, მაგრამ ახლოს მაინც ნუ მოხვალ, ჯერ სულ მორჩენილი არ ვარ და არ გადაგვდოს.

ცოტნეს გაეცინა.

— შენ არაფერი გჭირს და მე რა გადამედება. — მშვიდად თქვა ცოტნემ და შორიახლო სკამზე ჩამოჯდა, — მალე ფეხზე დადგები და ისევ ერთად ვირბენთ.


— ექიმებიც აგრე მპირდებიან... რომ მოვრჩები, გელათში წამიყვან?

— წაგიყვან, თოლიგე, შენ ოღონდ მორჩი.

— რა ლამაზი ყოფილა გელათი! იმ დღეს კარგად ვერ მოვასწარი დათვალიერება.

— რამდენი ხალხი იყო! შენ ადრე წამოუყვანიხარ გუგუტას და ალბათ არ გინახავს — მოჰქონდათ და მოჰქონდათ საკურთხი, ეზო აივანო პურღვინითა და ხილით.

— ყურძენიც იყო?



— კი, ყურძენი იყო. ფერიცვალემა დღეს პირველად აყურთხებენ თურმე ყურძენს და მერე შეიძლება ჭამა, რომ იცოდეს, რა ტკბილი ყურძენი იყო!

- ნეტავი მეც გამესინჯა!
- ძალიან ვინდა ყურძენი? გენატრება?
- ძალიან მენატრება!
- ვინდა მოგიტანო?
- თამარმა ტუჩებზე თითი მიიღო. ანშინ არავინ გაგვიგონოსო.
- გუგუტას ვთხოვე და შემპირდა.

იმ დამესგე თამარს კუჭი აეშალა და გულის რევაც ხელახლა დაეწყო.

ექიმმა სასთუმალთან დამალული ყურძენის რამდენიმე კუფხალი იპოვა და ყველაფერი იმას დაბრალდა.

შეიქნა გამოძიება. თამარმა დამანაშავე არ ვაბეჭდა.

სამ დღეს უყურეს ავადმყოფს. გამოძიებების მაგივრად საქმე სულ უარსობისაკენ მიდიოდა. ბოლოს ბიძამ და ბიცილამ სხვა ველარა იღონეს რა და, ოდიშის მთავარს შეატყობინეს. ჯერ კიდევ ნათელას დასწრელებით გამოწვეულ ელდას არ გაველო, რომ ქუთაისიდან თამარის ამბავი მოვიდა. როგორც ნათელას ძმის წერილიდან და ამბის მომტანის მონაყოლიდან ჩანდა, თამარიც იმავე სენით დაავადებული უნდა ყოფილიყო, რომელმაც შერგილი და მისი მუხლზე ჩააგდო ლოგინად.

თავზარდაცემულმა სიციხიანმა ნათელამ სხვა ველარაფერი მოიფიქრა, ქმრიან-ასულიანად ვიღუპები, მემკვიდრე ბატონიშვილს მაინც გადავარჩენო. შეუთვალა: თამარი უკანვე მომგვარეთ, ხოლო ცოტნე ახლაც სვანეთს გახიზნეთ მაშიდასთანო.

უბედურ დედას ეგონა, რაც უფრო შორს და მიუვალ ადგილს გადაშალავდა შეილს, მით უფრო მიუწევდომელი და მიუგნებელი იქნებოდა ცოტნე გამამდები სენისათვის.

თამარს ურემზე დაუგეს ლოგინი და ოდიშისკენ გამოისტუმრეს, ხოლო ცო-

ტნე ცხენზე შესვეს და სვანეთის მთებისკენ გააქანეს.

სნეულების გადადების შემთხვევაში ერთმანეთს გამოსამშვიდობებლად არ მიაკარეს, ცოტნე თამართან არ მიუშვეს და ტყუპები შორიდან ცრემლითა და ხელის ქნევით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

გუგუტა შორიახლო მისდევდა თამარის ურემს.

— თამარს რომ რამე მოუვიდეს ან თავს მოვიკლავ, ან აქედან გადავიყარებ, — უთხრა ჩურჩულით დამშვიდობებისას ცოტნეს.

დაბრმავებული შერგილ დადიანი სიკვდილს გადარჩა. სიკვდილმა მისი თანამეცხედრეც დაინდო. სამი სნეულისაგან მხოლოდ ცოტნესათვის ყველაზე საყვარელი და განუყოფლად ახლობელი დაიღუპა — მთავრის მემკვიდრის ტყუპის ცალი, მისი სულისა და სხეულის ულამაზესი ნახევარი. ტყუპებს, საერთოდ, გამორჩევით უყვართ ერთმანეთი და, მით უმეტეს ძლიერი იყო ეს საყვარელი ყრმობის ასაკში, როცა ცოტნესა და თამარს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამოცდილი დამოუკიდებელი ცხოვრების გეგმა, მობირდაბირე სქენისაკენ სწრაფვა და სიყვარულის სიამენი.

თამარის ვარდაცვალემა სვანეთში გაბიზნულ ცოტნესათვის არ შეუტყობინებიათ. სენის გადადების საფრთხე ჯერ კიდევ გავლილი არ იყო და, მთავრის პატარა ასული ძმის დაუტირებლად დამარხეს.

ბედკრული ნათელა ჯერ კიდევ ლოგინად იყო და, დედისა და ძმის მაგივრადაც თამარი უბედურმა მამამ დაიტირა. გული ეწვოდათ შერგილის საცოდაობით, ეზრალეობდათ დასაკლავი ხარივით აბლავლებული ვაჟკაცი და უფლის ერთადერთ წყალობად ის მიიჩნდა, რომ უიღბლო მთავარი ბრმა იყო და თავისი თვალით ვერ ხედავდა კუბოში მწოლარე პატარა ანგელოსს.

სახლის ამბის უცოდინარ ცოტნეს

სიკვდილს იმის ანუ ასოციაციის მხინვესი

სიმშვიდე დაკარგული ჰქონდა. დედ-მამას კი დარდობდა, მაგრამ დის ჭავრი მოსვენებას არ აძლევდა. სნეულებიან-გან მისუსტებული დის სახე გამოდმე-ბით წინ ედგა და ღმერთს სულ იმას ევედრებოდა, თამარი სიკვდილისაგან ეხსნა.

მარტო ფიჭვი კი არ აწუხებდა, ხორციც სტკიოდა და სხეული თითქოს შორეულად ესმაურებოდა თავისი განაყოფი ნახევრის ტკივილს, მწარედ, მაგრამ გაუცნობიერებლად გრძნობდა რაღაც მეტად ახლობლის სამუდამოდ გაყარასა და ამ ქვეყნიდან წასვლას.

სევანეთში გახიზნიდან ორი კვირაც არ იქნებოდა გასული, მაცნე მოვიდა ოდიშიდან, ამბის მცნობელი ცოტნეს მამინევე განარიდეს, ბატონიშვილთან სალაპარაკოდ არ მიუშვეს. მამიდა და ბიძა ცალკე ჩაიკეტენ და თუმცა ცოტნე იქაურობას მოაცილეს, მის ყურს შორეულად მაინც მისწვდა მამიდის მოთქმა. იმ დღეს მთავრის მემკვიდრეს განსაუთრებელი მზრუნველობითა და ალერსით დასტრიალებდნენ თავს. ეფერებოდნენ და უცინოდნენ, თუმცა ეტყობოდათ, რომ უფრო ეტარებოდათ და მის შეხედვაზე სიბრაღელის ცრემლი ეძაღებოდათ.

მეორე დღეს მამიდა და ბიძა შვეებში გამოეწყვენენ და ცოტნეს გამოუცხადეს — ლეჩხუმს მივდივართ უეცრად გარდაცვლილი ნათესავის დასატირებლად.

სატირალიდან დაბრუნებულ მამიდას პირისაზე დახოცილი ჰქონდა და მოთქმით ტირილისაგან ხმაჩახლეჩილი ძლივსლა ლაპარაკობდა.

დრო გადიოდა. ცოტნეს მამის სახლში არ იბარებდნენ, უკან არ მიჰყავდათ. გული უგრძნობდა ყრმას, რომ შინ რაღაც უბედურება ტრიალებდა. თავათ იმ სიშორიდან წასვლა არ შეეძლო, ხოლო მის დაეინებულ თხოვნის შესრულებას ათასგვარი მიზეზით ავიანებდნენ და, ბატონიშვილი ისევ

მარტოდმარტო რჩებოდა თავის საღარდელთან სევანეთის მიუღწევლობაში.

იქიდან სხვა რა შველა შეეძლო და დღედაღამ ლოცვად იყო დაცემული. ლენჯერისა და იფარის ხატებს, ძლევა-მოსილ კვირიკეს, ერთადერთი ხვეწნითა და ვედრებით მიმართავდა: ის წაეყვანა სიკვდილს ყველას მაგივრად, მის სიცოცხლეს დასჯერებოდნენ მსხვერპლად, დედ-მამა და თამარი ბედნიერად დარჩენილიყვნენ და, თვითონაც ბედნიერი გაშორებოდა ქვეყანას, რომლისა არც სიტყვით წაჰყვებოდა გრძელ საგზლად და არც სიმწარე.

ორი თვის შემდეგ მოაკითხეს ბატონიშვილს სევანეთში მამის ბიძაშვილებმა.

თამარის სიკვდილი არ გაუშვილეს, მაგრამ ცოტნე მათი დანახვისთანავე მიხვდა, შინ რაღაც უბედურება იყო მომხდარი.


გრძელი გზა ისე გამოიარეს, ერთი არ გაუცინიათ. სხვა დროს ენაწყლიანობით ცნობილი ბიძა დამუნჯებული მიუძღოდათ. ბიძაშვილები ამოდენა გზას კი არა, სოფლის შარას არ გაივლიდნენ, გულში ჩამწვდომი მეგრული სიმღერა რომ არ ეთქვათ და ცოტნეც არ აეყოლებინათ. ახლა არც ერთს დანა პირს არ უხსნიდა და, სიმღერა კი არა ბატონიშვილისთვის ხმის გაცემა უქირდათ.

შერგილი და მისი მეუღლე ცხენდაცხენ მცირე ამალით შეეგებნენ მემკვიდრეს.

ბრმა შერგილი ცხენზე მოშვებულად იჯდა. წინ ოტია მეჭინბე მოუძღოდა, ჭილავეში მაგრად ჩაეველო ხელი და ცხენს გზას ურჩევდა.

დედ-მამაცა და მათი ცხენებიც მთლადერთიანად თალხით იყვნენ დაბურთულნი.

გაოცებული შეჰყურებდა შაოსან მხედრებს ცოტნე. უნდოდა ეკითხა, რას ნიშნავდა ცხენებისა და ცხენოსნების ძაძით შემოსვა, მაგრამ შეშინებულნი ხმას ვერ იღებდა და, სუნთქვაშეკ-



რული უახლოვდებოდა იდუმალებით მოცულ მთავრის ამაღას.

შორიახლო დაიქვეითეს. მოთქმითა და პირისბოკვით წამოვიდა დედა, გულში ჩაიჭრა და დიდხანს ჰყოცნა. მოთქმაში თამარის ხშირმა სსენებამ დააეჭვა ცოტნე. ბატონიშვილი სმენად იქცა, ყურადღება დაძაბა, რომ იმ მოთქმიდან ამბის თავი და ბოლო გამოეტანა.

სახელდაპირნილი, ფერდაკარგული ნაავადმყოფარი დედა შორეულად და ჰგავდა სილამაზით განთქმულ იმ უმწვენიერეს ქალს, რომელიც ორი თვის წინ დასტოვა ცოტნემ სნეულის ლოგინში. დედამ ტირილით გული იჭერა და შეილი შამას დაუთმო.

შერგილმა ხელი დიდხანს უფათურა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად შეილს ეხვეოდა. მერე ერთი გულისშემძვრელად იღრიალა და ცოტნე უშველებელ მკლავებში მოიქცია.

— რატომ მე არ მოგიყვდიო, შეილე-ბო, თქვენი უბედურებისა და სიკვდილის მომტანი. რატომ დავბრუნდი ცოცხალი და, რატომ მე არ მომეყარეთ მიწა. დმერთს რომ სამართალი ჰქონდეს, ჩემი თამარი მიწაში როგორ უნდა იწვეს, ან მე როგორ უნდა დავდიოდე ამ მიწაზე?!.. — ბლაოდა შერგილი და თავში ხელს იცემდა.

მოსმენილით შეშფოთებულმა ცოტნემ წამით თავი დაიხსნა გოლიათი შერგილის მკლავებისაგან, გვერდზე გაიწია და შამას დააკვირდა: წარბ-წამწამ აღბეჭრილი უსინათლო თვალების უახრო ცქერამ შეაძრწუნა ბატონიშვილი, მაგრამ უფრო დიდმა ელდამ იმწამსვე დაავიწყა ეს პირველი შეშფოთება.

— ან თვალი რაღად მინდა, ან თავი! რაღამ უნდა გამახაროს ჩემი თამარის დამკარგავი და დამმარხავი. მე მოვეკალი იმ განუკითხავ უფალს, ოღონდ შენი დაიკო არ წაერთმია შენთვის და უბედური დედაშენისთვის.

— თამარი სად არი? რა მოუქიდა?

ძლივს ამოიღვა ენა ამდენხანს დამუნჯებულმა ცოტნემ.

შამის დაშრეტულ თვალში რომ პასუხი ვერ ამოიკითხა, დედას მიეჭრა.

— თამარი სად არი, დედა?

— თამარი სადღაა, შეილო, ანგელოსებმა წაიყვანეს შენი ლამაზი დაიკო! — თავში ხელის ცემით ამოიტირა დედამ და ისევ მოთქმა გააბა.

ცოტნე ხედებოდა, რაღაც საშინელება იყო დატეხილი მისა და მთელი ოჯახის თავს. მაგრამ თუ რას ნიშნავდა თამარის აღარ ყოფნა და ანგელოსების შიერ მისი წაყვანა, არ ესმოდა და ვერ გარკვეულიყო. მაინც ტირიოდა, ტირიოდა იმიტომ, რომ დედა და მამა ტირიოდნენ და იმიტომაც, რომ სულში რაღაც მწარედ ეწვოდა და არაადამიანურად ტკიოდა. ეს ტკივილი ყელში აწვეებოდა, სუნთქვას უჭრავდა და ნამდვილად დაახრჩობდა, ცრემლები რომ არ ეღვარა, ხმამაღლა რომ არ ეტირნა.

ისევ ამხედრდნენ.

ოდისის მთავართა საძვალესა და საგვარეულო ეკლესიისკენ გადაუხვიეს.

ცხენები გარეთ დატოვეს. გაღაფანში გოდებით შევიდნენ და ეკლესიის გვერდით ამოზურცულ პატარა საფლავს რომ მიუახლოვდნენ, ნათელა და შერგილი მუხლებზე დაეცნენ, იმ საფლავს ზედ დაემხნენ და გულმდღუღარედ ატირდნენ.

ცოტნე პირმოკუმული დაჩერებოდა პატარა საფლავის ბორცვს, საფლავის მიწა ჯერ კიდევ კარგად არ გამზმარიყო, თავთან ხის პატარა ჯვარი აღმართათ.

დაკუყრებდა ცრემლგამშრალი ცოტნე საფლავს და არ ჯეროდა, რომ იქ თამარი ემარხა. რაკი მიცვალებული თავისი თვალით კუბოში არ უნახავს და მისთვის მიწის მიყრას არ დასწრებია. თამარის სიკვდილი, მისი არყოფნა და უჭერებლად ეჩვეებოდა.

შობლების ტირილი მის გონებას აფორიაქებდა, მაგრამ გულს ვერ სწვდებოდა: საღღაც ვიღაცაზე მოთქვამდნენ. მაგრამ ის ვიღაც არ შეიძლებაოდა თამარი ყოფილიყო. თამარი, ალ-

ბათ, შინ ელის ცოტენს, მთავრის სასახლეში, მსიარული და ნებეირი, უსაზღვროდ ძმის მოყვარული და ერთგული.

მთავრის სასახლე აკლდამსავეით ცივი და ჩუმი დახვდა. მსიარული ხმაური, სიცილი და სიმღერა მარტო სასახლიდან კი არა, საფარეშოებიდან და ეზოდანაც აბარგებულებდნენ.

ცოტენს დანახვაზე მსახურები ცრემლს ვერ მალავდნენ. მთავრის შემკვიდრეს გაკრძალებული ესალმებოდნენ. ნაძალადევედ უღიმოდნენ და გულანთუყებულნი უაღერსებდნენ.

ცოტენ ხვდებოდა, მისი ყოველი გამოჩენა მნახველებს დაკარგულ ტყუპის ცალს ახსენებდა; ებრალებოდათ ცალად დარჩენილი ბატონიშვილი და კიდევ უფრო მეტად ამქვეყნიდან უღროოდ წასული, მისი განუყრელი და.

სასახლე ის აღარ იყო, რაც ორი თვის წინ დასტოვა ბატონიშვილმა. იქ დასადგურებულ მგლოვიარობას მარტო ადამიანები როდი შეეცვალა. სასახლეც, ეზო-გარემოც გამოცვლილიყო და ყველაფერს მწუხრი გადაფარებოდა.

ნელა ეჩვეოდა ცოტენ ამ ცვლილებას; თავადაც მწუხარებაში იძირებოდა და რაკი ირგვლივ გასახარელს ვეღარაფერს ხედავდა, ეგონა, სულ ასე დაუსრულებლად გაგრძელდებოდა გლოვა და ტირილი.

მხოლოდ ერთს ვერ შეეგუა ბატონიშვილი: მისი საწოლის პირდაპირ თამარის საწოლი აღარ იდგა. დილით დაცარიელებულ ოთახს თვალს რომ მოაფლებდა, ან ღამით სიზმარი რომ გააღვიძებდა, თავი სხვაგან ეგონა, უცხო სახლში.

რაკი თამარის ტიტინი აღარც დაძინების წინ ესმოდა, აღარც გაღვიძებისას, ოთახში მარტო დარჩენისა ეშინოდა და გამდლებს შეეხვეწა თამარის საწოლი თავის ადგილას დაებრუნებინათ.

თამარის ლოგინსა და ტახტში სახა-

დი იყო დაბუდებული, ცეცხლში დაწვითო, მოახსენეს ბატონიშვილსა და იმ დღიდან ცოტენს სულ აწივალებული ცეცხლი ელანდებოდა და, მარტო ვეღარ იძინებდა.

სევანეთიდან დაბრუნებულ ცოტენს სასახლის ყველაზე დიდ უცნაურობად უღუ გადიასა და გუგუტას გაქრობა ეჩვენა.

— უღუს აქ რაღა გააჩერებდა, ქმრის სახლში დაბრუნდა, ბატონიშვილო! — უთხრეს მსახურებმა.

პასუხი ბუნებრივად ეჩვენა ცოტენს, თამარის სიყვდილის შემდეგ მთავრის ასულზე გადაგებულ უღუს სასახლეში ყოფნა დაუმიმდებოდა და თავისი ქმარშვილისთვის რომ მიეშურებინა, ამაში გასაკვირი რა იყო!

— გუგუტა? გუგუტაც დედას ვაჟყვა? — იკითხა ცოტენი.

— თამარის სიყვდილი და გუგუტას გაქრობა ერთი იყო. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ შეიტყო. კვალწმინდად დაიკარგა საღსალამათი ბიჭი, ვერც მკვდარი იპოვეს და ვეღარც ცოცხალი. ცოტენს გაახსენდა: სევანეთში გამგზავრებისას რომ გამოემშვიდობა, გუგუტამ გადაქრით უთხრა — თამარს თუ რამე მოუვა, ან თავს მოვიკლავ, ან აქედან გადავიკარგები.

— იქნებ სადმე წავიდა? — იკითხა შეშფოთებულმა ბატონიშვილმა.

— ვინ იცის! ასავალ-დასავლის მცოდნე ამდენხანს არავინ გამოიხდა და მშობლებმა მკვდარივით გამოიტირეს. ზომ გაგიგონია, გინდ მკვდარი, გინდ შინმოუსვლელი.

— ესეც თქვეს, გუგუტას თამარისთვის ყურძნის მიტანა დაბრალებია, გაცეცხლებულ მამას ისე უცივია, სასიკვდილოდ გაუმეტებია. მერე ნაცემი შინიდან გასულა და იმ დღიდან აღარც მკვდარი ჩანს და, აღარც ცოცხალი.

ცრემლმომდგარი ცოტენ ამბის მთბრობლებს გაშორდა, თავის ოთახში განმარტოვდა, ბალიშზე დაეშხო და აქეთიხდა.

როგორც ტყუილად დაღუპულა გუ-

გუტა! ხომ შეეძლო ცოტნეს მისი და თაძარის გადარჩენა, რატომ ვერ მოიფიქრა, უფროსებისთვის თაძარის სურვილის გამხელა.

დიღხანს ფიქრობდა, თავის თავს ჰყვედრიდა და ტიროდა.

ასე შეფოთვისა და მღელვარებაში გაიარა დღემ. სამხრობამდის რომ საწოლიდან არ გამოვიდა, ნათელამ მსახურთუხუცესის შვილი შეგზავნა ბატონიშვილთან.

ვატა ფეხაკრფით შევიდა, ზღურბლთან შედგა და ოდნავ გასაგონად ჩაახველა.

ცოტნემ თვალი გაახილა. უცნობ ყმაწვილს გაკვირვებული მიაჩერდა.

— გლვიძავს, ბატონიშვილო? — ვაუღლია შემოსულმა და ცოტნესკენ წავიდა.

ცოტნემ არაფერი უპასუხა.

ბიჭმა საწოლის წინ ფარდაგზე მოიხრთა, პრელად მოქარგულ ქისას პირი მოხსნა და დააპირქვა. ფარდაგზე ფერადფერადი კენჭები და უცხო-უცხო ნივარები გაიბნა.

ცოტნე თვალს ვერ აშორებდა ლამაზ კენჭებსა და უცხო ფრინველების ბოლოებით გაშლილ ნივარებს.

— რა კარგია! — აღმოხდა ცოტნეს.

— სულ შენი იყოს, თუ მოგწონს!

— ჩემი? — გაოცებული შეაკტერდა ცოტნე.

— ჰო, შენი იყოს, — დაუდასტურა გახარებულმა ყმაწვილმა.

— დიღხანს აგროვებდი? — ნივარებისაგან თვალმოუცილებლად ეკითხება ცოტნე.

— დიღხანს? არა... ანაკლიაში ერთ თვეს ვიყავი, ვიდრე მამა აქ გადმოვიდოდა, მთავრის სამსახურში. რომ მცოდნობდა, მოგეწონებოდა, უფრო მეტს მოგიტანდი, მაგრამ კიდევ წამიყვანს მამა ანაკლიას და კიდევ ჩამოგიტანს.

ცოტნეს არც ის გაეგებოდა, თუ ანაკლია სად იყო, არც ამ ყმაწვილისა და მისი მამის ვინაობა იცოდა.

ყმაწვილმა დაბნეულობა შეატყო.

— მამაჩემი შერგილ ბატონმა მსახურთუხუცესად მოიყვანა და აქვე გადმოვიდი. აქვე ვცხოვრობთ, მთავრის ეზოს გადაღმა, ჩვენსას წავიდეთ, მე ბევრი სათამაშო მაქვს.

ცოტნემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, წამოხტა და ფეხი მაშინვე წაპყო.

— მე ვატა მქვია, — ლაპარაკობდა მსახურთუხუცესის შვილი, — სულ ვიცი ჩიტის ბუდეები სად არი.

— მართლამ!

— სანადიროდაც დავდივარ, მამას დავყვები. აღრე ბიძაჩემ კოჩობას დავყავდი...

— კოჩობა შენი ბიძა იყო?

— მამაჩემის ბიძა იყო, მამის ძმა.

— ახლა სად არის ბიძია კოჩობა?

— არ იცი? თუმცა შენ აქ არ იყავი და საიდან გეცოდინება: კოჩობა მსახურთუხუცესი მოკვდა და მთავარმა მის ადგილას მამაჩემი დაადგინა.

ერთხანს ორივე სდუმდა ნათქვამის შთაბეჭდილებით.

— ჰადრაკს თამაშობ, ბატონიშვილო?

— ჰო, ვთამაშობ, ისე...

— გინდა, გეთამაშები?

ცოტნემ თავი დაუქნია.

მიდიოდნენ ყმაწვილები... მთავრის ეზო არ თავდებოდა და არც ვატას ელეოდა სალაპარაკო.

გორაკს გადაადგნენ და თვალწინ ფართო ხეობა გადაეშალათ.

მდინარის პირას ხალხი შეკრებილიყო. შეკრებილებისაკენ ყოველი მხრიდან გარბოდა ქალი და კაცი, დიდი და პატარა.

მუსიკის უცხო ჰანგი სერზე შემდგარი ყმაწვილებს მისწვდა.

ვატამ თვალით ანიშნა და ბიჭები სერზე დაემუნენ.

წრედ შეკრული სერიის მაცურებლები ერთიმეორეს აწევბოდნენ, წინ წაწევას ცდილობდნენ და ფეხის წვერებზე დგებოდნენ, რომ სანახაობა უკეთ დაენახათ. ვატა თამამად შეიქრა წრეში.

— ბატონიშვილი მობრძანდება. გზა მიეცი! — დაიძახა და ხალხს მიაწვა.

სეირის მასურებლებმა მოიხედეს, მთავრის შემკვიდრე იცნეს, ქუდმობხდილი ბესალმუნენ და გზა დაუთმეს.

ცოტნეს არ უნდოდა ხალხის შეწუხება და ყურადღების მიქცევა, ფეხს ითრევდა და უკან რჩებოდა, მაგრამ ვატა ჩავლებულ ხელს არ უშვებდა და წინ ეწეოდა. როგორც იქნა, წინა რიგში მოექცნენ და წრეში ფეხმორთხმულ ფაკირს მიაშტერდნენ.

ფაკირმა წვირიანი სახელოთი ეანგისფერ შუბლზე ოფლი მოიწმინდა, იქ მყოფთ თვალი მოავლო, საკრავზე ტუჩები დააწყო და ჩაბერა. მუსიკის ხმაზე ფაკირის წინ მდგარ კალათში რალაც შეინძრა. კალათიდან კობრამ ამოპყრო თავი, წამით გაქვევებულივით შეჩერდა, მერე ისევ შეინძრა, ნელ-ნელა გაიწვლა და მალლა-მალლა წამოიძარა, იშლებოდა გველის დახვეული ტანის გორგალი, ყელყვლაობით ამოდიოდა კალათიდან უზარმაზარი უნასი და მუსიკის პანგით მოჯაღობული, სმენად ქცეული შეშდებოდა პაერში.

მონუსხულმა ცოტნემ ვილატის დაჟინებული მოშტერება იგრძნო. თავი ასწია და, პირდაპირ, კარვის კართან მდგარ გოგონას თვალებს წააწყდა. გულზე ხელდაკდობილი თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა მხარით ხეს მიყრდნობოდა, დაკაწრული მალალი კანკები შიშველი ჰქონდა და მზემოკიდებული შავდ უბზინავდა. ქერა, სქელი კლულები მხრებზე ეყარა და ცისფერი თვალები ეშმაკურად უფუფუნებდა.

ცოტნეს სახეზე აღმური მოედო, ცისფერი თვალების მზერას ვერ გაუძლო და დარცხვენილმა თავი დახარა. უმაწვილი გრძნობდა, რომ ის ეშმაკურად მოყუქუენე თვალები ისევ დაჟინებით უქქერდნენ, თავის აწევა და გოგონასკენ ერთი გახედვა ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ აუხსნელი დარცხვენა ნებას არ აძლევდა, თავს კიდევ უფრო ხრიდა და მიწას ჩაჩერებოდა.

რალაც მანამდე უცნობი გრძნობა

დაუფლებოდა ცოტნეს, საამო ქრეოლა უვლიდა და ფერფურს უცვლებოდა.

ფაკირმა დაკრა შესწევითა. კობრა პაერში შექანდა, გორგალივით უკანვე ჩაეშვა ტანის კეცვითა და რბევით.

მოხუცმა ფაკირმა ძირს დაგდებული ქუდი აიღო, მასურებლისკენ გაიშვირა და ძირსვე დადო.

ვილატამ სპილენძის ფული ისროლა ქუდში და თითქოს ნიშანს ელოდნენო, ყოველმხრიდან წამოვიდა ვერცხლისა და სპილენძის პაწაწინა ფულების წვიმა.

ცოტნემ ჯიბეები მოიჩხრია. ფული ვერ აღმოაჩინა და ხელები უხერხულად დაუშვა.

კანკმალალი გოგონა ხეს მოშორდა, ერთხელ კიდევ გაუყარა თვალი თვალში დარცხვენისაგან წამოწითლებულ ცოტნეს და კარვისკენ შებრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ კარვიდან პატარა მაიმუნი გამოიჭრა და ის გოგონაც უკან მოჰყვა. გოგონას ცალ ხელში შიმპანზეს ყელზე გამოხმული თოკი ეჭირა, მეორეში — დაირა. მაიმუნი ცეკვა-თამაშით მიბტოდა, დაირის ჟღრიალზე სასაცილოდ იმანჭებოდა, მასურებლებისკენ თამამად მიიწევედა, ზოგს ჩამოსართმევად უწევდიდა სანთელივით ყვითელ ხელებს, ზოგს წვერ-ულვაშში სწვდებოდა. ხარხარებდნენ, სიცილით იკაჭებოდნენ მასურებლები, უკან იხედდნენ და, ზიზლით იწმენდდნენ იმ ადგილებს, სადაც შიმპანზე შეეხოთ.

გოგონა მალა შემართულ დაირას აელრიალებდა. მაიმუნი ასკინკილას ბტოდა და ყირაზე გადადიოდა. ბოლოს, როცა ყველა ილეთი მოათავა და დაიქანცა, მალა შეხტა, გოგონას დაირა გამოსტაცა და მასურებლებს მათხოვარივით ჩამოუარა. დაირაზე წვრილი ფული აწკრილდა. ვისაც ფული არ ჰქონდა, ზოგი ვაშლს ღებდა გამოწვდილ დაირაზე, ზოგი ტკბილეულს.

მაიმუნი ცოტნეს წინ შედგა და დაირა მკერდზე მიაბჯინა.

გოგონას სიახლოვით გონწართმეული ცოტნე კიდევ უფრო წითლდებოდა

და თავს ვერ იღებდა. ცარიელი ჯიბე-
ები ერთხელ კიდევ მოიჩხრიკა და
კვლავაც რომ ვერაფერი იპოვა, ხელი
ოქროს ძეწვეზე იტაცა, გულსაკიდი
ჯვარი მოიხსნა და დაირაზე დაავდო.

იქ მყოფები პირდაღებულნი მიაშ-
ტერდნენ დაირაზე დაეარდნენ ოქროს
ძეწვესა და ჯვარს.

— რას სჩადი! ეგოდენ ძვირფას სა-
ჩუქარს როგორ იმეტებ! — წასჩურჩუ-
ლა ვატამ და ხელი ოქროს ჯვრისკენ წა-
იღო.

ცოტნემ ხელი დაუჭირა და უცებ კი-
ნაღამ თვალი დაუბნელდა: გოგონა
მისკენ მოიწია და ლოყაზე აკოცა.

სულ ცეცხლი მოეკიდა, ისედაც აღ-
მურმოდებულ სახეზე ცოტნეს. ლოყა-
ზე ხელი მოისვა და კინაღამ მუხლებმა
უმტყუნეს.

გოგონა და შიმპანზე ყმაწვილებს
გასცდნენ, წრე შემოიარეს და დაირის
ელრიალით კარავში შევარდნენ.

მყურებლები ერთხანს იცინოდნენ
და ერთმანეთს შთაბეჭდილებას უზიარ-
ებდნენ. მერე ნელნელა დაშლა იწყეს
და თავთავიანთ გზას გაუდგნენ.

ცოტნე და ვატა შერჩნენ ყველაზე
გვიანამდე იქაურობას.

ვატა გულზე სკდებოდა ბატონიშვი-
ლის გაუმართლებელი ხელგაშლილო-
ბის გამო.

ცოტნე ჯერ კიდევ გაბრუებული იყო
და გონს ვერ მოსულიყო.

— წაიღეთ! — უთხრა ვატამ და
მკლავში ხელი მოჰკიდა.

ცოტნე უსიტყვოდ მიჰყვა.

წყლის პირი უხმოდ გაიარეს.

აღმართს რომ შეუყვანენ, ცოტნე წა-
მით შემობრუნდა.

ის გოგონა, წელან რომ აკოცა და მე-
რე კარავში დაიშალა, ახლა გარეთ გა-
მოსულიყო ყმაწვილებისკენ მორბოდა
და ხელს იქნევდა.

— ჩვენ გვიხმობს!

— ნეტავ რა უნდა?

ცოტნემ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა
გოგონას შესახვედრად.

ნარბენი გოგონა ქიშინით მიტეხულ
და.

— რა გქვია, რატომ არ მითხარი?

— მე? ცოტნე მქვია.

— მე კიდევ ასპასია. მოგწონვარ?

ცოტნეს შერცხვა და ისევ წამოწით-
ლდა. ასპასიამ გადიცისკისა.

— შენ მართლა მთავრის შვილი ხარ?

— ჰო, მთავრის შვილი ვარ.

— რა ბედნიერი ყოფილხარ! —
ამოიხზრა ასპასიამ.

— შენ იმის შვილი ხარ? — ხელი
კარვისკენ გაიშვირა ცოტნემ.

— არა! მაგან მონების ბაზარზე მი-
ყიდა. ხუთი წლისა გავუტაცნივარ ვი-
ლაც ყაჩაღს. ჩემი მშობლები ალბათ
ბერძნები იყვნენ, რაკი სახელი ბერძნუ-
ლი დაურქმევიათ. მოგწონვარ, ცოტნე?
ისევე თამამი სიცილით ჰკითხა ას-
პასიამ.

ცოტნე ისევ გაწითლდა.

— თუ მოგწონვარ, წამიყვანე.

ცოტნე კიდევ უფრო გაწითლდა და
თავი ჩაღუნა, რომ მისკენ თამამი სი-
ცილით მზირალი ასპასიასათვის თვალი
მოერიდებინა.

— სხვაანირად კი არ გეუბნები, მო-
სამსახურედ, მოახლედ წამიყვანე.

— სად უნდა წაგიყვანო? — ხელი
გაასავსავა ცოტნემ.

— მამაშენის სახლში წამიყვანე, დე-
დაშენის მოახლე ვიქნები... ყველაფერს
შევესრულებ დედაშენს, ოღონდ ამ
ფაკირისაგან დამიხსენი... — ასპასიას
თამამი სიცილი სადღაც გაქრა, დიდ-
რონ ცისფერ თვალეებზე კურცხლები
მოეძალა.

— როგორ უნდა დაგიხსნა? — შე-
წუხდა ცოტნე.

— მიყიდოს მამაშენმა...

— როგორ გიყიდოს? — გაიოცა
ცოტნემ.

— მიყიდოს, როგორც ამ ფიქირმა მი-
ყიდა ერთხელ.

— დედას და მამას უნდა ვთხოვო.

— წამიყვანე... მეც ვთხოვ... ჩემს
გაპირვებას თვითონ უტამბობ, შეცემა-
რალეები.

— არა, თან ვერ წაგიყვან, — შეცბა ცოტნე, — შენ მანდ დაცადე... დედას მე შევეხვევები...

— არაგის არ ვეცოდები... არაგის არ ვუნდივარ, — აუვარდა ქეთინი ასპასიას, იქვე ჩაჯდა და გულამოსკენილი ატირდა.

— ნუ სტირი, ასპასია... დაწყნარდი, — სცადა დაბნეულმა ცოტნემ გოგონას დამშვიდება...

— გამეცალე! გულქვებო, არადამიანებო, — შეპყვირა გააეებულმა ასპასიამ, ფეხზე წამოვარდა და კარვისკენ ზღუქუნით დაეშვა.

ცოტნე სახტად დარჩა.

— ხედავ? შინ წაყვანაც მოგთხოვა! — ნიშნისგებით თქვა ვატამ და გაბრუნებულ ასპასიას თვალი ზიზლით გააკოლა.

— წავიდეთ, — ბრძანების კილოთი შეუძახა ბატონიშვილს გაბრაზებულმა ვატამ და ცოტნე მორჩილად მიჰყვა.

სალამოს ნათელა შემოვიდა ცოტნეს საწოლში. მთავრის მეუღლეს ჩვეულებად ჰქონდა, შვილისთვის ლოგინში უნდა დაეხედა, ძილი ნებისა ესურვებინა, დაელოცა და ჩაეკოცნა. ახლაც, საკოცნელად რომ დაიხარა, ცოტნე როგორღაც შემკრთალი ეჩვენა, მაგრამ არ შეიმჩნია და საგულდაგულოდ შეკრული პერანგის ღილეში გაუხსნა.

— შეგაწუხებს შვილო, საკინძვახსნილი ძილი გირჩენია, — დაყვავებით უთხრა, თავზე ხელი გადაუსვა და უცებ გაახსენდა.

— ჯვარი რა უყავი, მისი მადლი შეგეწიოს, ბატონიშვილო?

— ჯვარი... — დიბნა ცოტნე, — არ ვიცი, მგონი სადღაც დაეკარგე... ალბათ ძეწკვი შემაწყდა.

დედას ფერი ეცვალა, მაგრამ აღარაფერი უთხრა. შვილი ჩაკოცნა და საწოლიდან გავიდა.

დიღას ივლიანე მოძღვარმა ჰყონდიღს წაიყვანა ცოტნე. იმ დღეს წირვაზე იყვნენ, ეზიარნენ და ღამეც იქვე

დარჩნენ. მეორე დღეს ტაძარს დაუთვალა და ნაშუადღევს მიხრდა ბრუნდნენ.

სამსრობისას ვატამ გამოუტარა.

— ნეტავ შენც წამოსულიყავი, — აღტაცებით უთხრა ცოტნემ, — რა დიდებულნი ტაძარი ყოფილა!

— მე რას წამოვიდოდი, მამაჩემი ორ დღეს გაქცეულებს დასდევდა.

— ვინ გაქცეულებს?

— არ იცი, არა? ქალბატონის მოახლე, ცაბო გაიპარა სასახლიდან.

— ცაბო? დედაჩემის შიმუნვარი?

— ჰო, დიდი ქალბატონის პირისფარში... მაგრამ ეგ არაფერი! მისი გაპარვა და დიდი ქალბატონის სამკაულების გაქრობა ერთი ყოფილა.

— ნუთუ ცაბო მოიპარავდა? ეგ შეუძლებელია!

— შეუძლებელი როგორღა არი, მის მეტი იმ დღეს სასახლეში უცხო არავინ შესულა. ოთახები ცაბოს დაუღაგებია, კარი გამოუტყეტავს და თვითონაც და ის სამკაულებიც კვალწმინდად გამქრალან.

— სად წავიდოდა! ცაბო ობოლი გოგოა, არც მშობლები ჰყავს, არც ნათესავი და თავისიანი.

— საქმეც ეგ არის... ვიღაც მეჩინიბეს გააკოლია.

— ოტიას?

— ჰო, ოტია მეჩინიბეს. ის მეჩინიბე ახლა აქ არი, — ვატამ ხმას დაუწია, — გულში შეიპყრო მამაჩემმა და დილეგში ჰყავს გამომწყვდეული. დღეს პატიმრების დაკითხვა აქვს მამაჩემს. გინდა, შევიდეთ და ჩუმად ეუყუროთ?

ცოტნემ თავი დაუქნია.

მსახურთუხუცესის სახლისკენ გაუძღვა ვატა. სახლის კიბეს დაჰყენენ, დაბლა სართული ჩაიარეს და სარდაფში მოხვდნენ.

გრილოდა ნახევრად ბნელ სარდაფში.

პატარა დერეფანში გაუხეიეს და მრგვალ, წრისებურ დარბაზს დაადგნენ თავს.

სანთლებით განათებულ მიწის ქვე-

შეთში საკარცულზე ახალუხმოღელი-
ლი შუახნის კაცი იჯდა.

— მამაჩემო, — გადაუჩურჩულა
ვატამ ცოტნეს.

— ცოტნე დააკერდა: ფართო მხარბე-
ჭიან ვაეკაცს სახე ბრახით წამონთებო-
და, ტანით სანახევროდ წინ გადახრი-
ლიყო და უღვაშს აღელვებულნი იგ-
რებდა.

— ოტია ზერაგიამ რა ჰქნა, არ აღი-
არა? — იკითხა მსახურთუხუცესმა.

— უარზეა... არ ტყდება! — უპასუხა
ხელდაკაპიწებულმა მსახურმა.

— ყველა ღონე იხმარე?

— ყველა ღონე, მკლავებიც ვუგრი-
ხე, მარწუსიც დავადე... მაინც ერთხელ
ნათქვამზე დგას და არ ტყდება.

— შემოიყვანეთ, — ბრძანა მსა-
ხურთუხუცესმა.

შუბოსნებმა ოტია მეჯინიბე შემოიყ-
ვანეს. შუაში დააყენეს და იჭითაჭეთ
ამოუღვნენ.

— გატყდი, გირჩენია! თავს ტყუი-
ლად იწვალე და, ჩვენც ტყუილად
გაეცადე. ჩვენ უშენოდაც ვიცით, მაგ-
რამ თუ შენ თვითონ გვეტყვი, სად
გადაძალე ნაქურდალი, მთავარი და მი-
სი შეუღლე შეგებრალბენ და სასჯელს
შეგიმსუბუქებენ.

— არც ერთი ვიცი და არც მეორე.

— ცაბო ხომ შენ გააპარე სასახლი-
დან?

— მე წავიყვანე.

— ჯვარიც ხომ დაიწერეთ.

— ვერა, ვერ მოვასწარი.

— სტყუი...

— არ ესტყუი, იცის ღმერთმა.

— მაშ, ცაბომ შენი ცოლობა ვერ
მოასწრო? — შუბლი გაეხსნა და ულ-
ვაში აუთამაშდა მსახურთუხუცესს.

— ოტიას სახეზე მიწისფერი გადაჰკრა.
მსახურთუხუცესმა კმაყოფილების
ღმილი უმაღვე მოიშორა და ისევ
მკაცრად მიმართა:

— იტყვი, თუ არა, სად წაიღეთ ოქ-
როს ჯვარი?

— არც მე და არც ცაბოს იმ ჯვრის-
თვის ხელი არ გვიხლია, არც მისი მპა-
3. „მნათობი“, № 9.

რავი ვიცით და არც ცივად ხელის მომ-
კიდებელი.

— ცაბომ რომ წაიღო, ეს დამტკიცე-
ბულია, — მოჭრით თქვა მსახურთუხუ-
ცესმა, — შენც რომ მონაწილე ხარ,
ესეც აშკარაა...

— უბრალო ვართ მაგ საქმეში, მეცა
და ცაბოც, მალლა ღმერთთა მოწმე! —
ხელაპყრობით შეპლალადა ოტიამ.

— თვალს რომ დაგთხრიან და ხელ-
ფებს მოგკვეთენ, მაშინ იტყვი სიმართ-
ლეს, მაგრამ გვიან იქნება, — მუშტის
ქნევით დაემუჭრა მსახურთუხუცესი.

— მაშინაც ამას ვიტყვი, რომ ცაბო
ცამდის მართალია.

— თუ მართალია, ოქროს ჯვარი სად
არის?!

— ცოტნეს რაღაც ენიშნა და გული შე-
უქანდა.

— არ ვიცი... ეს კი ნამდვილია, რომ
არც ცაბოს და არც მე, იმ ჯვრისათვის
ხელი არ გვიხლია.

— ხატზე დაიფიცებ?

— ხატზეც დაეფიცებ... ცეცხლ-
ზეც...

— შანთსა და მღუღარესაც გამოც-
დი?

— გამოცდი... რითაც გინდათ, გა-
მომცადეთ.

— შანთი! — დაიძახა მსახურთუხუ-
ცესმა.


ხელდაკაპიწებულმა მსახურმა საი-
დანღაც გაგვარებულნი შანთი მოარ-
ბენინა.

გრძელი რკინა წინგაშეერილი მოპ-
ქონდა. ამ რკინას ერთ ბოლოზე ხის
ნაჭერი ჰქონდა, რომ ხელი არ დასწო-
და, მეორე ბოლო ნაღვერდალივით წი-
თელი იყო და თვალისმომჭრელად ანა-
თებდა.

ჯალათმა შანთი ახლო მიუტანა ოტი-
ას.

— ოტიამ მარცხენა ხელი გაშალა, შან-
თისთვის არც შეუხედაია, ისე გაიშვირა.

— ცხელი რკინის შეხებაზე ერთი შე-
ტოკდა და სახე დაეღმიჭა; ხელისგულ-
ზე დადებულ შანთს თითები შემოუ-



ქირა, დაიძაბა და თვალებიდან სიმწრის ნაპერწყლები წამოცვივდა.

ეს იყო და ეს. ოტიას არც გმინი აღმოსხდომია, არც კენესა დასცდენია.

— რა უყავი ბატონიშვილის ოქროს ჭვარი! — ყრუდ ჩაესმა ცოტნეს.

მოთუთქული ხორცი აშიშინდა გავარეარებულ შანთზე და ჰაერში შემწვრის სუნი დატრიალდა.

ცოტნეს თვალთ დაუბნელდა, თავბრუ დაესხა და გულწასული დაეცა.

ხმაურზე მსახურთუხუცესი წამოხტა.

— მიშველეთ! — დაიყვირა შეშინებულმა ვატამ და ბატონიშვილთან ჩაიჩოქა.

ვიდრე გულშემოყრილ ცოტნეს მოაბრუნებდნენ, სასახლე ერთიანად აფორიაქდა.

შერგილი და ნათელა მსახურთუხუცესისას მიიჭრნენ. ცოტნეს გამო შეშინებულესს ამის თავი სადღა ჰქონდათ, მაგრამ ბატონიშვილის სასახლეში გადაყენამდე ყველაფერი წვლილად შეიტყეს.

ცაბოსა და ოტიას შეპყრობის ამბავი არცერთს არ სცოდნოდა და, ორივენი განრისხდნენ.

— წამება და შანთით გამოცდა, როგორ გაბედა, როგორ არ იცოდა, რომ თამარ მეფის ბრძანებით ასოთა მოკვებითა და დასახიჩრება მთელ საქართველოში აღკვეთილია და კანონით ისჯება.

— ჩემს შეუტყობლად ჩემი მოახლის შეპყრობა და დილეგში ჩაგდება როგორ გაბედა! — ბრაზობდა დიდი ქალბატონი.

— არ უნდა მეთქვა, მაგრამ დამალეაც დანაშაულია, — გაუტყდა მთავარსა და მის მეუღლეს კარის მოძღვარი.

— მაგ გოგოზე მსახურთუხუცესს აქ მოსელის დღიდან სჭერია თვალი, თურმე საშველს არ აძლევდა. აღსარების დროს გამომიტყდა, ცაბო, ქალბატონს ვერ ვუმხელ, არადა, აღარ მესხნება, ნამდვილად დამლუბავს და თავის მომაცველებსო. მინდოდა თქვენთვის გაქნდო, დიდო ქალბატონო, მაგრამ აღსარების საიდუმლო ვერ გავტყე და

თქვენი გაფრთხილება ვერ მოვასწარი. მაგ ბიქსა და გოგოს ვრთმანეთი მყვარებით. იმ ღამეს აქედან რომ გამოიპარნენ, მე მომადგნენ და ჭვარის დაწერა მთხოვეს. მე შორს დავიჭირე, ბატონების უცნობლად გვირგვინს ვერ გიკურთხებთ, რა საჩქაროა, გათენდეს, მთავარს ნება გამოვთხოვოთ და კანონიერად იქორწინეთ მეთქი. მეორე დღეს მსახურთუხუცესისთვის ბატონიშვილის ჭვარის დაკარგვის ამბავი რომ გაგინდვიათ, გაუზვიადებია, ქალბატონის სამკაულები გაიტაცესო, მღვერები დაუღვენებია, შეპყრობილები თქვენი დასტურის მიუღებლად დილეგში ჩაუყრია და, ბოლოს საშინლადაც უწამებია. ნეტავ ბატონიშვილს არ ენახა, კრავივით უმანკო ყრმა როგორ გაუძლებდა შანთით დაწვის ცქერას!

მთავრისა და მისი მეუღლის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. უნდოდათ მამინვე სასტიკად დაესაჯათ თავნება მსახურთუხუცესი, მაგრამ ბატონიშვილის ავადმყოფობით მოუცლევლობამ და ამბის გახმაურების შიშმა მსახურთუხუცესის ბედის გადაწყვეტის გადადება ჩააგონათ.

ცოტნე გონს მოეგო, მაგრამ ძილად მივიარდა. ძილში გახშირებული სუნთქვა დაეწყო და სიცხემ გათანგა.

ნათელას ელდა ეცა, პირველადვე ის გაიფიქრა, ვაი თუ სახლში კიდევ ბუღლობს ჩემი ოჯახის ამომგდები სენი, რომელსაც ამდენხანს ვარიდებდი მემკვიდრესო. შეშინებულმა ბატონიშვილს ეჭიმები დაახვია.

ეჭიმებმა გულდასმით გასინჯეს. ცოტნეს არც თავი სტიოდა, არც გული ერეოდა. ავადმყოფობა სხვა ნიშნებითაც არ გავდა იმ დაწყვეტილ სნეულებას და დამფრთხალ მშობლებს ცოტა გულზე მოეშვა.

შერგილი ქუთაზე აღარ იყო. აქედან ცოცხალს ვერ გამიყვანათო, გამოაცხადა ცოტნეს საწოლში შესულმა.

— შორიახლო ჩემთვის კუთხეში

დავადები, მაინც არ შეძინება, მომგულელსა და მკურნალს მოეუხმობ ზოლმე, — გადაწყვეტილად თქვა და წინააღმდეგობა ველარაგინ შეჰხედა.

ამ ფორიაქსა და ორომტრიალში ვატას ბატონიშვილის ჯვრის ამბავი დასცდა. ქალბატონი დიდად შეწუხდა, რომ მის მიერ მსახურთუხუცესისთვის განდობილმა ექვმა ამდენი უსიამოვნება მოიტანა. მთავარს ყველაფერი უამბო და როცა ექიმების დასკვნით ცოტა გამხნევება იგონეს, საქმის მშვიდობიანად გარიგება არჩიეს: მეჭინიბე და მოახლე აქორწინეს, ცაბოს დიდი მზითვი მისცეს და გულზე ხელდაკიდებულ ოტიასთან ერთად მრავალი წყალობით გაისტუმრეს.

* * *

— ნუ დამწვევთ, ყველაფერს ვიტყვი! შანთი არ გინდათ... თვითონ ვიტყვი... — აყვირდა მძინარე ცოტნე. საბანი გადაიგდო, ხელები ამოჰყარა და შეწუხებული მოჰყვა გაუგებარ ბოდვას.

— ცოტნე, შეილო! ცოტნე, გაიღვიძე, მამა გენაცვალოს! — დაადგა თავს შერგილი.

ბატონიშვილმა თვალი გაახილა და უნაროდ მიმოატარა. შუბლზე სიმწრის ოფლი დასხმოდა. ნარბენივით ქლოშინებდა და აჩქარებული სუნთქვისაგან მკერდი გაგლეჯაზე ჰქონდა.

სიზმარში ღვთის სამსჯავროზე იყო.

თავს სულთამხუთავი ადგა და ცხელი შანთით გამოცდით ემუქრებოდა. თუ ცაბოსა და ოტიას დაღუპვაში თავს დამნაშავედ არ სცნობდა.

შერგილის დანახვამ დაწყნარების მაგივრად კიდევ უფრო შეამფოთა ძალად გაღვიძებული ცოტნე.

— გესმოდა, მამა-ბატონო, რას ებოდავდი?

— ჰო, რაღაც წამოიყვირე ძილში. ალბათ გულში ოტია მეჭინიბის წამება ჩაგყვა.

— ჰო, ეგ მესიზმრა... რა ეშველება ოტიას?

— ოტიას უკვე ეშველა, საპყრობილიდან გამოვიყვანე, ცაბო შევრთეთ... ცხოვრებელი ვუბოძე და განაგრძებდა გავისტუმრე.

— მართლა, მამა?! რა კეთილი ხარ შენც, დედაც... მაგრამ ოტიას მარჯვენას რა ეშველება?

— მარჯვენას აღარაფერი! ზრუნვას არ მოვაკლებ, დავასახლებ და ხელს გაეუმართავ... მაგრამ ცალხელა კაცის სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა? მისი ცოდვა იმის კისერზე იყოს, ვინც დაღუპა...

ცოტნეს გულღვიძლი დასწვა ბოლო სიტყვებმა, თვალი დახუჭა და სიმწრის ოფლი დაასხა.

— შანთით გამოცდას გაუძლებდი, მამა? — გაუბედავად ჰკითხა ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ ცოტნემ.

— გავუძლებდი, ალბათ, თუ ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვიქნებოდი, ან იმის შიში თუ მექნებოდა, რომ ჩემი გამოტყდომით ჩემს თანაგანმზრახს ან საყვარელ ადამიანს დავეღუპავდი.

— მართალი იყო და იმიტომ გაუძლო ოტია მეჭინიბემ წამებას, არა? სატანჯველის შიშით, რომ თავი დამნაშავედ ეცნო, საყვარელ ადამიანსაც დაღუპავდა და თავსაც წააგებდა.

— ნამდვილად ავრე იქნებოდა.

— მე კი, ალბათ, ვერ გაუძლებდი...

— შენც გაუძლებდი, თუ მართალი იქნებოდი და იმის რწმენა გექნებოდა, რომ შენი გაძლებით სხვებსაც გადაარჩენდი.

— გული რომ შემიღონდა?

— რა ვუყოთ, შეილო, ჯერ ყრმა ხარ, უღონო და, ცხოვრებაში გამოუცდელი. როცა დავაქვაცდები და განსაცდელს თვალსა და გულს შეაჩვენე, გული გაგიმაგრდება, გაჭირვებისა აღარ შეგეშინდება და სატანჯველით გამოცდასაც თამამად შეხედები... ცხოვრება განსაცდელითაა სავსე და ვაქვაცი ამქვეყნად იმიტომ ჩნდება, განსაცდელს გაუძლოს. განსაცდელის გაძლება კი მხოლოდ მაშინ შეუძლია ვაქვაცს, რო-

ცა მართალია და სამშობლოსათვის ან სარწმუნოებისათვის ღებულობს სატანჯველს.

— ტყუილისათვის, სიცრუისათვის თუ შეიძლება წამების ატანა.

— ტყუილისათვის შეიძლება, თუ ის ტყუილი სამშობლოს ან მოყვასის გადასარჩენად არის მოგონილი. მაგრამ როცა ტყუილსა და სიცრუეს სხვისთვის ზიანი და ვნება მოაქვს, ასეთი ტყუილი ღვთისგანაც და კაცთაგანაც დაუყველილია და შეჩვენებული. მისი მომგონი ამ ქვეყნადაც ისჯება და საიქიოსაც ჯოჯობეთს ვერ ასცდება. — შერგილი დაღუპდა და ცოტნე ფიქრმა წაიღო.

ტყუილს თურმე ქვეყნისა და მოყვასის გადასარჩენად ნათქვამს შეიწყნარებს უფალი. თავის გადასარჩენად ნათქვამი ტყუილი კი კაცის დამღუბველი ცოდვა ყოფილა. დაუფიქრებლად ცოტნეს მიერ ნათქვამმა ტყუილმა კინდამ ორი ადამიანი იმსხვერპლა: ოტია და ცაბო გადაარჩნენ, მაგრამ შერგილის თქმისა არ იყოს, ცალხელა კაცის ცხოვრება რაღა ცხოვრება!

უნებურად აკიდებული მათი ცოდვა ალბათ სიკვდილამდე უნდა ზიდოს ცოტნემ და რა ეშველება, რა თვალთ უნდა შეხედოს ან დედ-მამას, ან ცაბოსა და ოტიას!

რა დაავიწყებს ცხელ შანთზე აშიშინებულ დამწვარ ხორცს, ალაღმართალი ოტიას თვალთაგან დაკვესებულ სიმწრის ცეცხლს!

ცოტნე უჩუმრად წამოდგა, მუხლზე დაეარდა და ჯვარცმის წინაშე ხელაპყრობილმა უხმოდ დაიწყო ლოცვა:

— ღმერთო დიდებულო, ღმერთო დიდებულო! ოღონდ ოტიას ულხანე, ოღონდ ჩემს მშობლებს ნუ დასჯი უდანაშაულო კაცის წაპებისათვის და, მე მომივლინე შენი რისხვა, შენი სასჯელი ჩემი სიცრუისათვის, სხვათა დამღუბველი ტყუილისათვის. ჩემი დედ-მამის სიცოცხლეს ვფიცავ, ჩემი დიაკოს სულს ვფიცავ, აღარასოდეს ჩემს

სიცოცხლეში ტყუილი აღარ ვთქვა, არავის ვეცრუო!

ბაგეგაუხსხელად, მშინაშორქცხმტად ევედრებოდა ცოტნე ჯვარცმულ მაცხოვარს, თავს იატაკამდე ხრიდა და თვალთაგან პირველი ცოდვის შეგნებით მოძალებული ცრემლი სცვიოდა.

ვედრება მოათავა და ჩუმაღვე ლოცვინში ჩაწვა. ლოცვამ სულის სიმშვიდე დაუბრუნა, თვალი მოხუჭა და ისევ ძილს მიეცა.

ერთხანს წყნარად ეძინა, მერე ისევ აფორიაქდა. სმენადქცეული შერგილი შემფოთდა.

— არ გძინავს, ბატონიშვილო? — ხმადაბლა ეკითხებოდა დროდადრო ავადმყოფის წრილით შემფოთებული შერგილი, მაგრამ ცოტნე ხმას არ სცემდა.

მთავარი ექიმს ეძახდა. მეტრნალი სნეულთან მირბოდა. ბატონიშვილს საექმოსა და ახალს ვერაფერს ამჩნევდა.

— სიცხე აწუხებს, მთავარო! წამალი გასტრის და დამშვიდდება, — ანუ გეშებად მეტრნალი, მთავრის გვერდით საკარცხულზე ჯდებოდა და მოძალეებულ ძილს ერთხანს კიდევ ებრძოდა.

შერგილ დადიანი ფიცხი და თავმოყვარე, ქედუხრელი, ძნელად დამთმობი კაცი იყო. წყენას იოლად არავის დაუფიწყებდა და აუგად მოპყრობისათვის სამაგიეროს მიზლვა ერთი-ორად იცოდა. ბაეშეობიდან ღვთის მოშიშრად აღზრდილი ლოცვას არ გააცდენდა და მარხვას არ გასტებდა. მაგრამ ერთი გულწრფელი გაბრაზება საყმარისი იყო, რომ წონასწორობა დაეკარგა, ღმერთიც დაეწყებოდა და ხატიც.

ასეთი აფეთქება კი არც თუ იშვიათად იცოდა ოდიშის მთავარმა.

როცა თავს დამნაშავედ ან შემცოდედ თვლიდა, შერგილი უდრტვიველად ურიგდებოდა ღვთის განაჩენით მოვლენილ სასჯელს, ვაჟკაცურად იტანდა და ლოცვა-ვედრებით ცდილობდა უფლის წინაშე დანაშაულის შემსუბუქებას. მაგრამ თუ თავისი უდანაშაულო-

ბა სჯეროდა და მის თავზე მოვლენილ სასჯელს დაუმსახურებელ უსამართლობად მიიჩნევდა, მაშინ მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა ხოლმე. ასეთი უსამართლობის დროს თავის შეკავებას ვეღარ ახერხებდა, ზომიერების ყოველგვარ გრძნობას ჰკარგავდა და ზოგჯერ ღვთის აშკარა გამობამდე, მკრეხელობამდე მიდიოდა.

შორეული ლაშქრობიდან მობრუნებული შერგილი უკურნებელი სენით დაავადებანსა და დაბრმავებას კიდევ შეუთრგდებოდა. ცხარე ომში მებრძოლს იმისთვის არ სცალია, მრუდი და მართალი გაარჩიოს, ომის ჰარცეცხლში მბრუნავი ვაჟაკის ხმალი ხშირად მართალსა და უდანაშაულოსაც ასევე სასტიკად უსწორდება, როგორც იმ ომის სულისჩამდგმელ მოსისხლეს.

მაგრამ ომი კაცის კვლა არის და თუ თვითონ არ მოკლავ, შენ მოგკლავენ. ასეთი განუკითხაობის ქაშს გულმოწყალების, ან ზომიერების გამოჩენას მეომარს ვერავინ მოთხოვს და შერგილსაც ალბათ ბევრი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი.

ამიტომ საკუთრად მის თავზე დამტყდარი ღვთის რისხვას ერთგვარი გამართლება მოეძებნებოდა და ამასთან შერიგება შესაძლებელი იქნებოდა. უფალს, რომ მეორე უფრო დიდი სასჯელი არ დაეტება მთავრის თავზე. ჯერ უცოდველი, კრავივით უმანკო ასულის, პატარა თამარის სიკვდილი იმდენად უსამართლო, გაუგებარ სასჯელად ეჩვენებოდა ოდიშის მთავარს, რომ მისი გონივრული განსჯაც შეუძლებლად მიიჩნდა.

უფლისაგან უსინათლოობით ზომიანზე მეტად დასჯილ ვაჟაკს უცოდველი შვილის დაღუპვა ისეთ არაადამიანურ, აუხსნელ სისასტიკედ ესახებოდა, რომლის უფლება თვითონ ყოვლის შემძლე უფალსაც არ უნდა ჰქონოდა.

ღმერთი უღმობელი იყო და უსამართლო.

ამიტომ დასჯილის აღმფოთებასაც არ ჰქონდა საზღვარი. უფლის წინააღ-

მდეგ ამბობებულმა მონამ ხატები დაღწეა, ზედ ფეხით შედგა და დაეცა. საქვეყნოდ ჰგმო.

გაფითრებული ნათელა შიშისაგან აქანკალებული შეჰყურებდა, ხმის ამოდებას ვერ ბედავდა და გამალეებით უაზროდ პირჯვარს იწერდა.

იქ მყოფთ ეგონათ გაგიყდაო. შეგონებით რომ ვერას გახდნენ, ძალა იხმარეს და ხელეზი შეუქრეს.

მაგრამ ოდიშის მთავარი სულაც არ შეშლილა, თუმცა შეშლილობა და ჰკუთის დაკარგვა მისთვის ეგებ ერთადერთი საშველი იქნებოდა იმ მძიმე სულიერი შერყევის ქაშს.

ხატების დამსხვრევა და სალოცავის შეგინება ვერ ამშვიდებდა ღვთის უკანონობის წინააღმდეგ აჯანყებულ მთავარს; წარმოდგენებთან და სიმბოლოებთან კამათს, მათ გმობას შერგილის აღშფოთების დაცხრომა არ შეეძლო.

ღონემოჭარბებულ ვაჟაკს იმ უსამართლო ღმერთთან პირისპირ შებრძოლება, ხელდახელ შებმა უნდოდა, რომ ან ზედ შეეკლდომოდა, ან დაემხო, რათა ძირს დაეცემულისთვის მის მიერ ჩადენილი დანაშაულის უაზრო საშინელება დაენახებინა და იმ ბოროტების შესაფერისად დაესჯა.

მაგრამ უფალი ან მხდალი იყო და შერგილის შესაჭიდებლად პირისპირ გამოსვლას ვერ ბედავდა, ან იმდენად დიდი იყო და ძლიერი, რომ მის წინააღმდეგ ამხედრებული პაწაწინა მღილის გამოწვევას არაფრად აგდებდა, უსასრულო სამყაროს წესრიგის მართვით გატაცებულს მისთვის არ ეცალა და იმ წესრიგიდან გამოვარდნილ უმნიშვნელო არსების აღშფოთებას ანგარიშს არ უწევდა.

უწყალო უფლის წინააღმდეგ ამბობებულს თავისი დაუოკებელი შფოთის დასაწყენარებლად, არაადამიანური სულიერი ტკივილის ჩასახშობად, ერთადერთი გზა კიდევ რჩებოდა — თავის მოკვლა, თავის მოკვლით იმ ტკივილის შიშობით სხეულისა და სულის უგრძნობლად ქცევა.

თავის მოკვლა გამჩენი ღმერთის წინააღმდეგ სულიერი ამბოხის უმაღლესი გამოხატვა, უფლის სისასტიკის მხილება იქნებოდა იმ, არსებისაგან, რომელიც მაცხოვრის მიერ ბოძებულ ცნებებს განუხრელად იცავდა და, რომელიც გულის სიღრმემდე შესძრა ღვთის უაზრო უსამართლობამ, ადამიანების ბედის მიმართ გაუგებარმა განურჩევლობამ და უგრძობელობამ.

ოღიზის მთავარს ცხელ გულზე თავის მოკვლაც არ დაანებებს და უსამართლო ღმერთთან ანგარიშის გასწორების ეს ერთადერთი გზაც მოუქრეს.

ბრძას მართო არ სტოვებდნენ და ფხიზლად დარაჯობდნენ, თავის უბედურ თავისთვის რომ არაფერი აეტება.

ადამიანი ყველაზე დიდი სულიერი აფეთქების დროსაც ადამიანად რჩება. სულიერ აფეთქებასაც თავისი გარკვეული დრო აქვს და როცა იგი უმაღლეს წერტილს აღწევს, შემდეგ ბუნებრივად იწყება ცეცხლის განელება, უკიდურესი დაძაბულობის თანდათან შესუსტება და მოშვება. დრო ყველაფრის მკურნალია. ის, რაც ქარიშხლისაგან მსხვრევას გადაარჩება ხოლმე, თავის ბუნებრივ მდგომარეობას ნელნელა უბრუნდება და ისევე ცხოვრების იმ წესს ეგუება, რომელსაც ადრე იყო შეჩვეული და რომლიდანაც დროებით ამოგდო უჩვეულოდ მძლავრმა ბიძგმა თუ შერყევამ. დრომ თავისი ჰქნა. ამბოხებული ადამიანის რისხვისთვის მიუწყდომელმა ღმერთმა გაიმარჯვა — შერგილმა თავი ვერ მოიკლა და უბედური სიცოცხლე გრძელდებოდა.

უფლის უღლისაგან თავის დახსნა ადამიანის ნება-სურვილზე დამოკიდებული სრულიადაც არ ყოფილა. იმ უღლის დასამსხვრევად ამხედრებულ მონას ის და რჩება, უსამართლო განკების ახსნა-გამართლება ეძიოს და ნელ-ნელა ძნელს, მაგრამ ერთადერთ გზას — ღმერთთან შერიგების გზას დაადგეს.

წყვედიანი, რომელშიაც მძლავრმა სულიერმა შეშფოთებამ ჩააგდო მთავარი, გაცილებით ძნელი გასაკვივეც

იყო, ვიდრე თვალის ჩინის დეკარგვით შერგილის ირგვლივ გამჭვებულ ნიშნულს ეძებნე.

ნიშნულითქანა

ამ წყვედიანშიც აღმოჩნდა მეგზური. ეს მეგზური კარის მოძღვარი ივლიანე იყო.

ერთგულმა გზის გამკვლევმა თავის მოწოდებად ჩათვალა მთავრისათვის დაებრუნებინა ის შინაგანი ხედვა უფლისა, რომელიც ყველა ადამიანს თანდაყოლილი აქვს და, რომლის საბოლოოდ დეკარგვა სიცოცხლის აზრის გაქრობას, არსებობის სურვილის გაქრობას ნიშნავს.

ფაფის შეშინებულნი დოს სულს უბერავდნენო, ისე მოუვიდათ ცოტნეს მშობლებსა და მკურნალებს. უბრალო ციებ-ცხელება, რომელიც ოღიშის დაბლობში თითქმის ყველგან ბუდობდა, იმ დამლუბველი სენის ახალ აფეთქებად წარმოიღვინეს, რამაც თამარის სიცოცხლე წაიღო და შერგილს თვალის ჩინი წაართვა.

ერთადერთი მემკვიდრე-ბატონიშვილის შემყურე მშობლებს ზედმეტი შიში და სიფრთხილე არც გაემტყუნებოდათ. მით უფრო მეტი საფუძველი ჰქონდათ ეჭიმებს სნეულის განცალკევებისა და ყველა გამაფრთხილებელი ზომის მისაღებად.

სამ დღე-ღამეს ბურთივით აბტუნა ცოტნე ციებ-ცხელებამ ლოგინში, ოფლის ღვარად გასწურა და მიასუსტა. მეოთხე დღეს შვება იგრძნო ავადმყოფმა, სიცხემ უკლო და ცოტა მოიხედა.

მკურნალები მიხედნენ, რომ საქმე ჩვეულებრივ ციებ-ცხელებასთან ჰქონდათ. ავადმყოფს სასმელ-საჭმელი მიაცალეს და ახლობლებს მის საწოლში შესვლის ნება დართეს.

შერგილი იშვიათად სტოვებდა სნეულს.

ციხელებისაგან გათანგული შვილის ბოდვას ყურგამახვილებული უსმენდა. ბავშვი გაუკებრად და თავგზაბნეულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა ადიდებულ მდინარეზე და მის ნა-

პირას გამოირიყულ გვამზე, ეშმაკებისაგან შელოცვილ ყურძნის მტევანზე და ხორცის დამწველ ცეცხლის აღზე.

მთავარი ერთმანეთთან დაუკავშირებლად ამონასროლ ცალკე სიტყვებს შორის კავშირის დამყარებასა და აზრის გამოტანას ვერ ახერხებდა და ამიტომ სიცხიანისათვის ჩვეულებრივ უაზრო ბოდვად ღებულობდა ცოტნეს წამოძახილებს.

ბოლო დღეებში, როცა სნეულების გადადების საშიშროება გაჰქრა, შერგილს მარტო აღარ სტოვებდა ივლიანე კარის მოძღვარი.

ისხდნენ კუთხეში მიყუყულები და, ავადმყოფისთვის ძილი და მოსვენება რომ არ დაერღვიათ, ხმადაბლა საუბრობდნენ.

— უფლის მიმართ სიყვარული ძნელი სიყვარულია, მთავარო. — ჩაესმა მოსატყუარად თვალმოხუტულ ცოტნეს. თავმომჩინარებულმა ყმაწვილმა ყური ექვიტა, გაინაბა და სმენად იქცა.

— უფლის ჰეშმარიტი სიყვარული ისაა, როცა ადამიანს თავისი თავი აღარ ახსოვს, საკუთარი არსებობა დავიწყებული აქვს და ღვთის მიერ მოვლენილ ბოროტსა და კეთილს ერთნაირი მადლიერებით ღებულობს, როგორც გარდუვალსა და აუცილებელს. ჩვენ უფლის მიმართ მაშინ ვართ მადლობელნი, როცა იგი წყალობის თვალთ გვიყურებს, სენსა და სიკვდილს გვარიღებს და ბედნიერებით გვაგებს. მაგრამ ბედნიერება არ არსებობს ისე, თუ უბედურებაც თან არ ახლავს. ბედისაგან განეზივრებულნი, იბღლიანი ადამიანები იმას არ ფიქრობენ, რომ მათი სიხარული დროებითია და წარმავალი. ისინი მხოლოდ მაშინ იწყებენ გამოფხიზლებასა და გონს მოსვლას, როცა საშინელი უბედურება ატყდებათ თავს. ზოგჯერ ბედის ეს განაჩენი უზომოდ სასტიკია და უღმობელი. ადამიანი ვერ ურიგდება უსაკო, ვერ უცოდველი ბავშვის მოულოდნელად დაღუპვას. მიუწვდომელია აზრი და სიღრმე

განგების ამ განაჩენისა. ჩვენ გავშფოთებს ტანჯვა და სიკვდილი უმანერ ბავშვისა და იმას კი არ ვუფიქრებდნენ, თუ რა ღრმა აზრი შეიძლება ჰქონდეს უფლის ამ განუქითხაობას. ჩვენ ხომ არ ვიცით, რომ სამაგიეროდ იმ ტანჯვისა, რომელსაც უღოცველი ბავშვი განიცდის სიკვდილის წინ, უფალი ათმაგად მიაგებს იმ ქვეყნად, როცა მას სამოთხეში შეიყვანს და სამარადისო ნეტარებას მიანიჭებს. ჩვენ ვერ ვწვდებით ღვთაების უღმობელობის ჰეშმარიტ აზრს, ვერ ვხედავთ მისი სისასტიკის მეორე მხარეს — მარადიულ სიკეთეს და ჩვენ თვითონ ვგავართ სულსწრაფ ბავშვებს: უზენაესის სიბრძნის ჩაკვირებისა და ამოხსნის ნაცვლად, ჩვენ ეჩქარობთ, ვივიწყებთ ღვთის მიერ ბოძებულ ყველა სიკეთეს, სასოწარკვეთას ვეძლევით და უფალს ვგმობთ. რაკი უფლის სიყვარული, საკუთარი თავის დავიწყება და მთელი არსებით ღვთაებასთან შეერთება არის, ადამიანი მხოლოდ ამისკენ უნდა ისწრაფოდეს. ღვთაებასთან შეერთებას კი მხოლოდ გამუდმებული ლოცვითა და მარხვით, მოთმინებითა და მორჩილებით აღწევს ადამიანი. ადამიანის ამ ქვეყნიური მოვალეობა უდრტვიწველად, განუსჯელად მიიღოს ღვთის განაჩენი, დაემორჩილოს მას და სამყაროს მართვის ღვთაებრივ წესრიგში ჩარევის, შესწორების შეტანის უფლება არ მისცეს თავის თავს. წინააღდგომა განგებისა, გმობა იმისა, რაც არ გესმის, რაც უაღრესად რთულია და გონებისთვის მიუწვდომელი, ადამიანს არასოდეს არ მოუტანს სიმშვიდესა და კმაყოფილებას. სამაგიეროდ, უფლის განაჩენის წინაშე ქედის მოხრა, მისი უდრტვიწველი დამორჩილება და ამ განაჩენის სიღრმეში ჩვენთვის მიუწვდომელი სამართლიანობისა და სიკეთის ძიება, ადამიანს უბრუნებს წონასწორობასა და სულიერ სიმშვიდეს, განაცდევინებს მას ღვთაების სიყვარულის ნეტარებას და უზენაესთან ერთიანობას. უფლის ამგვარად შეყვარება მხოლოდ სულით

ძლიერ, მტკიცე ხასიათის. ადამიანებს შეუძლიათ, იმ ადამიანებს, რომელთაც რწმენა უფლისა ცხოვრების ერთადერთ აზრად აქვთ ქცეული. ასეთი იყო იობი. ალბათ ახსოვს მთავარს ძველი აღთქმის წიგნიდან.

— მახსოვს და აღარც მახსოვს.

— ცხოვრობდა უბიწო და მართალი კაცი იობი. ბედნიერი კაცი იყო, ათი შვილი ჰყავდა, სიმდიდრე დიდი ჰქონდა და ქონება აურაცხელი. ძლიერსა და ბედნიერ იობს ღრმად სწამდა და უყვარდა უფალი, არასოდეს ივიწყებდა უზენაესს და მის ცნებისაგან არასოდეს გადადიოდა. ერთხელ, როცა იობის შვილები ღვინისა და განცხრომაში იყვნენ, ხოლო იობი მსხვერპლსა და ზეარაკს სწირავდა და ლოცვას აღაულებდა ცოდვათა მისატევებლად, უფლის წინაშე შეგროვდნენ ანგელოსები. შენ საიდანღა მოხვედიო, ჰკითხა უფალმა ეშმაკს.

— მე ქვეყანა მოვიარე და გეახელიო, მიუგო ეშმაკმა. — ქვეყანა თუ მოიარე, ალბათ მორწმუნე იობსაც ნახავდი, რომელსაც უბიწოებითა და ღვთის მსახურებით ვერაფერ შეედრება.

— ღვთის მსახურება ადვილია, როცა ღმერთი გწყალობს, ოჯახი ბედნიერი გყავს და ქონება აურაცხელი გაქვს. მაგრამ, აბა, წაართვი ყოველივე, რაც მისთვის მიგიცია და ნახავ, რა მორწმუნეც იქნებაო, — ჩაიქირქილა ეშმაკმა. უფალმა ნება მისცა ეშმაკს, გამოეცადა იობი. ეშმაკმა ზედიზედ მოუქვინა საშინელი უბედურებანი: იობმა დაკარგა მთელი ქონება, დაეღუპა შვილები. გამწარებულმა ტანსაცმელი შემოიხია, თავზე მიწა დაიყარა, მუხლებზე დაეარდა და ღმერთს შეკლადა: „შიშველი გამოვედი ღედის მუტლიდან და შიშველივე მივიქცევი უკან. უფალმა მომცა და უფალმა წაიღო, კურთხეულ იყოს მისი სახელი“ ღმერთი გახარებულ იყო, რომ იობმა გაუმართლა და ამ საშინელი გამოცდის შემდეგაც არ შეერყა რწმენა. მაგრამ ეშმაკი თავისას განაგრძობდა: „შეახე ხელი მის სხე-

ულს და ნახავ, თუ კიდევ მტრჩემა რწმენა ღვთისა“. უფალმა კი ეშმაკს უბრალოდ ართო. ეშმაკმა საშინელი მსახურებით დაასწულა იობი, თავით ფეხამდე და აწყულა და მატლები დაახვია. გაწამებული იობი თავებდს იწყველიდა, მაგრამ უფლის აუგი ერთხელაც არ დასცდენია, რადგან წამითაც არ დაუკარგავს იმის შეგნება, რომ ღვთის განჩენი ბრძნული და მისთვის მიუწყვდომელი იყო. უფალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იობის ერთგულება და რწმენა ურყევი იყო. იგი ქარიშხალში მოეკვინა ღრუბლებიდან იობს და აუხსნა მას, რომ ამოდ ეძებდა თავის თავში ტანჯვის მიზეზს, — ღვთის განზრახვა მოკვდავთთვის შეუცნობელი და გაუგებარია და სიბრძნე უფლისა მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვისო. ღმერთმა შეიწყნარა იობის სინაული, წყალობის თვალით მოხედა ერთგულ მონას, აუღორძინა ოჯახი, შვილები დაუბრუნა და აურაცხელი ქონებაც უკან მისცა. ასე მოექცა უფალი მოთმინებისა და რწმენის შეურყევლობისათვის იობს. ასევე გამართებს შენც, მთავარო, მოთმენა ზეციით მოვლენილი რისხვისა და სასჯელისა. უფალმა მოგცა ასული შენი და უფალმავე წაგართვა. არც ის ვიციო, თუ რატომ მოგცა და, ვერც იმას მივხვდებით, თუ რატომ წაგართვა. ლოცვითა და მარხვით, ეკლესიების შენებითა და მონასტრებისათვის ქონების შეწირვით უნდა მოაღბო განრისხებული გული უფლისა, უნდა ევედრო ღმერთს, რომ ღირსგყოს შენს ასულთან სასუფეველში დამკვიდრებისა.

— უფალმა მოგცა და უფალმა წაგართვაო, ამბობ, მოძღვარო. არა სჯობდა სულ არ მოეცა, ან რაკი მომცა, უსამართლოდ აღარ წაერთმია, არ გვემწარებინე და განგების მგმობელი არ გავხედაე.

— ჩვენ ვერ გავიგებთ უფლის სიბრძნეს. წართმევა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მოგცა და იმის პასუხიც, თუ რატომ მოგცა, ან რატომ წაგართვა

მხოლოდ მას ერთადერთს აქვს საიდუმლოდ, ჩვენთვის მიუწვდომლად დაცული. უფალი ბრძენია და სამართლიანი. კეთილი და უბიწო მას უფრო მეტად უყვარს, ვიდრე ჩვენ, რადგან სიყვარული უფლისა დიდად აღმატება აღამიანის სიყვარულს, უსაზღვროა და დაუსრულებელი ნეტარება მისი. ასული შენი ბედნიერია — ანგელოსი იყო და ანგელოსებთან დაემკვიდრა. ევედრე უფალს, რათა შეგინდოს ცოდვები და დაგიბრუნოს ასული შენი, როგორც იობს დაუბრუნა ძენი და ასულნი.

— განა შესაძლებელია გარდაცვლილის გაცოცხლება და იმ ქვეყნიდან მობრუნება?

— უფლისათვის ყველაფერი შესაძლებელია და, არაფერი შეუძლებელი არ არის. სიკეთის თესვიით, ბოროტისაგან განშორებით, სიწმინდითა და ღვთის მოსაუბრით დააჩქარებ შენი შეილის დაბრუნებას და შენთვის ხომ სულერთია, ამ ქვეყნად დაგიბრუნდება თუ იმ ქვეყნად იგი.

— თავის მოკვლა მიხდოდა და არ დამანებეს; მეგონა თავს თუ მოვიკლავდი, ჩემი თამარის გზას გავუღებოდი. მაგრამ თურმე ესეც არ ყოფილა აღამიანის ხელთ, საკუთარი თავის მოსპობა.

— თავის მოკვლით კიდევ უფრო დაიძიმებდი შენს ცოდვებს, მთავარო. შენს ერთგულ ცოლსა და მიმკვიდრე ბატონიშვილს განსაცდელში ჩააგდებდი, ამ ქვეყნის ცხოვრებასაც მოაკლდებოდი და იმ ქვეყნადაც სასუფეველს ვერ ეღირსებოდი. წმინდა ცხოვრებით, ცოდვათა მონანიებითა და დაუცადებელი ლოცვით უნდა დაიმსახურო წყალობა უფლისა, მთავარო.

— ბერად მიხდა შევდგე, მოძღვარო, სადმე მიყრუებულ მონასტერში აღვიკვეცები, სადაც ამ ქვეყნის ბოროტება და ბიწი ვერ მომწვდება. გამუდმებული მარხვითა და ხორცის გვემით მოვინანიებ ცოდვებს და იქნებ შემინდოს უფალმა.

— ბერად აღკვეცა კარგად გიფიქრია, მთავარო, მაგრამ...

— ეიცო, მეტყვი აღრეაო, ვერაფერი დევ ახალგაზრდა ხარო.

— არა, მთავარო. ღვთის სამსახური და სიწმინდის გზაზე შედგომა, რაც უფრო აღრე იწყება, მით უკეთესია. სულაც ყრმა და უცოდველი, შენი ძის ტოლიც რომ შემდგარიყავი მონასტერში, უფლისათვის ეგ უფრო სათნო იქნებოდა, რადგან ღმერთი უმანკოთა ლოცვას უფრო მეტად უგდებს ყურს, ვიდრე ბოროტის მოქმედთა და ცოდვის ჩამდენთა ვედრებას.

სმენაღქცეული, გულისხმას ჩავარდნილი ცოტნე ბინდბუნდად გრძნობდა, რომ სადღაც ახლო იყო ის, რასაც ეძებდა, ჩნდებოდა გზა, რომელზე დადგომაც შეეძინა და მოსვენებას მოუტანდა.

ამდენი ხნის განმავლობაში განაბულს, უნებურად ერთი ღრმა ამოსუნთქვა წასცა და თვითონვე შეეშინდა, ვაი, თუ თავი გავეციო.

— მგონი ოხრავს ბატონიშვილი, — თქვა სმენაღქცეულმა შერგილმა.

— ალბათ სიზმარს ხედავს, მთავარო. ბავშვის სიზმარიც ასევე უბიწოა და წმინდა, როგორც ცხადი, — ხმადებლა განმარტავ ივლიანემ, — ზოგიერთ მოწამეს ღმერთი სიზმარში ეცხადება და სიწმინდის გზაზე შედგომას ჩააგონებს. ეს ბედნიერება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ღმერთი ყველას როდი ირჩევს წმინდანად. ღვთიეჩაგონებულები სიყრმიდანვე ირჩევენ სიწმინდის გზას, სასახლეებს ტოვებენ და ამქვეყნიურ უზრუნველ ცხოვრებას ზურგს აქცევენ ხოლმე, რათა იმ ქვეყნად საუკუნო ნეტარება დაიმკვიდრონ და თავიანთი სიწმინდით ჩვენც შეგვიმსუბუქონ ჩვენი ცოდვები. ბედნიერები არიან ასეთი ყრმები. სასახლიდან უდაბნოში წასვლით გამოწვეული გლოვა მათი მშობლებისა მალე შეიცვლება სიხარულის ცრემლით, რადგანაც ისინიც მალე გაიგებენ მათი შეილის მალალ მოწოდებას, მოწოდებას ყრმისა, რომე-

ლიც საკუთარ ბედნიერებაზე ამბობს უარს, რათა სხვებს მოუპოვოს ბედნიერება, სხვების სულებისათვის იღვანოს, დაათხოოს თავისი უმანკო სისხლი და წამების ჯვარზე ასულმა დამიკვიდროს საუკუნო ადგილი უფლის გვერდით.

იმას ვამბობდი, სიწმინდის გზაზე შედგომა ადრე არასოდეს არ არის. ხოლო შენს ხნოვანებაში ბევრი ერის კაცი, საქვეყნოდ გამოჩენილი ბევრი მოღვაწე შემდგარა ბერად, მაგრამ შენ სხვა ვალი გადევს ჯერ კიდევ კისრად, მთავარო. სამთავროს მემკვიდრე და მომავალი პატრონი ცოტნე ბატონიშვილი ჯერ კიდევ ნორჩია და უსააკო, მას ჯერ კიდევ სჭირდება მზრუნველი მამა და აღმზრდელი, ვინც სამშობლოსა და ტახტის საკეთილდღეოდ მიმართავს მის ნიქსა და უნარს. ეს ვალი აღასრულე, მთავარო, დიდი თამარის ტახტსა და ქრისტეს სარწმუნოებას ღირსეული დამცველი აღუზარდე. შემდგომ კი, როცა ცოტნე შესძლებს სამთავროს პატრონობასა და ტახტის სამსახურს, უფლება გქმნება ამ ქვეყანას გაშორდე და იმ ქვეყნისათვის ზრუნვას შესწირო შენი, დღე და წუთისი-აფელი.

მოძღვარი გაჩქნდა.

ერთხანს ორივე სდუმდა თავთავის ფიქრში წასული.

მერე ივლიანემ სარკმელს გახედა.

— შუალაშე გადასულა, — მიქნარებით თქვა და წამოდგა, — დაგლალე, მთავარო, და ძილი გაგიტეხე ყბედობით.

— სსარგებლო იყო ფრიად, მოძღვარო შენი საუბარი. ვეცდები გულს დაეიმარხო შენი რჩევა-დარიგება, დავიცვა ღვთის ცნება და აღვასრულო ვალი ჩემი ორივე სოფლის წინაშე, — თქვა შერგილმა.

ივლიანემ ჯვარი გადასახა მთავარს, შერგილი ხელზე ეამბორა და მოძღვარი წავიდა.

მთავარი მუხლზე დავარდა და ძი-

ლის წინ გულმხურვალედ შეუდგა ლოცვას.

თავმოძინარებული ცოტნე ყურადღებით ისმენდა მოძღვრისა და მამის საუბარს. იმ საუბარში მისთვის ბევრი რამ გაუტეხარი იყო, მაგრამ ის, რაც გაიგო, ბატონიშვილის აფორიაქებული სულისათვის შეების მომტანი აღმოჩნდა.

ოდიშის მთავარი ცოდვათაგან განწყენდაზე, საუკუნო ცხოვრებაზე ფიქრობდა. იგი თავისი პატარა ასულთან შეხვედრას ესწრაფოდა. ცოდვათა მონანიებით, მარხვითა და ლოცვით უნდა მიეღწია შერგილ დადიანს ამ საოცნებო მიზნისათვის. ოცნების ასრულების დაჩქარება, როგორც ცოტნემ გაიგო, ბერად შედგომით, უდაბნოში დაყუდებით იყო შესაძლებელი, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმას მემკვიდრის აღზრდაზე ზრუნვა აბრკოლებდა — ცოტნე რომ არ ყოფილიყო, მთავარი ხელეწიწა წავიდოდა მონასტერში, ამ სოფლის ყველა ამაოებაზე ხელს აიღებდა და იმ ქვეყნის საუკუნო ცხოვრებისაკენ გაიკვლევდა გზას.

უფალს თურმე ის სიამოვნებს, რაც უფრო ადრე შეუდგებიან მორწმუნენი წმინდა ცხოვრებას. ივლიანე მოძღვარმა თურმე უამრავი მაგალითი იცის იმისა; თუ როგორ სტოვებენ ღვთის ჩაგონებით სიმდიდრესა და ფუფუნებას უფლისწულები, როგორ მიაქვთ სარწმუნოების ზვარაკად თავიანთი ახალგაზრდობა, ამქვეყნიური გატაცება და ცხოვრების სიამე. ამას უცოდველი ბატონიშვილები სჩადიან, ისინი, ვისაც ამ სოფლად არავითარი ცოდვა არ მიუძღვით, მით უფრო მეტი მსხვერპლის გაღება მართებს ოდიშის მთავრის მემკვიდრეს, რომელიც თავის უნებურად დაცდენილმა ტყუილმა სხვისი უბედურების მიზეზი გახადა.

უფალი თურმე ბავშვობიდანვე იჩეხვს წმინდა ცხოვრებისათვის თავგადადებულებს. რატომ ცოტნეს არ შეუძლია გახდეს ერთი მათგანი, ლოცვი-

თა და მარხვით მოინანიოს უნებლიედ ჩადენილი ცოდვა, თავი დასდოს ქრისტეს სჯულისათვის და, თუ უფალი ინებებს, ეწამოს კიდევაც კეშმარიტი სარწმუნოებისათვის?! უფალი მოწყალეა და დადსულოვანი. თუ ცოტნე გულწრფელად მოინანიებს დანაშაულს, ლოცვითა და მარხვით გაიწმინდება ამკვეყნიური ბიწისაგან, მაცხოვარი არ დატოვებს შეცთომილ კრავს უმწყემსოდ, შეუწოდებს და არ დაუხშობს გზას წმინდანობისაკენ.

ცოტნემ დროზე უნდა გადადგას ნაბაჯი.

მონასტერში ბერად აღკვეცა და ცოდვათა მონანიება ყოფილა ერთადერთი სწორი გზა, რომელიც ამკვეყნიურ სიშვეიდეს მოუტანა და იმკვეყნიურ სასუფეველს დაუმკიდრებს, ჩადენილი დანაშაულის სიძიმეს შეუშუსუბუქებს და საბოლოოდ გაათავისუფლებს სინდისის ქენჯნისაგან. ბატონიშვილის ეს ნაბიჯი მთავარსაც გზას გაუხსნის წმინდა ცხოვრების დასაწყებად, რაკი მემკვიდრის აღზრდაზე ზრუნვისაგან გაათავისუფლდება შერგილი.

ჯანდონით სუსტი ცოტნეს გონება შთამბეჭდავი და განცდისაკენ ავადმყოფურად მიდრეკილი იყო.

ზრი სასახლის დატოვებისა და მონასტერში ბერად შედგომისა, განუყრელად თან სდევდა, რაკი ერთხელეე ჩაბეჭდა გულში. ცოდვათა მოსანანიებლად უდაბნოში წასვლის გამუდმებული ფიქრი ბატონიშვილს ბოლოს მტკიცე გადაწყვეტილებად ექცა. იგა მამასთან და ივლიანესთან საუბარში სულ იმას კითხულობდა, თუ სად, რომელი უდაბნო და მონასტერი იყო, რა მანძილი აშორებდა იმ მონასტრებს მთავრის სასახლიდან, რომელი წმინდანი მოღვაწეობდა იქ და, რა სასწაულებით ჰქონდა განთქმული სახელი იმ უდაბნოებსა და სივანეებს.

შერგილ დადიანს დაბრმავებამდე საიმისოდ არ ეცალა, რომ მიუდგომელ მთებში ჩაკარგული მონასტრები მოე-

ლო, ბერებთან სასწაულებზე ესაუბრა და მათ მიერ დაწერილი წიგნები ეკითხა. თუ ომი არ იყო, ლხინსა და მადრიობას მიჰქონდა სამთავროს საქმეებზე ზრუნვისაგან დარჩენილი დრო და, ოდიშის მთავარი ნადირის დევნისას შემოღამებული თუ მიადგებოდა რომელიმე მონასტრის კარს. ბერებს მასპინძლობისა და ღამის გათევისათვის მადლობას გადაუხდინდა, შესაწირავს უხვად შესწირავდა და, კარგად გამოსვენებული, ღონითა და ხალისით საცეს, დილას ისევ ცხენზე ამხედრებული ჯიხვებსა და არჩევებს გამოუდგებოდა. ბუკის ცემისა და მწვევარ-მეძებრების წკაწკავეის ხმა უფრო იტაცებდა მთავრის გულს და მაღალ კლდეზე გადმომდგარი ხარ-ჯიხვის თვალმოუწყვეტლად ცქერა ერჩია მიხრწნილი წინამძღვრების ჩიფჩიფსა და ფლასში გახვეული განდგილების ყურებს.

მთავარმა მას შემდეგ მიაპყრო განსაკუთრებული გულისყური ეკლესიებისა და მონასტრებისაკენ, რაკ თვალის ჩინი დაჰკარგა და ქალიშვილი დაეღუპა. იმ დღიდან, რაც განგების ძალას დაემორჩილა და სულეერი სიმშვიდე ლოცვა-ვედრებაში ჰპოვა, შერგილმა გლახაკთა წყალობასა და ეკლესია-მონასტრებისათვის ჭონების შესწირვას უმატა და ბოლოს თავისი ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად ეს გაიხადა.

ოდიშის სამთავროში უამრავი ტაძარი და ეკლესია, მონასტერი და უდაბნო იყო. მათი უმრავლესობა მიუხედავად მთებსა და ხეობებში იყო გაბნეული, ყველა მონასტრის არც გზა იცოდა შერგილმა, არც იქ მოღვაწე ბერებისა და წინამძღვრების ხატებისა და სალოცავების სასწაულები სმენოდა. ამიტომ უჭირდა მთავარს შვილის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და, როგორც კი ცოტნე რომელიმე მონასტრის წარსულზე ან სასწაულმოქმედებაზე შეეკითხებოდა, მთავარი მაშინვე ივლიანე მოძღვარს მოიხმობდა, ცოტნეს მიერ დასმული კითხვით იმას მი-

მართაედა და შეილთან ერთად ისიც ყურადღებით ისმენდა იმ ეკლესიებისა და ტაძრების წმინდა ცხოვრების ამბებს, სადაც ლოცვაში საქართველოს მეფის შემდეგ თვითონ ოდიშის მთავარი მოიხსენიებოდა და უფალს მისი ოჯახის ბედნიერებას ავედრებდნენ.

ივლიანე მოძღვარი ზედმიწევნით აღწერდა თითოეული მონასტრის ადგილმდებარეობას. მან არა მარტო ის იცოდა, თუ რომელი ხატის სასწაულით ან ბერის წმინდანობით იყო განთქმული ეს თუ ის მონასტერი, არამედ იმასაც დაწვრილებით ყვებოდა, თუ ქრისტეს რჯულის მიღებამდე წარმართთა რა სალოცავი იყო იმ ტაძრების ადგილას და ბუნების რა ძალას სცემდნენ თავყვანს ადრინდელი ოდიშარები.

უზარმაზარი კაკლის ხის ჩრდილში ისხდნენ მთავარი, მისი მემკვიდრე და მოძღვარი ივლიანე.

ივლიანე სწუხდა, რომ იერუსალიმსა და ათონში, კონსტანტინეპოლსა და ანტიოქიაში ფილოსოფიის სწავლასა და სამეფო კარის დავალებათა შესრულებას ბევრი დრო მოანდომა, საერო საქმეთაგან ვერ მოიცილა და ამოიფსფესში დაკარგა ის დრო, რომელიც შეეძლო განდგომილად ცხოვრებით, ბერად დაუდებულს, სულისათვის ზრუნვაში, ლოცვა-ვედრებაში გაეტარებინა.

— ჯერ კიდევ მაქვს იმედი, ჩემს დღესა და წუთისოფელს სულ ასე არ გავლევ, — ამოიოხრა — ივლიანემ — ბატონიშვილის დავაქაცებამდე მივეყვები, მის წვრთნასა და სწავლას მოვრჩები და მთავრის ნებართვით სასახლეს დავტოვებ, შორეულ მყუდრო სავანეს მოვძებნი და განმარტოებულ სენაკში საუკუნოზე ფიქრითა და ზრუნვით დავასრულებ ამქვეყნიურ ცხოვრებას. უმჯობესი იყო სიყრმიდანვე შევდგომოდი ამ გზას, მაგრამ ზანდაზმულთაგანაც მიითვლის წრფელ ვედრებას და ცოდვათა შენდობისათვის ლოცვას

უფალი. არც ინდოეთის მეფის ძე იოდასათი იყო მცირე ყრმა, ტყვე და გვირგვინი, აურაცხელი სომღალა და ქონება რომ დანთმო ქრისტეს რჯულისათვის.

— ეგ როგორ იყო, მოძღვარო, — გამოიოცხლდა ცოტნე.

— მოგვიხბრე, მოძღვარო! ეგ ამბავი ღირსია გულისხმა საყოფლად შენი მოწყაფისა და უფლისგან დასჯილი მთავრისათვის.

— იყო ვინმე მეფე ქვეყანასა ჰინდოეთისას, ადგილსა, რომელსა ჰქვიან ბოლატ და სახელი მისი აბენეს, — დაიწყო ივლიანემ.

მამა-შვილი სულგანაბული უსმენდა. მოძღვარს სახეზე ნათელი გადადიოდა, თვალები უხილავი ცეცხლით უბრწყინავდა და ისე ჰყვებოდა ინდოეთის წარმართი მეფის აბენესის ერთადერთი ძის თავგადასავალს.

ძლიერსა და დიდებულ მეფე აბენესს ერთადერთი სადარდელი ის ჰქონდა, რომ მემკვიდრე არ ჰყავდა. ბოლოს ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და მისცა ძე-მემკვიდრე ტახტისა. მეფემ უფლისწულს იოდასათი უწოდა. მეფის ძის ბრწყინვალე მომავლის მათუწყებელთა შორის გამოჩნდა ერთი ბრძენი, რიგელმაც იოდასათს უწინასწარმეტყველა, რომ იგი უმაღლეს დიდებას მიაღწევდა, მაგრამ ეს დიდება იქნებოდა არა ამქვეყნიური და რომ მეფის ძე გახდებოდა სამეფოს მკვიდრთა წინამძღვარი ქრისტეს ჰეშმარიტი სარწმუნოების გზაზე.

შეშინებულმა მეფემ გადაწყვიტა წინადგომოდა წინასწარმეტყველების აღსრულებას. ტახტის მემკვიდრეს ცალკე სასახლე აუშენა და რომ იგი ქრისტიანებთან ურთიერთობისაგან დაცევა, მსახურებს უბრძანა უფლისწულის ახლო უცხო არავინ მიეშვათ.

იოდასათი წამოიზარდა და გონება გაეხსნა. იგი ვერ ურიგდებოდა ქვეყნისაგან მოწყვეტას და სასახლეში ჩაკეტილ ცხოვრებას. მამისაგან ქალაქში წასვლის ნებართვა აიღო და იქ პირ-

ველად შეხვდა სიკვდილს. იოდასაფი ფრიად შეაწუხა იმის გაგებაჲ, რომ ყველა ადამიანის ბოლო სიკვდილია და არაარობად ქცევა. დადარდნიანებულმა უფლისწულმა მოისურვა ღვთის იმ მსახურთა ნახვა, რომლებიც სიკვდილის შემდეგ საუქუნო ცხოვრებას აღუთქვამდნენ მორწმუნეებს.

ეს ამბავი შეიტყო უდაბნოში განდევნილად მცხოვრებმა, ქრისტეს რჯულის აღსარების გამო სასახლიდან გაძევებულმა, ერთ ღროს მეფის უახლოესმა დიდებულმა ბალავარმა. მან მოახერხა სასახლეში შესვლა, უფლისწულს ქრისტეს მოძღვრება უქადაგა და ქეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია.

იოდასაფმა გადასწყვიტა სასახლის დატოვება, ერისკაცობაზე ხელის აღება და ბერად დაყუდება.

შვილის დარდით სასოწარკვეთილი მეფე დღე და ღამ იმის ფიქრში იყო, რით მოებრუნებინა მემკვიდრე უფლისწულის გული ამქვეყნიური ცხოვრების სიამისკენ. ერთი ბრძენის რჩევით ხელმწიფემ იოდასაფს უმშვენიერესი ქალები მიუგზავნა. როგორ არ ეცადნენ ღამაში ქალები ქაბუკი უფლისწულის ცთუნებას, მაგრამ იოდასაფმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა, მათუნებელი დიაცები განიშორა და მამას აცნობა, რომ სასახლეს სტოვება და ბერად მიდის.

მეფემ სხვა ველარაფერი იღონა, მემკვიდრეს სამეფოს ნახევარ მისცა და ნება დართო, როგორც სურდა, ისე ემართა.

იოდასაფი თავის წილ ქვეყანას ბრძნულად გაუძღვა, ხალხი ქეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია, სამეფო გამდიდრდა და გაძლიერდა. ბოლოს და ბოლოს, თვითონ მეფე აბენესმაც იწამა ჭვარცხული და ქვეყანა მთლიანად გაქრისტიანდა.

როცა აბენესი გარდაიცვალა, იოდასაფმა თავის დიდხნის ოცნების განხორციელება გადაწყვიტა, სასახლე დასტოვა, უდაბნოში თავის მოძღვარ

ბალავართან ერთად განმარტოვდა და წმინდა ცხოვრებას შეუდგა. **ერისკაცობა** წმინდანად აღესრულა და საუქუნო სასუფეველი ჰპოვა ჩვენს მაცხოვარ უფალთან ერთად.

ივლიანე მოძღვარი გატაცებით ჰყვებოდა წმინდანის თავგადასავალს, უფლისწულის საცთუნებლად გაგზავნილი ქალების ეშმაკეულობის აღწერისას, ხმას იღაბლებდა და სახეზე ზიზღი ეხატებოდა; საღვთო იგავების მოთხრობისას, თავდაც სიამოვნებას განიცდიდა, ღიმილი ეფინებოდა და თითქოს ბალავარის რწმენის ძალა მასზე გადმოსულიყოს, აღგზნებული ქადაგებდა, ამაღლებული და თავდაჭერებული; წმინდანთა აღსასრულის გადმოცემა გაუძნელდა, ხმა გაებზარა და თვალი მოუწყვილიანდა.

— ცოდვა რამ თუ ჰქონდა ჩადენილი მემკვიდრე უფლისწულს, — იკითხა მცირე დემილის შემდეგ ფიქრში წასულმა ცოტნემ.

— უცოდველი იყო და უმანკო, ვითარცა კრავი, რადგანაც ამ ქვეყნის ბიწიერებას მოშორებული იზრდებოდა განცალკევებულ პალატებში. ამიტომ არ იცოდა არც ღროის სათვალავი, არც სიბერის უძღვრება, არც სიკვდილის არსებობა და გარდუვალობა.

— ცოდვა რომ ჰქონოდა ჩადენილი, შეიწყნარებდა უფალი იოდასაფს? და უმკვიდრებდა საუქუნო სასუფეველს?

— უფალი გულმორწყალეა და დიდსულოვანი. ქრისტე იტყვის: „ვითარ ჰგონებთ, თქვენ? კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცდეს ერთი მათგანი არამედ დაუტყვენსა ოთხმეოცდაათცხრამეტნი იგი მათათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი? და რა ეამს ჰპოვოს, იგი, ამინ გეტყვი თქვენ, უფროის უხაროდეს მის ზედა, ვიდრე ოთხმეოცდაათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცთომილ იყვნენ“. ცოდვილისაგან მონანიება და ქეშმარიტ გზაზე მოქცევა უფრო ახარებს თურმე უფალს. მრავალნი ყოფი-

ლან წარმართნი, რომელთაც უმეტრე-
ბით დაუთხევიათ ქრისტიანთა უმანკო
სისხლი, ხოლო შემდგომ თვალი ახე-
ლიათ, წრფელი გულით შეუნანებიათ
დანაშაული და წმინდანობით დაუმკ-
ვიდრებიათ საუტუნო ცხოვრება.

უფლის გულმოწყალების ამ უკა-
ნასკენლმა დასაბუთებამ ცოტნეს ფრთა
შეასხა.

თუ კი უფალი ქრისტიანთა სისხლის
დამღვრელ წარმართთა ლოცვასაც კი
იღებს ყურად და უმეტრებით ჩადენილ
ბოროტებას შეუნდობს, მით უფრო ად-
ვილად უნდა მიუტყვის შეუტყებელ
ყრმას უნებლიე ცოდვა.

მშობლები თითქმის ყოველ დღე
დადიოდნენ მთავარ საგვარეულო ტა-
ძარში და ცოტნეც თან დაჰყავდათ.

ყოველთვის, როცა ცოტნე თამარის
საფლავზე დამხობილ უღუ გადიას და-
ინახავდა, გული შეუქანდებოდა, სახე
აელეწებოდა და მაშინვე პირს მოიბ-
რუნებდა.

რაკი დის სიკედილი თავიდანე არ
დაიჭერა ცოტნეს გულმა და გონებამ,
ბატონიშვილი ბოლომდე უგრძნობელი
რჩებოდა იმ პატარა ბორცვის მიმართ,
რომელსაც თამარის საფლავი ერქვა.
ცოტნეს გონებაში თამარი ისევ ცქრი-
ალა გოგონად დარჩა, იგი ანგულოსებს
სადღაც გაჰყვია, სადაცაა დაბრუნდება
და ძველებურად ისევ ცოტნესთან ერ-
თად ირბენს და ითამაშებს.

გუგუტა კი... გუგუტას გახსენება
სხვა იყო. მისი დედის დანახვა მივიწყ-
ებულ ტყვიელს აუშლიდა ხოლმე, და-
ნაშაულში თავის მონაწილეობას ახსე-
ნებდა და ქენჯნიდა.

იმ დღესაც, ტაძრის ეზოში შეაბიჯა
თუ არა, თვალი პირველად უღუ გადი-
ას წააწყდა.

ნამტირალევი, სახედაკაწრული უღუ
თამარის საფლავთან იჯდა. ცრემლგამ-
შრალი თვალით ერთხანს სადღაც უაზ-
რო დაჭინებით იცქირებოდა. მერე ის
უაზროდ მზირალი თვალები ცოტნეს
წააწყდნენ და უცებ გამოცოცლდნენ.

— ბატონიშვილო! მოდი, თოლიგე,
შენთან ძმად შეზრდილი მქნნე და შენს
დაიკოზე გადაგებულ გუგუტას იტყვი!
— შეჰკივლა უღუმ და ხელები ისე გა-
შალა, თითქოს გულში უნდა ჩაეკრა
ტაძრის გაღავანში შემოსული, მოუ-
ლოდნელი შეხვედრით შემცბარი ცოტ-
ნე.

ბატონიშვილს ფეხი დაებორკა, კარ-
გად ხედავდა, რომ ძიძის მკლავები მის
მოსახვევად იყვნენ გაშლილი, მაგრამ
ნაბიჯი ვერ წადგა, შემერთალმა თავი
ჩაღუნა და თვითონაც ვერ გაიგო, ვინ
მიიღო მის მაგივრად ეს გადაწყვეტი-
ლება: უცებ ადგილიდან მოსწყდა და
ეკლესიაში შევარდა.

ეგებ გაგონილი ჰქონდა სოფლის წე-
სი და კანონი: თუ დამნაშავემ ეკლესი-
აში შეასწრო, მღევრებს უფლება არა
აქვთ მისი ხელყოფისო. იმ წამს, როცა
ტაძრისკენ გაიქცა, ეს წესი არ გახსე-
ნებია; ყოველ შემთხვევაში, მისი გაქ-
ცევა გაუაზრებელი და გაუცნობიერე-
ბელი იყო და გონების კარნახით არ
მოიხდარა.

გულამოვარდნილმა სული ძლივს მო-
იბრუნა და თვალი ფეთებით მოავლო
იქაურობას.

ცარიელ ტაძარში იღუმალეებით საე-
სე სინთუმე იღგა. საცოდავად მძქუტრავი
ორიოდე სანთელის შუქი ფანჩრებიდან
უხვად შემოსულ ნათელში იკარგებო-
და.

ტაძარში დასადგურებულმა სიცივემ
და სინთუმემ დამშვიდების მაგივრად კი-
დეც უფრო შეაერთო ცოტნე.

იღგა საყდრის კედელს აკრული და
არ იცოდა რა ექნა.

— ებე-ჰევე... — გაისმა უცებ ზემო-
დან ომახიანი ძახილი.

ცოტნე კინაღამ შეხტა.

თვალი მალა აღაპყრო: გუმბათ
ქვეშ, ხარაჩოებზე მხატვარი იწეა გუ-
ლალმა. ხელთ ფუნჯი ეპყრა და კონქზე
გამოხატული მაცხოვრის კაბას საღე-
ბავს ადებდა.

— მანდ რომელი ხარ? — იკითხა

მალლიდან მხატვარმა და ხარაჩოზე წამოიწია.

— მე ვარ, ძია მახარებელ, ცოტნე ბატონიშვილი, — შესძახა დაბლიდან ცოტნემ, თავი გუმბათისკენ მოიღერა და ტაძრის შუაგულისკენ დაიძრა.

— ბატონიშვილს გაუმარჯოს! — მიესალმა სახეგაბადრული მხატვარი. იგი ახლა უკვე ხარაჩოზე იჯდა, საღებავით გათხუპნული ხელები მუხლებზე ეწყობდა და ქვევით კეთილად გაღიმებული იყურებოდა.

ცოტნე თვალმოუცილებლად შეჰყურებდა გუმბათზე მოხატულ ქრისტეს. მაცხოვარს ცალი ხელი ჯერის გადმოსასახავად ჰქონდა აღმართული, მეორეში გაშლილი წიგნი ეხურა და მშვიდობიანი, გრძელი, დიდრონი თვალეზით ყოვლის შემნდობად იციქრებოდა ღრუბლებიდან.

ყმაწვილის აღგზნებული მზერა აღტაცებასა და გაოცებას გამოხატავდა.

— მოგწონს, ბატონიშვილო? — გამოეხმაურა მხატვარი.

ცოტნემ არაფერი უპასუხა, წამით მაცხოვარს თვალი მოაშორა და მზერა ოსტატზე გადაიტანა.

— ამობრძანდი, ბატონიშვილო... არ გინდა მალა ამოსვლა?

ცოტნე გამოიოცხლდა და უმაღვე დააიწყდა არა მარტო სულის წედანდელი შეშფოთება, რომელმაც აქ შემოაგდო. მისთვის ერთ წამში გაჰქრა გარესამყარო და მალლიდან მზირალი მხატვრისა და უფლის შემოქმედი ძალის გამონაერთომით მოქადოებულ ხარაჩოებისაკენ დაიძრა.

— ფრთხილად ამოდი, მანდ არაფერი მოიწიოს!

— მოვდივარ, ძია მაკარიოს

— რამდენჯერ უნდა გითხრა, მაკარიოსი კი არა, მახარებელი ვარ, — საყვედურით თქვა მხატვარმა, უკვე ზემოთ ასულ ცოტნეს ხელი გაუწოდა და იმ ხარაჩოზე გადაიყვანა, სადაც თვითონ იჯდა.

— ერთხელაც გითხარი, მაკარიოსი ბერძნებმა დამარქვეს, მახარობელის გა-

მოთქმა გაუქირდათ და სახელი თავიანთებურად გადამიკეთეს. დაჯექ, გვერდს სუფთა ლეიბია, — ოსტატი გაიწია და ლეიბზე ადგილი დაუთმო.

ცოტნე ხარაჩოზე ასვლისთანავე კონქში გამოხატული მაცხოვრის ქვეშ მოექცა. დაბლიდან ამოდენა როდი ჩანდა ჰაცხოვარი. მისი ცისფერი სამოსი ახლო უფრო ღურჭი ეჩვენა ცოტნეს. ცალი ხელი მეორესთან შედარებით, ცოტა არ იყოს წაგრძელებული ჰქონდა, ჯერ კიდევ შეუშრალი საღებავები სიმძაფრით თვალს სჭირდნენ. თვალეზი, წედან რომ სიმშვიდისა და სათნოების ფრქვევით იზიდავდნენ, უჩვეულოდ დიდი ზომისა აღმოჩნდნენ. საღებავები ისე სქლად ედო ნახატს, სიშორისა და ჰაეროვნების წედანდელი შთაბეჭდილებისაგან, თითქმის აღარაფერი რჩებოდა.

— ძია მაკარიოს...

— მახარებელი, რამდენჯერ უნდა გითხოვო!

— ძია მახარებელ! მაცხოვარს ცალი ხელი მეორეზე დიდი აქვს?

— აჰა, შეამჩნიე, არა? ეგ წინასწარ ეგრეა მოფიქრებული, შორიდან საცქერლად არის გამოანგარიშებული, ბატონიშვილო. ერთი და იგივე საგანი ახლო სხვაგვარად ჩანს, შორიდან სულ სხვაგვარად, ამის ხელოვნება ვენეციაში ვისწავლე, იქაური ოსტატებისაგან. განა დაბლიდანაც მეტნაკლები გეჩვენებოდა ხელები?

— არა, არ შემიმჩნევია.

— ვერც შეამჩნევდი. ამ ხელის მოძრაობას ეგ ზედმეტი სიგრძე სჭირდება დაბლიდან საცქერლად, მანძილი და ხედვის კუთხე მაგ ზედმეტობას ამცირებს და ჩვეულებრივ ზომად აქცევს. ფერებიც აგრეა, ერთი და იგივე საღებავი ახლოდან სხვაგვარად ჩანს, შორიდან კი სულ სხვანაირად, მანძილი აღიდებს, ან ამცირებს ფერების სიმძაფრეს.

— რამოდენა თვალეზი ჰქონია ქრისტეს! წედან ისე აღერსიანად მიყურებდა, მეგონა თავისკენ მეძახდა და აქ მი-

სი თვალების მიზიდულებით ამოვედი. ახლა კი ზედაც აღარ მიყურებს, თითქოს ველარც მხედავს.

— ეგვეც ეგრე უნდა იყოს. მაცხოვრის მხერაც მანძილზე და სიმალღეზეა ნაანგარიშევი. ტაძარში მლოცველთა თვალი გუმბათისკენ არის მიპყრობილი. იქ გამოხატული უფალი ყველას უნდა უცქერდეს, ყველას უნდა უნაწილებდეს ნუგეშსა და წყალობას. ჩემი მაცხოვარიც ეგეთია, ტაძრის რომელ კუთხეშიაც უნდა დადგე, თვალს არ მოგაცილებს. ადრე, შენოდენა რომ ვიყავი, მეც ეგრე მიკვირდა ყველა მხარეს ერთგვარად როგორ უცქერის-მეთქი. მერე, როცა კონსტანტინოპოლსა და ანტიოქიაში, იერუსალიმსა და ვენეციაში დაკვირდი იქაური დიდოსტატების ხელოვნებას, მათ გვერდით ვიმუშავე და მათ რჩევა-დარიგებას ყური მიუუხუჯარი, მეც თვითონ ჩაეწვდი ხატვის ბევრ საიდუმლოს.

— იქაც მაცხოვარს ხატავდი, ძია მახარებელ?

— მაცხოვრებსაც და ღვთისმშობლებსაც, ანგელოსებსაც და ეშმაკებსაც.

— ეშმაკებსაც? — გაიოცა ცოტნემ.

— ეშმაკებსაც! უეშმაკებოდ არც მხატვრობა შეიძლება და არც ცხოვრება, საერთოდ ადამიანი სიკეთისა და ბოროტებისაკენ ერთგვარად არის მიდრეკილი. სიკეთისაკენ ანგელოსები მიმართავენ ადამიანებს, ხოლო ბოროტებისათვის ეშმაკები აღძრავენ ხოლმე. ეშმაკმა აცთუნა ევა და იმ დღიდან ადამის შთამომავლობა ყოველგვარ ცოდვას იმავე ეშმაკის ჩაგონებით სჩადის. სადაც ანგელოსი არ არის, იქ ეშმაკს რჩება ბურთი და მოედანი.

— გრნახავს ეშმაკი, ძია მახარებელ?

— აია. ცოცხალი, ეშმაკი, კუდიანი და რქებიანი, აი ისეთი, როგორსაც ხატავენ, ცხოვრებაში არ მინახავს, მაგრამ ჩემს გრძელ გზაზე ბევრ ეშმაკს გადაყვრივარ და ბევრსაც ვუცდუნებოვარ. გამოთხიზლებული ეშმაკს ვემიჯნებოდი, ცოდვას ვინანიებდი და ჭეშმარიტების გზაზე დამდგარი ვიყავი.

რიტების გზაზე დამდგარი ვიყავი. ვიხედებოდი, რადგან ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილად მოსაგონარი დღეები ეშმაკის ცთუნებას აყოლილს მქონდა გატარებულნი. ქვეყნად რომ ეშმაკი და ცთუნება არ ყოფილიყო, კაცის ცხოვრებას ენბი და სიამე მოაკლდებოდა, სიცოცხლე ერთფეროვანი და მოსაწყენი იქნებოდა. სამყაროს შემქმნელმა ღმერთმა ეს კარგად იცოდა საკუთარი გამოცდილებით. და ის, რაც თვითონ აკლდა, თავის ქმნილებებს მიანიჭა. თავად ღმერთი შორსა დგას და თავისუფალია ყოველგვარი ამქვეყნიური სიამისა და ცთუნებისაგან, თავისი ბუნების ამ ნაკლის შესაქცევადად უფალმა ეშმაკები გააჩინა და ადამიანებს მიუჩინა შესაცდენად. მას შემდეგ, რაც ეშმაკმა ადამი და ევა აცთუნა, მათმა მოღვაწემ ეშმაკის ჩაგონებით, არაერთხელ იგემა სიმწარე. ადამიანი მიხვდა, ეშმაკის ცთუნებას არ უნდა აპყროლოდა და წინ უნდა აღდგომოდა, მაგრამ იგი უძლური აღმოჩნდა, რადგან ეშმაკის წინააღმდეგ ბრძოლა, თვითონ უფლის წინააღმდეგ ბრძოლაა. უფალმა ეშმაკი რომ გააჩინა, მის ცთუნებებს თან უღიდესი სიამე დაეყოლა და ისე მოაწყობდა, ვინც ერთხელ იმ ცთუნებას დაჰყვებოდა, მის სიტუბოს ველარასოდეს დაივიწყებდა, ახალს და ახალს მოინდომებდა. მწარე ბოლოა ეშმაკისა, ცთუნების შედეგი და ნაყოფი, თორემ იმ ცთუნების დასაწყისი და განცდა გემრიელია და უაღრესად მიმზიდველი. ღმერთი არამართო ითმენს ეშმაკის საქმიანობას, არამედ სამყაროსათვის, ცხოვრებისათვის, აუცილებლად მიაჩნია მისი არსებობა და მოქმედება და ამიტომაც ანგელოსების მსგავსად ეშმაკსაც უყვდავება, სამარადისო სიცოცხლე მიანიჭა.

ეშმაკი ღმერთს ემორჩილება, მაგრამ რის ეშმაკი იქნება, თავის ბედს შეურიგდეს, რაკი უფლის მიმართ სხვა ვნება ვერ მოგონა, ადამიანებს ღვთის მიბაძვა ჩააგონა, ღვთისგან თანდაყოლილი ნიჭი გაუღვიძა და უფალს გააჯიბ-

რა. ნიკვალციბებული ადამიანი დაავადებულია, სჯერა, რომ ისიც ღმერთით შემოქმედია, მას თვითონ შეუძლია თავისი სამყაროს შექმნა და ამიტომ თვითონაც უკვდავია. ადამიანს თუ ეს რწმენა ძვალსა და რბილში გაუქდა, მეტრე მისი საშველი აღარ არის: ან ქვეს ებრძვის და უფლის მიბაძვით უსახო ლოდისაგან ღვთის ქმნილებების მსგავსი სახეები გამოჰყავს, ან ხაზებისა და ფერების შერწყმით, სიტყვათა მწყობრი დალაგებით, თუ ხმათა და ჰანგთა შეერთებით ქმნის იმის მსგავსს, რაც ღმერთმა შექმნა, რასაც ვხედავთ და რაც გვესმის. ეშმაკს ჰგონია, ამით უფალზე შურს იძიებს, მაგრამ ყოვლის შემოქმედ ღმერთს ადამიანთა ეს გაჯიბრება ყმაწვილთა თამაშად და მღერად მიაჩნია, მათი ამო წვალებით ერთობა და მათ უძღურებაზე ეცილება, რადგან შემოქმედის ნიჭით დაავადებულ ადამიანებს თან ერთი ავადმყოფობაც აქვთ — ისინი თავიანთ შთაგონებაში სრულყოფისაგან ისწრაფვიან, სრულყოფა კი უფლის თვისებაა და ადამიანისათვის მიუღწეველია. ნიჭიერთაგან უნიჭიერებებს ამ ადამიანური უძღურების შეგრძნება, საკუთარი ძალისა და შესაძლებლობისადმი ეპკვი მუდამ თან სდევთ, გულს უღრღნიან. აუესებელი საწყაულოებით მუდმივი დაუწყაყოფილებლობის გრძნობა დაუცხრომლად წინ მიერეკებათ, მიუწვდომლის ღვენასა და მოუბოვებლის დაუსრულებელ ძებნაში ხარჯავენ სიცოცხლის საუკეთესო წლებს და ბოლოს, თვალის სამუდამოდ დახუჭვის წინ ხედებიან, რომ ღმერთთან გატოლება მხოლოდ თავის მოტყუება იყო და, რომ ქვეყნად ერთადერთი უკვდავება არსებობს უზენაესის, თავად ქვეყნის შემქმნელის უკვდავება. ეს სიმართლე მწარე სიმართლეა და ვაი იმ უბედურს, ვინც ჩემსავით აღრე მისწვდება და გაიგებს მას.

ცოტნე ყურს უკვდება, მაგრამ მხატვრის ნათქვამისაგან ძალიან ცოტა წვდებოდა მის ცნობიერებასა და გაგე-

ბის უნარს. თავისი მუშაობითა და ენაწყლიანობით გაართულმარტულმარტული თითქოს მის მიერვე დახატული ღმერთებისა და ეშმაკების გასაგონად ყბედობდესო, სულაც არ დავიდევდა ბატონიშვილის ყურადღებას.

ცოტნე ხარაზოზე ჩამოქდა და ჩაახველა. მხოლოდ მაშინ გაახსენდა მხატვრებელს თავისი მსმენელი.

— ლეიბზე დაჯექი, ბატონიშვილო, სუფთაა, — თქვა წამით თავშემობრუნებულმა ოსტატმა, ისევ კედლისკენ შეტრიალდა, ხატვა განავრძო და საღერღელაშლილმა გაწყვეტილი მსჯელობა გააგრძელა:

— აგერ იმ კედელზე მყავს გამოხატული ქვეყნის შემქმნელი უფალი, — თქვა და ლაპარაკის ეშში შესულმა ხელი მოპირდაპირე კედლისაგან გაიშვირა.

ცოტნე იმ კედელს მიანერდა: შიშველი ფეხებით ღრუბლებზე მიმავალი მამალმერთი ცალი თვალით ცოდვილი მიწისაგან იხედებოდა. უდაბნოში დაყუდებულ ბერს ეშმაკი ულაშაზესი ქალის სახით მოვლენოდა და აცთუნებდა.

— ხედავ, როგორ ტყებმა უფალი ღმერთი ადამიანის ცთუნებით? კაცის გული და გონება, სხეული და სული ერთიმეორეს ებრძვის. ღმერთს სულ არ აღარდებს, რომელი გაიმარჯვებს, სული დაძლევეს, თუ ხორცი; იგი ადამიანის ამ საამო ტანჯვით ტყებმა, რადგან თვითონ მოკლებულია ტანჯვის განცდას, ამიტომ უცქერის, ვითომცდა ცალი თვალთ ამ ამაღლევებელ სურათს, სახეზე თავათაც მაცთურს ღიმილი უთამაშებს და სხვის ტანჯვას ატანს გემოს. მამალმერთი ფარისეველია და ორპირი. ერთი ხელით რომ ანგელოსს ქმნიდა, მეორეთი ეშმაკს ძერწავდა. მას უფლება არ ჰქონდა დაესაჯა ადამი და ევა, ან დაეგმო კენის ცოდვა, რადგან ერთიცა და მეორეც მისგანვე შექმნილი ეშმაკის ცთუნებითა და ჩავონებით იყო ჩადენილი და, როცა ღმერთი ეშმაკს აჩენდა, ამ ცოდვათა გარდუვალობას მაშინვე გულისხმობდა. რაკი ადამიანის

თმის ერთი ბეწვის ჩამოვარდაც კი უფლის ნებასურვილზეა დამოკიდებული, ადამიანის მიერ ჩადენილი ყველა ცოდვაც განგებისაგან წინასწარ განსაზღვრულია და ღმერთს იმისი გმობის უფლება არ უნდა ჰქონდეს, რაც თვითონვე დაუწესებია. ამიტომ არ მიყვარს მამალმერთი. ღმერთი და უფალი იესო ქრისტეა, მართალი და გულმოწყალე. იგი თავისივე მსგავსი ადამიანების სახსენლად ეწამა, ბოროტი და ბიწი ჰგმო და უსამართლობას შეებრძოლა. მამალმერთივით ორპირად კი არ მოიქცა იესო მაცხოვარი, შემცოდენი ამხილა და მონანიების გზა აჩვენა; ფარისეულებს ომი გამოუცხადა, ჩვენი ცოდვები იტვირთა და უფლის წინაშე თავდებად დაგვიდგა. ქრისტეზე კეთილშობილი და წმიდა, ადამიანური და ამაღლებული ქვეყნად არც ერთი სარწმუნოების შემქმნელი არ ყოფილა. ამიტომ მიყვარს ტანჯული იესო და ამიტომ ვოცნებობდი სიყრმიდან ჯვარცმულის შემქნაზე. მამა ხუცესი მყავდა და დედა უსწავლელი, მაგრამ ღრმად მორწმუნე. პატარაობიდან ქრისტეს მიყვარულს მინერგავდნენ და შენს ტოლობამდე გულწრფელად მწამდა, რომ ერთადერთი ჰეშმარიტი სარწმუნოება ქრისტეს სარწმუნოება იყო. ბავშვობა ბედნიერი მქონდა და თითქმის უზრუნველი. ღვთისმშობისავე მშობლები სულ იმას ჩამაგონებდნენ, ქრისტესავით კეთილი და შემბრალე, ღარიბთა და ობოლთა გამკითხველი, უძლურთა და მიუსაფართა მფარველი ცყოფილიყავი. სახარება ზეპირად ვიცოდი და ცხადში ქრისტეს სჯულისათვის თავგანწირვის მეოცნებე, სიზმრად ჩემ თავს ჯვარზე გაკრულს ვხედავდი. ბავშვობასთან ერთად რატომღაც, ის ნეტარი სიზმრებიც დამთავრდა. შემდეგ სიკაბუჯეში და ვაჟაკობაში შესულს აღარასოდეს მომბრუნებია სიყრმის ის ზმანებები. ვედილობდი წარმოსახვით, ოცნებით აღმედგინა და გამეცოცხლებინა ბავშვობის ის სიზმრები, მაგრამ ამაოდ... შენ თუ დაგსიზმრებია ქრის-

ტე, ბატონიშვილო, ან მაცხოვრის ადგილას თუ წარმოგიდგენია შენთან თავი ჯვარცმულად? — მოულოდნელად მიმართა კითხვით მხატვარმა ცოტნეს.

— ქრისტე?... არა... მე ამირანი მესიზმრება ხოლმე.

— ოო, ამირანი დიდი გმირი იყო, მაგრამ ქრისტეს მსგავსი გმირობა ჯერ არავის ჩაუდენია ამქვეყნად. არა სხვისი მოკვლა და სხვათა ძლევა არის ქრისტეს გმირობა, არამედ სხვათა გადასარჩენად, სხვათა დასახსენლად თავგანწირვა და ჯვარზე ასვლა.

ქვეყნის შემქმნელი ღმერთი ცივია და ადამიანის ბედისადმი გულგრილი. მან მხოლოდ დასჯა იცის მის მიერვე გაჩენილი ცოდვებისათვის. იგი სხვათა ცოდვას არასოდეს იტვირთებს და შემცოდეთა გადასარჩენად ქრისტესავით თავს არ გამოიდებს. ჩვენი ქომაგი და მფარველი ქრისტეა, ამიტომ უნდა შეიყვარო იესო მაცხოვარი... ხომ გიყვარს ქრისტე-ღმერთი, ბატონიშვილო?

— მწამს და მიყვარს, ოსტატო!

— ჰოდა, ეცადე, მას მიბაძო და მასავით სხვისთვის ეწამო. სხვათა გადასარჩენად ჯვარცმისა არ შეგეშინდეს. ეცადე ეგ რწმენა არასოდეს დაკარგო და მოიშალო. რწმენის დაკარგვა ადამიანისათვის ყველაზე დიდი უბედურებაა. ამ ქვეყნად რამე უნდა გწამდეს მტკიცედ და ექვემდებარებულად. დიდი საქმის გაკეთება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც მთელი არსებით სწამს რაიმე. ადამიანს უნდა უყვარდეს, მთელი არსებით უნდა უყვარდეს და იმას როდი აქვს მნიშვნელობა, სხვა როგორი თავლით შეხედავს მის სატრფოს, ლამაზად მოეჩვენებათ იგი თუ მახინჯად. სხვადასხვა რწმენისა და მიზნის ადამიანებთან ურთიერთობამ, თუ ბედმა, ჩემი ცხოვრების გზა ისე წარმართა, რომ გულწრფელობა და კაცთა მინდობა ადრე დავკარგე, სხვების სარწმუნოება ბოლომდე ვერ ვიწამე და ამასობაში ჩემიც დავთმე. სხვის რწმენაზე და საქმეზე ქირქილი ადვილი ყოფილა. ძნელი რწმენის განმტკიცება და რაიმეს შექმ-

ნაა თურმე. რაც რწმენა შემერყა, სულერად დაეცარიელდი, გავფექსავატ-ლი და დიდი შემართების სურვილიც ნელნელა დაეკარგე. ადრე სულ იმას ვოცნებობდი — ქრისტეს ჟვარცმა და მებატა ისე, რომ მისი ტკივილის სიმწვავე და ტანჯვის სიამე მეც განმეცა-და და მნახველისთვისაც განმეცდევინებინა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ შევ-ბედე. ყრმობის სიზმრებმა დამტოვეს და ქრისტეც აღარ მეცხადებოდა. მა-ცხოვარი ისევე მიყვარდა, მაგრამ მხო-ლოდ გონების ძალით და არა პირვან-დელი უშუალოებით. თუ გონების ძა-ლას პირველზილის გულწრფელობის მადლი არ ახლავს, ისე შემოჭმედი ღიღსა და მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის. ერთხელვე სულიერად გათა-ლითებული, ჩემი ოცნების განხორცი-ვლებას გავტრბოდი, ქრისტეს ვხატა-ვი, მაგრამ არა ჭვარზე გაკრულს, არა ისეთს, როგორსაც ჩემი ბავშვობის სი-ზმრებში ვხედავდი. სამაგიეროდ, თვი-თონ უფალი ღმერთის სრულყოფილე-ბაში დავიწყე ძებნა ნაკლისა და დაუმ-თავრებლობისა და ბევრი წინააღმდე-გობაც აღმოვაჩინე. უფალი ღმერთი თავისისავე თავს ეწინააღმდეგება ხში-რად, იმის მაგივრად, რომ დაიცვას თა-ვისი ქმნილება — ადამიანი, იგი ეშ-მაკს მიუჩენს ხოლმე იმავე ადამიანს შესაცდენად, იმის ნაცვლად, რომ ეშმა-კის ცთუნების მსხვერპლი შეიწყნაროს და ცოდვისაგან განწმინდოს, უფალი სასტიკად სჯის მას და უფრო მეტად იშორებს თავისგან. ამიტომ მეჩვენება მამალმერთი ორპირად და თაღლითად და ამიტომ დავამსგავსე იგი მაგ ნახატ-ში ერთ ჩვენს...

თითქოს წამით გამოერკვაო, მახარე-ბელმა უცებ დააპირა ენას კბილი და სმენადქვეულ ბატონიშვილს შეშინე-ბულმა მოხედა.

ცოტნე პირდადებული უსმენდა. ეტ-ყობოდა, მხატვრის ნათქვამიდან ბევრს ვერ ვებულობდა; მაგრამ რაღაც თამაშ-სა და დამაფიქრებელს რომ ამბობდა, ამას კი ხვდებოდა.

— სისულელეებს ვლაცობ, თავს ვაბეზრებ, — თქვა და ხელი მარჯვენა მახარებელმა, — შენ ჯერ კიდევ უწვო-თნელი ყრმა ხარ და ამას ვერ გაიგებ, ბატონიშვილო, არ გინდა და ნურც ნუ-რასოდეს ეცდები, რომ ღმერთებისა და ადამიანების ურთიერთობაში გავრკე-ვი, სიკეთეს არაფერს მოგიტანს, ტყუი-ლად სულის სიმშვიდესა და მოსვენე-ბას დაეკარგავ. იქამდე ღმერთი, როგორც შენი მოძღვარი გასწავლის და უფლის აეკარგის გამოძიებას ნურასოდეს ეც-დები.

— ვის დავამსგავსეო, როგორ თქვი, ძია მახარებელი? — იკითხა მოულოდ-ნელად ცოტნემ და მხატვარი შეცბა. იგი მიხვდა, რომ ბატონიშვილს მისი უკანასკნელი სიტყვებისთვის ყური არ უგდია და აქამდე წელან დაცდენილ ნათქვამზე ფიქრობდა.

მახარებელმა შეშინებული თვალები იქაურობას მოავლო და სახეზე ნაძალა-დევი ღიმილი გამოისახა.

— არავის... არც არავის... ღმერთს ვის დავამსგავსებდი! მე ეგ არ მითქ-ვამს... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა მახარებელი და არხეინი გამომეტყვე-ლებით ცდილობდა შინაგანი შეშფო-თების დაფარვას.

ცოტნე დაფიქრებული უსმენდა, ატ-ყობდა მხატვარი რაღაცის დამალვასა და მიფუჭუნებას ცდილობდა. * მაგრამ წამოცდენილ სიტყვას ძირამდე ვეღარ ჩაეძია.

— სხვა ტაძარი თუ გაქვს მოხატული ჩვენში, ძია მახარებელი? — იკითხა ცოტნემ და მხატვარს გულზე მოეშვა.

— სხვა ტაძარი? როგორ არა. სამ-შობლოში დაბრუნებისთანავე მოვხატე ერთი ტაძარი, ვიდრე ამ ტაძრის აშე-ნება დამთავრდებოდა, უსაქმოდ ხომ არ ვიქნებოდი? მთავარმა მთაში წა-მიყვანა და მიუვალ ხეობაში ჩაკარგუ-ლი ერთი მონასტერი მომხატვინა. დრო ბევრი მქონდა და კარგა ხნის დას-ვენებული, მუშობას მონატრებული ვიყავი, შთაგონებული ვხატავდი და კარგიც გამომივიდა. მაგრამ სანანტრად

ესა მაქვს, ის მონასტერი ისეთ მივარდნილ ადგილასაა, წელიწადში ერთი კაციც არ მოაკითხავს. ვისთვის ვქმნიდა ჩემს იმ საუკეთესო ნამუშევარს, მე თვითონ არ ვიცი, მნახველი მას არ ეყოლება და დამფასებელი. მონასტრის წინამძღვარმა, მთავარყოფილმა და მეფის ნავაზირალმა ვარდანმა კი იცის მხატვრობის ფასი, მაგრამ...

— ეგ რომელი ვარდანია, ბიძაჩემი ხომ არა?

მხარებელმა ისევ იკბინა ენაზე, მაგრამ გვიანლა იყო ნათქვამის გადათქმა.

— დიხ, ბიძაშენი, მეფის ეაზირი და ოდიშის მთავარი. ოდიშართაგან სხვას ესოდენ დიდი პატივი არავის რგებია და არც მისებრ ვინმე აღზევებულა: მეფეთმეფე თამარს თავის დროზე ერთგული სამსახურისთვის დიდად გაუძლიერებია ვარდან დადიანი, იმ ზომამდე, რომ სომხეთში მამულები და სიმგრით განთქმული კაიფონის ციხესიმაგრეც კი უბოძებია. შემდეგ, როცა მთავარი მეფეს ორგზის გაორგულებია და გიორგი რუსს მიმხრობია, თამარის ერთგულ ეაზირებს ბრძოლაში დამარცხებულნი დიდებულის სასტიკი დასჯა მოუთხოვიათ. ბრძენსა და გულმოწყალებე თამარს ნავაზირალი საექსორიოდ და სასიკვდილოდ ვერ გაუმეტებია. ვარდანი ბერად შედგომის ნებართვას შემოხვეწია და მეფეს მისი აჯა შეუწყნარებია. მიუდგომელ ხეობაში გადაკარგულ მონასტერში დაყუდების დასტური მიუცია და მთავრობა ვარდანისავე უმცროსი ძმისთვის, მამაშენისთვის დაუმტკიცებია.

— შორს არის აქედან ბიძაჩემ ვარდანის მონასტერი?

— აქედან არც ისე შორს არის, ოღონდ ცუდი გზებია, საცალფეხო ბილიკებით უნდა იარო და ისიც სულ ტყე-ტყე და კლდე-ღრეებში გამავალი გზაწერილებით. ძნელი მისასვლელია, მაგრამ თუ მიხვალ იტყვი, ნამდვილად სამოთხეში მოვედიო. იმის ულამაზესი ადგილი დედამიწის ზურგზე არსად იქნება. ბზისა და უთხოვარის ტყეებით

დაბურულ ხეობაში პატარა ხერთვისი ადგილია. ორი მდინარის შესართავთან მდებარე პატარა ეუნძულში წალკოტისა ჰგავს. იმ წალკოტის შუაგულში უზარმაზარი კლდეებია ამართული. კლდეებში მონასტრის ქვაბებია ნაკვეთი და მერე როგორი ხელოვნებით! საყდრები და საშლოცველოები, დარბაზები და სენაკები, ბელღები და ჭურ-მარნები იმდენია, დაიკარგები. იმ ბნელი კლდის გულში კამკამა წყაროს აუხებია. მართომყოფთა სენაკები წესისამებრ ცივია და უშეო, მაგრამ მთავარ საყდარსა და დარბაზებში სინათლეს უხვად არის და მზის მხურვალეცაე საგრძნობია. მე თვითონ განცვიფრებული შევყურებდი კლდის მაღალ თაღებს და ამოდ ვეძებდი იმ თვალითუხილავ ხერვლებს, საიდანაც მონასტრის მშენებლებს ასე ოსტატურად შემოეყვანათ დღის სინათლე. ის ქვაბები ხომ საყვირვლებია, მაგრამ მონასტრის ყველაზე დიდი საოცრება თავად წინამძღვარია. ეს დროული კაცი, მეფის კარის პირველ დიდებულად ნამყოფი ნავაზირალი, ახლა წმინდა ცხოვრების გზაზე შემდგარი ბერი, ყოვლის მცოდნეა და ყოვლის მნახველი, მას არც ამქვეყნიური დიდება აკვირვებს ვისმესი, არც დამცრობა და დამხობა. ყველაფერს გულგრილად უყურებს და ყოველივე ამაოებათა ამაოებად მიიჩნია. ამიტომ აესა და კარგს ერთნაირად დამცინავი ღიმილით უცქერის ჩემს მიერ აქ დახატული მამღმერთივით.

მხარებელმა ხელი ისევ მოპირდაპირე კედლისკენ გაიშვირა და მამიწვეგონს მოგვო, ენას კბილი დააჭირა. მღელვარების დასათარადად, სხვა რომ ველარაფერი იღონა, ფუნჯი საღებავში ჩააწო და გულელმა დაწვა. საღებავი სქლად დაადო ორგან თუ სამგან, სული მოითქვა და ზურგზე გაწოლილმა განავარდა:

— სისულელეებს ვროშავ, შენ ყველაფერს ნუ კი გამიგონებ, ნურც ყველაფერს მიითვლი სიმართლედ. ზოგჯერ ხუმრობას გამოვურეე ხოლმე და

შენ ნაღდ ნათქვამად არ გაიგო. რა ექნა, ხანში შევედი და ზოგჯერ ხუმრობით ემსუბუქებ სიბერის ტვირთს.

ცოტნეს დაღლილობა და ძილი ერთად მოეძალა. მხატვრის გაუთავებელმა, სანახევროდ გაუგებარმა მსჯელობამ უმაწილი მოჰქანცა და გააბრუა. ხარაზოზე დაკვებულ ლეიბზე დაჭდა, მერე მხატვრებს ძილად მიღრეკილი თვალით გახედდა და მოქნარებით იკითხა:

— შეაძლება წამოვწყვე?

— თუ კი ინებებ, ბატონიშვილო, რა საკითხავია! ოღონდ ლოგინის სიღარიბისთვის ნუ დამძრახავ, ვიცო თქვენი საკადრისი არაა, მაგრამ...

ცოტნეს უკვე მისი აღარ ესმოდა. პასუხის მიღებამდე თავი პატარა ყურბალიშზე მისდო და შამინევი მიეძინა.

— ჩემისთანა მოხეტიალე მხატვრები ლბილ ლოგინზე დიდად არ ზრუნავენ. ეს ლეიბები იმიტომ მაქვს, ხატვის დროს ხმელ ფიცარზე გულადმა წოლა მივირის...

მხატვრებმა ბატონიშვილისკენ გამოიხედა და უმალვე დადუმდა, მერე ფრთხილად წამოდგა, ლურსმანზე დაკიდებული ნაბადი ჩამოიღო და ყმაწვილს დაახურა.

სიზმარი ნახა ცოტნემ: მეფის ტახტზე იჯდა და თავს ოქროს გვირგვინი ეღვა. დარბაზში მუსიკის საამო პანგები იფრქვეოდა და ნახევრად შიშველი ლამაზი ასულები ცეკვავდნენ. მსახურებს ნაირნაირი კერძები და სასმელები მოჰქონდათ; პირველად ცოტნეს წინაშე იყრიდნენ მუხლს და სთავაზობდნენ. ცოტნე გულგრილად დახედავდა მირთმეულს, ტკბილეულს ცოტას მოციქნიდა, შარბათს ოდნავ მოსვამდა და უმაღოდ, უგულოდ შეექცეოდა. კადებით გაბრწყინებულ სასახლეში ბული იდგა. ჰაერი თანდათან უფრო ხურდებოდა, სიცხე მატულობდა და სუნთქვა ძნელდებოდა. ოქროთი და ბატოსანი თვლებით გაწყობილი მეფის ტანსაცმელი კიდევ უფრო მძიმდებოდა, წელში ღუნავდა და გრძობდა,

როგორ წვავდა სხეულს. ოქროს გვირგვინი თანდათან გავარჯარდებოდა და ელოდ დაძინდა. თითქოს თავში უთვალავი ურო დასცხესო, საფეთქლები აჩქარებით სცემდნენ და თავის ქალა ავარდნას ლამობდა. ცოტნემ გვირგვინის მოხდა დააპარა, მაგრამ გავარჯარებული ოქროს ხელი ვერ მიაკარა. ასობლებს თვალთ შევლა შესთხოვა. ყველას მისი ბედნიერება შურად და ვინ იფიქრებდა, რომ რაიმე უჭირდა. იქ მყოფნი აღტაცებულნი შეყურებდნენ, მათი მზერა სიბრალულსა და თანაგრძნობას სრულიად არ გამოხატავდა. პირიქით, რაც უფრო წითლდებოდა სიმშრევისასავე გვირგვინი, რაც უფრო სულის შემხუთველი ხდებოდა ცხელი ჰაერი, მათ სიამაყე და სიხარული ემატებოდათ და ისეთი შურიტ შესცქეროდნენ ტახტზე მჯდარ გვირგვინოსანს, თითქოს იმ ცეცხლსა და სიმშრევალეს ცოტნესათვის ტანჯვა კი არა, შეება და არნახელი დიდება მოჰქონდა.

უცებ მუსიკის მძლავრმა ხმამ ჰერი შეაზნაზრა. დიდი და პატარა თავბრუდამხვევ ფერხულში ჩაება, დარბაზი დატრიალდა და უგონო როკვას აპყვა. მაქრის სუნით გაყვანილი მთვრალი ჰაერი თანდათან შესქელდა და შედედდა. ყველაფერი ერთმანეთში აირია.

— ცოტნე... ცოტნე...

ჩასძახის ვიღაც ყურში, ცოტნემ მოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა.

— ცოტნე, დააგდე მეფის ცახტი და სასახლე, გამომეყ უკან და გათავისუფლდი ოქროს ბორკილებისაგან.

ცოტნე წამოდგა. რაღაც უხილავი ხელზე შეეხო, წინ შარიშურით წავიდა და ცოტნე უკან მიჰყვა. დარბაზები ჩუმად გაიარეს, სასახლიდან გავიდნენ და გალავანსაც გასცდნენ. ცოტა კიდევ იარეს და ტრიალ მინდორზე გასულმა ცოტნემ იგრძნო, რომ უცებ მარტო დარჩა — აღარც წინ მიმავალი უხილავი ლანდის შარიშური ისმოდა, აღარც უჩინარის შეხებას გრძობდა. ერთხანს უზროდ წრიალებდა. სხვა რა ექნა, ადგა და მარტო გაშუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, უზარმაზარ კლდეს მიაღდა. კლდიდან ცივი წყარო მოსჩქეფდა. ის იყო, წყლის დასალევად დაიხარა, რომ ვილაქამ ვალთაში დასწია. მოიხედა და რას ხედავს! ტანფესუმოხეული მათხოვრების მთელი გუნდი მოდგომია. გათოშილ შიშველ სხეულს ხელით იფარავდნენ, სიცივისაგან კანკალებდნენ, რალაცას გაუგებარ ენაზე ყაყანებდნენ და ცოტნეს ტანსაცმელისკენ მიიწევდნენ. ვაოგნებული შეკუთრებდა ცოტნე მათხოვრებს. მათ დაწყლულბულ შიშველ სხეულს ბაღამი სდიოდა, მაგრამ ცოტნე სულაც არ გრძნობდა მათდამი ზიზღს, მიერეოდენი სურვილიც არ ჰქონდა მათგან გაცლისა და თავის გარიდების. კანდამსკდარი ხელებით სწვდნენ მათხოვრები, ძვირფასი ტანსაცმელი შემოაცალეს, მაგრამ თვითონ როდი ჩაიცვეს, დაახვიეს, მაგრად შეკრეს და დაბლა უფსკრულში ისროლეს. მერე ოქროს გვირგვინს სწვდნენ, მოხადეს, საბურქალო ბორბალივით დაღმართზე დააგორეს და ასკინილას ხტომით, ცეკვითა და ქრიაშულით უკან დაედევნენ.

ცოტნემ შევებით ამოისუნთქა. სულის შემხუთველი სიმძიმე მოშორდა. თავის ტკივილი და კანის დამწველი სიმსურვალე საღდაც გააჭრა და ისეთი სიმსუბუქე იგრძნო, მკლავები რომ გაეშალა, გაფრინდებოდა.

წყაროს წყალს დაეწაფა.

თავი აიღო. პირდაპირ მდგარ უშველებელ კლდეს შეხედა. კლდეში კიბეები იყო გამოკვეთილი. იმ კიბეებზე ასვლა და გამოქვაბულების ნახვა მოუწინადა; მაგრამ დაღლილს მუხლში ძალა აღარ ჰქონდა, იქვე ჩაიკეცა და სიბ ქვაზე თავი დადო. ის ქვა ღბილად ეჩვენა და რომ დახედა, გაოცდა: სიბი ლოდი ღბილი ხავსით შემოსილიყო და ირგვლივ მწვანე მოლი ბიბინებდა. თვალის დახუჭვა და დაძინება ერთი იყო. დაეძინა თუ არა ქრისტე ღმერთი გამოეცხადა, იმ მაღალი კლდისთავზე აღმართულ უზარმაზარ ქვარზე გაკრული

ქრისტე. სათნოებით საესე მშვიდი თვლებით დაჰყურებდა მძინარე ცოტნეს ჯვარცმული. უცემ თვალადან ცრემლი მოსწყდა მაცხოვარს და მძინარე დაეცა. ცოტნე შეტოკდა, თვალი გაახილა და ქრისტეს შეხედა.

— აღსდექ და შეუდექ ჩემს გზას! — ეძახდა მადლიდან ჯვარცმული, — ილოცე და იმარხვე. განემზადე ჩემსავით ჯვარცმად, რათა განიცადო სიამე წამებისა, რამეთუ მოყვასისათვის ტანჯვა არის ნეტარება და სიამე უდიდესი ამა ქვეყნისა, სასუფეველი და სამარადისო ცხოვრება იმ ქვეყნისა.

— რით შევძლო, მე უღირსმა ეგე? შეშხედმა ცოტნემ კითხვა.

— შეიყვარე მოყვასი შენი და სამშობლო შენი და ჯვარს ეცვი მათთვის. აღსდექ და შეუდექ გზასა ჩემსა, — ახლა მეორე თვალიდან მოსწყდა ჯვარცმულს ცრემლი და ლოყაზე დაეცა ცოტნეს.

მძინარე ცოტნეს ფუნჯიდან ჩამოღვენთილი საღებავის წვეთი დაეცა ლოყაზე და გაეღვიძა. თავს მახარებელ ქობალია ადგა.

— კარგია, რომ გაიღვიძე, ბატონიშვილო. ძილში ძალიან შფოთავდი. ადექი, მთავარი გეძებს და გიხმობს.

ცოტნემ თვალი მოიფშვინტა: ბედნიერი სიზმრით ფრთაშესხული წამოფრინდა. უჩვეულო სილაღესა და სიმჩატეს გრძნობდა, მთელი ქვეყნის მოხვეწა და დაკოცნა უნდოდა და სხვა ვერაფერი მოახერხა, მხატვარს გადაეხვია და ცრემლმომდგარმა ამოიხურჩულა: — გმადლობ, ოსტატო... დიდი მადლობა.

— მე რის მადლობას მიხდი, ბატონიშვილო?! — გაოცდა მხატვარი და მხარების ჩეჩვით გააყოლა თვალი ხარაჩოებზე ჩამავალ მთავრის მემკვიდრეს.

რაკი საყვარელი დაიკუბოში ვერ დაიტერა და მის დასაფლავებას ვერ დაესწრო, ვერ იქნა და ცოტნე თამარის

არყოფნას ვერ შეურიგდა. თამარი მის წარმოდგენაში ისევე ცოცხალი იყო და დღედღეზე ელოდა მის გამოჩენას.

მაგრამ დრო გადიოდა, თამარი არ მოდიოდა და არც თავისკენ ეძახდა.

სამაგიეროდ, სიზმრად სულ თამართან იყო. რაც ცხადში ზორცმუესხმელ ოცნებად რჩებოდა, სიზმარში ერთიორად ნაზღაურდებოდა. როგორც კი ბალიშზე თავს წადებდა და ძილი მოეჩეოდა, ბატონიშვილს. სიზმარი წაიღებდა, თამარი გამოეცხადებოდა და ძილში გრძელდებოდა ის განუყოფელი ერთად ცხოვრება, რომელიც ცხადში შესწავიციტეს ანგელოსებმა.

სიკვდილი უძლური იყო სიზმრის, ანუ ცოტნეს მეორე ცხოვრების მიმართ. იქ მას ხელი არ მიუწვდებოდა, რადგან სიკვდილს მხოლოდ იმის მოსპობა შეეძლო, რაც ხელშესახები იყო, რასაც სული ჰქონდა და რისი წაქცევაც შეიძლებოდა. ვინც არსებობს, ვინც ცოცხალია, მის ფიქრსა და ნატერას, სიზმარსა და ოცნებას სიკვდილი ვერ ხელსჯოფს, ვერ აღკვეთს და ვერ აკრძალავს.

თამარის მეორე სიცოცხლე, სიზმარული და ოცნებისეული სიცოცხლე, თვითონ ცოტნეს სიცოცხლესთან იყო დაკავშირებული, იგი ცოტნეს სულისა და სხეულის მეორე სიცოცხლე იყო, სიკვდილისათვის მიუწვდომელი და ხელშეუხებელი.

ტუპისცალის ყოველი უჯრედი ჩანასახიდანვე თამართან ერთად არსებობას გულისხმობდა, მასთან ერთად ცხოვრებისათვის იყო ქვეყნად გაჩენილი და იმდენად იყო შეჩვეული ერთი ადამიანის ორ არსებად ცხოვრებას, რომ მარტო დარჩენილ ცოტნეს სხვაგვარად სიცოცხლის წარმოდგენა, თავისი სულისა და სხეულის სხვაანირად აწყობა აღარ შეეძლო. ამიტომ სიზმარი ექცა ერთადერთ თავშესაფარად ცოტნეს. იქ, ზმანებაში იესებდა ცხადის დანაკლისს ბედის უსამართლობით დაღდასმული ყრმა.

და ეს სიზმარული ცხოვრება იმდე-

ნად ხანგრძლივი და ყოველდღეობით გახდა, რომ ცოტნემ აღარ იცოცხლა. მელი უფრო სინამდვილე იყო, ძნელად შესაგუებელი, მწუხარებითა და ცრემლით სავესე ცხადი ცხოვრება უთამაროდ, თუ სიხარულითა და იმედით გაბრწყინებული ზმანება, სიზმარში თამარის გვერდით ცხოვრება, რომელიც მარტოდ დარჩენილი ტუპისცალისათვის ესოდენ ჩვეულებრივი და ბუნებრივი იყო. იმდენად შეეჩვია ძილში, სიზმარში თამართან ყოფნასა და საუბარს, რომ ბოლოს ცხადშიაც მოლანდებდალ ექცა იგი. მარტო დარჩენილ ცოტნეს თვალწინ დაუდგებოდა თამარი და ჩუმად, ხმის ამოუღებლად ესაუბრებოდა. საღამომობით პირჯერის წერასა და ლოცვას რომ მორჩებოდა, დასაძინებლად გამზადებული ბატონიშვილი თავის წარმოდგენაში თამარს მოუხმობდა და მთელი დღის აკვარგს წვრილად მოუთხრობდა ხოლმე.

— სულ არ გყვარებივარ, თორემ მარტო არ დამტოვებდი. ხომ მეუბნებოდი, უშენოდ არსად წავალო, რატომ წაპყევი ანგელოსებს, მე და დედა თუ არ შეგეცოდეთ, უსინათლო მამა მაინც რატომ არ შეგებრალა?! რომ იცოდე, რა უბედურია! შენი წასვლის მიზეზად თავის თავს თვლის და სიცოცხლე მოძულეული აქვს. სულ იმას ვშიშობ, თავს არაფერი აუტეხოს, მარტო არსად ვუშვებ და არ ვშორდები. ერთხელ იმ დროს მოვესწარი, თოვში რომ აპირებდა თავის გაყოფას. ერთხელაც დედამ ვილაცისგან ჩუმად ნაყიდი საწამლაი უპოვა. ხომ ასე თავმოძულეულია მამა, მაგრამ მე მაინც თან მყვება, ჩემს მეტი საზრუნავი ამ ქვეყნად არაფერი აქვს. ასე მგონია, ეს ბრმა კაცი მარტო მე მხედავს ამ სამზეოში. ისრის ტყორცნა და ხმლის ქნევა ისე მასწავლა, გამოცდილ მეომარსაც ტოლს არ დავუდებ. ახლა რა ამბებს მიყვება! თამარის ლაშქრის ყველა სახელოვანი ომი ზეპირად ვიცი. სად და როდის დაქრეს მამა, რომელ ომში რა გმირ-

ბა გამოიჩინა, ისეთი გატაცებით მიამბობს, თითქოს ზღაპრული მშეკბუტის თავდადასავალს ჰყვებოდეს. ენანება უსინათლობით დაბნელებული თავისი ვეჟაკობა და მე სულ იმას ჩამაგონებს, დროზე მოვესწრო, რომ თამარს ვეახლო და მამის ადგილი დავიჭირო მის უძლეველ ლაშქარში. დედა მებრალება, მამას რომ ვერ ვცილდები, დედის მისახედავად აღარ მცალია. დედა ცალკე უშენობას მოთქვამს და ცალკე მამის უბედურებას, მაგრამ ხომ იცი, რა გულმაგარი ქალია დედა! ცრემლს იშვიათად გვიჩვენებს და სულ აქეთ გვაძხვნივებს, რაც მამა დაბრმავდა, ოჯახისა და სამთავროს საზრუნავი დედას დაწვა კისრად. შინ და გარეთ, ყველგან დედა არის მტრისა და მოყვარის პასუხისმგებელი. უქიროს, მაგრამ რა ჰქნას?! შენ რომ ჰყავდე, შენ მაინც შეეშველებოდი, მიუაღერებდი და ტვირთს შეუშუბუტებდი.

ჩვენი ტაძრის მოხატვის ამბავი ამას წინათ მოგიტორე, ისიც გითხარი ხარაზოზე მიძინებულს ქრისტე როგორ გამომეცხადა და თავის გზაზე შედგომად მომიწოდა.

მხატვრის თავდადასავალი არ ვიცოდი. დღეს თავად მიამბო და უნდა შენც მოგიყვე.

მხატვრებელ ქობალია წალენჯიხელი ყოფილა. სიყრმიდანვე დაობლებულა პაპაჩვენს აღუზრდია და სასწავლებლად ათონს გაუგზავნია. იქ ბერძენ მხატვრებს დამოწაფებია, კონსტანტინეპოლს გაჰყოლია და ქართული სახელი მახარებელი მაკარიოსად გადაუცეთებია. მერე მფარველი მასწავლებელი მოკვდომია და მარტო მისი ხელობის გამგრძელებლად კი არა, ოსტატის ერთადერთ მემკვიდრედ ეგ დარჩენილა. ქობალიას ჯერ კიდევ მასწავლებლის სიცოცხლეში ჰქონია ნიჭიერი მხატვრის სახელი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იწვევდნენ თურმე ტაძრებისა და სასახლეების მოსახატავად. მახარებელს მოგზაურობა და ხეტილი ჰყვარებია, იერუსალიმი, ანტიოქია და ალექსანდ-

რია მოუვლია, ყველგან თავისი ფუნჯის ნაკვალევი დაუტოვებდა. ხელგამწილ ცხოვრებაში თავისი ნაშრომითა და ოსტატის დანატოვარიც მალე შემოფლანგვია. ცხოვრებისგან დაღლილს, ბოლოს წაწალიც მობეზრებია და თვალი ისევ დიდხნის მიტოვებული სამშობლოსაკენ მოუპყრია. მამაჩვენი — შერგილ-ბატონი ტაძრის მომხატველის ძებნაში ყოფილა, მაკარიოსის წერილი რომ მოსვლია. მამას მცოდნეთათვის გამოუკითხავს და რაკი წალენჯიხელი მხატვარის ქება ყველას ერთბიარად უთქვამს, ბევრი აღარ უფიქრია, საგანგებო კაცი გაუგზავნია და მახარებელი ჩამოუყვანია. ქობალიას ჩამოსვლისთანავე თავისი ნასახლარი მოუნახულებია, ცრემლი უფრქვევია და დაქცეული კერის აღდგენის სურვილი გამოუთქვამს. მერე სახელი მაკარიოსი ისევ მახარებლად შეუცვლია და მამა-პაპის ნაფუძვარზე პატარა ოდის აშენება დაუწყია. მაშინ ჩვენი ახალი ტაძარი ჯერ გადახურულიც არ ყოფილა და მამას მაკარიოსი ბიძაჩვენის ვარდანის მონასტერში გაუგზავნია. იქ მახარებელს ქვაბები და სავანეები მოუხატავს. ამა სობაში ჩვენი ტაძარიც გადაუხურავთ და ქობალია შერგილ-ბატონს ხლებია, მისი დავალებით გუმბათსა და თაღებზე ძველი და ახალი აღთქმის მოთხრობის ხატვას შედგომია და ახლა დარჩენილ კედლებზე ჩვენს სურათებს ხატავს.

საათობით იჯდა ქობალია, მთავრის, დედაჩვენისა და ჩემი სურათების მონახაზებს აკეთებდა. მამა-ბატონს ერთ ადგილას გაუნძრევლად ჯდომა საათობით შეეძლო და მისი დახატვა არ გამწელებია. სამაგიეროდ, მე და ოჯახის საქმეებით მოუცლელი დედა, მხატვარს დიდხანს ვერ ვუჩერებოდით, წარამარა ეტოვებდით და მუშაობას ვაწყვეტინებდით. უნდა გამოგიტყდე, საათობით უქმად დგომა მოსაწყენი და დამალავია. არც სწავლა, არც ბურთაობა და ნაღირობა ეგრე არ მდლის, როგორც

ტამარში ტყუილად დგომა. ვდგავარ სადღესასწაულოდ გამოწყობილი და ოდნავ ზეაპყრობილი, განზე გაშვერილი ხელები ჩამოვარდნაზე მაქვს. არც დაჯდომა, არც ადგილიდან ფეხის დაძვრა ერთი სული მაქვს, როდის გავიქცე, მაგრამ მახარებელი მეცოდება. «ოცთა კიდევ ბატონიშვილო! ცოცხა კიდევ და მალე გავიშვებ», — მეხვეწება და შემუდარება. მეც მრცხვენია, მერიღება ასეთი ხელოვანის გაწბილება და დუმიორჩილებლობა. ენებდები და ვდგავარ დასჯილივით ვაქვავებულთ. თვითონ ოსტატსაც ვებრალები, დიდხანს რომ ვყავარ ასე დაბმული. როცა ბატვით გატაცებული და თავის ფიქრებში ჩაღრმავებული არ არის, მეხუმრება, სასაცილო, თავშესაქცევ ამბებს მიყვება, არც ღმერთს ზოგავს და არც კაცს, თავათ დიდი მორწმუნე არ უნდა იყოს, ღვთის რიდი არ აქვს და ზოგჯერ ისე აგდებულად ახსენებს უფალს, ისეთებს გადაჰკრავს ხოლმე, უცებ თვითონვე შეეშინდება, ხომ არაიენ გაიგონაო.

შენი დახატვა გაუჭირდა, აქ არ ხარ და ვერ გზედავს. არც სურათი დაგვრჩა შენი, რომ იქიდან გადაგხატოს. მამამ და დედამ ეს მოიგონეს: რაკი ტყუპის ცალგები წყლის წვეთებივით ჰგავდნენ ერთმანეთს და ერთიმეორისგან ჩაცმულობით ძლივს ვარჩევდით, ცოტნე დახატე თამარის მაგივრად, ოღონდ გოგონას კაბა ჩააცვი და დაწნული დალაღ-კავიცი მიუმატეო. დედამ მოთქმავოდებით შენი კაბა გამოიტანა, მაგრამ შენს მერე მე საკმაოდ გაზრდილი ვარ და ვერ ჩავეციე. მახარებელი მაინც ჩემს სახეს ხატავს და როცა მოათავებს ბიჭური ტანსაცმელის მაგივრად გოგოს კაბას ჩააცმევს ნახატს. ეს, ცოცხა არ იყოს, ძნელი საქმეა, მაგრამ ქობალია ისეთი ოსტატია, შეუძლებელს შეძლებს: მხოლოდ მე ვარ გასაქირში, ჩემი სურათისთვის დგომა ძლივს მოვათავი და ახლა შენს მაგივრადაც მე უნდა ვიდგე მახარებელის წინაშე გაუნრქველად. მამა ამასაც არ ჯერდება, მოპირ-

დაპირე კედელზე იმის დახატვა უბრძანა, შენ რომ ანგელოსებმა წაგიყვანეს.

ჩვენ სულ შენზე ვფიქრობთ, მაგრამ დაგლალე ამდენი ლაპარაკით. პო, კინალამ დამაიწყა, მამა ბერად შედგომას აპირებს. შენს დავაეკაცებას დავუციდი, მერე ამ სოფელზე ხელს ავიღებ და რომელიმე მივარდნილ მონასტერში დავეყუდები, სადაც ამ ქვეყნის ხმა არ მომწვდებაო. ეს გადაწყვეტილება როცა გამანდო, სიტყვა ჩამომართვა, დედას არ გაუმხილოო.

მამამ ის არ იცის, რომ მონასტერში მე გვაქარებ და ამით მისი ბერად აღკვეცაც დაჩქარდება.

ჩემი ეს გადაწყვეტილება შენ იცა მხოლოდ. ახლა შესაფერის დროსა და შემთხვევას ვეძებ, რომ ჩემი აღთქმა შეეასრულო, უფლის მოწოდებას მიეყვე და მამასაც ღვთის სამსახურისთვის გზა გავუხსნა.

თავის ბედსა და მომავალ ცხოვრებაზე ნაადრევად დაფიქრებული ცოტნე განმარტოვდა და გულჩათხრობილი გახდა. ტოლებთან თამაშს აღარ ეტანებოდა, მეტწილად მოძღვარ ივლიანესთან იჯდა, ისტორიასა და საღვთო წერილს, ასტრონომიასა და მათემატიკას სწავლობდა.

მეცადინეობას რომ მორჩებოდა, ბრმა მამასთან მირბოდა. სიცოცხლემობეზრებულ შერგილს დაკარგული თვალის ჩინის მაგივრობას პატარა ბატონიშვილი უწყევდა. უსინათლოს ბაღსა და ვენახებში ცოტნე დატარებდა და სოფლის გზებზე მოუძლოდა.

ჯერ კიდევ ვაჟაკი იყო შერგილი. ღონე ისევე ძველებურად მოსდევდა, ხმლის ერთი მოჭნევით უშობელს თავს აგდებინებდა და ცხენის ნალს თითებიტ ღუნავდა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მხედველობა დაკარგა, ცხოვრების ხალისიც დაეკარგა და საკუთარ თავში ჩაიკეტა. სიკვდილის მნატვრელი მთავარი იმ დღის მოლოდინითლა ცხოვრობდა, როცა სულთამახდელი მოვიდოდა და თავის პატარა თამართან წაიყვანდა.

შერგილისათვის ეს სოფელი ბნელ, გაუთენებელ ღამედ იქცა, იმ ღამეში უმწეოდ დაბორილობდა და იმ იმედით დადიოდა, ეგებ სადმე რამეს გადავაწყუდ, შუბლი შევახეთქო, ან უფსკრულში დავინთქაო.

ბრძის ირგვლივ გამეფებულ წყვილადში, ნათლის ერთადერთი სვეტა ცოტნე იყო. იმისი არსებობადა უბრუნებდა სულს და სიცოცხლის აზრს იმაშიდა ხედავდა, მემკვიდრე ბატონიშვილის აღზრდაში ჩაეჭსოვა ის დაუხარჯავი ძალღონე, რომლის მოზღვავებასაც ძალიან ხშირად გრძნობდა და რომელსაც უსინათლობამ ასე შემოუზღუდა ასპარეზი.

დაბრძავებამდე ბავშვების მიმართ ცოტა მოუხეშავიც იყო შერგილი. ერთთავად გარეთ, მეფის კარსა და ლაშქრად მყოფი მთავარი, შინ რომ მობრუნდებოდა, სამთავროს საქმეების გარიგებას უნდებოდა. ნადირობა და ბურთაობა უყვარდა, ლხინსა და შექცევას ვერ თმობდა და შვილები მის ყურადღებას დანატრულნი იზრდებოდნენ დედისა და აღზრდელების თუ მასწავლებლების ზრუნვას მინდობილნი. შინ როცა იყო, გული უფრო თამარისკენ მიუწევდა. პატარა გოგონა თილისმა იყო და ენავაკრფელი. მამას ფეხქვეშ ეგებოდა. როგორც მოცილილ დაიგულებდა, მუხლზე ახტებოდა, ეფერებოდა და საყვარლად ეტიტინებოდა. ბუნებით პირქუში, ომებსა და ლაშქრობაში ცოტა არ იყოს, გაუხეშებული შერგილი პატარა თამარის ალერსით დნებოდა, თავგზას ჰკარგავდა და მოთვინიერებელი ნადირივით მისი ყველა სურვილის ამსრულებელი ხდებოდა.

ცოტნე ბიჭი იყო, უფრო მორიდებული. მას არც თამარივით გაუთავებელი ტიტინი შეეძლო, არც სულში ჩაძრომა და ალერსით გაბრუება. ამიტომ ქალიშვილის ალერსით გონდაკარგულ მამას ზოგჯერ შეუშინეველიც რჩებოდა მემკვიდრე ბატონიშვილის სიახლოვე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალიშვილი დაეღუპა და თვალის ჩინიც

დაკარგა, შერგილი ერთბაშად გამოიცვალა. ამ ქვეყანაზე გულწრფელმა გოგონის არსებობის ერთადერთი გამაჩნდებლად ცოტნეს აღზრდა დასახა. თუ მანამდე ცოტნე მამისათვის გვარის გამაგრებელი მემკვიდრე იყო, რომლის წინაშეც თავს მრგალედ თვლიდა, რათა მისთვის ძლიერი და მდიდარი სამთავრო დაეტოვებინა, ახლა ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ, სულ სხვა გახდა. გულმხეცი, ომსა და კვეთებაში სასტიკი ვაჟკაცი ცოტნეს მიმართაც ისეთივე გულწილი და უღონო შეიქმნა, როგორც თამარის მიმართ იყო. ამიერიდან ხეიბარი მთავარი მემკვიდრისათვის სამამაცო ზნის ჩანერგვას, საგმირო საქმეებისათვის მის მომზადებას თავის ერთადერთ მოწოდებად თვლიდა.

შერგილი თავს ადგა მემკვიდრეს ცურვასა და ხტომაში, ხმალსა და შვილდოსნობაში, ცხენოსნობასა და ბურთაობაში წვრთნისას. თავად ვერ ხედავდა, მაგრამ სმენითა და გამოცდილი რაინდის გუჟანით ხედებოდა, სად უჭირდათ შეგირდსა და მის ოსტატებს, ხმალსა და ბურთს ართმევდა და ჰაერში მოხაზული დახვეწილი მოძრაობით უჩვენებდა, როგორ უნდა მოექნია ცოტნეს ჩოგანი, ან როგორ უნდა აეცდინა მოპირდაპირის ხმალი. მგრძნობიარე ბიჭუნა ხედავდა, რომ სიცოცხლემოძულეებული მამა მის წვრთნაში ივიწყებდა საკუთარ უბედურებას, ერთობოდა და ხალისდებოდა. ამიტომ, ბატონიშვილი თვითონ ეძალეობოდა, თვითონ იწვევდა უსინათლობით დასჯილ მამას გულის გადასაყოლებელ წვრთნასა და ვარჯიშში.

საერთოდ სიტყვამიერი მთავარი, ბოლო დროს, ცოტნესთან, ენამკვეერი ხდებოდა. როგორც კი სადმე ერთად ჩამოსხდებოდნენ და შეისვენებდნენ, საკუთარი თვალით ნახულსა და თავგადასახადს გატაცებით უამბობდა.

საამბობელი კი ბევრი ჰქონდა ოდიშის მთავარს: საბერძნეთში შეჭრისა და ტრაპიზონის აღების, რომეურისა და

ყაზინის, არდაველისა და ზღათის ომების უბრალო თვითმხილველი კი არ იყო შერგილ დადიანი, ამ მნიშვნელოვან ომებში შერგილიც ღონიერად იქნევედა ხმალს და, გამარჯვებით უკან შემოქცეული, დიდი თამარის მადლობასა და ჭილღის არა ერთხელ გაუმზენევება ტახტისა და სამშობლოს შემდგომი ერთგული სამსახურისათვის.

— თავრეყის გამარჯვების შემდეგ მიანისაკენ წავედით, — ჰყვებოდა შერგილი, — მიანა მცირე ქალაქია. იგი ვერც ზღუდის სიმაგრით შეედრება თავრეყს, ვერც მოსახლეობის სიმრავლით. მიანას მელიქს ქართველების გამკლავება არც უფიქრია, თავრეყელთა მსგავსად, მანაც მშვიდობა და ხარკის გაღება ითხოვა. ჩვენ თანხმობა შევეუთვალეთ და მელიქი თავისი ფეხით გვეახლა. მელიქი ახალგაზრდა იყო, თვალტანადი და ტკბილად მოუბარი. დიდძალი ქონება, ოქრო და თვალ-მარგალიტი მოიღო, ნადიმი გაგვიმართა და ჩვენთან ერთად მოიღხინა. ეტყობოდა, ზუნებით მხდალი იყო. ჩვენ სარდლებს შორის, შუაში იჯდა. ყოველი ჩვენგანის წამოდგომაზე, ან ზელის აწევაზე კრთებოდა, დამფრთხალი შემოგვეუბრებდა და წყალობის მთხოველი თვალთ შემოგვეციცინებდა. ქვეგამხედვარობა მაშინვე შევატყვე, ჩვენს იარაღს აკვირდებოდა, საუბარში იმისთანა დროს ისეთ რამეს იკითხავდა, კაცი აღვილად ექვს ვერ აიღებდა: შორს ვაპირებდით თუ არა ლაშქრობის გაგრძელებას, რამდენი ცხენი გვყავდა, ან რამდენი ურემი მოგვსდევდა, ვითომ სხვათაშორის იკითხა, იმ საბაბით, საგზალი უნდა გაგიმზადოთ და ვარაუდი უნდა მქონდესო.

მელიქის კითხვები არ მომეწონა და ჩემი ეჭვი მაშინვე ქართულად გავანდე მხარგრძელს. რაც მაგან ჩვენგან გაიგოს, ისპაჰანს დაიკეცხოსო, მომიგო ზაქარიამ და ჩვენი ლაშქრისა და ურემის რიცხვი ერთი ორად გაუზვიადა. ესოდენი თავგამოდება მეორე დღეს სიანთულად დაურჩა კაბუჯ მელიქს. იმ-

დენ საგზალს პატარა ქალაქი სად გავემზადებდა! რაც ჰქონდათ იმდენივე ჯერდით და წასელის თადარიგს შექმდექით, ქალაქის მცველად მცირე რაზმი უნდა დაგვეტოვებინა. მხარგრძელმა რაზმი გამოჰყო და მეთაურობა მე დამაყისრა. რა დასამალია და მეწყინა. წინ დიდი ბრძოლებით და ფათერაკებით სავსე ლაშქრობა მოგველოდა. ბევრი უტხო სანახავი უნდა გვენახა და, რა გასაკვირია, გული მეც ლაშქართან ერთად მიმიწვედა. ლაშქრად სარდლობის დაუმორჩილებლობა, ან უკმაყოფილებისა და წყენის გამოხატვა აზრად არასოდეს მომსვლია, მაგრამ იმ წუთს თურმე სახე შემეცვალა. მხარგრძელმა ალბათ გუნების გაფუჭება შემატყო, მეორე დღეს განთიადზე მიხმეო და დიმილით მიიხრა:

— გატყობ, მიანაში ქალაქის მცველად დარჩენას ჩვენთან ერთად ლაშქრობის გაგრძელება გირჩევენია. როცა სხვები ცხარე ბრძოლაში ცდიან მკლავსა და ღონეს, შენისთანა კაბუჯისათვის მყუდრო ქალაქის მწყემსად დარჩენა გულდასაწყვეტი იქნება. მიანის მელიქის გულწრფელობაში რომ ეჭვი შეიტანე, მცველად შენი დატოვება იმან მაფიქრებინა. მაგრამ შენისთანა ვაყვაცების უსაქმოდ მიტოვება ცოდოა მაშინ, როცა წინ ძნელი ბრძოლები გველოდება და ყოველი გამოცდილი შემომრის გვერდით ყოლა სანატრული გვექნება. ამიტომ ჩემს განკარგულებას ვცვლი: შენ ჩვენთან ერთად წამოხვალ, ხოლო აქ, ქალაქის მცველად შენი ნათესავი გიორგი სვანთა ერისთავი დარჩება.

მე ისევ უსიტყვოდ დავემორჩილე. გიორგი ჩემი ბიძა იყო, სანახევროდ მის სახლსა და მამულში ვიყავი გაზრდილი. უკვე ხანში შესულ ერისთავს ჯანი ძველებურად აღარ მისდევდა და გრძელი გზით დადლილს ქალაქის მცველად დატოვება სასიამოვნოდაც ეჩვენა.

— შენ იქ გირჩევენია, შერგილ და მე — აქ. შენი ხნის ვაყვაცს ძნელი გზა და

ფათერაკი იტაცებს, ჩემს ასაკში ქალაქში განსვენება და მელიქთან პურობა უფრო მიმზიდველია. მშვიდობითა და გამარჯვებით იარე, ოღონდ თავს გაუფრთხილდი, მთავარა, ხიფათს არაფერს გადაეყარო, თორემ შენთვის ადვილის გაცვლა მთელ ს-ცოცხლეში სანანურად მიქნება, — მითხრა გიორგიმ, გადამხვება და გამომემშვიდობა.

რას ვიფიქრებდი, თუ ბიძასთან ადვილების გაცვლა მე გაიხდებოდა სანანებლად. ვინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ცხარე ბრძოლებიდან მე უვნებელი დავბრუნდებოდი, ხოლო მშვიდობიან ქალაქში დარჩენილი გიორგი მტრის ხელით დაიღუპებოდა.

ცხენს მოვახტი და წამით თვალი მოვაველე ქალაქს: ამომავალი მზის სხივები ფერადფერად მინარეთებზე თამაშობდა და თვალის მომპრეტლად ირეკლებოდა.

მომეწონა მიანა: ამდენი, მინარეთი ბევრ დიდ ქალაქშიაც არ იქნებოდა.

— კარგ ქალაქში მტოვებ, არა?! — შემომლიმა ერისთავმა.

— მშვიდობით იყავი... ღმერთმა მოგახმაროს! — გადმოვსძახე და ცხენი წინ დაძრული ლაშქრისკენ გავაქანე.

გზა სამხრეთით განვაგრძეთ და ქალაქ ზანგანს მივუახლოვდით. ქალაქი პატარა იყო, მაგრამ ომი დიდი გადაგვხვდა.

ირანის სიღრმეში წინააღმდეგობა თანდათან მატულობდა. ის, რაც მანამდე გამოვიარეთ, ყაზვინისა და გურჯანის ბრძოლებთან შედარებით თავშესაქცევ გასეირნებლად გვეჩვენებოდა. კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას მდებარე ქალაქი გურჯანი იერიშით ავიღეთ და დავლევით.

იმ სიშორეზე, ზორასნის გულში, არათუ ქართველთა ლაშქარს, ჩვენს ნათესავსაც იშვიათად დაუღდამს ფეხი. ნადავლი უანგარიშო იყო. ალაფი დაგვიპოხდა და გზის გაგრძელება შეუძლებლად გვეჩვენა. გამარჯვებულნი და ძლევა მოსილნი უკან შემოვიქცეთ. ჩვენ თვითონ გვიკვირდა, რომ ამოდენა ქვეყანა დავლექვით, ბევრი უღლებელი ქა-

ლაქი ავიღეთ და ვერსად ვადამწყვეტ წინააღმდეგობას ვერ შეგვიძლია. ირანელებს ჯარიც ბევრი ჰყავდათ, ქალაქებიც მაგარი ზღუდებით ჰქონდათ გამაგრებული, მაგრამ ჩვენს წინსვლას ვერაფერი აჩერებდა, ციხეები ეცემოდნენ, სულთნები და მელიქები თავს გვიხრიდნენ და ქონებას ავიშურებდნენ, ოღონდ მშვიდობით გავცლოდით.

გურჯანი მიანიდან ძალიან შორს არის და ვიდრე ჩვენ მოვბრუნდებოდით, ხმა დარხეულა, ქართველთა ლაშქარი იძლია და ერთიანად გაქლიტესო.

რაკი ჩვენი ლაშქრის ამბავი არ იცოდნენ, მიანელებს ჰორი ადვილად ურწმუნებიათ. მიანის მელიქი ქალაქის მცველად დატოვებულ ქართველებს ღამით თავს დასხმია და გაუტელტია. სიკვდილს ერთადერთი ქართველი გადარჩენია. დევნილს დამალვა მოუსწრია და საკუთარი თვალით უნახავს, როგორ ხდიდნენ ტყავს შეპყრობილ ქართველებს, როგორ კიდედნენ ძელებზე. რაზმის უფროსად დარჩენილი სვანთა ერისთავი იმ მინარეთზე ჩამოეკიდათ, რომლის სილამაზის ცქერითაც ერთად ვტკებოდით გამომშვიდობებისას.

მელიქი ლხინსა და განცხრომაში იყო თურმე. მაცნემ რომ ჩვენი ლაშქრის მიახლოება შეატყობინა, რა გუნებაზე დადგებოდა ვერაფერი და მუხანათი მელიქი, ჩვენი ლაშქრის დაბრუნებას რომ გაიგებდა! გაქცევა იმას აღარ შეეძლო და დამალვა. ერისთავი მაშინვე მინარიდან ჩამოუხსნია, დახოცილები დაუმარხავს და ჩვენს შესახებდრად მომზადებულა.

ქალაქის გარეთ გამოგვეგება ძღვენი-თა და საჩუქრებით ორპირი მელიქი. სანატრელი სტუმრებივით მოგვიკითხა, გამარჯვებით დაბრუნება მოგვილოცა, მოგვასვენა და სუფრები გრძლად გააშლევინა. ქართველ მცველთაგან რომ არავინ შეგვხვდა, ავად გვენიშნა, მთავარსარდალმა მელიქს ქალაქის მცველები მოჰკითხა.

— თავრიქს წავიდნენ იქ დატოვებულ ქართველთა წვევითი, — მიუგო

მელიქმა, და, ის იყო, ნათქვამი უნდა გვერწმუნებინა, რომ ცოცხლად გადაინგნილი ის ერთადერთი ქართველი გამოჩნდა. პარში წაუდგა მიანის მელიქს, ქართველთა ამოწყვეტასა და ძელუბზე დაკიდებაში ამხილა.

თავზარდაცემული მელიქი ენაჩავარდნილი იდგა, ცახცახით ელოდა შურისმგებელთა რისხვას.

გაცოფებულმა მხარგრძელმა დამნაშავეთა სასტიკი დასჯა და მელიქის მიწარზე დაკიდება ბრძანა. ბრახითა და შურისძიების წყურვილით ანთებულეზბმა ქართველთა გამკლუტები მოვრკეცი, ამოვსწყვიტეთ და მთავარი დამნაშავეები მინარებზე დავეკიდეთ.

მერე ქალაქი დავანგრით და საქართველოს გზას დავადექით.

— ახი ყოფილა იმ ვერაგებზე! — ნიშნის მოგვებით თქვა ცოტანემ.

— ახი იყო! ვერაგი და პირისგამტეხი შებრალეზბას არ იმსახურებს. მათი ჯავრი კი ვიყარეთ, მაგრამ მას შემდეგ სულ ეს მაქვს სანანურად, რატომ მე არ დავრჩი მიანაში მცველი რაზმის უფროსად. მელიქის ცბიერებაში დაქვეებული, ბიძაჩემზე ფრთხილად ვიქნებოდი და ეგებ ასე ადვილად არ ამოვებოცეთ. თუმცა ალბათ ის აჯობებდა, რომ ამოვებოცეთ. მე სამშობლოში ვეღარ დავბრუნდებოდი და იმ წყეულ სენს შინ არ მოვიტანდი.

სასახლეში ყველა ატყობდა, ნაადრევად, ასაკისათვის შეუფერებლად დადინჯებულ ცოტანეს რაღაც დარდი რომ აწუხებდა. ყმაწვილი ერთთავად მოწყენილი იყო, დაუსრულებლად რაღაცას ფიქრობდა და სულ განმარტოებდას ესწრაფოდა.

დედის დაკვირვებულ თვალსაც არ გამოპარვია შვილის დაღონება და გაუთავებელ საგონებელში ყოფნა. ცოტანეს გასართობად ახლო მცხოვრებ ერთგულ ბუნაურთა შვილები მოიხმომ, ტოლები დაარიგა და მემკვიდრე მათთან ერთად სათევზაოდ და საბურთაოდ გაუშვა.

ბატონიშვილი ტოლებთან თავშექცე-

ვის შემდეგ კარგ გუნებაზე ბრუნდებოდა, მაგრამ ნათელას შვილის ბებუნი ლევა დღითი დღე ემატებოდა და შიში უორკეცდებოდა.

ერთხელ ფეხშიშველა დაბრუნდა ტოლებთან წასული ცოტნე, ვიდრე დედა ჰკითხავდა, შვილმა დაასწრო:

— გზაზე მათხოვარი შემომეყარა. ჩემს ტოლ ბიჭს წაწაღისაგან შიშველი ფეხები დახეთქილი ჰქონდა, შემებრალა და ჩემი მამიეები მივეციო.

ნათელამ წარბი შეიკრა, მაგრამ იმ ერთხელ წაუყრუა შვილს და აუგი არ აკადრა.

მეორედ, ცოტნე შარვლისა და პერანგისამარა გამოეცხადა:

— მდინარეზე ვთევზაობდით. გლეხის ბიჭს წყალმა კაბა წაართვა, უბედურს მეტი ტანსაცმელი არ ჰქონია, დაქდა და ცხარე ცრემლით იტირა, შინ ვეღარ მივალ, დედა ცემით მომკლავსო. შემეცოდა, ჩემი კაბა გავიძრე და ჩავაცვი. მე სხვაე ბევრი მაქვს და ვიცი, დედა არ გამოჩავრდება, — ცოტნე მოეხვია და თავი დედის მკერდში ჩარგო.

ნათელამ კინალამ იფეთქა, მაგრამ ბრაზი დაიოკა. შვილს თავზე ხელი კი გადაუსვა, მაგრამ საყვედურიც არ დააკლო:

— შენ მალე ერთადერთ პერანგსაც გაიხდი და ტიტველა ივლი, კაცმა რომ მიგიშვას! ყველა ღარიბს რომ შენ ჩააცვა და აჯამო, მამაშენის სამთავრო კი არა, თამარ მეფის საჭურჭლე ვერ აუვა, შვილო. დაეხსენი მაგ ბიჭებთან სოფელ-სოფელ სირბილს, წიგნს ჩაუქეჭი და ბრმა მამას მიხედე.

— ჩემი ბრალი არ არის, დედა, შენ თვითონ მითხარი, ტოლებს აჰყვევი და გაერთეო.

— ეგ კი გითხარი, მაგრამ ის როდი მითქვამს, ტან-ფეხი გაიხადე და შენ ტიტველი იარე-თქო.

— განა შენცა და ივლიანე მოძღვარიც სულ იმას არ მიქადაგებთ, ქრისტესავით ვეთილი. და გულმოწყალე უნდა იყო, ღარიბ-ღატაკს უნდა შეეწიო და

ერთი ლექსიც რომ გჭონდეს, ისიც მშივრებს უნდა გაუნაწილო!

ნათელა დაიბნა. ცოტნე სიმართლეს ეუბნებოდა. მოცალეების ჟამს შეიღოს რომ სახარებას უკითხავდა ხოლმე, სულ იმას ჩააგონებდა, ქრისტესათვის მიებადა, მასავით ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა შემწე და გამკითხველი ყოფილიყო.

— ჯერ შენ ყრმა ხარ და შეუგნებელი, — უკვე დაყვავებით დაუწყო ნათელამ, — გაცემა მაშინ გამართებს, როცა მშოვნელი იქნები. მამაშენის მონაგარის განთავება კი შემევიდრე ბატონი-შვილს არ გეკადრება. ჯერ იმას უნდა ფიქრობდე, რა შესძინო შენს სახლსა და სამეკიდროს. მამის ქონება კი არ უნდა გაფლანგო და დაამცრო, ახალი მამულები და ყმები უნდა შექმნათ, მამაპაპის დანატოვარი შენი გარჯითა და ზრუნვით უნდა ამრავლო და, როცა საჭურჭლე სავეს გექნება, მაშინ წყალობაც უხვად უნდა გაცე, ღარიბებსა და ქვრივებს უნდა დაეხმარო. გაჭირვებულებს ხელი უნდა გაუმართო.

ცოტნეს გული ატყინა დედის გაწურობამ და შეგონებამ. თავის სამართლებლად საღვთო წიგნებიდან მაგალითების მოშველიება უნდოდა, მაგრამ დედა ისე გაბრაზებულნი ჩანდა, სულ ერთი იყო, მის ნათქვამს არ შეიწყნარებდა და შვილის ქველმოქმედებას არ მოიწონებდა.

ერემლმომდგარი ცოტნე უსიტყვოდ გაშორდა დედას. თავის ოთახში ხატის წინაშე დაიხოქა და უფალს შეევედრა, გაბრაზების წამს დედის ბავთვან დაუფიქრებლად დაედნინი სიტყვისათვის ყური არ მიეპყრო, ბედისაგან დაჩაგრული ნათელასთვის შეენდო და მიეტევებინა.

— ნამდვილად გველუპება შვილი, შერგილ ბატონო, — გაანდო თავისი შემფთოება ნათელამ მეუღლეს, — ეტყობა, ივლიანე მოძღვარი გლახაკად დახდომასა და გამათხოვრებას უქადაგებს, რომ ბატონიშვილი ტანფეხს იხდის და ღარიბ-ლატაკთ ურიგებს. ასე

თუ განაგრძო, მალე მთელ შენს ქონებას გასცემს და საჩუქრად შენს ალარ დაიტოვებს.

— ვითომ ივლიანეს ჩაგონებით სჩადის? — იეთხა საგონებელში ჩაქარდნილმა შერგილმა.

— აბა სხვა ვინ ჰყავს ჩამგონებელი და მასწავლებელი?!

— თუ ეგრება, მოძღვარს მე მოველაპარაკებო. შენ ნურაფერს ეტყვი, ნურც ოსტატსა და ნურც შეგიარდს. გულკეთილობა თავის თავად ღვთის სათნო საქმეა და ამის გამო, რომ შემევიდრე ბატონიშვილს გაუუჭაგრდეთ, არც ღმერთი მოგვიწონებს და არც კაცი.

ნათელამ ქმრისთვის ენის შებრუნება ვერ გაბედა. შერგილსაც და უფალსაც ცალცალკე თხოვა პატიება თავისი უმეცრებისათვის, წყენა გულში ჩაიკლა და შვილის ბედზე ზრუნვა მამას დაუთმო.

ივლიანე მოძღვარი ერთი იმ ღვთის მსახურთაგანი იყო, რომელთაც სულის ცხოვნების აუცილებელ პირობად სრულებითაც არ მიაჩნიათ ცხოვრების ყველა სიამეზე ხელის აღება. ამ ქვეყნიურ სიტუბოთაგან ივლიანემ ბევრი რამ მოიკლო, მაგრამ პირის გემოზე უარი ვერ თქვა, სმა-ჰმამს ცხოვრების ერთ-ერთ უდიდეს სიკეთედ თვლიდა და ამ აზრის გასამართლებლად სახარების მოშველიება უყვარდა: „პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო“.

თავის დროზე, ახალგაზრდობაში, ივლიანე თურმე პირველი მობუროთალი და მონადირეც ყოფილა და, ახლაც ხატის წინ სასოებით მლოცველს რომ მონადირეთა ბუკის ხმა და ნადირის კვალზე დამდგარი მეძებრების წყევწავი მისწვდებოდა, პირჯვრის წერასა და უფლისადმი ღალადს შესწყვეტდა და გარეთ გამოვარდებოდა, რომ შორიდან მაინც იმ ხმებითა და თავისი დავიწყებული სიტუბუკის ვახსენებით დამტყპარიყო.

განათლებული მოძღვარი ომსა და კაცის კვლასაც ფილოსოფიურად ამართლებდა. შორ ვგაზე მიმავალი კამბის ქვეშ ერისაგანივით ჭაქვის პერანგს იც-

ვამდა და ფარულად მახვილს ატარებდა. ოდიშის მთავარს შავი ზღვის პირას თურქთა და ბერძენთა წინააღმდეგ გამართულ ომებში არა ერთხელ ზღვებია და თუმცა ეკლესიის მსახურს მხოლოდ ის ევალდებოდა — უფალს ოდიშის პატრონისათვის ძლევის მოცემას შევედრებოდა, მოახლოებული, შენიგებულნი ბრძოლის დროს თავი ვეღარ შეუკავებია, დამალული მახვილი ქვეყნის დასახავად უხდია და მოძალებულ მტერს ისიც სხვებთან ერთად კვეთებია.

მსგავსი შემთხვევა არც ისე ხშირიყო, მაგრამ შერგილი კვირაში ერთხელ მაინც სანადიროდ მიდიოდა და თან ზოგჯერ ივლიანეც მიჰყავდა.

მის შემდეგ, რაც მთავარმა თვალის ჩინი დაქარგა, ივლიანე მოძღვრის ცხოვრებაც მოსაწყენი და ერთფეროვანი გახდა. წირვა-ლოცვას და ბატონიშვილის წვრთნას მორჩენილი მოძღვარი ერთთავად წიგნს ჩაჰყურებდა, ან საუდრის ჩრდილში გრძელ სკამზე იჯდა და კრიალოსანს მარცვლავდა.

საღამოს, ჩამავალი მზისკენ სახემიპყრობილ ივლიანეს თვალი მთვლემარე-სავეთ მიჰხუტვოდა. მკერდზე დაფენილი გათეთრებული წვერი და ოდნავ გაპოხილი ბაგეები მზის შუქითა თუ ღიზილით გაბრწყინებოდა. კარგახნის ვალეულ ქარვას მარცვლავდა. კრიალოსანის მარცვლას შეჩვეული თითები თავისთავად მოძრაობდნენ, ფიჭრში წასული თუ მთვლემარე ივლიანეს გონების ჩაურვლად, ქარვები ერთმანეთს გამოზომილად მისდევდნენ და წყლის წვეთებივით მიყოლებით ეცემოდნენ ერთიმეორეს.

ჯოხის კაქუნი ჩაესმა. თვალი გაახილა და მიაყურადა. ჯოხის ხმაზე იცნო, უსინათლო მთავარი მოიკვლევდა გზას. სახე მისკენ იბრუნა და შესახვედრად მოემზადა. ბრმამ გუმანით იგრძნო კაცის სიახლოვე. ჯოხი შეაჩერა და თავადებულმა უთხრა:

— მანდ რომელი ხარ?

— მე ვახლავარ, მთავარო, მონა

ლეთისა ივლიანე, — მიუგო მოძღვარმა, ფეხზე წამოდგა, შერგილს შერგულად მკლავში ხელი მოჰკიდა და წინ წავიდა და დააპირა.

— მგონი აქ იქეკი და ისვენებდი, მოძღვარო?

— დიახ, აქ ვიქეკი, ლოცვასა და კითხვას მოვრჩი და აგერ გრძელ სკამზე ვისვენებდი.

— ჩამოვჯდეთ, მეც შევესვენებ, — თქვა მთავარმა და ჯოხით, სკამის ძებნა დაიწყო.

— აგერ, აქეთ მობრძანდით, მთავარო, — მარცხნივ მისწია ივლიანემ.

შერგილი გრძელ სკამს წაადგა, მუხლებით შეეხო.

— დაბრძანდით, ბატონო! — კრძალვით უთხრა მოძღვარმა, თვითონაც დაინხარა და მთავარს დაჯდომასში შეეშველა.

— აქ ხშირად ზიხარ, მოძღვარო?

— ვზივარ და ვუცდი, მთავარო.

— რასა, რას უცდი?

— სიკვდილს ვუცდი...

შერგილს შეაჩეროლა.

— რას ამბობ, მოძღვარო, სასიკვდილო რა გვირს?

— დაბადების დღიდან, ქვეყნად მოსვლისა და გაჩენის დღიდან, სიკვდილი ყველა სულდგმულს სჭირს, მთავარო. ზოგი თვითონ მიეჭანება იმ სიკვდილისაკენ, ისე რომ არც იცის, ზოგი კი, ჩემსავით ზის და ელოდება მის მოსვლას.

— ჰოი, ეს მართალია, მოძღვარო! ყველაში სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ მაგაზე ფიჭრით დარჩენილი ორი დღის წუთისოფელი არ უნდა გაიმწარო.

— არც ვიმწარებ, მთავარო. ვზივარ და ვუცდი, კრიალოსანს ემარცვლავ და, იმაზე სულაც არ ვფიჭრობ, რომ ყოველი ქარვის გადამარცვლავზე, სიცოცხლის რაღაც ნაწილი მაკლდება. ვზივარ და ველოდები ჩემად და უდრტვიწველად და, ამ მუდმივი მოლოდინით რაღაც თავისებურ სიამეს განვიცდი. ადამიანი სწავლასხვა ვარსკვლავზე იბადება, ზოგი მთელი სიცოცხლის მანძილზე

ელის ბედს, ზოგი თვითონ მიისწრაფვის მისკენ, მე იმ თაბუნდანა ვარ, რომელიც მშვიდადა ზის და ელის.

— ეგეც მართალი უნდა იყოს, ეტყობა ადამიანები სხვადასხვა ვარსკვლავზე ჩნდებიან. ზოგჯერ ისინი ერთადაც იბადებიან, ერთმანეთსაც გასაოცრად პგვანან, ერთნაირ პირობებშიც იზრდებიან და, მაინც სხვადასხვა ბედისა არიან. ჩემი შვილების მაგალითზე უკეთესი რა გინდა! ტყუზად დიბადნენ, ერთად იზრდებოდნენ, ზრუნვა და მოვლაც ერთნაირი ჰქონდათ. გოგო თავიდანვე ჭანმრთელი იყო და ხალისიანი, ვერცხლის წყალივით მოძრავი და უღარდელი. ბიჭი, იმთავითვე სუსტი და ავადმყოფობისკენ მიდრეკილი დაიბადა. სადაც ჩამომრევი სენი ან ბატონები გაჩნდებოდა, პირველი იმას დაეტაკებოდა; იქნებ ამიტომაც, ზედმეტად მგრძობიარე და ნაზი გახდა, დაფიქრება ნაადრევად დასჩემდა და ცხოვრების ხალისიც ნაკლები დაჰყვა.

— ბატონიშვილი გონიერია და ღრმად განმცდელი. ეგ ზედმეტი მგრძობიერებაც შორს წვდომასა და გაგებაში ეხმარება. სწავლაში ბეჭითია და ნიჭიერი. თუ ასე განაგრძო, სწავლულობით ზეალმატებული იქნება და მეცნიერებით ქვეყანას გააყვირებებს.

— ეგ კარგია, მამო, მაგრამ ისიც არ დაგავიწყდეს, ცოტენ სამთავროს ერთადერთი მემკვიდრეა და მართო მე კი არა, მთელი ოდიში მისი შემყურე და მოიმედე.

— ვიცი, მთავარო და, მე სწორედ ეგ მახარებს, რომ ღირსეული მემკვიდრე გეზრდებათ.

— საღვთო სჯულისა და სხვა მეცნიერებათა სწავლა ფრიად სასარგებლოა ბატონიშვილისათვის, მაგრამ თუ მომავალ მთავარს სამამაცო ზნე და ნიჭიც არ ექნება, ომისა და ნადირობის წესი, მობურთალობა და ცენოსნობა არ ეცოდინება, სამთავროს პატრონად და მეფის კარის დიდებულად ვერ გამოდგება.

— ქეშმარიტებას ბრძანებ, მთავარო, დაუმოწმა იელიანემ.

— ჰოდა, ეს რომ ასეა, ზოგჯერ იმას ვფიქრობ, მეტიმეტი მხომ მნ მისილისმეთქი ბატონიშვილს, ცალ მხარეს, ზომ არ მიემართეთ მისი ნიჭი და ღონე.

— ეგ როგორ, მთავარო?

— როგორ და, სულისათვის ნაადრევი ზედმეტი ზრუნვით, იმ ქვეყნიურზე მუდმივი ფიქრით, ამქვეყნიური ვალდებულების შეგნება ზომ არ დავეჩლუნვით ბატონიშვილს?

— რა ბრძანებაა? მთავარო! მე უზომო ყველაფერი მძულს და ბატონიშვილის წვრთნისას ზომიერებას არ ვღალატობ.

— ეგ ალბათ ეგრეა, მაგრამ, ვფიქრობ, მეტი ზრუნვა გვმართებს იმისათვის, რათა ცოტენმ სამამაცო ზნე უკეთ შეითვისოს. ბატონიშვილი სიკბატუვეში იწყებს შესვლას. ახლა უნდა თავს დგომა და წურთვნა, სანადიროდ წაყვანა, ისრის ტყორცნასა და ცენოსნობაში გაწაფვა. რაც ეს ღვთის რისხვა დამატყდა თავს, მე სამაგისოდ აღარ ვარგვარ, მაგრამ ისეთი ახლობელიც არავინ მყავს, მემკვიდრე ვანდო და ჩაებაბრო. ამიტომ მაქვს სათხოვარი შენთან: რაკი მე თვითონ აღარ შემოძლია, ამაშიც შენ უწინამძღვრე ბატონიშვილს. ვიცი, სამამაცო ზნეთა მეცნიერები ხარ და თუ დაგჭირდა, ვაყაკობაშიც ტოლს არავის დაუღებ. ცურვა და ნაოსნობა ასწავლე, სანადიროდ წაუქმე, კვირაში ერთხელ მაინც, ქვეყანა აჩვენე და გააცანი. ისრის ტყორცნასა და ბადის სროლასაც შეაჩვიე და თან საღმრთო და საერო წიგნთაგან თბრობაც არ მოაკლო, გარემოების შესაფერისად. ვფიქრობ, ჩემგან ეს დიდი ნდობაა, მოძღვარო და იმედი მაქვს დამიფასებ და გამიმართლებ.

— ვეცდები, მთავარო... ვეცდები, ერთგული სამსახურით გაემართლო შენი ესოდენი ნდობა. მადლობელი ვარ ამ დიდი და სათნო დავალებიანათვის.

* * *

იელიანემ ანაკლიას წაიყვანა ბატონიშვილი. თან რამდენიმე მენავე და ცურ-

ვით განთქმული ვაჟკაცებიც გაიყოლა. წყლის ხამი ეგონა ბატონიშვილი და მუხლამდე რომ შევიდა, მსლებლებს ანიშნა, ხელი მოჰკიდეთო. ცოტნემ იუკადრისა, გაქანდა და, წყალი რომ წელს ზევით მოსწვდა, ისარივით წავიდა, დაჰყვივნთა და გაუჩინარდა.

სახტად დარჩენილი ივლიანე დაიბნა. — უშველეთ, მანდ რას უდგეხართ! შეუძახა მოცუარევეებს.

ბიჭები არხინად იდგნენ და იცინოდნენ.

— ჩვენი შველა არ უნდა ბატონიშვილს, ჩვენზე ნაკლებად როდი ცურავს. — დაამშვიდა ერთმა.

— შენს უჩუმრად რამდენჯერ გამოჰპარულა ჩვენთან საცურაოდ, მოძღვარო. არ უთქვამს განა?

სადაც შორს ცოტნემ წყლიდან ამოჰყო თავი, ჰაერში თევზივით შეხტა, მხარული მოუსვა და აღმზრდელს გამოსძახა.

— წყალში შემოდი, ოსტატო, გამეჩობრე!

— არ უთქვამს, ბაბა! — თავი გადააქნია იმ ბიჭების დაგვიანებულ პასუხად ივლიანემ და თვალი აღტაცებით გაადევნა შორს გასულ ბატონიშვილს.

ზღვაში ნებაზე მიშვებული ცოტნე იხვივით ლალობდა და წყლიდან ამოსვლა ავიწყდებოდა. ათასგვარ ორის იგონებდა, რომ თვალსაწიერიდან გამქრალიყო და ნაპირას დარჩენილი მოძღვარი წყალში შეეტყუებინა.

ივლიანე წყალს ერიდებოდა.

რალა დროს ჩემისთანა დროულა კაცის ცურვააო, ხელჩაქნეული იტყოდა და ნაპირიდან ცქერასა და ლელვას ჭერდებოდა.

ზოგჯერ ნავზე დასაჯდომად აიტყუებდა ცოტნე, მაგრამ ვაი იმ დაჯდომას! ნიჩბის ღონივრად მოსმით ნავს შუა ზღვაში შეაგდებდა ბატონიშვილი, მერე ისკუპებდა და წყალში გადამხტარი თვალთაგან ქრებოდა ყვინთვით. დიდხანს რომ აღარ გამოჩნდებოდა, ოსტატი შეფიქრებულად აწრიალდებოდა, ფეხზე წამოდგებოდა, წყალში გაუჩი-

ნარებულს უხმობდა და თან ნაპირისკენ იხედებოდა, ეგებ მშველელი უნდა ვინახო.

ამ ყოფაში ჩავარდნილს, უცებ ნავის შეტორტმანება შეუქანებდა გულს და ფერდაკარგული ჩაიკეცებოდა.

წყლიდან თავამოყოფილი ცოტნე ნავს მუშტს ურტყამდა და ანჭლრევდა.

— ნელა, შე ყაჩაღო, ნავს დაეხსენ, მეკობრეც, არ გადამიბრუნო. — თან უწყრებოდა და თან ეხვეწებოდა ივლიანე, მაგრამ სანამ თავათ არ მოწყინდებოდა ანცობა ცოტნეს, მოძღვარს საშველს არ მისცემდა. მერე თავადაც ნავში ჩახტებოდა, ნიჩაბს მოუსვამდა და... ზღვაზე საამო სიმღერა დაირხეოდა: მოძღვარი და შეგირდი ხმაშეწყობილი ვალობით შორს, უკან იტოვებდნენ ხმელეთს და მთელი არსებით ეძლეოდნენ ზღვის უნაპირობის საამო განცდას.

მოშვიებულები თავიანთივე ნანადირევით ნაყრდებოდნენ: თევზი ბლომად ჰქონდათ, ნაპირზე დანთებულ ცეცხლზე ხარშავდნენ და მაღიანად შეექცეოდნენ.

ხანი გამოხდა ივლიანე მოძღვარს ზღვა მოსწყინდა და ტყე-ტყე და მთამთა ხეტიალი მოუნდა.

კარის ეკლესიიდან მწვეწარ-მეძებრებთან და ქორ-მიმინოებთან გადაბარგდა და სულის სასარგებლო მოღვაწეობა თითქმის დაივიწყა. ოდიშის საუკეთესო მონადირეებს ყოველ დღეს თავს უყრიდა და დილიდან საღამომდის იმის რჩევასა და ბჭობაში იყო, თუ სად, რომელ ნადირზე და ფრინველზე ენადირათ, რა გზით, როდის წასულიყვენ, საგზლად რა წაელოთ და ღამე სად ეთიათ.

ყველა საშუადისსა და თადარიგს რომ ჰორჩა, ეს ანაფორიანი დეგვაცი ცხენზე შეჭდა, გვერდით თეთრონზე ამხედრებული ბატონიშვილი ამოიყენა და მონადირეთა მთელ გუნდს ომბიანი შეძახილითა და პირჭვრის წერით წაუძღვა. რაკი ერთხელ გაგარეგანდნენ, შინ გუ-

ლი აღარ უდგებოდათ, ღამეს ხან სად ათევდნენ და, ხან სად. ძილის წინ ან შესვენების დროს, კარავში თუ ხის ჩრდილში წამოწოლილი ივლიანე ბატონიშვილს გვერდით მოისვამდა ხოლმე და ვითომ სხვათა შორის, სახალისოდ ამეცადინებდა.

მონადირეების დაუსრულებელი ყაყანი, მწვევარ მეძებრების წკაფწკაფი და წამსვლელ-გამცილებელთა გნიასი აურუებდა მთავრის ეზო-გარემოს.

ვახალისებულო ცოტენ უჩვეულოდ აღვზნებული ჩანდა, სანადიროდ ფრთაშესხმულივით მიჰქროდა და წასვლის წინ ღამე არ ეძანა.

მშობლებს ბატონიშვილის გამოცოცხლება, გუნების შეცვლა ახარებდა: უკან მობრუნებული მემკვიდრის ამბავს შერგილი გამოწვლილვით კითხულობდა. მის ნანადირევს ცალკე მიითვლიდა, ცხრის აუცდენლად ტყორცნას უქებდა და ახალი შეშართებისათვის ამხნევებდა.

მთავარი და მისი მეუღლე სასოებით შეგპყრებდნენ ცოტენს გამხიარულებას, ცხენოსნობითა და ნადირობით გატაცებას. მაგრამ ამ გატაცების ნამდვილ მიზეზს ვერ ხედავდნენ და არ იცოდნენ მემკვიდრის გულში რა ხდებოდა.

ცოტენ კი...

ყოველ დილას იმ გადაწყვეტილებით დგებოდა, მთაში ნადირობისას შორის წასულიყო, დანარჩენ მონადირეებს ჩამოცილებოდა, სადმე მივარდნილ მონასტერს წასწყდომოდა და იქ სამუდამოდ ბინა ეპოვნა. ნადირობის ეშში შესული თავის ამ უმთავრეს საწაღელს არ იფიქრებდა და, ნადირს დადევნებული სულ იმას ცდილობდა სხვებს მოწყვეტოდა და განმარტობებულიყო. მაგრამ დრო გადიოდა და ცოტენს გადაწყვეტილების ასრულებას საშველი არ აღებოდა: ივლიანე მოძღვარი წამით არ შორდებოდა, როგორც ოდნავ განაპირებულს დაინახავდა, მაშინვე მასთან ჩნდებოდა და ბატონიშვილს თოკით გამოზმულივით თან დასდევდა.

საქმე რომ მხოლოდ ამაზე ყოფილიყო, თავის დამარტობებებს როგორმე

მოახერხებდა ცოტენ. მაგრამ თეოქოს განგებ ისე ეწყობოდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთხელ ვერსად გადააწყდა მიყრუებულ ხეობასა, თუ მთაში მივარდნილ მონასტერს.

ცოტენ განზრახ ირჩევდა სანადიროდ ოდიშის შორეულ კუთხეებს, ივლიანე მოძღვარს სულ იმას ეუბნებოდა, რაც შეიძლებოდა შორს წასულიყვენ, მიუვალ მთებსა და ხეობებში. მოძღვარიც ხალისით თანხმდებოდა, მაგრამ თითქოს ცოტენს ჯიბრზე მიწის პირისაგან ალგვილიყოს, ბატონიშვილის საოცნებო უდაბნოები და გამოქვაბულები არსად ჩნდებოდა.

დილაადრიან სანადიროდ წასვლა შეუგვიანდა ივლიანეს. თბილისიდან სტუმრები ეწვივნენ ოდიშის მთავარს და ივლიანე აღარ აპირებდა სასახლიდან გასვლას. ისევ სტუმრებმა დააძალეს, ჩვენ აქ მთავართან შევიქცევთ თავს და, თუკი ბატონიშვილი ნანადირევით გაგვახარებს, ამაზე კარგს რას ვინატრებთო.

ცოტენმე მშობლებს ადრე დაბრუნება აღუთქვა, ცხენებს მოახტნენ და გაპქურცხლეს.

თითო შველსა და ირემს დასჭერდნენ, ხობბები და ვნოლ-კაკბებიც ინადირეს და უკან დროით გამობრუნდნენ.

ტყიდან გამოსულები შუადღის მზემ შეაწუხა. წყალი მოწყურდათ და სოფელში შეუხვიეს. სათიბებს გასცდნენ. გზა ხეხილის ბალებში გადიოდა. ფერდობზე სკები იყო ჩამწყრივებული და ფუტკრის ზეზუნი ესმოდათ.

უცებ ივლიანემ ცხენი შეაჩერა. ბატონიშვილს რაღაც უჩურჩულა. ცოტენმე ცხენს აღვირი მოსწია და წამით ყველანი შედგნენ.

საფუტკრეს წინ ახალ გათიბულ მინდორზე კაცი იწვა. ცალი მხარი ხალათიდან გამოეძრო და შიშველი მკლავი მზეზე გაეშვირა. შიშველ მკლავსა და ხელზე უთვალავი ფუტკარი მისეოდა. სახე მზისაგან გოჯრის დიდი ფოთლით ჰქონდა დაფარული. ეტყობოდა, ცალკე მზე აწუხებდა და ცალკე ფუტკრის კბენა.

ნიკაი უძაგაგებდა და შიშველი მხარ-
მკლავი უტოკავდა.

— თაფლი აქვს შიშველ მხარმკლავზე
წასმული, — გადაუჩურჩულა ბატონი-
შვილს მოძღვარმა, — იმიტომ ანევევია
ფუტკარი.

— მერე არ კბენენ? — იკითხა ჩუმა-
ღვე ცოტნემ.

— კბენენ, ვერ ხედავ, როგორ ტო-
კავს და იგრიხება?... კბენენ და უძლებს,
იომენს.

— მერე რა აიძულებს? — გაიკვირ-
ვა ცოტნემ.

— ვინ იცის, — თქვა მხრების ჩეჩვით
ივლიანემ და ცხენი დასძრა.

ფუტკარდახვეულმა ცხენების ფეხის
სმაზე თავი ასწია და გოგრის ფოთოლი
მოიშორა. წინწასულმა ცოტნემ ერთ-
ხელ კიდევ მოახედა და ის კაცი ეც-
ნაურა.

— ოტია მეჯინიბეა, მოძღვარო, ჩვენ
ოტია, — გასძახა ბატონიშვილმა ივ-
ლიანეს.

ივლიანემაც პირი სკებისაკენ იბრუნა,
მაგრამ ოტიას სახე აღარ უჩანდა, ისევე
ტყელებურად გაწოლილიყო, თავ-პირს
გოგრის ფოთოლი უფარავდა და შიშ-
ველ მხარ-მკლავზე ფუტკარის გუნდი
ეხვია.

სოფლის გულში, ეზოში, ქალი ჰიდან
წყალს იღებდა.

— ქის წყალზე უარს არ იტყვი, აღ-
ბათ ბატონიშვილო, — გადაულაპარაკა
მოძღვარმა ცოტნეს და დასტურის მი-
ღებას აღარ დაუცადა.

— მასპინძლო! — გასძახა და ცხენი
ლობესთან შეაყენა. ქალმა თავი ასწია,
თავსაფარი გაისწორა და უცხო სტუმ-
რებს დააკვირდა.

— ამას რას მოვესწარი, ცოტნე ბა-
ტონიშვილი მობრძანებულა! — აღ-
ტაცებით ამოიძახა და ჰიშკარისაკენ გა-
იქცა.

— მობრძანდით, ბატონიშვილო! მობ-
რძანდით! — იძახდა და ჰიშკარს ფარ-
თოდ აღებდა.

— ცაბო! დიდი ქალბატონის ფარეში!
იცნო ყველამ.

— ცაბოს ვახლავარ! — მიესალმა ივ-
ლიანე მოძღვარი, — წყურველი ვეზ-
რჩობით, შენს ქალობას, ცხენ-წყალს
დაგვალევიანე.

— წყალი კი არა, ღვინოც მიირთვიოთ,
— გამოეარდა შარაზე ცაბო, — ახლავე
სუფრას გავაწყობ, შემობრძანდით!

— არა, შემოსასვლელად არ გვცა-
ლია, წყალს კი დავლევთ.

ცაბო წყლის მოსატანად გაიქცა. ჰი-
ჭები და სურით წყალი მოარბენინა, და-
ასხა. ყინულივით ცივმა წყალმა თხელი
ჰიჭები დაორთქლა.

— წყალი უმცროსისაა, — თქვა ივ-
ლიანემ და პირველი ჰიჭა ცოტნეს გა-
უწოდა.

— ასე უპატივცემულოდ როგორ გა-
გიშვათ, კაცი რას მეტყვის! ცოტანს
შაინც შემოსულიყავით, — ფუსფუსებ-
და შეწუხებული ცაბო.

— ასე სჯობს, ავაშენოს ღმერთმა! —
ივლიანემ ჰიჭა დასცალა და ცოტნეს
შესთავაზა, — კიდევ ხომ არ ინებებ?

— არა, გამაღობთ! თქვა ცოტნემ და
მასპინძელს შეეკითხა — ოტია სად
არის?

— ოტია სად იქნება! ეს ერთი ხანია,
ვიღაცამ ასწავლა, ფუტკარს დააკბენი-
ნე წამხდარი ხელი და გიშველისო. ყო-
ველდღე მეფუტკარესთან დადის, გახეი-
ბრებულ ხელმკლავზე თავლს იცხებს
და ზედ ფუტკარს იხვევს.

— მერე, არ ტყივა, როგორ უძლებს?
იკითხა ცოტნემ.

— მე თვითონ მიკვირს, როგორ უძ-
ლებს! დაკბენილი, გასივებული მხარ-
მკლავი ღამე არ აძინებს, მაგრამ მეორე
დღეს ისევე ხელახლა ფუტკარს იხვევს,
ეგებ განხვევებული ხელი ცოტა შაინც
ამიმოძრაედესო. ვერც ვამტყუნებთ
უბედურს, ხომ იცით, ცალხელა კაცი,
ნახევარი კაცია, მოკვდი მავის საცოდა-
ობით!

ცოტნეს ტანზე ეკლებს აყრიდა და
გული ბაგა-ბუგით უცემდა მისი სი-
რუით დაღუპული ვაჟაკის უბედურება
რომ ესმოდა.

— ვინ იცის, იქნებ არგოს, ყველა

ლონეს უნდა ცადოს, — გაამხნევა ივლიანემ ცაბო.

— ღმერთმა ჰქნას, მაგრამ ვაი, რომ ჯერ საიმედოს ვერაფერს ვატყობ... — წაიტირა ცაბომ.

— აბა, კარგად იყავით, ოტია მოგვიკითხე, წყლისთვის დიდი მადლობა! — გაღმოსმახა ივლიანემ და ცხენს სადავე მიუშვა.

— იცოცხლეთ ბატონო, ღმერთი იყოს თქვენი მოწყალე, მაგრამ ჩემ კაცს რა ვუთხრა, რომ ასე გიშვებთ! — მისძახოდით ცაბო.

ოტნე წამით შეეყოვნდა, ფულით სავსე ჭისა მოიძია და ჩუმად ჩაუღო ხელში ცაბოს.

ცაბომ იუარა.

— უი, რატომ სწუხდებით! თქვენი ოჯახისაგან წყალობა და საბოძქარი არ გვაკლია. ღმერთმა ნუ მოგაკლავთ თავიერი მადლი და წყალობა.

ოტნემ ცხენი ადგილს მოსწყვიტა და თანამგზავრებისკენ გააქანა.

მიდიოდა ოტნე და თვლიდან არ შორდებოდა თაფლწასმული ოტიას მხარმკლავი. ტკივილისაგან მტრკავი ნიკაბი და წამოსიებულ შიშველ ხორცზე მისეული ფუტკარი.

წამით გავარჯერებულ იშნით და საშინელი ტკივილისაგან შესლილი ოტიას სახე მოელანდა და კინაღამ ისევე გული შეუღონდა. ხელი უნაგირის ტახტას წაეღო, წონასწორობა აღიდგინა და გუნებაში მამის ნათქვამი გაიმეორა: შენც გაუძლებდი! ცხოვრება განსაცდელითაა სავსე და, ვაჟკაცი ამ ქვეყნად მისთვის ჩნდება, რომ ჭირსა და განსაცდელს გაუძლოს!

— მუციუს სცევოლა! მუციუს სცევოლა! — მოესმა ოტნეს და ფიქრებიდან გამოერკვა. ივლიანე მოძღვარი რაღაცას იგონებდა და ალტაცებული ბუტბუტებდა.

— რა ბრძანე, მოძღვარო?

— არაფერი, მუციუს სცევოლა გამახსენსდა, რომაელი ვაჟკაცი.

— რამ გავახსენა, ან ვინ იყო ეგ სცევოლა?

— ოტია მეჭინბეს ამტანობამ გაამახსენა, ფუტკრის კენეს რომ წაუღონდა ვაჟკაცურად... ეს ამბავი შეველად, მალიან ძველად მოხდა, ბატონიშვილო, რომის რესპუბლიკას ეტრუსკებთან პქონდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ეტრუსკთა მეფე პორსენა სასტიკად უტევდა ალყაშემორტყმულ რომს და დღედღეზე ელოდა მის დაცემას.

მაშინ ერთმა რომაელმა ჰაბუქმა, მუციუსმა გადასწყვიტა რომისათვის თავი გაეწირა, მტრის ბანაკში შეპარულიყო და მათი მეფე მოეკლა. მუციუსმა მოახერხა ეტრუსკელთა ბანაკში შესვლა, მაგრამ შეცდომით რომაელმა ჰაბუქმა პორსენას ნაცვლად მისი ერთ-ერთი დიდებული მოჭლა. მკვლელი შეიპყრეს და მეფეს წარუდგინეს.

— მე რომის მოქალაქე ვარ, — ამყად განუცხადა ჰაბუქმა ეტრუსკთა ხელმწიფეს. — ჩემი სახელია ვაიუს მუციუსი. მე აქ მოვიდი ჩემი სამშობლოს მოსიხსნე მტრის მოსაკლავად. მზადა ვარ ამისთვის პასუხი ვაგო და მოეკვდე. მამაცურა მოქმედება და მამაცური სიკვდილი ერთნაირად გვახასიათებს რომაელებს. მე მარტო როდი ვარ, ჩემსავით აქ სხვა რომაელებიც მოვლენ შენს მოსაკლავად. ფხიზლად იყავი, მეფე, მტრის მახვილი არაერთხელ აღიმართება შენს ვასამგირად.

მეფეს უნდოდა შეეტყო, ვინ და, როგორ მოიყვანა მტრის ჯარისკაცი მის სამყოფელში, როცა ჰაბუქი არ გატყდა, პორსენამ სამსხვერპლო ცეცხლი აღაგზნებია და მუციუსს წამებით დაემუქრა.

— მიცქირე მტარვალო! — შესძახა ჰაბუქმა, — მიცქირე და ნახე, რა ოღლია სიკვდილი მისთვის, ვისაც თვალწინ თავისი უკვდავება უდგას.

ამ სიტყვებით, მუციუსმა მარჯვენა მიუპყრო აღგზნებულ ცეცხლს და ისე გაუძლო ხელის დაწვას, წარბიც არ შეუხრია. სანახობით შეძრწმუნებულმა მეფემ უბრძანა ჰაბუქი ცეცხლისაგან მოეშორებინათ. რომაელი ვაჟკაცის გამირობით მოხიბლულმა ეტრუსკთა

ხელმწიფემ მუციუსს სიცოცხლე და თავისუფლება აჩუქა.

— რა ვაჟაკი ყოფილა! — აღმოხდა ცოტნეს.

— ვინა, მუციუს სცევოლა? ყველა დროისა და ყველა ხალხის გმირებში გამოსარჩევად და სამაგალითოდ არის აღიარებული.

— გაძლება არ უნდოდა ხელის დანახშირებას?! —

— დიდი რწმენა და სიყვარული გაძლებინებდა, ბატონიშვილო, სამშობლოს დიდი სიყვარული და დალატრსადმი ზიზღი.

— ნუთუ ავრე ყოვლის შემძლეა მოძღვარი ეგ გრძნობა?

— სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა? უძლეველი და უმაღლესია! ბედნიერი ის არის, ვისაც მაგ გრძნობის გამოცდის შემთხვევა ეძლევა, რადგან მაგ გრძნობით შეპყრობილი ადამიანი მთერალსა ჰგავს, სიყვდილის შიში არ იცის, და ნებისყოფა განმტკიცებული მზად არის ბრმად შეეწიროს თავის გადაწყვეტილებას.

იმ დამეს ხიზმრად რომაელი გმირის დანახშირებულ მარჯვენას ხედავდა ცოტნე.

— ხვალ გაგარსა და უღალადგილებში ვიქნებით, ბატონიშვილო, ამაღამ კარგად გამოიძინე, რომ დღისით მალე არ დაიქანცო. სვანეთის მთებამდე და უფრო შორსაც ვივლით, შველი და ირემი უნდა ვინადიროთ, — უთხრა ნავახშმევს ცოტნეს ივლიანე მოძღვარმა. ერთხელ კიდევ ჩამოუარა ცხენებს და მწევარ-მეძებრებს, მონადირეების თადარიგი შეამოწმა და დასაძინებლად წავიდა.

ცოტნეს ჩვეულებად ჰქონდა, სწორედ მაშინ გაუტყდებოდა ძილი, როცა აღრე ასადგომი იყო. ათასი ფიქრი და მოგონება მოესეოდა, ლოგინში შამფურივით ატრიალებდა, თავის ტკივილითა და უძილობით გასავათებულს ძილს, როდის-როდის, განთიადის წინ წამოეპარებოდა.

ამჯერადაც ვერ მოერია ამ უხიავსა და უამურ ჩვეულებას. მთვარებულათასგვარ ფიქრს თავი ვერ გაართვა; რაც უფრო მეტად ატანდა თავს ძალას, ძილი მით უფრო შორს გაუტრბოდა და ნამალადევად დახუჭულ თვალს ახლო არ ეკარებოდა. ბოლოს, როცა მთელი სხეული გაუტრბუდა და მოეთენთა, ძილი თავისთავად მოვიდა. ერთხანს დაულაგებელ სიზმრებში იბორიალა, იმ არეული სიზმრებიდან ვერაფერი გამოიტანა. შერე აშლილი ფუტკრის სკასავით აგუგუნებული თავი, როვორც იქნა, დაუწყწარდა და ცოტნეს გულის ძილით დაეძინა.

მძინარე ბატონიშვალთან ისევ ის მოვიდა. ფეხშიშველა, გრძელკაბიანი ღრუბლებზე მოაბიჯებდა. წამით მძინარეს ვადმოხედა, დაიხარა და ხელი მსუბუქად შეახო.

— შეუდექ ჩემს გზას! აღსდექ და ეტიე კვალი ჩემი...

ჩაესმა მძინარეს ნიავის ჩურჩულივით ჩუმი, მაგრამ საამო ხმა და ბატონიშვილმა იგრძნო, მხრებზე ფრთები ამოუდოოდა, სხეული სიმძიმეს ჰკარგავდა და სადაც იყო, გაფრინდებოდა.

— აბრძანდი, ბატონიშვილო! — ჩაესმა ცოტნეს ნაცნობი ხმა და თვალი გაახილა.

თავს ივლიანე მოძღვარი ადგა, კარგად გამოიძინებულს დაეღაფა ლოყები და ნაკვერცხლებივით ანთებული თვალები უცინოდა.

— გეყოფა ძილი, ბატონიშვილო. დროა გზას გავუდგეთ, — ნამადალა თქვა ივლიანემ და სარკმლისაკენ ხელი გაიშვირა, — თენდება!

ცოტნემ სარკმელს გახედა; ცა მტრედისფრად შემოღვრეთლიყო. ცხენების ჰიხვინი და ფრუტუნე, ძაღლების ყეფა და მამლების ყვილი ძილის ბურანში გახვეულ არემარეს აფორიაქებდა და მოსვენებას უფრთხობდა.

ცოტნემ საბანი გადაიძრო და წამოხტა. გამოუძინებლობით აყოლილ დაღლასა და მოთენთილობას, სულაც არ გრძნობდა, პირიქით, მუხლსა და მკლავ-

ში საიდანაც სულისა და სხეულის განმარტებული ღონე უხილავად ეღვრებოდა და თითქოს სიზმარი გრძელდებოდა, უჩვეულო სიმსუბუქე გასაფრენად ეწეოდა.

გეგონებოდა, სამუდამოდ სტოვებს გასაცილებლად გამოსულ დედმამასო, დიდხანს ეხვეოდა და ჰკოცნიდა. თავდაც არ ესმოდა თვალზე ცრემლი რატომ მოადგა, რატომ შეებრალა ჩვეულებრივზე მეტად მისკენ ოდნავ შესამჩნევი შემფოთებით მზირალი დედა.

ეზოსა და ორღობეს გასცდა თუ არა, თეთრონს მათრახი უჭირა და ახლა კი შართლა ფრთაშესხმულივით გაფრინდა იქით, საითაც ბავშვური გადაწყვეტილებით შეპყრობილს, ასე დიდხანს და დაქინებით ეძახდა ფიჭრი და ოცნება, ერთიმეორისაგან განუყოფელი სიზნარი და ცხადი.

ერთხანს ასე მიჰქროდნენ.

მერე, ვაკე რომ გათავდა და აღმართს შეუდგნენ, ცოტნემ ცხენი ნაბიჯზე გადაიყვანა.

მოშობულები მუხების ჩრდილში ჩამოსხდნენ, მწვანეზე სუფრა გაშალეს და საუზმეს შეეკცნენ.

ბატონიშვილი საქმელს არ ეტანებოდა, თვალი სადღაც შორს გაუბრბოდა, გზის გაგრძელებას ეშურებოდა.

ივლიანე მოძღვარი ყანწით დაილოცა, ხელმწიფის სადღეგრძელო თქვა. დაკლილი სასმისი ღვინით აავსო და საალავგროდ გაიწოდა, ყანწის ჩამომართმვის არჩევა ვერ მოასწრო, რომ გვერდით მჯდარმა ბატონიშვილმა ხელი შეაგება და მოულოდნელობისაგან დაბნეულ მოძღვარს სასმისი ჩამოართვა.

ცოტნე სმაში უცადი იყო, ღვინო არასოდეს დაელია. ივლიანე შეშინდა არ აწყინოსო, ნაგრამ პირდაპირ დაშლაც ვერ შეჰბედა და ოდნავ გასაგონად შესთხოვა:

— სულ ნუ დაცლი, ბატონიშვილო, უჩვევი ხარ!

ცოტნეს ვითომაც არ გაეგონოს მოძ-

ღერის გაფრთხილება, ყანწი მოიყუდა და სულმოუთქმელად დასცალდა. ბატონიშვილის ლოყებს მამხინვე შეროვნება მოემატა და ისედაც აღგზნებულ თვალბეში ცეცხლი ჩაუდგა.

ვაი თუ კიდევ დალიოსო, შეეშინდა ივლიანეს, მერე სადღეგრძელო პატარა ჰინჭილით შესვა და რადგანაც ყველას თავთავისი კულა და ჰინჭილა წინ ედვა, ალავერდს არავისთან გადავიდა.

წასვლის მოსწარაფე ცოტნეს შეეხარა ჰინჭილის ავსება და ვიწრო ყელიდან წუწკად მომდინარე ღვინის ნელი წრუნება.

ივლიანემაც არ ინდომა სერობის განხვრძლივება, წასვლისა დაილოცეს, კალთები დაიბერტყეს, სუფრა აალაგეს და ცხენებზე ამხედრდნენ.

ფართო გზიდან ბუჩქებსა და ეკალებარდებში მიმალულ ბილიკებზე გადავიდნენ, აღმა-დაღმა, კლდე-კლდე დიდხანს იარეს და, როგორც იყო, ტყით დაბურულ ხეობაში გავიდნენ, მყუდრო ხეობა შეკავებელი ხმაურით აივსო.

ჰალაში დაცემულ მუხნარს შემოუარეს, ალყა მოარტყეს, ბუკსა ჰკრეს და ძაღლები აუშვეს.

ტყე, თითქოს უეცრად მოვარდნილმა ქარიშხალმა შესძრაო, ფრინველები დაფრთხნენ, ხობებები ცაში მაშხალებით ავარდნენ. მერე იმ მაშხალებისაგან ბევრი ქვასავით მძიმედ წამოვიდა ძირს და ისრის მტყორცნელები გახარებულნი მისცივდნენ პირველ ნადევს.

ძაღლებმა ყეფა ასტეხეს. ყეფა გამემულ წყავ-წყავად გაგრძელდა და ტყეში დამფრთხალი ნადირი დაიძრა.

ასწლოვან მუხას აკრული ბატონიშვილი, დაქვეითებული ელოდა ნადირის გამოჩენას.

ცოტნესაგან ოციოდე ნაბიჯით დაშორებული ივლიანეც მშვილდისარმონარჯვებული გულისფანქვალით უცდიდა ნადირის წამოხტომას.

ძაღლების ყეფა და გინასი მოახლოვდა.

ივლიანემ თავის მობრუნებაც ვერ მო-

ასწრო, გვერდით რაღაცამ გაიშლი-
გინა და, შურგზე რქებდადაგდებულ,
დაოთხილ ირემს რომ თვალი ჰკიდა,
ნადირი უკვე შორს იყო.

ისარი სტყორცნა და თავადაც იქით
გავარდა, საითაც აწრიალებული ძალ-
ლები ყეფითა და წყმუტუნით გარბოდ-
ნენ. ეტყობოდა, ირმის ჯოგი მოქცეუ-
ლიყო ძაღლებისა და მონადირეების
რკალში.

ყველამ იქით მიაშურა.
დაბნეული ცოტნე წამით შეყოვნდა.
თვალი მოავლო იქაურობას: სრულიად
მარტო დარჩენილიყო.

ღვინის ხამ ყმაწვილს თავი უბრუნოდა
და რაღაც უცნობ სიამეს თუ აღტაცე-
ბას განიცდიდა.

იღგა აღგზნებული და დაბნეული და
ვერ გადაეწყვიტა რა ექნა, სხეებსავეთ
ირმის ჯოგს გამოდევნებოდა თუ...

უცებ შეველი გამოჩნდა.
დაფეთებული პირდაპირ ცოტნესკენ
გამოიჭრა.

ცოტნე გაოგნებული მიჩერებოდა
მისკენ მიმჭროლავ შეველს. შევილდისარი
გამართული ჰქონდა, მაგრამ მონუსხუ-
ლივით გაუნძრევლად იღგა და ტყორ-
ცნა ვერ მოეფიქრებინა. შეველმა თით-
ქოს საფრთხე იგრძნო, მხარი იცვალა,
გვერდით გასხლტა და ისევ ტყეს მისცა
თავი.

ახლა კი გამოფხიზლდა ცოტნე. ისარი
დაადევნა გაფრენილ ნადირს და თავა-
დაც სირბილით მიჰყვა უკან.

მეორე ისარმა სადღაც უწია კამარ-
კამარ მიმჭროლავ შეველს. ერთი ჩაიკე-
ცა, მაგრამ ისევ მალე წამოდგა და გაფ-
რინდა.

სისხლის წვეთების წვრილი ძაფე გა-
ჰყვა შვლის ნაკვალევს და ბატონიშვი-
ლი მიხვდა, რომ მეორე ისარი მიზანს
მოხვედრილი იყო.

ოდნავ ღვინომოკიდებული. უჩვეუ-
ლოდ აღგზნებული ცოტნე უცებ ნა-
დირთან რბოლაში გაჯიბრების ღინმა
აიტანა — შვლის ცოცხლად შეპყრობა
მოუნდა და ისარი აღარ ესროლა.

თვალმოუსწრებლად მირბის შეველი

და მუხლიაუხრელად მისდევს ცოტნე,
დაპრილის ნაკვალევზე სისხლს ქაღალ-
თანდათან მსხვილდება და ბატონიშვი-
ლი ხვდება, რომ შეველი დიდხანს ველარ
ირბენს, ღონეგამოლეული მალე ჩაიკე-
ცება და ცოცხლად ჩაბარდება.

შველმა ისევ უგანა, ხშირი ტყიდან
გავარდა და კლდე-კლდე ხტომით ბუჩ-
ქნარს მიჰყვა.

ცოტნეს აღარ ესმოდა რა ხდებოდა.
ზოგჯერ ისე ახლო იყო დაპრილ შეველ-
თან, ხელის წაბანება შეეძლო, მაგრამ
ღვინისგან თუ უჩვეულო აღგზნების-
გან ღვენის მიზანი დაეჩიყებული ჰქო-
ნდა და, მხოლოდ ასე დაუსრულებ-
ლად ქროლვა, დაკოდილ ნადირთან სირ-
ბილში გაჯიბრება, თუ სხვა რაღაც აუზ-
სნელი ეშში აკავებდა მსხვერპლის შეპ-
ყრობისაგან.

დიდხანს გაგრძელდა ორი სულდგმუ-
ლის სულმოუთქმელი რბენა.

აღმა-დაღმა ხტომამ, ეკალბარდებში
გზის კვლევამ, მონადირეც მოქანცა
და მუხლი მიუსუსტა.

ღვინომაც გასჭრა და თავბრუსხვევამ
უმატა.

ბუჩქნარი თანდათან შეთხელდა.
დიდრონი ლოდები თვალშეუდგამმა ქა-
რაფებმა შესცვალა და ცამდე აყუდე-
ბულ კლდეთა ხვეულებში, ქვასა და
ღორღზე სისხლის კვალის მიყოლა გაძ-
ნელდა.

ოფლა წურწურით სდის ცოტნეს, მაგ-
რამ ისარს შინც არ ისვრის. ცოტა კი-
დეც და, დაეცემა ჯიუტი ნადირი.

ფერდხეთქებით მირბის შეველი, კლდე-
თა ნაცნობ ხვეულებში მღვეარზე უკეთ
იკვლევს გზას, მაგრამ მღვეარი უკვე
ახლოა და, ცოტნეს ყურს სწვდება, რო-
გორ ქელავს ღონეგამოლეული ცხოვე-
ლი.

აკერ, სვეტად ამართულ უშველებე-
ლი კლდის ნაპირთან მოჰყრა თვალი
შვლის ქვალ ფერდსა და ჰაწაწინა შავ
კუძს.

ცოტნეც უმალვე გაჩნდა იმ კლდე-
სთან, მაგრამ...

კლდეზე გადამდგარი ბატონიშვილი

ემ კლდესავით გაქვეებულია. წუთის წინ აქ გაიჭროლა დაქრილმა შველმა. კლდის იქით აღარც გაქცეული შველი ჩანს, აღარც მისი სისხლის კვალი. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ეს კია, რომ დაკოდილი ნადირი აღარსად არის.

მონადირემ დაბლა გადაიხედა: ტაფობში ბალ-ვენახებს შაოსნები შესევინა, ზოგი ხილს ჰკრეფს, ზოგი ვაზს ნორჩავს. ფერდობებზე ფუტკრის უთვალავი სკა ჩარიგებულია და ის სკები სოკოებავით ჩამწკრივებული ჩანს მწვანითა და ფერად-ფერადი მთის ყვავილებით დაფენილ გორაკებზე.

უამრავი ფუტკარი აღმა-დაღმა დაბზუნის და ცოტნეს ეჩვენება, რომ ეს ზუზუნის ფუტკარს კი არა, თვითონ მზიით გახურებულ ჰაერს გააქვს.

თვალი გორაკებს ზემოთ ააყოლა ცოტნემ. უზარმაზარი პიტალო კლდე ცამდის აზიდულა, იმ ბალ-ვენახების გასწვრივ წავრძელებულა და თავბოლო არ უჩანს.

კლდეში გამოკვეთილი უთვალავი კართა და სარკმლით თვალდახრილივით იცქირებიან მღვიმეები. კარ-სარკმელებს კლდისგანვე ნაკვეთი ჩუქურთმების გრეხილი ავლია. ალაგ-ალაგ მსსმოიარე ვაზის რტო და ბროწეულეები კლდეზე ამობურცვით გამოყვანილი.

ლომები და ვეფხვები, ქორბუდა ირმები და რქაგრეხილი ზარები, თუ ვერცები, თითქოს მაღალ კლდეზე იმისთვის შეურეკიათ, რომ შემდეგ იქ გაექვევებიან და სამუდამოდ შეეხორცებიანა ნაცრისფერი ქვის მღუმარებისთვის.

ახლა მარჯვნივ მოიბრუნა თავი ცოტნემ.

კლდეშივე ნაკვეთი გრძელსაფხვურებიანი კიბე შედიოდა გამოქვაბულებში. ცოტნეს წინაშე მონასტრის ქვაბები აღმართულიყო. თავი ისევ ძილში ეგონა. ნელ-ნელა იწყებდა გამოფხიზლებას, და ხედებოდა, რომ სიზმარი ახდა, ბედისწერა ასრულდა.

კიდევ ცოტა მარჯვნივ გაიხედა: აღმართზე ფართო გზა მიიკლაცნებოდა.

რკინის ქიშკართან თავდებოდა და იმ ქიშკრის იქით ამართულ კლდეში ნაკვეთ კიბეს ებჭინებოდა. ცოტნე კლდე-კლდე ხტომით იმ გზისკენ წავიდა.

გზა კლდის ჩრდილში მიდიოდა. აღმართს აჰყვა, მაგრამ ღონე აღარ ჰყოფნიდა. ატყობდა, თუ სადმე არ შეისევნებდა, მუხლები თავისთავად ჩაექვეებოდა.

წყლის ჩხრიალი მოესმა.

ვერდზე გაიხედა: კლდის ნიშში მაცხის სისხო წყარო გადმოსჩქეფდა. პატარა აუზიდან წყაროს წყალი ღელედ მიედინებოდა და გზის ქვეშ ბალვენახებისაკენ მიჩუხჩუხებდა.

პირგამშრალი წყაროს მიეტანა. ჩაჩოქილი სულმოუთქმელად დაეწაფა და გაძლომამდე სვა.

როგორც იყო წყალს ტუჩი მოაშორა. იქვე მწვანეზე მიწვა და თვითონაც ვერ გაიგო, როგორ წაართვა ძილმა თავი.

შენჯღრევამ გამოაღვიძა.

ზურგზე გოდორაკიდებული შაოსანი ბერი აღდა თავს.

— რახანია გაღვიძებ! ქვაზე ძილი საშიშია, სნეულება რამ არ აგყვეს, — უთხრა ბერმა.

ცოტნე ჯერ უცნობს მიაჩერდა, მერე იქაურობას თვალი მოაქოდა და ყველაფერი გაიხსენა.

მზე კარგახნის ჩასული იყო.

— როგორ მკვდარსავით მძინებია! — თავისთვის ჩაილაპარაკა ცოტნემ.

— აქ საიდან გაჩნდი? ვისთან მოხვედი? — ჰკითხა ბერმა, ხილით სავსე გოდორი ზურგიდან ჩამოიღო, ქვაზე ჩამოჯდა და ერთი ბროწა ვაშლი ყმაწვილს გაუწოდა, — პირი გაისველე...

ცოტნეს დილისაქეთ პირში ლუქმა არ ჩასვლოდა. მთელი დღის ნამგზავრსა და ნარბენს მგელსავით შიოდა და ბევრი თავპატივი არ გაუდევს, გამოწვდილი ვაშლი ჩამოართვა, მადლობა გადაუხხადა და მადიანად ჩაქბიჩა.

— აქ ვისთანა ხარ? — იკითხა ისევ ბერმა და მუხლზე ოფლი მოიფშინდა.

— შენ აქაური ხარ? — კითხვაზე კითხვითვე მიუვლო ცოტნემ.

— ჰო, მე ამ მონასტრის უღირსი ბერი ვარ.

— ამ მღვიმეებში მონასტერია?

— არ იცოდინა?... მონასტერია.. განთქმული მონასტერი.

— მონასტრის უფროსი ვინ არი?

— მონასტერს უფროსი არ ჰყავს. ჩვენი წინამძღვარი, ანუ იგუმენი ერისკაცობაში სახელგანთქმული ოდიშის მთავარი, ერისთავთ-ერისთავი და დიდი თამარის ვაზირყოფილი — ვარდან დადიანია.

— ვარდან დადიანი? ოდიშის მთავარყოფილი? — იკითხა ცოტნემ და ხმაში შეშფოთება შეეგრძობა.

— დიახ, ვარდან ყოფილი, აწ კირონად წოდებული, სიწმიდით და მოღვაწეობით განთქმული ჩვენი წინამძღვარი.

ცოტნე საგონებელში ჩავარდა.

წელან რომ ეგონა, საწადელს მიაღწია და ამდენი ხნის ოცნებების ასრულებას ეწვია, თავის მოტყუება ყოფილა. გზის უცოდინარი ყრმა თავად განგებამ მოიყვანა ამ მონასტრის კართან, სწორედ იმ მონასტრის კართან, რომელზედაც მახარებელ ქობალია უამბობდა. ცოტნე საკუთარი ბიძის საეანეში მოსულა და ახლა იგი მახეში გაბმულ ჩიტს ჰგავდა, დღეს თუ არა, ზვალ შერგილი მოვა, ან თავის კაცებს გამოგზავნის, მისი უფროსი ძმა, ვარდან ყოფილი — იგუმენი, თავისი ხელით გამოიყვანს ამ უღონო ჩიტს მახედან და ოდიშის მთავარს დაუბრუნებს, რათა ღვთის სამსახურის გზა საბოლოოდ შეუტრან და სამთავროს მემკვიდრე მეფის ერთგულ ერისკაცად აღზარდონ.

— მაინც არ იტყვი, საიდან ხარ და ვისთან მოხვედი? — იკითხა ისევ ბერმა.

ცოტნე ფიქრისაგან გამოერჯვა. შეკითხვა ისევ უპასუხოდ დასტოვა და ისევ იქით შეეკითხა:

— დიდი ხანია, რაც ამ მონასტერში ბერად მოღვაწეობ?

— კი... კარგა ხანია. თითქმის შენო-

დენა ვიყავი, ბერად რომ აღვიკვეცი. აღრე დავობლი და უპატრონ ბაღლი აქ მომიყვანეს.

— ვინ მოგიყვანა?

— ჩემსავით ღარიბმა და უქონელმა ნათესავებმა.

— უფალს არ მოუწოდებია?

— უფალს! არა, უფალს არ მოვეწოდებოვარ.

— მე კი სულ უფალი მეცხადება. სიზმრად ამ მონასტერს ვხედავ, უფალი ღრუბლებიდან ჩამოდის, ხელით მეხება და მძინარს ჩამძახის „აღსდექ და შეუდექ ჩემს გზასო“.

— მართალს ამბობ? — გაოცებისაგან პირი დაალო ბერმა.

— სიმართლეს, იმ უფლის მადლს ვფიცავ.

— ამ მონასტრისკენ გეძახის?

— ამ მონასტრისკენ... სიზმრად სწორედ ამ ჭვავებს ვხედავ, ამ წყაროსაც, ამ კიბეებსაც...

— რას ამბობ?

— კარგა ხანია სიზმრად ვხედავ და ცხადადაც მეღანდება. გზა არ ვიცოდი. თორემ აქამდე მოვიდოდი.

— მერე ახლა როგორ მოაგენი?

— ზღაპარსა ჰგავს, არ დაიჯერებ... სანადიროდ წამოსულს, შველი წამომიხტა, ისარი ვტყორცნე, დავჭერი და დავედევნე. ცოცხლად დაჭერა მინდოდა და ფეხდაფეხ ვსდიე. დაჭრილი აქეთ შორბოდა. ტყიდან გამოვიდა, კლდე-კლდე ირბინა და ამ ქარაფებში შემომიყვანა. აი, ამ სვეტად ამართული კლდის ნაპირთან მოვიდა, — ცოტნემ კლდისკენ ხელი გაიშვორა — და გაჰქრა! მიწამ ჩაყლაპა, თუ ცამ აიტაცა, ვერ გავიგე. კვალწმინდად დაიკარგა და ეღლარსად ეპოვე.

— ვერ იპოვიდი, თუ წმიდა სვეტს შეეფარა... საღვთო ყოფილა.

— როგორ?

— როგორ და ეგ კლდის სვეტი ამ მონასტრის დამაარსებლისა და ამშენებლის გრიგოლის სახელითაა ცნობილი. გრიგოლ მესვეტე წმინდანი ყოფილა, მავ კლდის სვეტზე დაუდებული

ცხოვრობდა და საწაულებს ახდენდა თურმე. ეგვეც წმინდანის სასწაულია — დაჭრილი შვლის უკვლოდ გაქრობა.

— ნამდვილად სასწაულია, თორემ ასე თვალსა და ხელს შუა რად უნდა დამკარგოდა?! —

— უფრო მეტი სასწაული ის არის, რომ დაჭრილი შველი მონასტრისკენ წამოგიძღვა, ლეთის გზაზე დაგაყენა და უფლის მოწოდება აგასრულებინა.

უცნობი ყრმის ამბით მოქადობებული ბერი, კრძალვით შეკუთრებდა უფლის მიერ მოწოდებულ ყმაწვილს. თვალეზში შეკუთრებდა სასწაულით მოსულს და მის შეგნებაში უკვე წმინდანად შერაცხულ ყრმას.

— შებრძანდი მონასტერში, რაკი უფლის ნებაა, — თქვა ბერმა და წამოდგა, — იგუშენი ახლა მწუხრის ლოცვად იქნება დამდგარი. ვიდრე წინამძღვარი ლოცვას დაასრულებს და შენი მობრძანება მოხსენდება, ჩემს უბირ სენაკში დაისვენე.

ბერმა გოდორი აიკიდა.

— წამობრძანდი... — ბერი პატივისცემის ნიშნად წელში მოიხარა და უფლის ჩაგონებით მოსულ წმინდა ყრმას წინ წაუძღვა.

განგების ნებითა და ჩაგონებით მოსული ყმაწვილის ამბავი ელვისებური სისწრაფით გავრცელდა მონასტერში. ბერები სენაკს მოაწყდნენ „წმინდა ყრმის“ სანახავად. სენაკში შესვლასა და წმინდანთან გამოლაპარაკებას ვერ ბედავდნენ, შორით უცქერდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ ათჯერ მოსმენილსა და გაგონილს, ვაზვიადებულად და გადაკეთებულად უყვებოდნენ ერთიმეორეს ჩურჩულითა და კრძალვით უფლის მიერ მოწოდების სასწაულს.

წინამძღვარს გვიან მოხსენდა.

ნავაზირალმა მონასტრის მიმართ უფლის დიდ წყალობად ჩათვალა წმინდა ყრმის გამოცხადება.

სასოლები აანთებინა და განაპირა

სენაკისკენ გალობით წაუძღვა ბერების გუნდს.

სენაკის ზღურბლთან შეხვდნენ დაეცა წინამძღვარი და ლაღაღყო.

მეტისმეტი ყურადღებით შეფიქრებულნი ცოტნე სენაკის კუნძულში მიყუდულიყო. სანთლების შუქზე სახეგაბრწყინებული იგუმენის საზეიმო ღალღამა ცოტა არ იყოს შეაერთო ყმაწვილი. მიიმე ნაბიჯით მომავალ წინამძღვარს ბებერი ლომივით დაფენოდა ფაფარი მხრებზე. ის ფაფარი და წვერულუაშიც ოდესღაც წაბლისფერი უნდა ყოფილიყო და აქა-იქ კიდევ ანათებდა ყდღალად შემორჩენილი თმის თუ წვერის თითო-ოროლა ღერი.

კირიონმა ხელი ცისკენ აღაპყრო და თავი ასწია. ცოტნე შეხედვისთანავე მოსიბლა მოხუცის დიდებულმა გარეგნობამ.

წინამძღვარმა უფლის სამადლობელი ლოცვა მოათავა და ყმაწვილისკენ წავიდა.

ცოტნე სანთლების შუქს თვალს ვერ უსწორებდა.

კუთხეში მიმწყვდელი ნადირივით ცახცახებდა, დაფეთებული თვალს აცეცებდა და იმასლა ნატრობდა, როგორმე ბიძას მისი ვინაობა არ გაეგო და მონასტრიდან შინ არ გაებრუნებინა. ერთადერთ იმედად ისლა რჩებოდა, დიდიხნის უნახავი ბიძა ვერ მიცნობსო. გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც უნდა მომხდარიყო, დადიანების გვარისა და მთავრის ოჯახის არაფერი დასცდენოდა.

წინამძღვარმა ბერები გაისტუმრა და ყმაწვილთან მარტო დარჩა. დინჯად გამოკითხა, წვლილად ამბობინა უფლის გამოცხადების, ნადირის დევნისა და კლდის სვეტთან შეილს კვალწმინდად გაქრობის ამბავი.

— ეგ სასწაული წმინდა სვეტის ყველაზე დიდი სასწაულია, ამიტომ ყველამ უნდა გაიგოს და იცოდეს. ხვალ, დილაადრიან, ოდიშის მთავარსა და მის მეუღლეს შევატყობინებ, შევუთავი სხვა

დიდებულებიც წამოიყვანონ, თავისი თვალთ გნახონ და მოვისმინონ.

ოღიშის მთავრის ხსენებაზე ცოტნე გაფთხდა და თავი უმაღვე ჩაღუნა, რომ მის თვლებში დაკინებით მზირალ იგუმენს შეშფოთება არ ამოეკითხა.

— საიდან ხარ, შვილო, რა გვარისა ხარ? — იკითხა ნავაზირალმა.

ცოტნემ თავი უფრო ჩაღუნა, მოიკუნტა და დაპატარავდა.

— ვინმე დიდებულის შვილი უნდა იყო, ჩაცმულობაზე გეტყობა, — თქვა წინამძღვარმა და ყმაწვილს თავით ფეხამდე ააყოლ-ჩააყოლა თვალი.

ვარდანყოფილი ერთხანს პასუხს დაელოდა.

ყმაწვილი ხმას არ იღებდა.

— მშობლებმა თუ იციან, უფალმა, რომ მოგიწოდა? — იკითხა წინამძღვარმა.

ცოტნე თითქოს მიწაში ჩაძრომას აპირებდა, უფრო მოიღუნა და ქვის მაგიდას დაეკრა.

ყრმის დამუნჯებამ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრინა იგუმენი.

— შენს ღედმამას უნდა შევტყობინო, თუ არ იციან. მონასტერში მოვიხმობ.

— არა, ნუ იხებებ, მოძღვარო, — შესტირა ცრემლმომდგარმა ყმაწვილმა, სკამიდან ჩაცურდა, დაიხოქა და მუხლზე მოეხვია წინამძღვარს.

იგუმენს უფლის მიერ მოწოდებული ყმაწვილის ფეხქვეშ ჩაეარდა ეუბერბულა. მხრებზე ხელი მოხვია, მუხლების წართმევა სცადა.

— რა გაწუხებს, შვილო, რად შფოთავ? მშობლებისა გეშინია? ნებას არ დაგრთავენ?

— ჰო, წინამძღვარო, ნებას არ დამრთავენ, — ამოიტრია ცოტნემ.

— უფლის მოწოდებას და განგების განაჩენს მოკვდავთაგან წინ ვერავინ აღუდგება. მითხარი, ვინ არიან შენი მშობლები და ხატზე შემოგფიცავე, რომ არ მიგცემ უკან წასაყვანად.

— მართლა, მოძღვარო? მართლა არ მიმცემ შინ გასაბრუნებლად? — ცოტ-

ნემ თავი ასწია და მავედრებელი თვალი თვალში გაუყარა ბიძას.

— ქრისტეს რჯულს ვფიცავ, შენ თავს მშობლებს არ დაეანებებ და ღეთის განგებას არ დაეაშლევინებ... დამშვიდდი და უფალს ვევედროთ, ჩააგონოს შენს მშობლებს სიკეთე და სიწრფოება შენი გადაწყვეტილებისა და მოილოს შენზე ლოცვაკურთხევა მათი.

დაჩოქილი ცოტნე წელში გაიმართა.

— ვინ არიან შენი მშობლები? — დაუკვავებით იკითხა ვარდანყოფილმა.

— ოღიშის მთავარი შერგილ დადიანი და მეუღლე მისი ნათელა...

წინამძღვარი გველნაკებნივით შეხტა, სკამის სახელურებს ხელები მაგრად ჩასჭიდა და თვალები კინაღამ გადმოუცვივდა.

მერე სანთლების შექვზე მისი სახეც იმ სანთლებივით გაფთხდა, ბერიკაცი ერთხანად მოეშვა და ჩაჰქრა.

ცოტნეს შეეშინდა, ხომ არ კვდებაო, ფეხზე წამოიჭრა, იქაურობას თვალი მოავლო, ვიწრო სარკმელთან სურა დაინახა, პეშვზე წყალი დაისხა და მოხუცს აპყრა. პირველვე შეხფის დაცემავ შეირხა იგუმენი.

ცოტნეს ხელი დაუქირა.

— არ მინდა... საპირო არ არის...

ღრმად ამოისუნთქა, სკამის ზურგზე გადაწვა და ოღნავ გასაგონად აღმოსთქვა:

— ასეც ვექვობდი.. გუმანი თავიდანვე მაფრთხილებდა და აკი გამართლდა!..

ცოტა ხანს თვალგამტერებული გახევებული იქდა წინამძღვარი. მერე მიიმედ წამოდგა, წელი ძლივს აითრია და კარისკენ წალასლასდა.

ცოტნემ ხელის შემველება და მხარში შედგომა დააპირა. მოხუცი შეჩერდა, ყმაწვილის ხელი მოიშორა და ხმადაბლა თქვა:

— ახლა გვიან არის. ხვალისა ხვალემ იზრუნოს. შენ აქ მოისვენე ხვალამდის, — ვეარი გადასახა, შიშამდგარი თვალეებით ერთხელ კიდევ შეხედა ყრმას,

უკან-უკან წაიდა და საყნის კარი მიიხურა.

გარეთ საშინელი ქარიშხალი იყო, ცაზე ელვა იკლავებოდა და ქექა-ქუხილი დედამიწას აზანზარებდა.

მერე კოკისპირულად დაუშვა დაღმე კიდევ უფრო ჩამობნელდა.

თავის სენაკში ძლივს შეაღწია წინამძღვარმა. ჭვარცმის წინაშე დაემხო და მაცხოვარს შეჰლაღადა.

— შემინდე უკანასკნელი ცოდვა, ჩემოთა ცოდვათაგან უმძიმესი და უსაშინელესი. რამეთუ არ განმკურნე მონა შენა ამ ჭვეყნის დიდებზე ფიქრისა და სამეფოს საქმეებზე ზრუნვისაგან. შემინდე და განუტევე სული ჩემი, უფალო...

მოხუცი მიყრუებული ხმით ლოცულობდა, ქვის იატაკზე შუბლს ურტყამდა და პირჭვარს იწერდა.

დიდხანს გულშეზრვალედ ილოცა.

როგორც იყო დაასრულა.

გაკერპებული, ძალმოცემული წამოდგა. მაგიდასთან მივიდა და წერილი დაწერა.

მერე ერთი ბერთაგანი იხმო.

— წვიმა გადაილო?

— გადაილო, მამაო.

— ახლავე ჭორი შეკაზმე და ოდიშის მთავრის სასახლისკენ გაეშურე. მთავრის მეუღლე პირისპირ ინახულე და ეს წერილი მიეცი. არამც და არამც სხვას არ აჩვენო.

ბერმა თავი დაუკრა, კალთაზე ემთხვია და წინამძღვარმა გზა დაულოცა.

ის იყო, ბერი გამოსვლას აპირებდა, რომ საშინელმა ხმაურმა იგუმენის საგანემდე მიაღწია.

ვიღაც მონასტრის კიშკარზე არახუნებდა, კარის გამღებს უხმობდა.

მიायურადეს. ხმაური მისწყდა. სანამ ბერი და წინამძღვარი გაერკვეოდნენ, მოახლოებული ნაბიჯის ხმა გაისმა.

კარზე დააკაკუნეს.

— ვინა ხარ? — გაეხაურა იგუმენი.

— მე ვარ, მამაო, ბატონიშვილ ცოტნეს მოძღვარი, მონა ღვთისა ივლიანე.

— დიდება შენს სახელს, უფალო! — პირჭვარი გადაიწერა წინამძღვარმა, —

მომეცი! — გაიწოდა აკანკლებული ხელი და ბერმა ბარათი დაუბრუნა.

— ღვთის ნებაც ის ყოფილა, რაც მე ჩამაგონა ლოცვა-ვედრებამ! გამდლობ უფალო, რომ მიხსენ და განმარბდე ყოველთა ცოდვათაგან უმძიმეს ცოდვას!

ცოტნეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს. ყურის წამლები ქექა-ქუხილი მის თავზე მოვლენილ ღვთის რისხვად ესახებოდა, პირჭვარს იწერდა და კანკალებდა.

მერე, წვიმამ რომ გადაილო, მონასტრის კიშკარზე რახუნი მოესმა.

ცოტა ხანი კიდევ გამობდა და მონასტერში რაღაც უჩვეულო ხმაური ატყდა. დერეფნებში ჩქარი ნაბიჯით გადი-გამოდოოდნენ, გარბოდნენ.

სენაკის კარზე დააკაკუნეს. დამკაკუნებელი პასუხს არ დაელოდა, კარი შემოაღო და სენაკში შემოვიდა.

— წინამძღვარი გისმობს, — მიმართა ბერმა ცოტნეს და თვალზე მომდგარი ტრემლი სახელოთი მოიწმინდა.

ცოტნე წამოდგა. 4

— მთელი მონასტერი ფეხზე დგას, ნუთუ არ შეგიტყვია?

— რაო, რა მოხდა?

— იგუმენი. — ბერს გული აუჩუყდა და აფშლუყუნდა.

— ცუდად ხომ არ არის? — იკითხა შემოფოთებულმა ცოტნემ.

— ცუდად... ძალიან ცუდად.. წმინდა ზიარება მიიღო და ანდერძი ბრძანა.

— რას ამბობ? — ცოტნე აჩქარდა.

ბერი წინ წაუძღვა, ალღვებული ბატონიშვილი წინ უსწრებდა მეგზურს.

— შენი მოსვლით გახარებულს, თურმე მთელი ღამე არ უძინია, განთიადისას უღონობა უგრძენია. ჩვენს ბერებში მკურნალობა და წამლის შემშაბდებლებიც არიან. ზედ გადაიგვენ, რა არ ილონეს, მაგრამ ვერაფერს ვახდენენ. ბოლოს, თვითონვე გამოგვიცხადა, უფალომა მომიწოდაო. ანდერძი დაიბარა, წმინდა ზიარება მიიღო და შენ გიხმო.

ცოტნე მიხვდა, რა „სიხარულმაც“ გაუტეხა ძილი წინამძღვარს. ალბათ

ძმისშვილის მისვლამ, მისი ვინაობის გამჟღავნებისას ნაცემმა ელდამ წააქცია მოხუცი და, ცოტენს რომ აქ არ გამოჩენილიყო, ვინ იცის, კიდევ რამდენხანს იტოცხლებდა ბერიკაცო!

ბერმა კარი გაუღო და აფორიაქებულმა ცოტენს ფრთხილად შედგა ფეხა წინამძღვრის სენაკში.

ლოგინზე თვალმიღებული მოხუცი იწვა. ხელები უღონოდ ეწყო საბანზე და აჩქარებულად სუნთქავდა. სენაკის კუთხეში ივლიანე მოძღვარი იჯდა თავჩაღუნული და გულხელდაკდობილი.

მის დანახვაზე ცოტენს მუხლები მოეკვითა და ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შესძლო.

მოხუცმა თვალი ოდნავ გაახილა, შემოსულს გაუღიმა.

— მოხვედი? მოდი შეილო, აქ დაქექი, — ხელის ოდნავ შენძრევით ანიშნა. მერე ცალი თვალით ივლიანეს გახედა. ცოტენს აღმზრდელი მიხვდა, ბიძა-ძმისწული მართო უნდა დაეტოვებინა. წამოდგა და კარისკენ წავიდა. ცოტენს რომ გაუსწორდა, წამით შეყოვნდა და თვალცრემლიანმა შეპლალადა:

— რას მერჩოდი, რომ ეგრე გამწირე? რა პირით უნდა ვჩვენებოდი შენს უბედურ დედ-მამას!

— ბატონიშვილი ღვთის ნებითა და ჩაგონებით მოვიდა მონასტერში, მოძღვარო, მე ეს წვლილად მოგიბოძრე. ცოტენს არც შენგან, არც მშობლებისაგან საყვედური არ ეთქმის, — მკაცრად თქვა იგუმენმა და ხელით ისევ ძმისწულს ანიშნა დამჭდარიყო.

— შემინდე, მამაო! — აღმოხდა წამოწითლებულ ივლიანეს, შებრუნდა და სენაკიდან გავიდა.

ცოტენე საწოლთან მივიდა.

— დაქექი, — ისევ შეანძრია ხელი ბერიკაცმა.

ცოტენე სკამზე ჩამოჯდა.

— მომიწოდა უფალმა, შეილო! მომიწოდა, მაგრამ საით, ეს არავინ იცის და მე ცოდვილს საიდან მეცოდინება?! მე ვკვდები... შენ ხარ ერთადერთი მემკვიდრე ოდიშის მთავრების, ერისთავთ-

ერისთავ დადიანების. ჩემი უკანასკნელი სიტყვა მაინც შენსკენ იქნებოდა მართული და აი, განგებამ ამ სიტყვის მოსასმენად აქ მოგიყვანა. დიდი იყო ცოდვა ჩემი უფლისა და ღვთითგვირგვინოსანი ხელმწიფის წინაშე. იცის ღმერთმა, ქვეყნის დალატი გულს არ მღებია, მაგრამ უზომო განდიდების წყურვილმა და უზუნაესობისაკენ სწრაფვამ ტახტისაგან განმაცუნა და სამშობლოსა და მეფის ორგულობის მეთაური გამხადა. სიხარბემ და უმადურობამ დამაბრმავა, საქართველოს მეფეთამეფის ურიცხვი წყალობა დამავიწყა და ხმალი იმის წინააღმდეგ ამოღებინა, რის განმტკიცებასა და გაძლიერებასაც მანამდე მთელი ჩემი ძალა და ღონე გადავაგემამინ ღალატად და უკეთურობად კი არ მიმანდა ჩემი ბრძოლა. მეგონა, თუ საქართველოს ტახტზე რუს უფლისწულს დავსვამდი, ქვეყნისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის ეს უმჯობესი იქნებოდა, რადგან შინაგანად მჭეროდა, რომ რუსის ზურგს უკან ამოფარებული ქვეყნის მმართველი თუ ვიქნებოდი, უკეთ წარემართავდი ჩვენი სამეფოს საქმეს, თავგასულ დიდებულებს ავლავებდი, თავნებობის მადას დავუკარგავდი, ძლიერ ლაშქარს საქართველოს საზღვრებს იქით გავუძღვებოდი და ახალ მიწაწყალს შევმატებდი ჩვენს ქვეყანას.

საკუთარი სინდისის წინაშე მართალი ვიყავი და არა ვტყუოდი; მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რომ თამარის წინააღმდეგ ბრძოლა, საქართველოს ერთობისა და ძლიერების წინააღმდეგ ბრძოლა იყო; ვერ გამეგო, რომ ტახტისა და ხელმწიფის ორგულობა, ღვთისა და ქვეყნის ორგულობაც იყო. კაცი თურმე ერთხელვე არ უნდა გაიბზაროს, თავის პირვანდელ რწმენას არ უნდა განუდგეს და ერთი ხელის მოსმით არ უნდა წაშალოს ის, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა. გული თუ ერთხელ გაიორგულე, მერე, მისი გამთელეება აღარ ხერხდება; ერთ ხატს რომ დაამხობ, კრძალვა და პატივისცემა მეო-

რის მიმართაც გავლდება და გეკარგება.

მოხუცი ხელის ფათურით წყლიან ჰიქას მისწვდა, ცხელი ტუჩები გაისველა და მისუსტებული ხმით განაგრძო:

— ჩემი უბედურება ის იყო, დემრთი ღრმად, ბავშვობიდანვე არ მწამდა და ბაგრატიონების გვარი არ მიყვარდა. სამაგიეროდ, ჩემად, ჩემს გულში ძალაუფლების კერპს ვეთაყვანებოდი და ჩემი ქვეყანაც უსაზღვროდ მიყვარდა. ამ სიყვარულში დავმარცხდი, კერპები დამემსხვრა და ულონოქმნილი იმას შევეფარე, რისი იმედიც არასოდეს არ მქონდა. ქრისტეს სარწმუნოებაში მაშინ დავიწყე თავშესაფრისა და სულის სიმშვიდის ძებნა, როცა სხვა ამქვეყნიური ყოველი სასოება შემომეცალა და აღარაფერი შემრჩა. რაკი თავიდან არ ვიყავი მტკიცე მორწმუნე და თითქმის ყველაფერს ეპვიით ვუყურებდი, ვჭირდავდი და გულს არ ვუდებდი. მონასტრის მუხღრობებშიც ვერ შევქელი უფალთან მიახლოება. მარტო მარხულობა და დღედაღამ ლოცვა არ კმარა თურმე. მთავარი სული ყოფილა. მე კი ეპკვის ჰიით ერთხელვე შექმული სული ვერ იქნა და ვერ განვიწმინდე. ამ ქვეყნის ცთუნებისაგან ფიქრი ვერ მოვიკვეთე. ხელისუფლების გემოს გასინჯვა უბედურება ყოფილა. ვინც ერთხელ გამოსცდის იმის გემოს, მერე სიმშვიდეს ვეღარ დაიბრუნებს; ყელამდე რომ ოქროში ჩასვა, მაინც ბედის უმადური იქნება და ვერ მოისვენებს, ქვეყნის სადავეების ხელახლა ხელში აღების სურვილს ვერასოდეს გულიდან ვეღარ ამოიგდებს! მეც ამ სენით ვიყავი შეპყრობილი და თუმცა ბევრი ვეცადე, ვერ განვიკურნე. ლოცვისა და ზორცის გვემის ქამსაც, მინდოდა თუ არა, სულ იმას ვფიქრობდი, ვის უნდა გავერძელებინა ჩვენი გვარიდან ტახტისა და გვირგვინისათვის ბრძოლა. ჩემი უმცროსი ძმა შერგილი კარგი ვაჟაკი და მეომარია, მაგრამ ოდიშის ახლანდელ მთავარს სიზმრადაც არ მოუვა საქართველოს გვირგვინოსნობაზე ფიქრი. მას ჩე-

მი შემართება და პატივმოყვარეობა არ აქვს და ამიტომ დიდი წინასწომღუფობის გაუწევლად უდევს ხელთ ჩემმა მტრებმა ერისთავთერისთავობა.

შენლა მრჩებოდი გვარის ერთადერთ იმედად. ჯერ კიდევ სულ პატარა იყავი, მონასტერში სალოცავად და ჩვენს მოსანახულებლად ამოსულ ჩემს რძალსა და დედაშენს, შერგილის მეუღლეს საიდუმლოდ ვესაუბრებოდი ხოლმე. სულ იმას ვარიგებდი, ტახტის მემკვიდრის მსგავსად აღეზარდე, დიდი ცოდნა მოეცა შენთვის და თან ის ჩაეგონებინა, რომ ბაგრატიონებს ღვთისგან საუკუნოდ როდი აქვთ ჩაბარებული ტახტი და გვირგვინი: აღმზრდელებს შენთვის ის რწმენა უნდა ჩაენერგათ, რომ ბაგრატიონებზე ნაკლები არაფრით იყავი და თუ კარგად გაიწრთენებოდი, შენც ისეთივე უფლება გექნებოდა საქართველოს ტახტზე თვალი გვეროდა, როგორც თამარის შთამომავლებს აქვთ; რადგანაც არც ისე დიდი ხნის წინათ ბაგრატიონებიც ჩვენსავით ერის მთავრები იყვნენ და მხოლოდ მუდმივი მცდელობისა და მოხერხების, დაქინებული სწრაფვისა და ძალღონის დაუშურებლობის შედეგად შესძლეს სრულიად საქართველოს ტახტისა და გვირგვინის მისაკუთრება. სათნო და გონიერი დედაშენი ჩემს შეგონებას ყურადღებით ისმენდა და თავის მხრივ ცდილობდა შენთვის საქართველოს ტახტზე ოცნება ჩაენერგა. ამიტომ გიხმობდა დედა უფლისწულობით და სხვებსაც ჩემად იმას ეუბნებოდა შენთვის უფლისწული ეწოდებინათ. ეგრე არ იყო?

— ეგრე იყო წინამძღვარი.

— ჰოდა, აგრე ნაზარდი ყრმისაგან ბერად შედგომის ფიქრს სულ არ მოველოდი. ამიტომ მეცა ელდა, შენი ვინაობა და მონასტერში დაყულების გადაწყვეტილება, რომ გავიგე. ალბათ ივლიანე მოძღვარმა ჩაგაგონა ეგ სათნო განზრახვა.

— ივლიანე მოძღვარი უბრალოა ჩემს წინაშე, — ამოიოხრა ცოტნემ.

— შენი მოსვლით აფორიაქებული,

წუხელ მთელი ღამე ლოცვად ვიყავი დაცემული. ბოლოს უფალმა ის ჩამავონა, შერგილისათვის მისი მემკვიდრის გადაწყვეტილება შემეტყობინებინა და შენი მშობლები მონასტერში მენმო. წერილი რომ დავწერე და ვგზავნიდი, იმის შეგნება მზარავდა, რომ უფლის საწინააღმდეგოდ მოქმედებდი, ღვთის გზაზე შემდგარ ყომასაც ვლუბავდი და ჩემს სულსაც სამუდამო ჯოჯოხეთის ვუმზადებდი. ამ განსაცდელში ჩავარდნილს შენი მძებნელი ივლიანე მომადგა კარს და შევბით ამოვისთქვე. მივხვდი, უფლისათვის სათნო შენი მონასტრიდან ვაბრუნება იყო და არა აქ დარჩენა. შენი აღმზრდელის მოსვლით განგება უდიდეს ცოდვისაგან მათავისუფლებდა.

ცოტნეს წამწამს კურცხალი მოსწყდა და ლოყაზე ჩამოუვარდა.

— ნუ სტირი, ბატონიშვილო... ბოლომდე მათქმევინე. ყველაზე დიდი სამსახური უფლის მიმართ, სამშობლოს სამსახურია. საქართველოს მეფეს ახლა ქვეყნის შიგნით და გარეთ მესიის მახვილს უწოდებენ. ამიტომ მისი სამსახური მართო საქართველოს სამსახური კი არა, უფლის სამსახურია. რადგან ქართველები ხმალს მართო სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებისათვის როდი იქნევენ. საქართველოს საზღვრების გაფართოება დღეს ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებასაც გულისხმობს. ვინც ამისთვის სისხლსა ღვრის, ის ქრისტეს რჯულისთვისაც ღვრის სისხლს და მხოლოდ ამქვეყნიურ ბედნიერებას კი არა, საუკუნო ცხოვნებასაც იმკვიდრებს.

წმინდა ბალავარისა და იოდასაფის თავგადასავალი ალბათ მოეხსენება ბატონიშვილს...

— ვიცი, წინამძღვარო.
— იოდასაფის დროს, ქრისტეს რჯულს მხოლოდ რჩეულნი აღიარებდნენ და, ისინიც ფარულად, რადგან ჰემზარიტი სარწმუნოების მქადაგებლები ხელისუფალთაგან იდევნებოდნენ. იმ დროს საჭირო იყო მეფეთა და უფლის-

წულთაგან მაგალითის ჩვენება, ამქვეყნიური დიდების უარყოფა, ტახტზე და უზრუნველ ცხოვრებაზე ხელის აღება. იოდასაფისა და მის მსგავსთა მაგალითმა ქრისტეს ჰემზარიტი სარწმუნოებაზე ურიცხვი წარმართი და ურჯულო მოაქცია. ახლა, როცა მთელი საქართველო ქრისტეს რჯულის მსახურია, ვის უნდა მისცე მაგალითი სასახლიდან გაქცევითა და მონასტერში დაყუდებით? ან და კიდევ რომ აპყვენენ შენს მაგალითს და ყველამ მონასტერს მიაშუროს, ვინლა დარჩება ქრისტეს სარწმუნოების დამცველად? საქართველო დაუძღურდება და როგორც კი დასუსტებულს ნახვენ, ცეცხლითა და მახვილით შემოესევინან ქრისტეს სარწმუნოების მტრები ჩვენს ქვეყანას, ქართველობას მართო სოფლებსა და ქალაქებში კი არა, მონასტრებშიაც გაქლეტენ და, ვინც ცოცხალი გადარჩება, ძალით, უწმინდური მამკადის სარწმუნოებაზე მოაქცევენ.

წინამძღვარი დაილალა, ცოტა შეისვენა; წყლით პირი გაისველა და განაგრძო:

— შენ ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ, შვილო. დაფიქრებული განსჯა და ქვეყნისათვის უკეთესის გამორჩევა ჯერ არ შეგიძლია. ამიტომ სხვებს, შენზე უფრო გონიერებსა და შენთვის კეთილისმდომლებს უნდა მიუბყრო ყური. ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონე და, ისე გადადგი. წრფელი გულით უფლის სამსახური მონასტრის გარეთაც შეიძლება. შენ დიდგვარიანი აზნაური ხარ. თუ შენს ღონესა და გავლენას გონივრულად გამოიყენებ, მეფის კარზე სამსახურით გაცილებით მეტ სარგებელს მოუტან ქრისტიანობას, ვიდრე მონასტრის ბნელ საკანში ჩაკეტვითა და ერისაგან განდგომით. იცოდე, საქართველოს ახლა შენი ხმალი და სახელმწიფო ნიჭი მართომყოფის ვედრებაზე მეტად სჭირია, რადგან ჩვენი სამშობლო კუნძულივით არის გარშემორტყმული საისლამოს ზღვითა და მხოლოდ ქართველი ვაჟაკების სიმტკიცის გალავანი აკავებს იმ ზღვის მოწოლას. როგორც კი ეს სიმ-

ტიცე შესუსტდება და შეირყევა, სამამდიანოს ზღვა ისევ აბობოქრდება, კუნძულზე გადმოივლის და საქრისტიანოს მიუდგომელ ბურჯს, საქართველოს მთლიანად წაღუკავს თავის სასახლეებიან-მონასტრებიანად.

წინამძღვარმა ხელის ცახცახით აიღო ჭიქა და წყალი მოსვა.

— კარგად დაუფიქრდი ჩემს ნათქვამს, შვილო, რადგან სიკვდილის წინ გულწრფელობისა და ჩვენი ხალხის სიყვარულის მეტი არა მალაპარაკებს რა. ცოტა დაფიქრდი და დაიკადე. ჰკუპში რომ ჩაეარდება, მაშინ ეგებ სხვაგვარად გადასჭრა. აჩქარება ყოველთვის მანება და ზიანის მომტანი. მე თვითონ ჩემი მწარე გამოცდილებით ვიცი ეს. ცხოვრებაში დგება ხოლმე გადაწყვეტა, საბედისწერო წამი. იმ წამს მიღებულ გადაწყვეტილებაზე ხშირად არამართოვანი კაცის ბედია დამოკიდებული, არამედ მთელი ერის ღირსება და მომავალიც. დიდბუნებოვან ადამიანებს, იმ საბედისწერო წამს შინაგანი ხმა თუ ზეგარდმო შთაგონება, ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებიან, ხოლმე და მათი ეს ნაბიჯი შემდგომ თაობებს საამაყოფ და თავის მოსაწონებლად რჩება. პიროვნებისა და მთელი ერისათვის ამგვარი საბედისწერო წამი მხოლოდ რჩეულთა ცხოვრებაში დგება. ყველაფრით გეტყობა, ღვთისაგან რჩეული ხარ, შვილო ჩემო, ამიტომ კარგად დაიხსოვე, იმ წამისათვის ერთადერთი სწორი პასუხის ვაკემა, მეტწილად, პირად მსხვერპლს, თავგანწირვას მოითხოვს. ჩემს ცხოვრებაშიც იყო ასეთი წამები. მაგრამ დიდებისა და პატივისმოყვარეობამ თავი ვერ გამამეტებინა და სამშობლოსათვის მსხვერპლად სიცოცხლე ვერ მივიტანე. მსხვერპლის გაუღებლად კი საშვილიშვილო საქმე არასოდეს ვაკეთებულა და უკვდავის სახელი არავის დაუმკვიდრებია, — მოხუცმა ღრმად ამოიოხრა, — ღმერთმა ჰქნას, რაც მე ვერ შევძელი, შენ შეგაძლებინოს, ერის ცხოვრების საბედისწერო წამს სწორი გადაწყვეტილება მიგაღე-

ბინოს უფალმა და შენს მიერ გადადგმული ნაბიჯი ღვთისა და წრინახვის მოსაწონი და საქებური ყოფილიყოს!

კირიონ წინამძღვარი დიდი პატივით დაასაფლავეს.

საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ვაზირყოფილის დასატრებლად. თბილისიდან კათალიკოსი ჩამოვიდა, ხოლო თვითონ მეფეთმეფემ თამარმა სამძიმრის წერილი გამოუგზავნა ოდიშის მთავარს, ტახტისა და სამშობლოს წინაშე ვარდანის ძველ დამსახურებას მაღლობით მოიხსენიებდა გვირგვინოსანი და თავის მხრივ უფალს შესთხოვდა შეენდო გარდაცვლალისათვის ცოტნებანი და შეეკოდებანი.

ცოტნეს დედამამის ხეყნა აღარ დასჭირვებია, ისე, უსიტყვოდ გაჰყვა მშობლებს. წინამძღვარის გულახდილმა საუბარმა ღრმად დააფიქრა ყმაწვილი. მართლაც, რა აზრი უნდა ჰქონოდა მთავრის ერთადერთი მემკვიდრის ბერად შედგომას, როცა საქართველოს მეომარი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებელი. თუ საქართველო ისლამის ურიცხვ აღმსარებელთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში დამარცხდებოდა, მაშინ მისი ეკლესია-მონასტრებიც ცეცხლითა და მახვილით შეიძულებოდა და ძალით თუ ნებით ქართველი ხალხიც ბილწი მამადის რჯულზე მოიქცეოდა. ჰეშმარიტი სარწმუნოება იმდენად განმტკიცებული იყო საქართველოში, რომ მისი პირველი გამაერცვლებლების მსგავსად, საკუთარი მაგალითით, ძალაუფლებასა და სიმდიდრეზე ხელის აღებით ქრისტეს რჯულს ახალ მიმდევრებს ვეღარ შესძენდა. ქრისტესათვის სათნო ღურმე ის იქნებოდა, თუ ცოტნე მის მხედრობას შეუერთდებოდა და ხმლის ძალით საქართველოსა და საქრისტიანოს საზღვრების შორს წაწვევისათვის იბრძოლებოდა, ქრისტეს საფლავის გამოხსნისათვის თავდადებულ ჯვაროსნებს დასავლეთის ეკლესია, ცოდვათაგან ათვისუფლებს ღურმე და მათგან ყველაზე

გამოჩენილები წმინდანებადაც კი შეუ-
რაცხია პეტრეს საყდარს. როგორც წმი-
ნდანობის გზაზე დამდგარმა ბიძამ დაარ-
წმუნა, ქრისტეს სამსახურის უმთავრე-
სი ასპარეზი ახლა წარმართთა და მამ-
მადის აღმსარებელთა წინააღმდეგ
ბრძოლა ყოფილა და ამ ასპარეზიდან
გაქცევა მარტო სამშობლოს ღალატს კი
არა, ქრისტეს რჯულისაგან განდგომის
სწორი იქნებოდა.

თუკი ხმლით შეიძლება ქვეშარბიტი
სარწმუნოების სამსახური და საკუთარ-
ი ცოდვების შემსუბუქება, ჭაბუკო-
ბაში ფეხმედგმულ მთავრის მეგვიდრეს
რატომ სხეებსაგით ხმლისკენ არ უნდა
მიუწევდეს გული?!

ცოტნეს უბედური მშობლებიც ზომ
თავიანთი სიცოცხლის ერთადერთ გა-
მართლებად სამთავროსა და ერის მეთა-
ურად ბატონიშვილის აღზრდას სახა-
ვენ.

უფლისათვის სათნო ის ყოფილა, რაც
შეიძლება მალე ჩადგეს ცოტნე თამა-
რის უძლეველ ლაშქარში და იქ, უდ-
როოდ გამოკლებული მამის ადგილი
ღირსეულად დაიჭიროს.

საბეტაკი, უბიწო ცხოვრებით ქრის-
ტეს ჯვრისა და სამშობლოს ერთგული
სამსახურით იქნებ უკეთესრ მგალითიც
უჩვენოს ცოტნემ თანამემამულეებს,
იქნებ სწორედ ხმლისა და გონების
ძალით უფრო ადრე გამოსთხოვოს უფ-
ალს უნებურ ცოდვათათვის შენდობა.
ზოლო თუ ღვთის ნება და სურვილი
ცოტნეს მონასტერში დაუფლება იქნე-
ბა, უფალი კვლავაც მოუწოდებს იმ ცა-
ვი სენაკებისაკენ, სადაც ამჯერად მისი
დარჩენა არ ინდობა. ბერად შედგომას,
მონასტერში ჩაეკეტვას, კიარიონ წინამძღ-
ვრის თქმისა არ იყოს, ყოველთვის მო-
ასწრებს, ცოტნე, მანამ კი ჯვაროსნობა
უნდა მიიღოს და ქრისტეს საფლავის გა-
მონხნისათვის იბრძოლოს.

ამ გადაწყვეტილებას მარტო საკუთარ-
ი ფიქრი კი არ ჩააგონებდა; ივლიანე
მოძღვარი მსოფლიო ისტორიის უამრავ-
ი მაგალითით უნერგავდა იმის რწმენას,
რომ საუკუნო სასუფეველი სხვადასხვა

ქვეყნის მეფეებსა და მთავრებს სწორედ
ბრძოლის ველზე წარმართებთან და-
ურჯულოებთან ომში დაუძვევილო
ბიათ.

ივლიანე აღტაცებით ჰყვებოდა თამა-
რის დიდი შაპის და მისი მეგვიდრე-
ების ჯვაროსნობის ამბავს:

— ის, რაც დასავლეთის ჯვაროსნებმა
ვერ შესძლეს, ქართველებმა უნდა აღ-
სრულონ. ზურგიდან უნდა დაეარტყათ
ფრანგებთან პირისპირ ომით გაართულ
მუსლიმანებს, იერუსალიმში სხვაზე ად-
რე ქართველთა ლაშქარი უნდა შეიქ-
რას და ურჯულოთაგან სამუდამოდ უნ-
და გაავათავისუფლოთ წმინდა მიწა-წყა-
ლი, მეფეთ მეფე თამარი დიდიხანია ფი-
ქრობს ამ შორეულ დასახელოვან ლაშ-
ქრობაზე. მას შემდეგ, რაც ბიზანტიის
ძლიერება დაემხო, ახლო აღმოსავლეთ-
ში საქართველოს მეტი სხვა ძალა აღარ
არის. საქართველოს ლაშქარმა უნდა
გამოიხსნას ქრისტეს საფლავი და იერუ-
სალიმი ჩვენს სამეფოს შემოუერთოს.
ეს არის უდიდესი ვალი უფლის ჩვენის
ქრისტეს წინაშე. ამ ვალის აღსრულე-
ბაში ყველა ქართველმა უნდა დაიღოს
წილი და ამით დაიმკვიდროს ორივე
ქვეყნის დიდება და საუკუნო ცხოვრება.

ივლიანეს ჭადაგებას აღფრთოვანებუ-
ლი უსმენდა ბატონიშვილი. იგი მოუთ-
მენლად ელოდა თამარის ჯვაროსნების
გალაშქრებას იერუსალიმისკენ. ეკით-
ხებოდა მოძღვარს, რა გზით და როგორ
უნდა დაძრულიყო ქართველთა, ზღვიით
სად უნდა ეცურათ და ხმელეთზე სად
უნდა გაეველოთ, რომელი სულტნის ჯა-
რი სად უნდა გაენადგურებინათ და რა
ბიწა-წყალი უნდა შემოემატებინათ სა-
ქართველოს სამეფოსათვის.

დასავლეთიდან ჩამოსულმა მისიონე-
რებმა ახალი ფრთები შეასხეს ივლიანე
მოძღვრის შეგონებას:

— ახალი, არნახული ჯვაროსნობა იწ-
ყება, ბატონიშვილო. დასავლელ ქრის-
ტეს მხედრებს იმიტომ არ მისცა თურმე
ძლევა ამდენხანს უფალმა, რომ თავად
ჯვაროსნები იყვნენ ღვთის წინაშე შემ-
ცოდენი. ახლა შენც ტოლი ყრმები იარა-

ზმებიან თურმე ურჯულოებთან საომარად. უცოდველ ყრმებს თავად გაუძღვება მაცხოვარი სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მათი სიწმინდითა და უმანკოებით დაამხოვს მამპაღის მხედრობის მძლავრობას: საფრანგეთში თორმეტი წლის ყმაწვილი გამოჩენილა — მწყემსი ვინმე, ეტიენად წოდებული. იმ მწყემსს ძილში გამოცხადებია უფალი, ქრისტეს საფლავის გამოხსნის კეშმარტი გზა უჩვენებია და თავისი ხელით დაწერილი წიგნი მიუცია. ახლა თურმე ის ყმა სოფელ-სოფელ დადის, ქრისტეს წერილს აკითხებს დიდსა და პატარას, სსსწულებს ახდენს და თავის ტოლ ყმაწვილებს ჯვაროსნული ლაშქრობისათვის იწვევს.

— მერე ბევრი შედგომია წმინდა მწყემსის გზას? — იკითხა სმენად ქვეულმა ცოტნემ.

— ბევრი... ძალიან ბევრი... ქვეყნის ყველა მხრიდან დაძრულან დროშებითა და ჯვრებით შენი ტოლი ყრმები ნორჩი წინასწარმეტყველის ლაშქარში შესასვლელად. ახლა ეტიენს თურმე შესავით უმანკო ყრმების დიდძალი მხედრობა ჰყავს, ხმალსა და მშვილდოსნობაში წვრთნის და სულ მალე შორეული პალესტინისკენ წაუძღვება.

— ხმელეთით წამოიყვანს წმინდა ეტიენი თავის ლაშქარს თუ ზღვა-ზღვა ცურვით წამოუძღვება?

— საფრანგეთიდან ზღვით უფრო ახლოა პალესტინა. თვითონ ქრისტეს აღუთქვამს წმინდა ეტიენისათვის, რომ მისი მხედრობის წინაშე ზღვა გაიბობა და გზას მისცემს ნორჩი ჯვაროსნების ლაშქარს ისე, როგორც მოსეს წინაშე გაიბო ზღვა და, ხმელეთი უჩინა ეგვიპტიდან გამოსულ ისრაელობას.

— ჩვენ არ წაგვიყვანს ქართველ ყრმებს ფრანგი წმინდანი იერუსალიმის გამოსახსნელად?

— არა, ვერ წაგვიყვანთ. აქედან საფრანგეთი შორს არის, თქვენ იქ ვერ ჩახვალთ და მათ ვერ შეუერთდებით, მაგრამ თუ მეფე თამარს უფალი კვლავაც ხელს მოუშარათავს და ქართველთა ლაშქარი მზად იქნება სარკინოზებთან საომარად, აღმოსავლეთიდან, ერეკის გავლით შევძლებთ ჩვენ მტრის ზურგში მოულოდნელ გამოჩენას და ღვთის შეწევნით პირველნი შევალთ ქრისტეს სატახტოში. წმინდა ადგილებს რომ ურჯულოთაგან გავათავისუფლებთ, ქალაქის კარს ფართოდ გავაღებთ და გორგასლიან-დავითიანი დროშებით შევეგებებით მაცხოვრის გამოსახსნელად დასავლეთიდან მოსულ წმინდა ეტიენის მხედრობას.

— ნეტავ მართლა ეგრე იქნებოდეს! ოხერა აღმოხდა ცოტნეს.

— იქნება, უსათუოდ იქნება! — ირწმუნებოდა ოცნებით ფრთაშესხმული ივლიანე, — ოღონდ თქვენც არ უნდა იჯდეთ გულზელდაკრეფილები — საქართველოს ახალგაზრდები, უფლისწულები და მთავართაშვილები. თქვენც უნდა დაიღოთ წილი ამ საღვთო ომში.

— ჩვენ როგორ, თუ კი ეტიენთან შეერთება შეუძლებელია?

— ერთიმეორე უნდა განაზრახოთ, თქვენი მამები ჯვაროსნობისათვის აღძრათ, უფლისწულები — ლაშა და რუსუდანი უნდა მიიმხროთ და ხელმწიფეს იერუსალიმზე ლაშქრობის დაჩქარება გადააწყვეტიოთ.

— თამარი შორს არის და მიუწვდომელია... უფლისწულებიც შორს არიან, სინანულით თქვა ცოტნემ.

— მალე ახლო იქნებიან... მთავრის სურვილია მეფის კარზე წარგზავნოს, ბატონიშვილო, ამასწინათ მითხრა, დიდმა თამარმა მოუწოდა ჩემს ძეს, თბილისის იბარებს სამეფო კარზე თავის ნათლულსო.

— ნუთუ მართალია? ჩემთვის არაფერი უბრძანებია.

— მართალია, მალე თვითონ მთავარი გეტყვის... თამარის კარზე დიდ პატივში იქნები და შენ იცი, როგორ გამოგვაჩენ შენს მშობლებსა და აღმზრდებლებს...

ივლიანე მოძღვრის საუბრებმა ცოტნეს ოცნებად უქციეს თბილისის მალე

წისვლა, ახალგაზრდა ქართველ ჯვაროსანთა შეყრებაში წილის დადება და ტახტის მემკვიდრის — ლაშა გიორგის მეთაურობით პალესტინაზე გალაშქრება.

ცოტნეს სიზმრად ეჩვენებოდა ერეკლის უდაბნოებზე მიმავალი ქართველ ყრმათა ლაშქარი, ბაღდადისა და იერუსალიმის აღება და ქართული დროშებით ფრანგი ეტიენის მხედრობის შეგებება ქრისტეს ქალაქის კართან. იგი ხშირად ცხადად წარმოიდგენდა ხოლმე ფრანგთა გაკვირვებას იმის გამო, რომ მათთვის აღთქმული გამოხსნა ქრისტეს საფლავისა, მათზე ადრე უფალმა ქართველებს არგუნა. ეტიენი ალბათ ცხენიდან ჩამოხდება, დაიჭვეითებს და ქართველ ყრმათა წინაშე მუხლს მოიყრის, რადგან

იერუსალიმის გამოხსნა მხოლოდ უფლის შეწყენით არის შესაძლებელი და თავის საფლავის გამოთავისუფლებლესაც თავად ქრისტე ირჩევს.

ცოტნე მაღლობელი იყო განგებისა, მონასტრიდან გამობრუნებისათვის ოდიშის მთავრის მემკვიდრეს იმაზე მეტი რა სამსახური უნდა გაეწია უფლისათვის, ვიდრე მაცხოვრის საფლავის გამოხსნაში მონაწილეობა იქნება და, რაკი ღვთის ნებამ ცოტნე ამ გზაზე დააყენა, იგი მოუთმენლად ელოდა საქრისტიანოს უმაღლესი ოცნების განხორციელებას, წმინდა მიწაწყლის გათავისუფლებას და ამ საღვთო ომში სხვა ქართველ ტოლებთან ერთად თავის გამოჩენას.

□ ბაბრძილება იქნება □

საქართველოს ანტიკონსტანტინოპოლისის კულტურის მემკვიდრეობის დაცვის კომიტეტი

ბონდო კეხელაძე

სიციცხლვე ჩემო

სიციცხლვე ჩემო, სიციცხლვე ჩემო,
ჩაქრობა ჩემი არ დაიჩემო...
კარგია ჩრდილი, კარგია ჩერო,
მაგრამ ჯერ მაინც არ შემაჩერო!

არ დამამსგავსო დანგრეულ ყორეს,
შენს მონა-მორჩილს ეს გამიგონე,
მომეცი ჯანი, მომეცი ღონე,
ნუ დამამადლი, ნუ დამაღონე!

ღა ვეძებ... ვეძებ...

ეს იმგვარია თუ იმის მსგავსი
მე რასაც ვეძებ, მე რასაც ველი.
მისთვის საათი ასჯერ ათასი
დაფფერფლე, რაა გასაკვირველი!

ორმოცდაათი ცოტაა წელი?...
ცოტა კი არა, დიდი დროც არი.

შეგზარი, არ ჩანს და მაინც ველი,
ველი რა არის აქ საოცარი!

არ მინდა მერქვას შესაცოდარი,
შესაბრალისი არ მინდა მერქვას.
ტრიალ მინდორზე დაეჭპრი მხედარი,
ძარღვმაგარ მუხის დავეძებ მერქანს.

სათემოს უბანი

სათემოს უბანი, პატარა უბანი,
ბარდუბნის კუთხეში განთქმული უბანი.
მით იყო ცნობილი პაპა-ბაბათანი,
არ იყო მოსახლე — მოსახლის უბანი.

აქ ედგათ ოდები, ფიცრული ოდები,
ლამაზი ოდები ტოლ-ამხანაგური.
დაძველდნენ, გახშირდა გემების ოდენი
მაღალი სახლები ქვისა და აგურის.



შენდება, მშვენიდება უბანი განთქმული.
 მამები მოხუცდნენ, ძე შინ არ ჩერდება.
 დგანან ეს სახლები მყუდროში ჩანთქმულნი,
 დაღლილი მშობელი ლოდინში ბერდება.

ნატრული შვილების და შვილიშვილების
 ჭაღარა დედები ჭიშკრებს გასცქერიან.
 უნდათ ჩაიხუტონ ფუნჯულა ჩვილები
 მკერდში და გულის დარღს ზარის ხმით მღერიან.

სოფელი დატოვეს, ჭალაქში დასახლდნენ,
 მშობლიურ ეზო-კარს იქ ყოფნა არჩიეს...
 ბევრ მათგანს გაქცევა აუხდენს ასახდენს,
 ზოგ-ზოგნი დღესაც კი აწუხებს მარჩიელს.

გ ე ბ ო ბ ა რ ს

ნუ დამივიწყებ მეგობარო, გამოიარე,
 ზამთრის დამეებს ხომ საუბრით თრობა უხდება.
 ერთმანეთს ჩვენი გულის ლხენა გავუზიაროთ,
 ნუ გეკრძალება, შენით არვინ არ შეწუხდება.

თქმა და გადათქმა, შეცვლა მისი, ჭირთა მოსმენა
 იცი არ მიყვარს, დარჩეს თქმული როგორც ბრძანება.
 თუ შენ ფიქრს გაკვე და წუწუნით, დანარდილე ლხენა,
 არარად ჩავთვლი გარჯას შენსას, შენს მობრძანებას.

• • •

წუწუნით წყენის თხრობა გჩვევია,
 ართმევ გულსა და ხმას მჭუხარებას.
 ძმები იყო და ძმებად რჩებიან
 ამ ქვეყნად ლხენა და მწუხარება.

• • •

შენ ისეთ რამეს მოჰკიდე ხელი,
 გატაცებული ხარ ისეთ რამით,
 მარადი დეღვა და შუოთვა გულის,
 იქნებ წამებაც დღითა და ღამით.

• • •

ასე ერთბაშად რად დავიცალე,
 რარიგ უძღური ვიყავ ამ დილით.
 მზეს მივეფიცხე, ნირი ვიცვალე.
 და ისევ გაგზდი კაცი ნამდვილი.

• • •

უკრავდა იგი, ვუსმინე,
 მოსმენამ მისმა მომცა რა?...
 აელარუნებდა ყრუ სიმებს,
 მომცარა, როგორ შიმშიტარა.

ბ რ უ

ეროვნული
ზინდორისთვის

განაიორწყალა ავიც და კაიცი,
ესწრაფვის დაგსუას უფსკრულის ქიმსუე.

იციხ, რომ ცრუობს და იგი მინც,
მართალი კაცის თუალებით გიმზერს.

პ ა ს უ ხ ი

არ ვარ ჩვეული მოფერებას, ნუ მეფერები,
თავს ნუ იწუხებ, გულს ვე ზმები არ უკარება.
წუთით იფრენენ ჩემს გარშემო ეფემერები,
მათ ვრჭარებათ, ვრჭარებათ და ვრჭარებათ...

ოდით მშფოთვარეს, შენ თუ ხანგრძლივს მომგვრი სიმშვიდეს
გემორჩილები... განს განდგომა ჩემი დვიძლია,
და თუ ამ ჩვევას წუთისოფლად ვინმე დამიშლის
თმენა კი არა, გაგონებაც არ შემიძლია...

ქ ლ ის და უ ხ ლ ის...

ციხფერი ღობე და აგურის პატარა სახლი,
ღია ფანჯარა, ჩამოშლილი თეთრი ფარდები.
თვალს ვერ ააცდენს მგზავრი ზეზილს ნაყოფით დახრილს,
კედლებს ბრჭყალებით აპყოლია ჩაის ვარდები.

ის კი ოთახში მღერის... უკრავს თავდავიწყებით,
გრიალ-გრიალი პანჯებისა პაერს შეარხვეს.
ერთიც ძლიერი შეძახილი და ხმაც მიწყდება,
გაფითრებული ქალი ფარდებს ხელებს შეახებს.

დააცხრო დელვა, ზურგმუცკვით დარჩა საკრავი,
ფორიაქის ქაშს ერთადერთი მისი ღობილი.
ფანჯარის ჩარჩოზე დაეყრდნობა ორივე მკლავით,
წინ წამოხრილი, ხელით ხელზე გადაჭდობილი.

უცხრად, უხმოდ ვით ძუ ვეფნვი აანთებს თვალებს,
ზევრავს გარემოს, ნებისყოფას ამოწმებს და ცდის.
თმას შეინწორებს, ზე ამართავს თოვლისფერ მკლავებს
და პირველ ტრფიალს ელის, ელის, ელის და უცდის.

თადო ბაქიშვილი

ნ შ ა რ ო

გოგო ყოველთვის ადრიან დგება,
აიღებს კოკას,
გადაიყრის ნაწნაეებს მხრებზე,
გაუყვება ნამიან ბილიკს;
აქ, წყალზე ტოვებს
ბურანიდან აყოლილ სიზმრებს
და წყარო ხდება უფრო კრიალა.

სადილობისას
ოფლად გაღვრილი
ვაფი ამოდის მინდვრის ბოლოდან.

ტურის კუთხესთან
წერილი ნაკადი ჩამოუსხლტება
და როგორც გრილი მარგალიტები
აცეკვდებიან წვეთები მკერდზე.

გულთმისანია კამკამა წყარო.
ყველაფერს ხედება,
მაგრამ არასდროს
ერთი სიტყვაც არ დასცდენია,
მღერის თავისთვის
ბალახებში მიიკარგება.

შამოღობა გაგადავიტოვა

მღუმარი ედგევიარ
შენს მომადლო გადასახედზე,
გადავყურებ მოციმციმე სინათლის ჭალას.

ნათლავს ირგვლივეთს
შემოდგომის მკვეთრი ფურები,
ამჩატებულ, ჩამომტკნარ ფოთლებს
ყუნწებში ჭარი ეპარება —
ეფინებიან
დედამიწის ბებერ კალთაზე.

უზარმაზარი ბორბალივით ტრიალებს თამი
და ყველა წამი მაცნე არის
ღვთაებრივი გარდასახვისა.

შე და მთვარე —

ორი ისარი

დღე და ღამის ციფერბლატზე მიმაგრებული...

შეუმჩნეველი და თანაც ცხადი
მათი ტაატი ყოფნას აშშვიდებს,
რადგან ორივეს —
ცრემლსაც, ღიმილსაც
დრო მიითვლის თავის უბეში.

კაცის წილი ამ სამყაროში
ჭერეტაა მხოლოდ
და არა ტკობა,
რადგან პირველი სინათლეა,
მეორე კი თვალის დახუჭვა...

ამ სიმაღლიდან,
ამ სიმაღლიდან
მაყურებინე შენს სინათლეს,
ჩემო ქალაქო.

ღიზინაგუნული საღამო

გულმოდგინედ,
ყელს მიბჯენილი მღელვარებით
კითხულობს ლექსებს.
ჭერს ისეთი დატინებით მიშტერებია,
თითქოს საცაა
მიღმეტში უნდა გაუჩინარდეს.
მაგრამ სად წავა!
ჩაფრენილი მაღალ კათედრას —
ის მენავა,
ნიჩბები რომ გადამტკრევია —
ნავის კედლებს
თავგანწირვით ებლაუჭება,
მაგრამ არავის არ მოსდის აზრად
მოკიდოს ხელი
და ნაპირზე გადმოიყვანოს.

პირიქით,
თეთრად მოციმციმე მაღალ გოგონას
მიაჭვს ვარდების თაიგული
და მორცხვად აწვდის.

გავსებულა ოვაციით დიდი დარბაზი.

თავბრუდასხმული
ბრუნდება სახლში.
გვიან, გვიან
მისი ალგზნებული ცნობიერება
თითქოს გვალი გამოედვაო —
უცებ ჩერდება
და ერთბაშად ხვდება სიმართლეს...

ჩუ! ჯაგნარებში შიშნარევად შეიფრთხილა
და მიყურდა რაღაც ფრინველი.
შელამების დაბინდულ ფერთა მიღმა
დახურა პატარა ფრთები და გაიტრუნა.

ნუთუ ეს იყო ბავშვობა ჩვენი?



ჩუ! არ დააფრთხო!
 ამ უამურ სახეთა ხილვით
 შეძრწუნებული იქნებ სულაც გადაიხვეწოს
 და იქ, წარსულში —
 ჩვენი სიყრმის ფერად ჭალებში —
 სიყარიელემ და მდუმარებამ დაიდოს ბინა...

ჩუ! ჯაგნარებში შიშნარევედ შეიფრთხილა
 და მიყუჩდა რალაც ფრინველი...

პოეტი

ნუ გაღიზიანდება მავანთა თავმოყვარეობა —
 პოეტი
 მეცხვარის ძალღივიტ მუდამ თეოზეა.

ზოგი მთვარეს უყვფს გაავებული,
 ზოგი საკუთარ ლანდს უღრენს, ზოგი
 მთელი ღამე ყფს უმიზეზოდ...

ზოლო ისეთი,
 ნადირის სუნს უცებ რომ იცემს,
 ათასში ერთი გამოერევა
 და მეცხვარეებს შეიღივიტ უყვართ.

საგებობა

რას შეგადართ?
 არაფერი არაფერს არ ჰგავს.

ერთდაერთი სიტყვა,
 რომლითაც შეიძლება
 შენი არსი გამოიხატოს
 საოცრებაა!
 მაგრამ იგიც გაცვეთილია...

• • •

რა ეშველება იმ ხეს,
 რომელიც
 გაზაფხულზე არ ამწვანდება,
 რომელიც
 ფოთოლს არ ჩამოყრის შემოდგომისას,
 როგორც ცრემლებს,

როგორც დატირებას სიჭაბუკისას?

რა ეშველება
 ტელეფონის ნაღვლიან ბოძებს?
 უფესვებოს,
 დედამიწაში ძალით ჩაჭედილთ?

გუგამ ოფი ძე ნოცა

თეზურ აბულკაჟვილი

ქვა და გზა

მოთხრობა

— რა უჩიათი კაცია, — ხელები გაშალა არჩევანმა, — ვერ დამირწმუნებია, რომ ამ ქვას არა ვყიდი. ჩემთვის მინდა, ჩემთვის დაეიმარებები და გულზე დავიდებ. აი, ბოჩია მეყოლება დამმარხველი. ქვასაც ეს გამითლის...

ზაფხულის მონათენთაფი სიცხე არჩევანს პირს უშრობდა. სპილენძისფერი სახის კაცი, მას რომ ელაპარაკებოდა, დროდადრო შუბლზე ოფლს იწმენდდა ცხვირსახოცით. განაწყენებულმა დაკეცილი ცხვირსახოცი შარვლის ჯიბეში ჩაიღო და მტერიან ფეხსაცმელზე დაიხედა. ახლა მორზე გადამჯდარ ბიქს შეაელო თვალი — ნაშურად გათლილი ქვა ფეხზე დაეყენებინა და თავჩაღუნული მუშაობდა. იქნებ, მოვრიგდეთ, მეგობაროო, — ხმადაბლა უთხრა არჩევანს და როცა ქვისმთლელი სიტყვის სათქმელად წამოენთო, იმედგაწურული გატრიალდა.

არჩევანი სასაფლაოს განაპირას, მამისეულ ერთოთახიან სახლში ცხოვრობდა. ქვით ნაგები შენობა, რომლის ჩრდილშიც ახლა ბოჩია მუშაობდა, კრამიტით იყო გადახურული. ჟანგმორეულ სახურავს ზამთარ-ზაფხულ ღვინისფერი დაჰკრავდა; ამ სახლს პატარა ეზო ჰქონდა, რიყის ქვით მოკირწყლული. ირგვლივ სხვადასხვა ფერისა და

ზომის ქვები იყარა. ზოგიც ეკლის ღობესთან მიწაში იყო ჩაფლული. ეზოს გადაღმა მტერიანი, სამანქანო გზა, და ქვევით ნაძვებსა და ბზებში შემალული ჯვრები მოჩანდა.

არჩევანს ძალიან უყვარდა ბარაბა, არც იფიქრებდა თუ მამის საფლავზე დასადებ ქვას გათლიდა. აუგს ვერაფერს შეჰკადრებდა, მაგრამ ერთ დღეს, ბარაბა რომ არ ელოდა და არც თვითონ არჩევანი ელოდა, ცეცხლივით წამოენთო:

— როდემდე უნდა ვიყო შენი შეგირდი, როდემდე?! მომწყინდა ამდენი ქულის სწავლება. მე მინდა ჩემთვის ვიცხოვრო, ჩემთვის! ცალკე!

სალამოთი ღვინო სვეს მამა-შვილმა. ხელადას ოთხჯერ გამოუჩინეს ძირი. არჩევანი უზომოდ მთვრალი იყო. ბარაბაც მთვრალი — სევდითა და ვარაზით.

ოცი წელი გავიდა ბარაბას სიკვდილიდან. ბოჩიაც ოცი წლის იყო, უმწიფარა. მშობლები და ახლობლები არ ასსოვდა. მხოლოდ იცოდა, რომ უპატრონო ბავშვთა სახლიდან მოიყვანა არჩევანმა.

არჩევანი გამოერკვა. ეზოში ფუტკრები ზუზუნებდნენ. ფიქრიან სახეზე ხელის გული ჩამოისევა და ბოჩიასკენ

წავიდა. ბოჩიამ ჩაქუჩი და თეგი ქვაზე დააწყო. მოხუცს სახეში შეაქცევდა, მერე დოქი აიღო და ტუჩზე მოიყუდა.

— გამთბარა, — თქვა ბოჩიამ და გადმოაფურთხა.

— გატყობ, მუშაობა გეზარება, ქალაქში გინდა გაქცევა.

— რა შემატყე?

— მეც დავილაღე. ხესთან ვიდექი და ჩამეძინა, ასე, ფეხდგომელას.

— დავილაღე, არჩევან! სიცხე გულს მიღონებს.

— სიზმარიც ვნახე, ბარაბა დამესიზმრა. ალბათ, მალე მოვევლები.

— კარგი, ერთი!

— ჰო, ბარაბა თავისთან მეძახდა.

— არჩევან, სიკვდილზე ნუ ლაპარაკობ! — ბოჩია წამოდგა, — მართლა, ვინ იყო ის კაცი?

— ზოგი ამ ქვეყნად მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობს და ლაპარაკობს. აი, თუნდაც ის კაცი. რა ვიცი, ვინ იყო, გვარი არ უთქვამს და სახელი. ლოგინად ჩავარდნილი დედა ჰყოლია. მიწა უკვე ნაყიდი მაქვს, შენი გრანიტის ქვა მომიყიდეო, მემუდარებოდა.

— უარი უთხარი?

— აბა რას ვეტყობდი! ბარაბასდროინდელია და ვერ მოგცემ-მეთქი! — არჩევანი ბოჩიასთან ერთად შინ შევიდა, ლიდატოვებული კარიდან კუთხეში აყუდებული გრანიტი, ლაბრადორის ჯიშის ქვა მოჩანდა, საწოლზე ჩამოჯდა და ჯიბიდან ძვლისტარიანი ჩიბუხი ამოიღო. ბოჩია ტახტზე გადაწვა.

ბარაბა რომ კვდებოდა, არჩევანს ანდერძი დაუტოვა. გრანიტის ქვა არავის მიჰყიდო, საცოდავი გამოჩნდება ვინმე, გვარსა და სახელს ნუ დაუკარგავ, პატრივი დასდევო. თუ არა და შენც სიკვდილის შვილი ხარო!

ბოჩია თავქვეშ ხელემაოდებული ჭერს მისჩერებოდა, არჩევანი — იატაკს. სიგრილე სიამოვნებდათ, ქვევით თონესავით ვარვარებდა ქალაქი, ეთვლინებოდათ და თან ფიქრობდნენ.

არჩევანი: დაიღალა ბიჭი, დაიღალა! მე რომ დასაძინებლად მივევლებო-

დი, ბარაბა არც მალეძებდა. კვირამაღზე მტვრიან თმაში ხელს შემეყოფდა. ამიბურღავდა და მერე აბანოში მისვეს ზავნიდა. ღამე სახლს სტვენით ვუახლოვდებოდი. ნუ უსტვენო! გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ მეშინოდა. ეჰ, ბარაბა! წარსული გამჟვრივალე ბურუსია. კი არ ხედავ, ხსოვნაში შემორჩენილი ხმები გესმის, გახსენებაც რომ არ გინდოდეს, თავისკენ გეწევა. ეჰ, ბარაბა! არჩევანი საწოლზე გადაწვა. ფიქრს ჩაულრმავდა. ქვევით და ქვევით, ნიორფერი კენჭებივით გაიეღვეს უძიროდ ჩამარხულმა და მივიწყებულმა დღეებმა.

ბოჩია: დაიღალა არჩევანი, დაბერდა. ამ ხნის კაცი ლოდებს ევაჯჯურება მზის გულზე. მეც მომწყინდა ჭენს თლა, ამის დედაც ვატირე! არჩევანი ამბობს, სიკვდილს ვემსახურებით და სიკვდილამდე უნდა ვემსახუროთო. განა რა დავაშავე?

ბოჩიამ არჩევანს გადახედა. მოხუცი ჭარიან დღესავით პირქუში და გამკაცრებული სახით იწვა, თვალდახუჭული.

ბოჩია წამოდგა. ტანსაცმელი გამოიცვალა.

— არჩევან, გძინავს?... არჩევან!

— რა იყო ბოჩია? — არჩევანმა წამოიწია, — კი არ მეძინა, ფიქრმა ვამიტაცაო, თავი იმართლა.

— ფული მომეცი!

— ფული რად გინდა?

— საბანაოდ მივდივარ, ტბაზე, დიდხანს არ გაეჩერდები.

არჩევანმა ჯიბიდან ფული ამოიღო და მისცა. ეზოში გასულს — ნუ დაიგვიანებო, მიაძახა. „ეს ბიჭი ერთ დღეს გაიქცევა. წაეა, ნამდვილად წაეა! არა! მე კი ვუყვარვარ, მაგრამ?...“

არჩევანი სახლს უკან გავიდა. შუბლ-მოჩრდილულმა წყნეთისაკენ მიმავალ გზას გახედა. მოლურჯო-მოწითალო სუმბულით შეფენილ ფერდობს მზე ეთამაშებოდა ლიცლიცით. ორი პატარა წერტილი მოხუცს წყლის წვეთებივით უბრწყინავდა სახეზე. მერე მზე მთებს გადაუგორდა და მოხუცი დადინჯებუ-

ლი ნაბიჯით გამოტრიალდა. ჯიბიდან ქისა ამოიღო, ჩიბუხი დატენა. ეზოში კლდიდან მოკვეთილ ლოდებს შეავლო თვალი. ეს ქვები დღითი დღე ცოცხლდებოდნენ და მაინც საუკუნოდ მდუმარენი იყვნენ. სიკვდილ-სიცოცხლე ეჭაქვებოდა ერთმანეთს.

არჯევანი ქვის კიბეზე იჯდა. ხელები მუხლებზე შემოეწყო და ბოჩიას ელოდებოდა. მთვარეს უნდა დაევახშებინა, სტვენა რომ შემოესმა, ბოჩია იცნო და შეეხმინა:

— შენ უსტვენ, ბიჭო?

— ჰო, რა იყო?

— არაფერი, უსტვენე, უსტვენე, რა იცი, ხვალ როგორი დღე გათენდება.

არჯევანი ავად იყო. ეგონა გული გაუსკდებოდა. ჩემს დღეებს ეშმაკი ითვლისო, ფიქრობდა. გადაუვლიდა შეტევები და თითქოს სასიამოვნო ბურუსში ჩაიძირათ, მშვიდდებოდა. მაგრამ წარმოუდგენლად მტკივნეულად ეჩვენებოდა ბოჩიასთან განშორება. ეს აზრი თითქოს სადღაც ბნელ შორეულ ითრევდა და თავის გაჩენის დღეს აწყველინებდა.

ბოჩია მზრუნველი და ყურადღებიანი იყო. ექიმი მოჰყავდა. წამლების საშოვნელად დარბოდა აწრიალებული; ოთახიდან ტაშტი გამოჰქონდა. ავად ვინ არ გამხდარაო, ამბობდა. სჯეროდა, არჯევანს ავადმყოფობა მალე გაუვლიდა.

„ჯერ კიდევ მაცოცხლე, ღმერთო, სანამ ბოჩია დავაეკაცდება, — არჯევანს ეგონა ღმერთს ხმა მიაწვდინა, — დაუდგარია ეს ბიჭი. სვეგამწარებული ვარო, თვრამეტი წლისამ მითხრა“.

სადილობის მერე ბოჩია ქვის შემოთლანზე მუშაობდა. დაუძახებდა არჯევანი, შევიდოდა შინ და წყალიო, ეტყოდა ავადმყოფი.

— ბოჩია!

— რა იყო, არჯევან?

— ჩიბუხი მომაწოდე?

— კაცო, ნუ ეწევი ამდენს!

არჯევანი ველარც თუთუნს ერეოდა. ბოჩიას წამდაუწუმ ეძახდა და მიზნუიკ

დიდი ქონდა — უნდოდა ახლოს მყოფოდა.

— ბოჩია!

— რა იყო, არჯევან?

— მე ხვალ იქნებ მიწისკენ ვიბრუნო პირი. ამ ქვას ნუ გაყიდი! საცოდავი გამოჩნდება ვინმე, გვარსა და სახელს ნუ დაუქარგავ. თუ არა და ღმერთმა ჯანი მოგცეს და სიბერე მოგყაროს, მაგრამ შენც სიკვდილის შვილი ხარ!

არჯევანი ფანჯარას მიაჩერდა. გადარბილი მზე ქედზე ეშვებოდა. მზე ანათებდა ქარიან დღესაც და ღრუბლებზეც მბრძანებლობდა. მაგრამ გიჟურად რომ აირ-დაირეოდა ამინდი, გაფერმკრთალებულ ლაქასავით აჩნდა უსახლგრო ქვეყანას, ან სულ იმალებოდა.

სიკვდილი!

არჯევანმა იგრძნო რა თავზარდამცემი შიში იყო ამ სიტყვაში. დროის ამ პატარა მონაკვეთში წლები უნდა ჩატეულიყო.

„დიდი ხნის ნანატრი დღე დაუდგება ბარაბას! კიდევ თუ გამომეცხადა, გავლანძღავ. გავლანძღავ და ვეტყვი, ჯერ უნდა გიცოცხლო-მეთქი“.

არჯევანმა ბოჩიას მუდართითა და მწუხარებით აღსავსე თვალებით გადახედა.

— მიშველე, ბოჩია!

— რა პაწაწინა გული გქონია, არჯევან? — გაუღიმა ბოჩიამ.

სხვა დროს ამ სიტყვებზე არჯევანსაც გაელიმებოდა, მაგრამ ახლა თავი გადაიქნია და თვალები დახუჭა.

არჯევანი: რას მემართლები, ბარაბა?!

ბარაბა: პატროსანი კაცი თავისი სისხლისა და ხორცის საფლავს არ გალანძღავდა.

არჯევანი: დამეხსენ, ბარაბა! ყოველდღე სიზმარში გხედავ!

ბარაბა: სიკვდილი გაშინებს?

არჯევანი: ბიჭის მომავლის მეშინია.

ბარაბა: ვინ არის ეგ ბიჭი?

არჯევანი: დამეხსენ, ბარაბა! ორი დღის სიცოცხლე დამრჩენია, ბოჩიასთან მინდა ვიყო.

ბარაბა: სანამ ბოჩია გაგეჭყევა, ჩემთან უნდა წაგიყვანო, ჩემთან! ჩემთან! — აზანზარდა ფანჯარა! გადაქანდა კედელი! აშრიალდა ხე!

არჩევანი: თავი დამანებე, შე ლეთისმადლგამწყრალო!

არჩევანმა მზინავი აბლაბუდა დაინახა. ძაფებში გახლართული მწერი ამოდ ცდილობდა თავის დაღწევას.

„ამ ბადეს მთელი სიციცხლე ვქსოვდი, მთელი სიციცხლე!“

თითქოს ამოქოლილი ხერელი გამოანგრია და გამოძვრა, მთელი ძალა და ენერგია ხერელს იქით დატოვა არჩევანმა. მაგრამ ფეხზე დადგა თუ არა, ავადმყოფობა დაავიწყდა. დღეები ჩვეულებრივ მიჰყვნენ ერთმანეთს. არჩევანს ავადმყოფი აღარ ერქვა, მაგრამ წუხელ, შუალამისას გამოეღვიძა და უარესად გადაუქანდა გული. თვითონაც არ იცოდა შიში იყო ეს თუ შეშფოთება. დახუჭავდა თვალებს და ბოჩიას სახეს წარმოიდგენდა. ეგონა სიზმარში ვესაუბრებო და არ უნდოდა თვალი გაეხილა. თავის მოტყუებასაც საზღვარი ჰქონდა, მოღებულ კარში გზას გახედავდა, მაგრამ ბოჩიას სტვენა არ ესმოდა. მთელი დამე ძილ-ღვიძილში იყო. გადახედავდა ტახტს და გულზე მძიმე ლოდოვით აწებობდა ფექრს.

დილით, თუმცა რალა დილაა, მზე ქალაქის თავზე უნდა შემადლებულიყო, ბოჩია თავჩაღუნული, ყმაწვილი კაცისთვის შეუფერებელი, მოკლე ნაბიჯით მოდიოდა სახლისაკენ. არჩევანი საქრთელით ხელში რომ დანახა, შედგა და გუნებაწამხდარმა გამოხედა. მიუახლოვდა, მუშაობას თავს თუ არ დაანებებ, ეს ქვა მოგკლავსო, ჩაიბურტყუნა და შინ შევიდა. დიდხანს არ გაჩერებულა, ძველი, სამუშაო შარვალი ჩაიცვა, ვედრით წყალი გამოიტანა და წელს ზემოთ შიშველმა თავზე ჩამოისხა.

„როგორ გაზრდილხარ, ბოჩია!“ არჩევანს მეტე არაფერი უთქვამს.

ესეც ბოჩიას კი არა, თავის თავს გაუმელავნა და ძალიან გაუხარდა.

მერე გზისკენ გაიხედა — თარი ვატი მოდიოდა. ერთი დაბალი იყო, ჩამრგვალებული. მეორე ხმელი და ძალიან მაღალი. ისინი ერთმანეთისაგან იმიტაც განსხვავდებოდნენ, რომ დაბალი, ჰილოფისქულიანი თამამად მოდიოდა. მეორეს ცხვირი წინ წაეგდო და მხრებში იხრებოდა, თითქოს ამსიმაღლე კაცს წელგამართული სიარული ეუხერხულებო.

ისინი არჩევანთან მივიდნენ, მიესალმნენ.

— ღმერთმა გაგიმარჯოთ, — წამოდგა არჩევანი.

— ქვისმთლელი არჩევანი თქვენა ხართ? — დაბალმა ჰილოფის ქუდი მოიხადა და გაინიავა. მაღალი განზე დადგა.

— მე ვარ, ამას რალა კითხვა უნდა?!

— ერთ საქმეზე შეგაწუხებთ, ბატონო. ძალიან საყურადღებო საქმეა ჩვენთვის.

— საყურადღებო?

— კი.

— შემაწუხებთ თუ შევწუხდები!

— გავიგეთ, რომ ლაბრადორის ქვა

გქონიათ, ძვირფასი.

— ვინ გითხრათ?

— მთელი ქალაქი მავას ლაბარაკობს.

— მერე?

— ყიდვა გვინდა ამ ქვისა. ბევრ ფულს მოგცემთ, ბატონო, — ეს უკვე მუდარა იყო.

— რად გინდათ ის ოხრადდასარჩენი ქვა?!

— ძალიან გვინდა. ახლა მაინცდამაინც თუ გაინტერესებთ მიზეზი?... —

— არა, ვერ გავყიდი. არ გავყიდი! მეტი საქმე როგორ არ გავიჩინათ მამაზეციერმა. წადით, დამანებეთ თავი! — უყვირა არჩევანმა.

— რა მოგივიდათ, ბატონო, რა მოხდა?!

— მიჩვეული ხართ თბილ ბუნავს! იქაც თბილი გინდათ, თბილი და ლამაზი, არა?!

ეს უმჯობეს მსჯელობაა კვირის

— რა უნდოდათ, არჩევან? — ჰკითხა ბოჩიამ, კაცები რომ წავიდნენ.

— ქვა გულზე დასადები, — არჩევანმა ტლანქად გათლილი ქვა ძლივსძლივობით ფეხზე წამოაყენა, — ლოჯი მომიტანე!

— დაიხედე, მანდ არ გლია?!

— რამ დამაბრმავა, — ჩაიბურტყუნა არჩევანმა. მერე, დაბრმავებულები სხვები არიანო, გაიფიქრა.

ყოველი დღე თავისი გზით მიდის, მიისწრაფის, მიბობლავს, გზას გიხსნის, გიკეტავს. საკმარისია ერთი არასწორი ნაბიჯი და ისიც დამლად აჩნდება სულს. ერთს თუ მეორე და მესამე ემატება. წუმვეში ამოვლებული ძვალტყავზე მძიმე სათრევია.

აი, გაზაფხულის მზიანი დღეა. თვალბდაპყეტილი ბაყაყი ზის ხახხასა ბალახზე, ზის და ფიანდაზად დაგებულ ნოხი მოსაწყენი ხდება მისთვის. იქვე გუბეა ამყრალბებული.

— ბოჩია!

— რა იყო?

— თვალთ მიბნელდება. შენ არ მოვშივდა?

— არა!

არჩევანს ამ ბოლო დროს დამფრთხალი ეჩვენებოდა ბოჩია. ღამე მის მოლოდინში უთენდებოდა. დაბრუნდებოდა ბიჭი და გულჩათხრობაც ამას ერქვა. მთელ დღეს თავაუღებლივ მუშაობდა. თუ არჩევანი არ გამოელაპარაკებოდა, იჯდა, ასე, ხმისამოუღებლად.

მაგრამ ერთ დღეს:

— ამ ჩვენს მუშაობაში არაფერი აღამიანური არაა! — თქვა ბოჩიამ.

— რას წუწუნებ, ბიჭო?

— წუწუნებო? მაშ, მე ბრმა ვყოფილვარ, არჩევან!

— არ ვიცი, რაზე მეუბნები, მაგრამ...

— რა მაგრამ? — წამოადგა ბოჩია.

— მე არავინ შემირცხვენია.

— მე გარცხვენ, შენ? — თეგი და ჩაქუჩი გადაყარა. — როდემდე უნდა ვიყო შენი შეგირდი, როდემდე?! რა ჩემი საქმეა ქვების თლა? მომწყინდა

შენი ჰკუის დარიგება. მე მინდა ჩემთვის ვიცხოვრო, ჩემთვის!

არჩევანს არ ეგონა თუ კიდევ განმეორდებოდა ის ვაგლაზი დღე, განმეორდებოდა და ბარბასა და თავის სიმწარეს გაახსენებდა. ფეხმოთრეული ქვევით, გზისკენ წალასლასდა. სანამ ნამეგებსა და კვიპაროსებს მოეფარებოდა, უკან მოიხედა, გულდაწურულმა იგრძნო, ბოჩია აქაურობისათვის უცხო იყო.

რამ დააეჭვა ბოჩია?! რად ფიქრობდა, რომ არჩევანმა მასაც ისეთი უღელა დაადგა, როგორც თვითონ აკემა ცხოვრების სიმწარემ?

ბოჩიას სახე თონის კედელივით ჰქონდა გახურებული. ვერ გაიგო რა მოურჩენელმა ჰრილობამ დაალო ჰირი. ერთ წამს ჯავრმა და სინანულმა მონუსხა და ჩქნებ უხეშად მოვიქეცო, გაიფიქრა.

„საით წავიდა არჩევანი? ალბათ, ბარბას საფლავეზე“. და ბოჩიას უცნობი ბერიკაცის სახე წარმოუდგა თვალწინ.

ბოჩიას არ შეეძლო ბრმად გაეგრძელებინა სხვისი გზა და მომავალზე, საკუთარი რწმენითა და ოცნებებით რომ ესახებოდა, აღარ ეფიქრა.

ბარბას არჩევანი ამოუდგა გვერდით, დაჩიავებული, ძვალაქცეული. ორი გაქვავებული ლანდი იდგა ეზოში. არჩევანის სასოწარკვეთილი ძახილი უხმობდა შორს მიმავალ ბოჩიას.

ქაბუკი ვიწრო ბილიკიდან გზაზე გადავიდა. გზა კი ათასია. აღმართ-დაღმართი, სახიფათო მოსახვევით, სწორი ან გაუველი, ჯერ გაუველაღვი. აღამიანთა წადილზე და ნებისყოფაზე და მოკიდებული ვინ როგორ გზას აირჩევს ცხოვრებაში. გზის არჩევაც არის და გზის ვაგლაც. გზაზე დაყენებაც და გადახვევაც...

ეს დღეც დაამდა.

ბოჩია ოთახში შევიდა. ოთახში იყო ფიქრი, ფიქრი ყმაწვილი კაცისა, ძებნით დაღლილი გრძელ გზას რომ დასდგომოდა. მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რას ეძებდა ან რა უნდა ეპოვნა. ბოჩიას გვერდით არ იყო არჩევანი, არ იყო წარსულის გახსენება.

არჩევანი გვიან დაბრუნდა. პირველ-დამხობილ ბოჩიას მხარზე ხელი დაკრა. მერე ტკბილად, საყვარლად გაუღიმა. მაგიდაზე, ჭუჭყით შექმნილი მუშაობა რომ ეფარა, ლვინის ბოთლები დადგა, ბადიდან ბოთლები ამოიღო და ბოჩიას მიუბრუნდა:

— აღეჭი, ბოჩია!

მეორე დღეს ქვისმთლელებს აღარ უმუშავნიათ. გულდათუთქულ ბოჩიას არჩევანის მკერდზე დაედო თავი და ქვითინებდა.

არჩევანის დასაფლავებიდან ერთი კვირის შემდეგ, დილით, ცაცხვის ხესთან ორი შავი კატა ბლლარძუნითა და ჩხავილით იკლებდა იქაურობას. ბოჩიას სელები ჭიბეში ჩაეწყო და გულიანად იციროდა. მერე როცა გულისგამაწვრილებელი გახდა კატების ჩხავილი და ბულრაობა, ქვას წამოაწყო ხელი და ესროლა.

გზაზე მსუბუქი მანქანა გაჩერდა. მანქანიდან ორი კაცი გადმოვიდა. ერთ-მანეთს გადაულაპარაკეს და თვითდაჯერებული ნაბიჯებით ბოჩიასკენ წამოვიდნენ. მაღალი ჰალარაგარეული კაცის თვალებიდან იმედის სხივი გამოსჰვიროდა.

— არჩევანი სად არის? — იკითხეს მისგლისთანავე.

ბოჩია უცნობებს აკვირდებოდა და ხმას არ იღებდა მოულოდნელი სტუმრობით დაშენებული.

— არჩევანს დაუძახე, გვეჩქარება!

— არჩევანი მოკვდა.

თითქოს გაიოცეს ქვისმთლელის სიკვდილი. დადუმდნენ. მერე ერთმა არჩევანის სახლს გახედა.

— ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

— მე.

— რა ხარ არჩევანის?

— რა გინდათ? — შეუბღვირა ბოჩიამ.

— გრანიტის ქვა მოგვყიდე. — ჰალარათმიანმა ბოჩიას თვალბეჭდში შესცივინა.

— ფულს ბლომად მოგცემთ, — თქვა მეორემ.

«გაგიყენენ ეს შობელქაღლები! მადლები არიან, მადლებზე რომ არ იყვენენ, ან რა მოიყვანდათ?»

— დიდ თანხას მოგცემთ, ყმაწვილო, ახლავე დაგითვლით!

«პატრემოყვარე ცხოველები» .

— ლეშები! — თქვა ბოჩიამ.

— რა?!

— წამოდი, ქვა ეზოში გამოვიტანოთ.

ხენეშითა და ვაი-ვაგლახით გამოიტანეს ეზოში. ბოჩიას კაცების ლაპარაკი არ ესმოდა. არ ეგონა თუ ამდენი ძალა ჰქონდა, მაგრამ ძალა ახლა იყო საჭირო, ახლა, ესენი რომ წავიდოდნენ.

— სატვირთო მანქანას მოგაყენებთ და ერთ საათში წავიღებთ. — თქვა ერთმა.

— აი, — მეორემ ჭიბეში ჩაიყო ხელი, — ბეს დაგიტოვებთ!

— არ მინდა ბე. ერთ საათში მოდიო და წაიღეთ.

მანქანა თვალს მიეფარა.

ბოჩია სახლში შევიდა — ლაბრადორის ქვა ჯოჯოხეთურად ბრწყინავდა მზეზე — მალე უკანვე გამოვიდა. ხელში ურო ეჭირა. შეჩერდა, თითქოს თავის ფიქრს უსმენდა. მერე გრანიტის ქვას მიუახლოვდა და ურო ასწია.

ერთხელ დაარტყა, ორჯერ, სამჯერ... თითოეული კენთი დაეჭიმა. სახეზე სისხლი მოაწვა. ყოველ დარტყმაზე ქვა ცვენესოდა, ამოიღმუვლებდა ხოლმე, მაგრამ დაღლილი და არაქათდაკარგული ბოჩია ჩაქების ჩამომტვრევას არა სჯერდებოდა...

სახეუპარხლებული ბოჩია ცაცხვის ხესთან მიმჯდარიყო. ეგონა ქვის მსხვერვაში ჩამომადამდაო. საფეთქელი ტეხდა და მკერდმოღეღილი ძლივს სუნთქავდა.

ბოჩიამ კარს ბოქლომი დაადო. გზაზე გამოვიდა... ქვევით, მზის სხივებში გახვეულ ქალაქს გახედა.

კაკი კართილაძე

თოვლი და მწვანე კიტრები

მოთხრობა

განთიადი მოახლოვებულიყო.

ზაალი მაგიდას მიუჭდა, მიწვდა პურს, აიღო კოვზი და ხერეპა დაუწყო წვენს.

პატარა თემურსაც გაღვიძებოდა, საბნიდან თავი გამოეყო და თვალებს ეშმაკურად აცეცებდა. აქეთ კი, მაგიდასთან ახლოს, ტახტზე თხუთმეტიოდე წლის ღარეჯანს, ღრმად ეძინა, პირი გაეღო, კბილები ნახევრად მოუჩანდა და მძიმედ სუნთქავდა.

— გაგველო ერთი საბინაო სამმართველოში, ამ ნესტიან სარდაფში როდემდე უნდა ვიყოთ, — უთხრა ქმარს ცოლმა.

— ხომ ხედავ დღე-ღამ ემუშაობ, ერთი წუთითაც მოცლა არა მაქვს — უბასუხა ზაალმა.

— წლის მიწურულია, იქნებ გაანაწილონ, — ისევ დაარღვია სიჩუმე ცოლმა.

— გამოალე ფანჯარა, ბავშვი სულს ძლივს ითქვამს, — წყრომით მიმართა ზაალმა ცოლს.

ქალმა ხმაამოუღებლივ გამოალო ფანჯარა.

სუფთა პაერი შემოიჭრა ოთახში.

ზაალმა ცარიელი თეფში გვერდით გადადგა, შემდეგ თავზე ხელი შემოიღო და ჩაფქვდა.

— ჩვენი სააღრიცხვო ნომერი უკვე მოახლოვებულია... — კვლავ გაეძრაბა ქალი.

ზაალმა არაფერი თქვა, მხოლოდ სახე წინანდელზე უფრო მოღელშე, ცოლიც ყოველგვარ წერილმანს უგებდა ქმარს და რაღაც უხერხულობის გასაფანტავად ფანჯარაში გაიხედა და თქვა: — როგორ თოვს!..

ზაალმა ფანჯარაში გაიხედა.

ფარფატით ეშვებოდნენ ძირს თოვლის ფანტელები. ასფალტზე ორი თიფის სისქე თოვლი იდო.

ზაალმა ტყავის ქურჭი ჩაიცივა, პაპიროსს მოუკიდა და გარეთ გავიდა.

თოვლის მოსვლა რატომაც ყოველთვის სიხარულს ჰგვრიდა ზაალს, თოვლზე რომ გაივლიდა, ერთბაშად იგრძნობდა შვებას, ბავშვივით ანცი, ხალისიანი ზდებოდა, მაგრამ ახლა კარგ გუნებაზე ვერ იყო და ძლივს მიდიოდა.

ფეხბურთის სტადიონს რომ გასცდა, ნაბიჯს მოუჩქარა, უნდოდა სახინკლეში შესულიყო და არაფი დაეღია, გულიდან დარღს გადაეიყრიო, ფიქრობდა. მაგრამ, სახინკლე დაეკტილი დაუხვდა. იმედგაცრუებულმა ხელი ჩაიჭნია და სადგურის ქუჩაზე გავიდა.

გაჩერებაზე ხალხი შექტებულები და სიცივისაგან მობუზულები ავტო-

ბუსის გამოჩენას ელოდნენ. ზალიც მათ გვერდით დადგა. მალე ავტობუსიც მოვიდა. მგზავრები ერთბაშად მიაწყდნენ ასასვლელს. ზალი ყველაზე ბოლოს ავიდა.

ავტობუსი დაიძრა. სპორტის სასახლეს რომ გასცდა, მგზავრები ბლომად ჩავიდნენ, ზალმა თავისუფალი ადგილი მონახა და სარკმელთან სკამზე დაჯდა.

ავტობუსი ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე რომ გავიდა, ზალი სარკმლისკენ მიბრუნდა და ახლად აგებულ საცხოვრებელ სახლებისაკენ დაიწყო ყურება. გულდასმით ავლებდა თვალს შენობებს, რომლებშიაც ათიოდე სახლი მაინც იყო ისეთი, რომლის კედლები გაჭით, თავის ხელით შეეღესა.

კარგა ხანს რომ უცქირა გზადაგზა თავის ნაცნობ სახლებს, თავი მოაბრუნა, გულის გადასაყოლებლად გაზეთი ამოიღო, გაშალა და თვალთვლიერება დაუწყა.

ავტობუსმა პროსპექტის დასასრულს რომ მიიღწია, ზალი მამინ გამოერკვა, წამოდგა და ზღაზღვნით ჩავიდა ძირს.

ოდნავ უბერავდა ქარი და თოვლის ფანტელები პებლებივით ირეოდა ჰაერში.

ზალმა ხელები მოისრისა, მარცხნივ გადაუხვია და უასფალტო გზას დაადგა.

გზის პირას, ასიოდე მეტრის იქით, ხუთსართულიანი სახლი შენდებოდა. შენობა უკვე გადაბურული იყო და ფანჯრის ჩარჩოებიც ჩაესვათ, მაგრამ შიგნით ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი.

შენობასთან მივიდა. გათვრებული ქურქი ჩამოიბერტყა და კიბეს აუყვა. მესამე სართულზე მუშებს, ცემენტის იატაკზე, ცეცხლი გაეჩაღებინათ, სახლიდან გამოსული ბოლი ბოლქვა-ბოლქვად მიიგრანებოდა თოვლის ფანტელებით აჭრელებულ ჰაერში.

ზალი მშენებლებთან მივიდა და ხის მორზე ჩამოჯდა. და ის იყო, მისი თა-

ნაშემწე დიტოც. მოვიდა. ზალმა კმაყოფილებით შეათვალთვალა ბუჭყინულნი დიტო ხელობას სწავლობდა, ლელოლი, დაუზარებელი ყმაწვილი იყო. ზალიც იმიტომ არ იშორებდა.

ზალმა საათს დახედა, მუშაობის დაწყების დრო იყო. წამოდგა. სხვებიც ადგნენ. ის იყო წასასვლელად გაემზადნენ, რომ, ინეინერიც გამოჩნდა. ჭიბუქებში ხელები ჩაეწყო და დინჯად მოაბიჯებდა. ჯერ მშენებლებს მიესალმა შორიდან, შემდეგ ცეცხლთან მივიდა. აიღო მუტუხალი და პაპიროსს მოუკიდა. ბოლი რომ ხარბად ჩაყლაპა, მობრუნდა და ზალთან მივიდა.

— ზალ, დღეს შენ სხვაგან უნდა წაგიყვანო სამუშაოდ, — უთხრა ინეინერმა, — აბა, სასწრაფოდ გაემზადე...

ზალმა ხელსაწყოები გამოიტანა, ჩაალაგა ჩანთაში, წამოიკიდა მზარზე, დიტოც თან გაიყოლა და დაბლა ჩავიდნენ.

შენობის წინ სატვირთო მანქანა იდგა. ინეინერს კიბის საფეხურზე ცალი ფეხი შემოდგა და შოფერს რალაცას ელაპარაკებოდა.

ზალი და დიტო ბრეზენტგადაფარებულ ძარაზე ავიდნენ და ძელის სკამზე დასხდნენ. ინეინერი კაბინაში შევიდა.

მანქანა სასწრაფოდ დაიძრა.

ზალი კუთხეში მიჩოჩდა, ძარის კედელს ზურგიით მიეყრდნო, ფეხზე ფეხი გადაიღო და დაბალ ხმაზე ლილინი დაიწყო.

კარგ გუნებაზე იყო. იცოდა რომ კერძო სამუშაოზე მიდიოდა; იცოდა, ბინის პატრონი ხელოსანს იმ დღეს კარგად გაუმასპინძლებოდა, მუშაობის დამთავრების შემდეგ ნაღდ ფულს მისცემდა და მადლობითაც გამოისტუმრებდა. ზალი ამ ფულიდან ერთ-ორ მანეთს თავისთვის გადაინახავდა, დანარჩენით კი ოჯახისათვის სურსათ-სანოვანს იყიდდა და საესე ჩანთით დაბრუნდებოდა. მაგრამ ასეთი სამუშაო ყოველთვის როდი იყო, თვეში ორ-სამჯერ თუ გამოჩნდებოდა. კერძო სამუშაოს ხან თვეთონ დაიგულებდა

სადმე, ხან ვილაყეების მეშვეობით გაიგებდა, ან ინიერირი გაგზავნიდა. ზუთი საათი რომ გახდებოდა, გაილაყე-ბოდა და ზოგჯერ ღამის პირველ საათამდე ოფლში იწურებოდა. მაგრამ სამაგიეროდ, გასამრჯელოსაც კარგა ღებულობდა.

მანქანა საბურთალოდან ვაკეში გავიდა, პროსპექტი გადასკრა და აღმართს შეუდგა.

აღმართი რომ აიარა, მერე მიხვეულ-მოხვეული გზით კარგა ხანს იბორიალა და ბოლოს ერთ, მწვანედ შეღებულ კიშკარს მიუახლოვდა. ინიერირმა შოფერს ხელით ანიშნა, პირდაპირ კიშკარისაკენ აეღო მიმართულება.

მანქანა კიშკართან მივიდა და შეჩერდა.

ზაალი და დიტო ძარიდან გადმოვიდნენ. ინიერირი ჩამოვიდა, თოვლზე გაიარა და პაპიროსს მოუყიდა.

ზაალი კიშკართან შედგა, ჯიბეებში ხელეში ჩაიწყო და ჯერ სხვადასხვა ჯიშის ხეხილებით დამშვენებულ ეზოს მოავლო თვალი, შემდეგ კა ორსართულიან სახლს გახედა.

სახლი აგურით იყო ნაგები, თხუთმეტ ოთახიანი მაინც იქნებოდა. ფართო, მოლისტრად შეღებულ აივნით პირდაპირ ეზოს გადმოჰყურებდა. სახლს შესაფერისი სარდაფიც ჰქონდა, საგანგებოდ ტუფის ქვით ამოშენებული. ეზოსა და სახლს გარშემო ცემენტის მაღალი გალავანი ერტყა.

ინიერირმა შეაღო კიშკარი და ეზოში შევიდა. ზაალი და დიტო უკან მიჰყვნენ.

ეზო რომ გაიარეს და სახლს მიადგნენ, ინიერირმა თვალთ კიბეს დაუწყო ძებნა, მაგრამ როცა დარწმუნდა, ასასვლელი სახლს შიგნიდან ჰქონდა, სარდაფის კარს მიადგა. ზარის დილაკს თითი დააკირა.

ზარმა გაიწკარუნა.

ცოტა ხნის შემდეგ მკორე სართულზე, ფეხის ხმა გაისმა, შემდეგ ამ ხმამ თანდათანობით დაბლა ჩამოინაცვლა და კარიც გაიღო.

— ეინ გნებავთ? — იკითხა საშუალოზე ოღნავ მაღალი მარტონის ქცქცა, რომელსაც ლურჯი პალტო ეცქცა და თავზე ნაქრისფერი ფაფახი ეხურა.

— კანტორის დირექტორმა გამომგზავნა თქვენთან, სარდაფის კედელი გქონიათ შესარემონტებელი, — აუხსნა ინიერირმა.

— მობრძანდით, — წყნარად, თავაზიანად თქვა სახლის პატრონმა, დიტოსა და ზაალს მშვიდად გადახედა და სტუმრებისათვის გზა რომ დაეთმო, გვერდით მიდგა.

ინიერირმა პალტოს ჯიბეებში ხელეში ჩაიწყო, მხრები აიწურა, კარის ზღურბლზე ფრთხილად გადაახიჯა და სარდაფში შევიდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, უკან მოიხედა, ზაალი და დიტო თუ მომყვებიანო. ისინი კი ცნობისმოყვარეობით აქეთ-იქით იყურებოდნენ. ინიერირმა გზა განაგრძო. ეტყობოდა მანამდე უნდოდა ეპოვნა დაზიანებული კედელი, ვიდრე სახლის პატრონი მიუთითებდა.

სარდაფი რატომღაც სახლთან შედარებით განიერი და ფართო ჩანდა, შუქი არ ენთო. წინა კართან, ორი დიდა ფანჯარა ჰქონდა ჩატანებული. მაგრამ სინათლე შიგ საკმარისად ვერ აღწევდა და მოპირდაპირე მხარეზე სარდაფის ბოლო ნაწილი საოცრად ჩამომხელებული იყო. მხოლოდ კიბესთან და კარის მახლობლად შეიძლებოდა თავისუფლად გასვლა.

სარდაფში რა არ ელაგა: მოდიდან გამოსული ავეჯი, საოჯახო ნივთები, ერთიმეორეზე შედგმული ყუთები, კალათები, ხის კასრები. კიბის გვერდით ყურძნის საწური ორი მანქანა იდგა. იმის იქით, კუთხეში, გრძელ მაგიდაზე წნილით საეცე შუშის ქილები ეწყო და ვინ მოსთვლის, კიდევ რა...

სახლის პატრონმა ინიერირს გაუსწრო, მივიდა კუთხეში და შუქი აანთო.

უცებ სარდაფის ერთი მხარე განათდა, მხოლოდ კიბის იქით, მკორე მხარე, კიდევ უფრო ჩაბნეულდა.

სახლის პატრონი მობრუნდა, ჯიბი-

დან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, ინ-
ჟინერს მიუბრუნდა და უთხრა:

— თუ მოხვიდოდით, არ მეგონა. მე
ამ რამდენიმე დღის წინ დავრეკე კან-
ტორაში.

— გუშინ, დღის ბოლოს შემატყო-
ბინეს, ბატონო და აი, დღით კიდევ
მოვიყვანე ხელოსანი.

— კიდევ კარგი, რომ მთლად არ და-
ვაიწყადი თქვენს დირექტორს, — დამ-
ცინიავად ჩაილაპარაკა სახლის პატრონ-
მა.

— სამუშაო საათები დამთავრებული
იყო, როცა დირექტორმა ეს გადმოცა.
მე კი, მაშინვე დღეისთვის გავაფრთხი-
ლე ხელოსანი, — თავის ვასასამართ-
ლებლად წარმოთქვა ნირწამხდარმა ინ-
ჟინერმა და ზაალს გადახედა.

— კი ასე იყო, — დემოწმა ინჟი-
ნერს ხელოსანი.

სახლის პატრონმა არაფერი თქვა, გა-
მობრუნდა, შედგა და კედლისკენ გაი-
შვირა ხელი.

— აი, ეს არის შესაღესი, — თქვა
მან.

ზემო სართულზე დიასახლისს ონკა-
ნი მოშვებული დარჩენოდა და კედელს
ერთ მხარეზე გაჯი სულ ჩამოსკლოდა,
მეორე მხარე დანესტიანებულიყო.

ზაალმა კედელი შეათვალიერა და
დაასკვნა, დღეს ვერ მოვასწრებ მთლი-
ანად შეღესვას, ზეალისათვის კი ცოტა
დამრჩებაო.

სახლის პატრონმა პაპიროსი ერთი
მაგრად მოჭაჩა, გააბოლა, მობრუნდა
და ზაალი კიბის ცოტა მოშორებით,
შეზინულ გაჯთან მიიყვანა, შემდეგ
ონკანიც აჩვენა და უთხრა:

— გაჯიც აქ არის და წყალიც. ამ
სარდაფში სანთლებიც და ვარცლებიც
მოიტანება. ერთი სიტყვით. მუშაობის
დაწყების გარდა აღარაფერია საქირო.

— ფიქრი ნუ გაქნებათ, ყველაფერს
იპოვნიან და კედელსაც შეღესავენ,
როგორც საქიროა, — უთხრა ინჟინერ-
მა.

— აბა, თქვენ იცით, — თქვა სახლის
პატრონმა, ერთხელ კიდევ მიმოავლო

თვალი კედელს, გავიდა სარდაფიდან
და შემდეგ სადღაც წავიდა. **ერქინული**
სახლის პატრონი რომ წავიდა, **კიტრები**
ხნის შემდეგ ინჟინერიც გაუდგა გზას
და სარდაფში მარტო ზაალი და დიტო
დარჩნენ.

მუშაობას შეუდგნენ. დიტო მარჯვედ
ტრიალებდა, ახელილ გაჯით სავსე
ვარცლს მალ-მალე აწვდიდა ხელოსანს.
ხელოსანიც ვარცლიდან გაჯს სწრაფ-
სწრაფად იღებდა და კედელზე ქაფხას
მარდად ამოძრავებდა.

დიტო სავსე ვარცლს რომ მიუბრენი-
ნებდა ხელოსანს, ზოგჯერ ცოტა ხნით
თავისუფლად დაიგულებდა თავს, გა-
მოვიდოდა, შედგებოდა, ჩაბნელებულ
კუთხისაკენ დაიწყებდა ყურებას. გუ-
ლით უნდოდა გაეგო რა ელაგა სახლის
პატრონს და ონკანისაკენ წყლის ასაღე-
ბად რომ წავიდა, იქაურობას თვალი
მიმოავლო. გაოცდა ბიჭი: კედელთან,
გრძელ მაგიდაზე, კიტრებით სავსე კა-
ლათი იდგა. კალათის გვერდით კი ორი
ყუთი იდო, ყუთებში წითელი პამიდო-
რი ელაგა. ცოტა მოშორებით, დაბლა,
ათიოდე სარქველდახურულ ქვევრს მი-
წიდან თავები ამოეჩარა, იქვე, გვერ-
დით, ორი დიდი რუმბიც იდო. ეტყო-
ბოდა, ქვევრებიც და რუმბებიც ღვი-
ნით იყო საესე. კუთხეში კი ვეება მოწ-
ნულ კალათებში წითელი ვაშლები
ელაგა.

ქვევრები და წითელი ვაშლები არა-
ფერი, მწვანე კიტრებმა და წითელმა
პამიდორმა გააკვირვა დიტო. მაშინვე
უკან გამობრუნდა, ზაალთან ფეხაკრე-
ბით მივიდა და ყველაფერი ჩორჩულით
უამბო, რაც საყუთარი თვალთ იხილა.

ზაალმა ჩაბნელებული კუთხისაკენ
გაიხედა, ცნობისმოყვარეობა მასაც
აღებრა, მაგრამ თავი შეიკავა და არ
შეიმჩნია. „ბაღლი ხომ არა ვარ, მივი-
დე და ვნახო, შუადღით დიასახლისი
იმ კიტრებსა და პამიდორს ხომ მაგი-
დაზე მოიტანს, ხელადით შინ დაწუ-
რულ ღვინოსაც“ შემოდგამს“, გაიფიქრა
მან. ახლა უფრო ღონივრად უსვამდა

ქაფჩას, თვალის დახამხამებაში საკმაო კვალი დააჩნია კედელს.

სარდაფში სამარისებური მყუდროება იყო. არც ზემოდან ისმოდა ჩამიჩუმე. ზაალი შეფიქრიანდა. „ხუთე ამ ოჯახს არა ჰყავს დიასახლისი, ბავშვებო, ან სხვა ვინმე? ასეთი მდიდარი, კარგი ოჯახი რად უნდა იყოს ასე მგლოვიარესაგვით მიჩუმებული?“ მაგრამ ამ დროს ზემოდან იატაკზე სკამის ღრუბილი შემოესმა, შემდეგ ბავშვის მხიარული ტიტინიც გაიგონა, კიდევ ცოტა ხანი და დიასახლისიც გამოჩნდა. ნელი, აუჩქარებელი ნახევით კიბეზე მძიმედ ეშვებოდა. ძირს რომ ჩამოვიდა, დიტოსა და ზაალს მიესალმა და შემდეგ კედელს მიაჩერდა.

ზაალმა მალულად შეათვალიერა დიასახლისი.

ორმოც წელს მდღეული ქალი ოცდაათი წლისა არც კი გეგონებოდათ. თოვლივით თეთრი უნაოკო სახე ჰქონდა და მუქი, შავი თმა. თითქოს ზაფხული ყოფილიყო, თხელი გულამოჭრილი კაბა ჩაეცვა და მხრებზე ხალათი მოეგდო. ტანსაცმე იყო, მიმზიდველი.

ქალმა კედელი კარგად რომ შეათვალიერა, მობრუნდა და ჩაბნელებული კუთხისაკენ გაემართა. კუთხეში როცა მივიდა, შუქი აანთო. აიღო ცარიელი კალათა, აკრიფა კიტრები, პამიდორი, ხახვი, ვაშლები და კიდევ რაღაცეები ყველაფერს ამას რომ მორჩა, შუქი ჩააქრო, ტანის რხევით გამობრუნდა უკან და კიბის საფეხურებს აუყვა ჩუმი ღიღინით.

ზაალმა თვალი გაადევნა ქალს.

„რა მშვენიერი ქალია, დიასახლისიც კარგი ყოფილა, ეტყობა სადილის მომზადებას დროულად შედგომია. როცა სადილობა მოვა, ნამდვილად რიგიანად გაწყობილ სუფრაზე მიგვიწვევენ“, გაიფიქრა გულში და ახლა ერთიორად იგრძნო სიხალისე, მუშაობის ეშხზე მოვიდა. კედელზე ოღრო-ჩოღრო ადგილებს ქაფჩის ერთი მოქნევით ავსებდა და ასწორებდა.

ერთი-ორი საათი ასე დაძაბული რომ

იმუშავა, შეჩერდა, ქაფჩა ძირს დაუშვა და დიტოსაკენ მობრუნდა. დიტო ვარცლში გაიჭრელა. მაქსიმალური.

ხელოსანმა ძელიდან ფეხი ჩამოდგა, იქვე ცარიელ ყუთზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა და ბიჯს გასძახა:

— დიტო, მოდი აქ. ცოტა ხნით დავისვენოთ.

ბიჯმა მუშაობას თავი მიანება, ზაალთან მივიდა და მის გვერდით ჩამოჯდა.

— დაიღალე ხომ? — გაუღიმა ხელოსანმა შეგირდს.

— სრულებით არა, — უთხრა ბიჯმა და შარვლის ტოტზე მიმხმარი გავი ჩამოიფხვკა.

— ნამდვილად დაიქანცებოდი, მაგრამ ახლა დავისვენოთ, ავღგებოთ, ერთს კიდევ წავიმუშავებთ და შუადღეც მოვა, ვისადილებთ და დავისვენებთ — უთხრა ბიჯს ხელოსანმა.


დიტომ საპასუხოდ არაფერი უთხრა, თავი აიღო და კედელს მიაშტერდა.

წამოდგენ, ზაალი კედელთან მივიდა და ძელზე შედგა. დიტო გაიქცა, სწრაფად აზილა გავი და საცხე ვარცლი ხელოსანს ფეხებთან დაუდგა.

ზაალმა ქაფჩა ხელში მარჯვედ დაატრიალა. შუადღის მოსვლას არც ისე დიდი ხანი აკლდა და ცდილობდა მანამდე კედელზე კარგა მოზრდილი სერელის გავლება მოესწრო.

მუშაობის აზარტში რომ შევიდა და სერელი თითქმის ნახევრამდე მიიყვანა, უცებ გემრიელი კერძის სუნე იგრძნო. ცხვირის ნესტოებში სასიამოვნოდ შეუღლიტინა. კერძის სუნე ნიავს მეორე სართულის სამზარეულოდან მოჰქონდა.

ზაალს გემრიელი კერძის სუნმა ჭამის მადა აღუძრა, ახლა სულ იმის მოლოდინში იყო, საცაა კიბეზე გადმოდგება დიასახლისი და გადმოგვძახებს, ამობრძანდით სადილზეო. მაგრამ სერელი ბოლომდე მიიყვანა, ახლა მეორე წამოიწყო, კერძის სუნეც კარგა ხანი იყო რაც მინელდა და ხელოსანს კი ზემოთ არავინ ეპატიებოდა. მოაღწია სადილო-



ბამ, გადასცდა კიდევ, არც ახლა ეძახ-
და ვინმე. არც სართულებიდან ისმოდა
ბაიბური. ზაალს მოშვიდა, არაქათი
სულ გამოეცალა, მაგრამ მუშაობას
თავს არ ანებებდა, ცოლი ალბათ ქმრის
დაბრუნებას ელოდებდა. საცაა დაბრუნ-
დება და მერე მასთან ერთად დაგვევამს
მაგიდასთანო.

გადიოდა დრო, არც სახლის პატრო-
ნი ჩანდა, არც დიასახლისი ჩამოდიოდა
კიბეზე. ზაალს ლოდინში სული ელე-
ოდა.

დაახლოებით ერთი საათი რომ გავი-
და, ზაალმა დააპირა: დიტოს მალაზიაში
გავაგზავნი, ძებესა და პურს მოვატანი-
ნებო, მაგრამ მერე გადაიფიქრა, სხვის
ოჯახში საქმლის მიტანა ეთაკილებოდა.
მასპინძლის შეურაცხყოფად მიიჩნდა.
ბოლოს შიშშილმა ძალიან რომ შეაწუ-
ხა, ქაფჩა მიაგდო, „ტფუ, შევარცხვინე
მე ასეთი მუშაობაო!“ ჩაილაპარაკა,
კედელს მოშორდა, ჯიბეებში ხელები
ჩაიწყო და კიბესთან გამოვიდა.

დიტოს ონკანიდან წყლით სავსე სათ-
ლი მოჰქონდა: განრისხებული, აფორი-
აქებული ხელოსანი რომ დაინახა, შე-
ჩერდა და ყურება დაუწყო.

უცებ მანქანის საყვირის ხმა გაისმა.
ზაალმა ნაბიჯი შეაჩერა და ფანჯარაში
გაიხედა.

ქიშკართან მანქანა იდგა. ორ მუშას
აქეთ-იქიდან ხელში წნულის კალათები
ეჭირათ. მუშები ეზოში შემოვიდნენ და
სახლისაკენ გამოეპარნენ. ამ დროს
დიასახლისიც დაეშვა კიბეზე.

ზაალი ცნობისმოყვარეობამ სძლია,
უნდოდა გავგო, კალათებით რა მოჰ-
ქონდათ მუშებს და კარებსაკენ გავმა-
რთა, მაგრამ სანამ კარებს მიაღწევდა,
ისინიც შემოვიდოდნენ სარდაფში.

ზოგში ხილი ეწყო, ზოგში მწვანილი,
ზოგშიც ძროხის ახალი ხორცი: ერთი
კალათი კი, მწვანე კიტრებით იყო სავ-
სე.

ქალმა კალათები რომ შეათვალიერა,
კიტრებით სავსე კალათა გვერდით გად-
გა და შემდეგ მუშებს მიუბრუნდა.

— ეს კიტრები უვარგისია, უკან წა-

იღეთ! — ხელით ანიშნა კიტრებით საე-
სე კალათზე.

— ჩვენ რაც გამოგვატანეს გარ-
თვით, ქალბატონო! — უთხრა ერთ-
მა მუშამ.

— არა, ასეთები აქაც მილაგია, არ
მინდა, უკანვე წაიღეთ, — უკმეხად უთ-
ხრა ქალმა.

— თქვენი ნებაა, კარგი, წავიღებთ,
— ახლა მეორე მუშამ გაიღო ხმა.

ქალმა არაფერი თქვა, მიბრუნდა
კუთხეში, თაროზე კალათების მოხიდე-
ვასა და დაცლას შეუდგა, ქალს საქმე-
ში მუშებიც შეელოდნენ.

კარებთან მდგარი ზაალი ხან მუშებს
გადახედავდა, ხან დიასახლისს და გულ-
ში ასკენდა: „დიასახლისი ნამდვილად
მუშების მოსვლას ელოდებოდა და
დროზე რომ არ მოვიდნენ, ალბათ, გამ-
რაზებულიც იმიტომ არის, ახლა საცაა
დაიცლება კალათები და სუყველას ზე-
მით აგვიყვანს“, — აიძვებდა თავის
თავს ზაალი და რამდენიმე წუთის წინ
გაბრაზებული რომ იყო, ახლა ამის გა-
მო თავს უხერხულად გრძნობდა.

ქალმა ყველაფერი რიგიანად რომ
დაალაგა, მუშებმა კალათებს უხმოდ
წაავლეს ხელი და წასასვლელად გაემ-
ზადნენ.

ქალი გამობრუნდა, არც იმ მუშები-
სათვის შეუხედავს და არც ზაალისათ-
ვის, თავზე თმის სამაგრი გაისწორა და
კიბეზე ნელი ნაბიჯით იწყო ასვლა.

ზაალი გაოცებული დარჩა. ახლა კი
დარწმუნდა, რომ აქ სადილს ვეღარ
ელირსუბოდა. გაბრაზებულმა ერთი კი
გაადევნა თვალი ქალს, შემდეგ მობ-
რუნდა, ჯიბიდან ხელთმანეთიანი ამოიღო
და დიტოსთან მივიდა.

— დიტო, წადი მალაზიაში, პური და
ძებე მოიტანე, — უთხრა და ფული
ხელში მიაჩეჩა.

დიტოსაც ძალიან მოშინოდა, არა-
ქათგამოცლილი, ფეხზე ძლივს იდგა და
საქმელი რომ უხსენეს, გახარებულმა
მაშინვე დაავლო ფულს ხელი და გა-
რეთ გაეპარდა.

ზაალმა სიგარეტი ამოიღო, მოუყი-

და, ბოლი ხარბად ჩაყლაპა და ფიქრს მიეცა.

„აქ სად მოვხვები“ სად გაგონილა ხელოსანს ოჯახში ამუშავებდნენ და... ჯანაბას, ეგ რომ თავიდან მცოდნოდა, საგზალს წამოვიღებდი და მთელი დღე შიმშილით თავს არ მოვიკლავდი. ისე კი, ძალიან სინტერესოა ეს კაცი ვინ არის, რას წარმოადგენს. ალბათ ვინმე თანამდებობის პირი იქნება, მდიდრულადაც იმიტომ ცხოვრობს“.

ონკანთან მივიდა, წყალი დალია და ნელი ნაბიჯით გაემართა ჩაბნელებული კუთხისაკენ. აღნიშნულ ადგილს რომ მიადგინა, შედგა და ჯერ ევება რუმბებს შეავლო თვალი და შემდეგ ქვევრს გახედა. „აჰ, ახი არ იქნება სახლის პატრონზე, ერთი იმ ქვევრებს კაცმა დაუერთოს ჩაქუჩი, სათითაოდ ყველას უნწები წააცალოს და შიგ მიწა ჩაყაროს? ასეთი ადამიანი ყველაფრის ღირსია. რა ოხრად უნდა ეგ სიმდიდრე, თუ კი ოჯახში სამუშაოდ მისულ კაცს სადილს ვერ აკმევს და ერთ-ორ კიჭაღინოს არ დააღვივინებს? მაგრამ ძუნწი, აბა, რის ძუნწია, თუ თავისი სიგლაზე არ გამოამყლავნა. თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ ეს სიძუნწი არ ჩაუდგინა, უბრალოდ, თავი არ გაგვიყადრა, ძალდაც არ ჩაგვაგდო. ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ღმერთო, ცეცხლში დამწვარი მენახოს ეს სახლკარი“, და, ბოლოს ისე გამწარდა, რომ დააპირა, ენტს ავირბენ ზემოთ, გამოვიხმობ გარეთ დიასახლისს და ვეტყვი, რაც ეკადრებაო, მაგრამ ინეინერს და დირექტორს ამის გამო კარგი დღე არ დაადგებოდათ და თვითონაც ზიფათში ჩაიგდებდა თავს.

პაპიროსის ნაწვევი გადაისროლა, წამოღვა, გაიარ-გამოიარა.

„შიმშილს გაუძლებს ადამიანი, მხოლოდ დამცირებას ვერ აიტან, ბრაზი მხოლოდ იმაზე მომდის, ძალდაც რომ არ ჩამაგდო. თითქოს და მე სულ სხვა მოდგმის ადამიანი ვიყო და ის სულ სხვა“. არ ასვენებდა ბრაზი ხელოსანს და უცებ ყველა გაახსენდა,

ვისთანაც ოჯახებში უმუშავებია. მათი სახეები ნათლად წარმოუდგენია თავაღწი. არც ერთ მათგანს არ მქონდა მხრდენა სახლი, მაგრამ თავის დღეში არ ახსოვს, რომელიმეს მისთვის შესაფერისი მასპინძლობა არ გაეწიოს. ახლა კი აქ, ამ ჯოჯოხეთში, პირველად იყო მოხვედრილი.

ონკანთან მივიდა და წყალს დაეწაფა. გული როცა იჯერა, მობრუნდა და, სარდაფში შემოსული დიტოც დაინახა. ხელში ქაღალდის შეკვრა ეჭირა და პიჯაკის ჯიბეში ორი ბოთლი ლუდი ედო.

— ყოჩაღ, რომ მალე მოხვედი, — უთხრა ბიქს ზაალმა და შეკვრა გამოართვა.

ბიქს გზაში ჩქარა ევლო და ძლივს სუნთქავდა.

— მალაზიას შესვენება მქონდა, თორემ უფრო მალე მოვიდოდი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა ბიქმა.

— არ დაგიგვიანია... რა მოგარბენინებდა, ნელა გეელო, — დაუყვავა ბიქს ხელოსანმა. ტახტზე ჩამოჯდა და შეკვრა გვერდით მიავდო.

დიტომ გაზეთი გაშალა, გახსნა და ზედ თევზი, თხლად დაჭრილი ყველი და ძეხვი დააღაგა. შემდეგ დანა ამოიღო ჯიბიდან, პურს დაუწყო ჭრა.

თეუზი და ყველი ძლიან მლაშე გამოდგა, მაგრამ მოშიებულნი იყვნენ და გემოს აღარ უსინჯავდნენ.

სადილობას რომ მორჩნენ, ცოტა ხნით დაისვენეს და წამოდგნენ. ზაალი კარებთან მივიდა და ეზოში გაიხედა.

თოვა შეჩერებულყო, მხოლოდ ცა ისევ ტყვიისფერ ღრუბლებით ჩამონისლულიყო. ზაალი მოტრიალდა, კედელთან მივიდა, ქაფჩა აიღო და დიტოს უთხრა:

— აბა, შეუდგეთ შენობას. ეს ოხერი, როგორმე დღეს მოვრჩეთ...

დიტომ გაცრილი გაჯი ვარცლში ჩაყარა, ზედ სათლით წყალი დაუშვა, აზილა და ხელოსანს მიუბრუნინა.

ზაალი ძელზე ავიდა, გაჯს ქაფჩა ამოსდო და ისე მაგრად ესროლა კედელს, თითქოს განგრევა უნდა მისიო.

კარგა მოსალამოვებული იყო. ზაალი ძლიერ დაქანცულიყო, შებლზე ოფლო დასხმოდა, მაგრამ მუშაობას ოდნავადაც არ ანელებდა. ცდილობდა როგორმე დაღამებამდე მოემთავრებინა და იქაურობას გასცლოდა. სულ ბოლოს, ცოტაზე რომ მიდგა საქმე, რატომღაც აზრად მოუვიდა, ცოლი რომ ასეთი უხასიათოა, შეიძლება ქმარი სრულეზობით არ გავდესო მას და წუთით წარმოიდგინა სულ მალე დაბრუნდებოდა სახლის პატრონი, გაშლიდა სუფრას, კარგადაც გაუმასპინძლდებოდა და რაც იმუშავა, იმის გასამრჯელოსაც ერთიორად გადაუხდიდა. ზაალმა დაღამებისას დაამთავრა სამუშაო. დაბრუნდა სახლის პატრონიც. არც ეახშამზე მიიპატიცა და არც ფული გამოიმეტა. კედელი შეათვალიერა. „ყოჩაღ, კარგად გაგიკეთებიაო“, უთხრა და წავიდა.

თოვა კვლავ დაიწყო, ახლა უფრო ხევირილად ბარდნიდა, ვიდრე დღისით. დაღლილ დაქანცული ზაალი უხასიოდ მიიბიჯებდა გატკეპნილ თოვლში. სახე წინანდელზე უფრო დაღვრემილი, მოღუშული ჰქონდა და ხმას არ იღებდა. დიტო კვალდაკვალ მიჰყვებოდა ხელოსანს და შეციებულ ხელებს წამდაუწუმ იფშენებდა. დაღმართი რომ ჩაიარეს და გზაჯვარედინზე გავიდნენ, ზაალი შეჩერდა და ბიკს მიუბრუნდა.

— დიტო, შენ ახლა, შინ წადი, დაღლილი ხარ, მოისვენე. მე კი ერთი კაცუნდა ვნაბო, აქეთ შევეუბნე. — უთხრა ზაალმა ბიკს და შესახვევისაკენ ხელი გაიშვირა.

ზაალს სანახავი არავინ ჰყავდა. მხოლოდ სეაპრო ფარდულში უნდოდა მისტელიყო და არაყი დაეღია. სასმელი კარგ გუნებაზე დააყენებდა და ტანშიაც შეათბობდა. ძალიან გულით უნდოდა დიტოც თან წაეყვანა, მაგრამ ეშინოდა, ბიკი მაგარ სასმელს არ მისჩევოდა.

— კარგი, წავალ, — უთხრა ბიკმა. გამოემშვიდობა და წავიდა.

ზაალი მოსახვევში გავიდა და სავაქრო ფარდულსაკენ მიმავალ გზაზე დააღვა. თოვლში ოციოდენ ნაბიჯი რომ გაიარა, შიმშილი იგრძნო. თანაც ძლიერ სწყუროდა, პირი აბეღვით ჰქონდა გამშრალი. ერთი პირის გასველება ყველაფერს ერჩივნა. და წუთით მოაგონდა ის მწვანე კიტრები, რომლებიც დიასახლისმა დილით დაიწუნა და უკან გააბრუნა.

კიდევ ცოტა მანძილი რომ გაიარა, ერთი ორჯერ ჰეშვით თოვლი აიღო, რომ ამით წყურვილი მოეკლა და გადასწყვიტა არც მწვანე კიტრებზე ეფიქრა და არც იმ უმადურ ცოლ-ქმარზე. სცადა სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრი. ვერ შესძლო. ბოლოს, მაინც რომ ევრაფერს გახდა, თავისთავში დაექვედა.

„ეინ იცის, იქნებ მძინავს და სიზმარში ვარ, თორემ სად თოვლი და სად მწვანე კიტრები? ვის გაუგია იანვრის თვეში ოჯანში ვინმეს კიტრებით სავსე კალათა ედგას. ან ასეთი უხასიათო ადამიანებს გადაუროდეს ვინმეო?“ მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, თვითონვე დაასკვნა გულში, რომ ყველაფერი ეს ცხადი იყო. დილიდან საღამომდე იმუშავა, თითქმის ორი დღის სამუშაო ერთ დღეში მოათავა, ახლა კი დაღლილ-დაქანცული ბრუნდება, მიდის თოვლში, მხარზე ჩანთა ჰკილია, შიგ ხელსაწყოები უწყვია. ჰო, ყველაფერი ეს ცხადია, სინამდვილე. მხოლოდ ასეთი რამ ცხოვრებაში ჯერ არ შემხვედრია. და რაც იმ დღეს თავს გადახდა, უნდოდა ეს ყველასათვის ეამბნა, გაეგებინებინა, რომ თურმე არსებობს ისეთი ხალხი, თუ ხელში ჩაუფარდი, გიმსახურებენ, გამუშაებენ ქანცაწყვეტამდე, ადამიანადაც არ ჩაგთვლიან და ყველაფერი თავზე საყრელად რომ ჰქონდეთ, არ გამოიმეტებენ. ფარდულს რომ უახლოვდებოდა, ეგონა იქ ნაცნობი ხელოსნები დაუხვდებოდნენ და ყველაფერს უამბობდა მათ, მაგრამ ნაცნობი ვერავინ დაინახა, სხვა რა გზა იყო, ზეზეურად მდგომმა არაყი ზედიზედ გადაჰკრა, მერე იდაყვებით დახლზე

ჩამოეყრდნო და სცადა გამყიდველი საუბარში ჩაეთრია, მაგრამ გამყიდველი თავისი საქმით იყო გატაცებულ და ყური არ ათხოვა.

ზაალმა ბრახით ხელი ჩაიქნია და ამჯობინა ისევე თავისივე ბოღმა თვითონვე გაექარებინა. აიღო ერთი ბოთლი სუფრის არაყი, ყველი ორიოდღე, ხმელა თევზი. გამობრუნდა, კუთხეში იპოვა თავისუფალი ადგილი, დააღაგა ეს ყველაფერი მაგიდაზე და სკამზე მიიმუღ დაეშვა.

საჭმელს მადიანად შეექცა, შიმშილი რომ მოიკლა და სასმელიც კარგად გაუჯდა თავში, წამოდგა და ფეხების ბანცალით გარეთ გავიდა. ქუჩას ქვემოთ რომ გაუყვა და უნივერსიტეტის წინ პროსპექტზე გავიდა, შედგა და ქუჩაში ყურება დაიწყო, რომ იქნებ ვინმე ნაცნობისათვის მოეკრა თვალი და მასთან ესაუბრა. ქუჩაში ბლომად მიდი-მოდიოდა ხალხი, მაგრამ იმათში ნაცნობა ვერაფერს შენიშნა.

პაპიროს მოუყიდა, ბოლი ხარბად ჩაყლაბა და დაიწყო ფიქრი თუ სად წასულიყო, ვისთან მისულიყო. შინ დაბ-

რუნება არ უნდოდა, ცოლშვილს შესაფერისს მოვლა-პატრონობას, რომ ვერ უწყევდა, ყოველთვის მათ წინაშე თავს დამცირებულად გრძობდა და ახლა არ უნდოდა ასე უზომოდ მთვრალი დაენახათ.

ქურჭიდან თოვლი ჩამოიბერტყა, გაიარა-გამოიარა, შეჩერდა და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, გამოსავალიც იპოვა. ზაალი ერთ მხატვარს იცნობდა, რომელსაც მან ორიოდღე წლის წინ ოთახი შეურეშონტა და მას შემდეგ ერთმანეთთან კარგი ნაცნობობა ჰქონდათ. მხატვარი ძალიან კეთილი, გულლია კაცი იყო, და ზაალი როცა ზოგჯერ მოქამულ ხასიათზე დადგებოდა, უსათუოდ მასთან უნდა გაეელო; მასთან ლაპარაკი ყოველგვარი დარღს შეუმსუბუქებდა ხოლმე.

მაშინვე პირი იბრუნა და მცხეთის ქუჩაზე რომ ამოჰყო თავი, გულში ექვემა გაკენწლა, ვაი თუ შინ არ დამიბედესო, მაგრამ ცოტათი რომ წაინაცვლა და ქუჩის ნაპირას, აგურით ნაგებ სახლს გახედა, შეამჩნია, მეორე სართულზე, ოთახში ნათურა ენთო.



მხარე ღმრთავი

სამოსელი პირველი

რომანი

ნაწილი პირველი

ს ო ზ ლ ა დ

* * *

ბავშვობიდანვე, რადანაირად, ყოველი ხალხი მაინტერესებდა. და ბავშვობისდროინდელივე ოცნებაა ჩემი ეს — ზოგადი, ყოველი ეროვნების კაცისთვის ერთნაირად საინტერესო თუ მოსაწყენი ამბავი...

შეგი კი შემომემატა უცნაური, ერთ ღრვს ნამდვილად არხებულა ქალაქი კანუდოსი, რომლის შეკადრებაც ყოველგვარი თეორიული ცოდნის გარეშე, ინსტიტუტურად, ღროებით მიადრწეს ამას, რასაც კაცობრიობის უკეთესი, ნათელი მოწვევა ჰქვია.

მაგრამ კანუდოსთან უკებ, ადვილად არ შეიძლება მიახლოება — ხელ სხვანაირი ქალაქებიც შესახებოდა გზაში, და რადგან ეს დიდებული ქალაქი — კანუდოსი, ყოველი ეროვნების კაცისთვის ერთნაირად საინტერესო უნდა გამეხადა, ჩემი რომანის მოქმედი პირების დიდ უმრავლესობას არაქართული სახელები ჰქვია. რომანის ქარგაც ნაცნობია, ძველი...

და მაინც, ღროებით მიზანს მიახლოებულ კაცად ჩავთვლი თავს, ოდნავ თუ მაინც გამომართლებს ეს ექსპერიმენტი.

თავი I

ლოლოვი შოკია

ჩერ კიდევ ძალიან ბნელოდა, მხოლოდ ერთგან, დასალიერზე, თითქოს ოდნავ გაბაცდა ცა. წვიმას ახლახან გადაელო, წვეთები უხმაუროდ სხლტებოდა ერთი ფოთლიდან მეორეზე და აქანქალებული, გაღუმპული, ერთიანად სმენად გადაქცეული ლტოლვილი ყურს

უგდებდა ამ ილაჩგამოცილი ჩქამს. ყოველნაირ ხმაურს აიტანდა იგი, გარდა ფლოქვეების თქართურისა — წამლანუწუმ მღვეარი ელანდებოდა და, ღონე-მისხილი, ორივე ხელით ჩაბლაუტებოდა სველ ტოტებს. აქამდე ვერაინ შენიშნავდა, ისე გატრუნულიყო, ხეს ჩა-

ხუტებული; ახლა კი, გათენებისას, როცა ძალიან აცივდა და შეწუხებული ლტოლვილი აწრიალდა, იმ გაბზარულ სიბნელეში აშკარად გამოიჩინა მისი ჩაშავებული, მოძრავი სილუეტი. საშინლად ეძინებოდა, ძლივს იმაგრებდა დამძიმებულ თავს. კიდევ კარგი, რომ იჭდა მაინც — იზოდენა აღმართის შემდეგ დაღლილ, გადატყავებულ ფეხებს ასვენებდა. აქ, ხეზე ამძვრალს, ძალღეობივ ვერ შესწვდებოდნენ, თუმცა, ყუფა არც გაუგონია. ცოტათი გამხსნევდა და იქვე მოშვიდა. უბეში ჩაიყო შეციებული თითები და პურის ყუა ამოაძვრინა. ნელა, აუჩქარებლად ილოდნებოდა — ასე იზოგავდა სიამოვნებას, მაგრამ ერთი ბეწო პური იყო და ჩქარა შემოეკამა. უფრო აეშალა საღერლეი, სოფელს მიაჩერდა, სადაც საქმელი უნდა ეშოვნა. ოდნავ გამოიკვეთა სახლები, ისევ შეათვლიერა მიდამო და უცნაურმა შიშმა შეიპყრო: მღვერებისა კი არ ეშინოდა, სულ სხვა რაღაცის — მაინც რა საოცრად, როგორ თენდებოდა... უნახავს კია როდესმე ისეთი უცნაური, მკვეთრად გამოხატული ფოთლები, ანდა ისეთი მყარი მესერი თუ უნახავს, იმ ბინდუნდში თვალნათლივ რომ იკრეფდა ძალას... როგორ მოცუტრავდნენ ხეები ძალიან შორიდან, ლოდებიც რა დინჯად ამოდიოდნენ მიწიდან, ისეთი საშიში სიოც თუ უნახავს სადმე, გამოთენიისას რომ სცოდნია და იმ სიოსაყოლილი მკრთალი ჩრდილების მიწაზე ბოგინიც რა უცნაური და შემამფოთებული იყო...

ველარ გაჩერდა ადგილზე, ხიდან ჩამოხტა და მახლობელი სახლისაკენ გაემართა. ქიშკართან შეჩერდა და, თავაწეული, ნესტოებდაბერილი, ეკვით ყნოსავდა ჰაერს. ეზოში შეაბიჯა, თავლას ფრთხილად აუარა გვერდი. მერე რაღაც პატარა, ქვის შენობაში შევიდა და ისე უცნაურად დაგუდული მოეჩვენა იქაურობა, თავბრუ დაეხვა და იქვე, პირდაპირ იატაკზე დაჯდა. სული რომ მოიხტევა, მიმრჩებდა — აქ

ისე არა ციოდა, ოღონდ მტკნარ მხნეები ჩაესვით საკმელებში... მტკნარ მხნელოდა.

ძალიან თუ შეშინდებოდა, იდაყვს ქვემოთ და ნეკნებზე გაყინული ნემსები დაეძვრებოდა და ახლაც ასე მოუვიდა — თითქოს იქვე, სიბნელეში, ვიღაც სუნთქავდა. ჯერ ეგონა, თვითონ თუ იყო, მაგრამ მერე, დაღლილმა რომ ამოიოხრა და წამით გაიტრუნა, ისევე მოესმა სუნთქვა. შიშმა ერთიანად აიტანა, თვალები მოიფშვინტა და იყვირა:

— ვინ ხარ!

— მე ვარ, მე.

მშვიდი ხმა იყო, დამაწყნარებელი, მაინც კედელთან მიჩოჩდა და ზურგიით მიეყრდნო. ისე დაიძაბა, თითქოს ამ მყარი კედლის განგრევა სურდა; და თუმცა ვერაფერი გამოუვიდა, მაინც გამხსნევდა და რაღაცა ძალაც იგრძნო. ფეხზე წამოსადგომად არ კმაროდა ეს ძალა, მაგრამ შეკითხვისათვის კი ეყო:

— ვინ შენ...

— ამ სახლის პატრონი.

— მერედა, აქ რას აკეთებ?

— ამას მე მეკითხები?

ლტოლვილმა ისე დაირცხვინა, ცოტათი დამშვიდდა კიდევ. ის კაცი მშვიდად, წყნარად ებაასებოდა და შემოხვეწილს გული აუჩუყდა:

— მე... — მკერდზე ხელი მიიღო

ლტოლვილმა, — მე დიდი დამნაშავე ვარ, რომ შემოვედი, მაგრამ...

— არა უშავს. ალბათ გციოდა.

— დიახ, იცით, მე ძალიან მციოდა და...

— ჰო, ვიცო, მჯერა.

— იცით, მე... მე საერთოდ... მე დამნაშავე...

— კარგი, კარგი, — დაუყვავა კაცმა, — კარგი, გაჩუმდი.

შემოხვეწილს ძარღვებში სიხარულმა დაუარა, გააბრუა და მხარზე დაუეარდა თავი. ერთხანს თვალდახუჭული იჭდა, კედელს მიეყრდნობოლი. მერე ისევ აფორიაქდა — კიდევ რაღაც, რაღაც აუცილებლის ფოსმენა მოუნდა, საბო-

ლოდ რომ დამშვიდებულიყო და იქითვე გახვდა, ხმა რომ მოისმოდა. მუხლებით ჭვის იატაკს ეხახუნებოდა და სქელ კედლებს უმწეოდ აწყდებოდა ეს ხრეშისდამავარი ხმა, მერე კი, სინამდვილე რომ ჩამოვარდა, ლტოლვილმა ხელისგული მიადო კაცს მუხლზე, ახედა და შეევედრა:

— ნურაფრის მეშინოდეს?

კაცი დაფიქრებული დასცქეროდა, მერე თავზე დაადო ხელი და უთხრა:

— ნურაფრის გეშინია.

და უცებ ლტოლვილი პირქვე დაემხო და თითებით იატაკი მოფხოვნა. ხელები აუძაგძაგდა, მხრებიც, ზურგიც უცახცახებდა. ცრემლებს ყლაპავდა, სახეს უსვამდა იატაკს, ლოყას ადებდა, ყოველ კუნთს ჭიმავდა, სლუკუნებდა — ეს შვეება იყო, კაცი მოთმინებით იცდიდა, როდის დაწყნარდებოდა ლტოლვილი. კედლისკენ შებრუნდა და სანთელი აანთო. რომ შემობრუნდა, ლტოლვილი თვალებს ახამხამებდა და სახემოთითხნილი შესცქეროდა სანთელს.

— ახლავე მოვალ, — უთხრა კაცმა, — ალბათ მოგშვიდა.

— კი, ძალიან, მშია, — თვალი არ მოუცილებია, ისე დაიქნია თავი ლტოლვილმა.

სანამ კაცი დაბრუნდებოდა, ლტოლვილმა სანთელს მიუშვია და მზრალი თითები და გაუყვია — საოცრად გამკვირვალე, ლამაზი ფერის თითებს ხედავდა. მერე ლოყა მიუშვია, შებლიც. შეთბა და მადიანი ზმორება აუტყდა, კედელთან დაჭდა, კისრის სახსრები აატაკუნა. ვერც შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა კაცი და მისი ხმა რომ მოესმა, შეკრთა:

— ა!

— აჰა, მოგიტანე.

— რაა... ეს რაა...

— პური და ღვინოა.

— ო... — პურს წაეტანა ლტოლვილი, — ო, რა თბილია, — და კიდევ ერთხელ მუდარით შეხედა.

— კამე, შენია.

ლტოლვილი ერთხანს მდრინდელი ილუქებოდა, მერე თუნგს წაველილი:

— დავლიო?

— დალიე.

— თქვენ გაგიმარჯოთ, — თქვა ლტოლვილმა და ისევ აუჩუყდა გული: — თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენისთანა ადამიანი არ შემხვედრია ჯერ...

— შენც გაგიმარჯოს, მიდი, დალიე.

— ყველა თქვენიანს გაუმარჯოს, — ვედრებით შესცქეროდა ლტოლვილი, — შეილები თუ გყავთ...

— მყავს.

— რამდენი...

— ორი.

— ქალ-ვაი?

— ვაჟები.

— იმათაც გაუმარჯოთ, — თქვა ლტოლვილმა და ჯამი მიიყუდა, — ოჰ, რა ღვინოა, რა ჰქვიათ?

— დომენიკო და გვეგვე.

— რა უცნაური სახელებია, — გაუკვირდა ლტოლვილს, — დომენიკო და...

— გვეგვე.

— აჰ, რა უცნაურია, — დაფიქრდა ლტოლვილი და ჩუმად გაიმეორა, — დომენიკო... და გვეგვე... დომენიკო და...

გ ვ ე გ ვ ე

— ასე დიდხანს ნუ ატრიალებ, — თქვა პირველმა ყმამ, ბიბომ, — იმას ეგრე უყვარს.

— რღნავ მაინც ხომ უნდა შეიწვას.

— ეყოფა-მეთქი, ნუ ატრიალებ.

— თქვენი ნებაა.

კოჭლმა შამფურზე აგებული კურდღელი ხელში შეათამაშა და სინათლისაკენ წავიდა. სახურავიდან წვრილი სხივი ჩამოდიოდა და მტერის ნამცეცებს აბრქვევიალებდა. სწორედ ამ განათებულ სვეტთან კოჭლობით მივიდა და სხივს გაფარჩხული კურდღელი შეუშვია:

— ეყოფა ვითომ?

— დაყრუვდი თუ რა!! — დაიგრგვი-

ნა ბიბომ, — მაგიდაზე დადე და მომ-
შორდი.

— ახლავე, ახლავე, — შეშინდა
კოკლი, — სხვა არაფერი?

— არაფერი, გადი და კართან დადე-
ქი. საზამთრო ხომ ჩააცივე...

— როგორ არა.

— მიდი-მიდი, გადი...

ის იყო, კოკლს სახელურისათვის უნ-
და წაველო თითები, უეცრად სახეში
აუტანელი ტკივილი ეძგერა — ეს
გვეგვე შემოვიდა ოთახში და კარი შიგ
ცხვირ-პირში მოხედა კოკლს. იმან სა-
ხეზე ხელები აიფარა და წაიკუნა,
ცხვირიდან სისხლი წასკდა, თვალეში
სიმწრის ცრემლები ჩაუდგა და შეშინე-
ბული დააქერდა იატაკზე გაორებულ
მუქ წერტილებს. მერე კი, სისხლი
რომ შეეჩერებინა, უკან გადასწია თა-
ვი.

— მშია, — თქვა გვეგვემ.

— აგერ, მიირთვი, — ბიბომ მაგი-
დისკენ გაიშვირა ხელი.

— მე წავალ, თუ შეიძლება, — ით-
ხოვა თავგადაწეულმა კოკლმა.

— სად უნდა წახვიდე, — შეუღრინა
გვეგვემ.

— სახეს დავიბან.

— ჰე, სახის დაბანვა მომინდომა...

— და უცებ იფეთქა, — რა უნდა და-
ბანო, შენი პატრონის დედა!

კოკლმა თვალეში შეხედა გვეგვეს,
გულისპირზე სისხლი ჩამოეწვეთა:
კარგა ხანს უყურა და მოულოდნელად
ხმაში სუსხი დაეტყო:

— ჩემი პატრონი მამათქვენია.

ბიბომ მოიკუნტა — ეგონა, მაგიდას
თაზე გადაამტკრედნენ კოკლს, მაგ-
რამ გვეგვეც შეშინდა:

— არა, არა, არ დაფიქრებულვარ,
ისე ვთქვი... ისე ვთქვი, უბრალოდ, ხომ
გესმის...

კოკლი ჰერს ასცქეროდა.

— დაფიქრებლად წამომცდა, უცა-
ბედლად... ხომ არავის ეტყვი?

— არა, ვის უნდა ვუთხრა.

— კარგი, კარგი წადი ხელ-პირი და-
იბანე, ძალიან გეტკინა? უფა...

— არა.

— წადი, წადი, ოღონდ... ექიმსთან
არ დაგცდეს, გაიგე?

— არა, არა.

— დაიცა!.. თუ გინდა, ცოტა ხორცს
გაქმევე.

— რად მინდა, უმია, — გათამამდა
კოკლი.

— რაო, უმიაო? — გაიოცა გვეგვემ
და ბიბოს ავად გახედა, — არ შეწყით?
— როგორ არა, რას ამბობთ, როგორ
არა, — შეიქცადა ბიბომ, თქვენ რომ
გყევართ, სწორედ ასე...

გვეგვემ ჩაკბინა და თვალეში მოკუ-
ტა. მერე სახე გაუნათდა — კარგი ყო-
ფილა, რა გინდა... ნიკაპი მეკრდზე და-
იბჯინა და საყელოში ჩაიციინა:

— როგორა თქვი, უმიაო? ესაა უმი?
ჰე, ნახე, რა თქვა, უმიაო, გაიგე, ბიბო?
— ჰე!

— წადი, წადი, პირზე წყალი შეის-
ხი, — და თვალი გააყოლა. კარი რომ
მიიხურა, მაგიდას მიუჯდა, თეფშისავე
გადაიხარა. მაღიანად, ხარბად დაღუპა
ხორცი, ძვლები გამოტკვირა, თანდათან
იმართებოდა წელში. მერე სკამის ზურგს
მიიწვა, მუხლი ვაშალა და საზამთროს
დიდი ნაჭერი ყანწივით მიიყურდა. ახლა
ისიც კოკლივით ჰერს შესცქეროდა და
დამსტრულ, გრლი საზამთროს წუწნი-
და, აღისფერი ზოლი ჩამოსდიოდა ნი-
კაპზე, ბიბო კი, ნერწყვიმოდგარი, ჯი-
უტად ჩაჩერებოდა იატაკს.

გვეგვემ ნიკაპი მოიწმინდა და თვა-
ლი მილულა. სიამოვნებდა, თვლემა
რომ ერეოდა და მაინც პირქუშად გა-
მოიყურებოდა.

— მამათქვენმა ვილაცა ლტოლვილი
შეიკვლდა.

გვეგვემ თვალი გაახილა. ერთხანს
უაზროდ შესცქეროდა, მერე უცებ გაბ-
რაზდა:

— როდის!

— დღეს.

— ვინ ოხერია!

— რა ვიცი...

— ეგონა, მაგიდას მიიხურა, თუ მუქთა მკამე-

ლით მეტი გვეყოლება... მიეცე ვინაა, რა კაცია!

— არაფერი ვიცი.

— უ, მაგის... ახლა სადაა.

— ძინავს.

— ძინავს?

თითქოს რაღაცა წაართვეს, აღმური მოედო... მაგრამ უცებ ჩაიფრფლა — გამაძლარი იყო. ძლივს აითრია წელი, გაბრუებული გავიდა ეზოში, ვაშლის ხის ძირას, კილობზე პირქვე გაიშორა და დაიძინა.

გვეგვე რომ დაიბადა, თოვდა. ბებია-ქალმა ერთი კი გაიკვირვა — არასოდეს მინახავს, ბავშვს დაბადებისას რომ არ ეტროსო, და მეორე სოფელში წავიდა. გვეგვე აკვანში იწვა და ხშირ-ხშირად და ღრმად სუნთქავდა. არაფერი აწუხებდა — თუ არ ეძინა, თვალები გახელილი ჰქონდა, თუ ეძინა და ხომ მთლათ კარგი. ძალიან ჭანმრთელი ბავშვი იყო, მაგრამ ფეხი გვიან აიღვა. ლაპარაკი სამი წლისამ ისწავლა, მანამდე სულ „ღღ, ღღ“-ს იძახდა, ისიც რომ მოწივდებოდა, მხოლოდ მაშინ. ტანად დაბალი გამოდგა, მაგრამ იმათეთვე გრძელი, ღონიერი ხელები ჰქონდა. ყმებს მუდამ უთვალთვალებდა, როგორ მუშაობდნენ. განსაკუთრებით ის უხაროდა, დიდ ხეს რომ წააქცევდნენ ხოლმე — ორი ყმა ხეს მიადგებოდა, ნაჯახს დაუშენდნენ და გვეგვეს მოლოდინი ახრჩობდა. მერე ყმები ხეს მიაწყებოდნენ და გაფაციცებულ გვეგვეს ძალიან სიამოვნებდა ჯერ ღრქილის, მერე კი ზემოდან აჩქარებით წამოსული მშუილის გაგონება. წაქცეულ ხეს მივარდებოდა და ზედ გაიულ-გამოივლდა. ექვსი წლისა რომ გახდა, ერთი ქანგისანი დანა იპოვნა. იმ დანით ხეებს ჩორკნიდა და ნაცრისფერ მერქანს უსერავდა. ბაღჩაში საზამთროს რომ გადააწყებოდა, მიმოიხედავდა და თუ არავინ იყო, დანას ტარამდე ჩაარკობდა ხოლმე.

დღესასწაულები არ უყვარდა. ხმაური, ხმადალი ვედრება და შეძახილე-

ბი ამინებდა. უბრალოდ, სოფელელებს ერთად დანახვაც არ სურდათ. იმათ სოფელში კი უცნაური დღესასწაულები იცოდნენ, რას არ ვევედრებოდნენ ბუნებას: წვიმას, მზესა და ნაყოფიერებას. ცისკენ თავაწეულნი, ღრიალით ითხოვდნენ ყოველივე ამას და გვეგვე ტყეში მიდიოდა ხოლმე. ევას ისროდა და რომელ ხესაც მოარტყამდა, დანას ჩამოუსვამდა.

უმცროსი ძმა რომ დაიბადა, რვა წლისა იყო. მას შემდეგ შინ გული აღარ უდგებოდა — მჩხავანა ბავშვს ქალები თავს დასტრიალებდნენ და მისადმი ასეთი ყურადღება აღიზიანებდა. აილებდა და სოფლის განაპირას, ტბაში დაცურავდა ხოლმე. სწრაფად ცურვა არ ეხერხებოდა, სამაგიეროდ, ყველაზე დიდხანს ძლებდა წყალში.

დედა რომ მოუყვდა, თერთმეტი წლისა იყო. შავოსანი ქალები თმას იგლეჯდნენ, ლოყას იხოკავდნენ, კიოდნენ. მამასაც შავები ეცვა და, უზომოდ დაფიქრებული, მოწყენილი, კედელთან იდგა. უმცროსი ძმაც იცრემლებოდა, გვეგვე ბევრს ეცადა, მაგრამ მაინც ვერ იტირა.

მამის დიდი რიდი ჰქონდა, მაგრამ სიყვარულით ოდნავადაც არ უყვარდა — თავიდანვე, რაღაცანიარად, ეშინოდა, ერთხელაც არ გაუსწორებია მამისათვის მზერა, მალულად თუ შეათვალეობდა. მამა მხოლოდ ერთხელ გაუყვარდა — გვეგვე თოთხმეტი წლისა იქნებოდა, როცა მის უმცროს ძმას მოულოდნელად გვიმრის ბუჩქში ჩამხობილს გადააწყდა მამა. ბავშვი ერთიანად მიგვიგებდა და მამამ წამოაყენა, თავი გადაუწია, თვალეებში ჩახედა.

— მამა, მამიკო, მამა, — იძახდა აცხცახებული ბავშვი, — გვეგვემ ძალი მოკლა!

— რომელი ძალი.

— აი ის, ყავისფერი, უპატრონო...

— რატომ.

— რა ვიცი, მოკლა... მამა, მითხარი, მითხარი რაა, რატომ მოკლა...

ის ძალიან კარდაკარ დაძრწოდა და

ყმები პურს აკმევდნენ. სასაცილო ძალ-
ლი იყო, უკანა ფეხებზე დგებოდა და
ასე იხევებოდა საკმელს. არავისი
ემინოდა, გვეგვეს გარდა — იგი შემ-
თხვევას არ გაუშვებდა, წიხლი რომ არ
მიეყოლებინა გვერდებში და ერთხელ,
ძმასთან ერთად რომ ბანაობდა, ჩრდი-
ლში მიძინებული ძაღლი შენიშნა, მი-
ეპარა, მძიმე ლოდი გაკირვებით ასწია
და ზედ ძაღლზე დააგდო. მზის გულზე
წამოწოლილი უმცროსი ძმა კერაფერს
ხედავდა, მაგრამ წყაფუკაის გაგონე-
ბისთანავე წამოხტა, მიიბრინა და უც-
ნაურად თათებმოკეცილი, თავგაპეკუი-
ლი ძაღლი დაინახა, გვეგვეს კი, მის
ძმას, მუხლისთავზე სისხლი ეცხო და
პირზე ცუდი ღიმილი დასთამაშებდა.

— სადაა... — მოიქუფრა მამა.

— იქ, საბანაოზე...

მამის მისვლა გვეგვეს არ შეუმჩნევეს
— დანა მოემარჯვებინა და, დაფიქრე-
ბული, ძაღლს ჩხელეტდა. მერე მავაში
ისეთი ტყვილი იგრძნო, თვალთ დაუბ-
ნელდა, მამამ კი წამოაყენა, შემოატ-
რიალა და მაგრად გააწნა სილა. გვეგ-
ვეს ფეხები მოეკეცა და ძაღლს გადა-
ემხო. მამამ დანა აიღო; მოიქნია და
წყალში ისროლა, მერე გვეგვე აიყვანა,
ტბაში შევალა და სისხლი მობანა. გვეგ-
ვემ თვალი გაახილა და საჩქაროდ და-
ხტუა, კიდევ არ გამარტყასო. მამამ შინ
წაიყვანა შეიღები, მეორე დღეს კი
გვეგვე უთენია გააღვიძა და ყანაში
წასვლა უბრძანა. ჯერ ხელ-პირი დააბა-
ნინა, ასაუხმა, მერე თოხი მიაჩენა ხელ-
ში და ყანისკენ გასწიეს. მამა წინ მი-
დიოდა, გვეგვე კი, მოქნარებაატეხილი,
უკან მისდევდა. თენდებოდა, სხეულს
სასიამოვნოდ წიწკნიდა დილის სიგრი-
ლე, მამლები ყიოდნენ, გზადაგზა ყმები
ქუდს უხდიდნენ მამას, ის კი, დიდ ყა-
ნაში რომ შევიდა, გვეგვეს მიუბრუნდა
და ერთხანს თვალბეჭდით უყურა, მერე
ანიშნა, მომყვიო, და თოხნას შეუდგა.
სიბინდის ყანა ჯერ დაბალი იყო, მკერ-
დამდე სწვდებოდა მამას. გვეგვე უხე-
როდ იქნევედა თოხს, თუმცა ძალიან კი
ცდილობდა. შეაღწედა თოხის თითებზე

და ხელისგულზე ბებერტყვიან მთებში, ტყვი-
ლი ტყვილი სახე მოუღრღინა. მამამ შე-
ხედა და ჩრდილში დაჯდომა უბრძანა,
თითონ კი თოხნა გააგრძელა. გვეგვე
იჭდა, იჭდა, მოსწყობდა და იქვე, მის
ფერხით მოფარფარებდა პეპელას წაეტა-
ნა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და რი-
დით შეხედა მამას. ის ზურგით იდგა
და დინჯად, შეუსვენებლად მუშაობდა.
მამა ყოველდღე მუშაობდა და ყველას
უკვირდა, ასეთი მდიდარია და ნეტავ
რა ძალა ადგასო, იგი კი, მოღლილი,
სალამობით ბრუნდებოდა შინ, როცა
სახლებისა და ხეების წაგრძელებული
ჩრდილი თვალნათლივ ბაცდებოდა.
ასე, მუშაობაში გადიოდა წელიწადის
სამი დრო, ზამთრობით კი, როცა სა-
ლუქი თოვლი უშნოდ დაიტკეპნებოდა
სოფლის გზაზე, მთებში კი რბილად
ბრტყვილებდა მზეზე, მამა მრგვალ ბუ-
ხართან იჭდა და, თვალმოუტულო,
დიდხანს ფიქრობდა. მამასთან ხშირად
დაიარებოდნენ ყმები, ზოგი რჩევასა
სთხოვდა, ხან რას ეკითხებოდნენ, ხან
რას, ხანდახან დანაშაულშიც გაუტყდებ-
ოდნენ და, თუ გაუჭირდებოდათ,
ფქვილს ხმადებლა სთხოვდნენ და არა-
კინ იყო მთელ სოფელში, მამის უმა-
ღური რომ ყოფილიყო.

მეორე დღესაც წაიყვანა მამამ გვეგ-
ვე, მაგრამ ჩრდილში დაჯდომა უბრძან-
ა — ხელისგულები და თითები გადაყ-
ველილი ჰქონდა. მეხუთე დღეს კი,
როცა გვეგვეს ნატყენი ადგილები გა-
უშვარდა, თოხის ალება უბრძანა და მას
შემდეგ ყოველდღე სამუშაოდ დაპ-
ყავდა. გვეგვე მუშაობას ჩქარა შეეჩვია,
ოღონდ ის აბრაზებდა, მამამისის ყმებ-
სა და მას ერთნაირად რომ უნდა ემუ-
შავათ. რამდენიმე წელიწადი სულ ყა-
ნაში გაატარა გვეგვემ და რამდენჯერ,
მარტო რომ იყო, გადაწყვიტა, მამისი-
თვის განეცხადებინა, რომ საკმარისია,
რაც იმუშავა, რომ იმის ნაცვლად, ერ-
თხელ ლოდი რომ ასწია, ათასჯერ მეტ-
გამოსასყიდი მოძრაობა გააკეთა და
ახლა ეყოფა მუშაობა, მიითუმეტეს,
რომ მის უმცროს ძმას ჯერ თითი არაფ-

რისათვის დაუქარებია. საპირო სიტყვებს დაეძებდა ხოლმე გვეგვე, რამდენიმე გვეგვას აწყობდა, როგორ ეთქვა ეს ყველაფერი მამისათვის და როცა გახარებული საუბრით წინადადებას გულში ათასჯერ გაიმეორებდა, მამის დანახვაზე თავ-გზა ებნეოდა და ბეჭითად იქნევდა თოხს. კიდევ არაფერი, მარტოკას რომ ემუშავა, მაგრამ ხანდახან უზომოდ მოწყენილი უმცროსი ძმა შემოვივლიდა ყანაში და ჩრდილში წებოდა. გვეგვის შუბლს უცვარავდა მლაშე ოფლი, თვალბში ჩასდიოდა, ლოყიდან მიწაზე ეწვეთებოდა, უმცროსი ძმა კი, ჩრდილში წამოწოლილი, მოწყენით ამოქნარებდა და არ იცოდა, რით შეექცია თავი.

გვეგვის თიბვა სხვა სამუშაოზე მეტად ართობდა. სიამოვნებანარევი ბრაზით იქნევდა მზეზე ალაპლაპებულ ცელს და ჯიუტად მიიწევდა წინ, მარცხნივ კი მოცელილი, გრძელი ბალახი რჩებოდა. თუკი არავინ უყურებდა, უფრო ბრაზიანად იქნევდა ხელებს და ხმამალა ქშინავდა, მერე კი, მოღლილი, ამაყად მიიხედავდა ხოლმე უკან.

მამას ქვიან მიწასთან უყვარდა ჰიდილი — ნიადაგში ჩაფლულ ლოდებს ტეხდა, ნამტერეკებს აგროვებდა და მერე გვეგვისთან ერთად საზიდრით გაჰქონდა. ამ სამუშაოსაც არა უშავდა, ქვები ზღართანით ეცემოდა ხევში, მაგრამ ეს თოხნა, თოხნა...

ერთადერთი, რაც გვეგვის მართლა ატკობდა, ეს იყო შემწვარი კურდღელი და ჩაცვიებული საზამთრო, ანდა იმისი მურაბა, საღამოხანს რომ ელოდა.

ის იყო და ის, გვეგვის შეგნებულად აღარაფერი დაუშავებია. ოღონდ უმცროსი ძმა, დომენიკო, ქირის დღესავეთ შესძულდა.

ლოლვილი და ლოპინიკო

ვილაცამ თითქოს ხელისგული მიადო ლტოლვილს და, თუმცა ეძინა, სიამოვნებისაგან კიდევ უფრო გატეტუნა. რა-

ღაცა მსუბუქი, თბილი ელამუნებოდა ლოყაზე და ერთხანტელმა დაუბრუნებდა უზომოდ მადლიერმა, წამოიქნესა და თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე შემფოთებულმა სახე მოკმუნხა და ხელით მოიჩრდილა — მზე დადგომოდა სახეზე. ჯერ კიდევ ბურანში იყო, რალაცა გაურკვეველი სილურჯე თანაბარი სვლით წამოვიდა მისკენ და თვალში რომ ჩაუჭდა, მერეღა გაარჩია — ღია ფანჯარაში ცა მოჩანდა. უცხო ოთახს თვალი მოავლო და სანამ ძალიან გაოცდებოდა, ერთბაშად გაახსენდა ყველაფერი. თვლები დახუჭა და გულადმა გადაწვა, ხელები თავქვეშ ამოიღო, დაიძაბა, სიამოვნებით გრძნობდა მხრებს, ბეჭებს, წელს, ფეხებს და ისევ მიმოიხედა. ყურადღებით იცქირებოდა — სად არ უვლია, ამდაგვარ ოთახში კი მაინც არასოდეს ყოფილა; ფრთხილად წამოღდა, გამხდარ, დაძარღველ მკერდზე სასწრაფოდ ჩამოიკცა ხალათი, მაგიდასთან მივიდა. საქმელი დახვდა და სანამ დანაყრდებოდა, ფეხიდან ფეხზე ირწეოდა, საქმიანად ათვლიერებდა ოთახს. მერე ვილაცის ნაბიჯები მოესმა და მკვეთრად შეტრიალდა კარისკენ, ლუქმა გაეჩხირა ყელში — ზღურბლზე პირველი ყმა, ბიბო იღგა და ისეთნაირად ილიმებოდა, კაცი ვერ გაიგებდა, რა ედო გულში.

— გამოიღვიძე? — ჰკითხა ბიბომ.

ლტოლვილმა თავი დაუქნია და ლუქმა ჩაყლაპა.

— შენთან გამომგზავნეს... ხომ იცი, ვინც?

საფეთქლებთან გარკვევით გაიქრიალა შიშმა, ისე გლუვმა და მძიმემ, ისეთმა აშკარამ, რომ მოენდომებინა, გაყინული თითისწვერებით შეეხებოდა. უნებურად ხელადან შეავლო თვალი და მაშინვე გამოზომა, მოხერხებულად რომ ჩაბლუჯავდა თიხის გრძელ, ვიწრო ყელს. მერე უცებ გაუღელვა: „არა, არა, მღვერები არ გამომგზავნიდნენ...“ და დამშვიდდა:

— ვიცი, ცნეო მძინა, — პოდა, ასე დამაბარა, სადამღევ

უნდა, იქამდე იყოსო, — და ამყად და-
უშაბა, — საკმელი არ მოგაკლდება და
სასმელი, ლოგინიც გეჭნება, სხვა რა
გინდა.

— არაფერი. შენ ვინ ხარ?

— ვინ ვიქნები, კაცი ვარ.

ლტოლვილი ფანჯარას შეაკერდა,
დაუფიქრებლად გადადგა ორიოდ ნა-
ბიჯი, გარეთ გაიხედა და ხმა დაიდამბ-
ლა:

— აი... ამ სოფელში... ვინმე ხომ არ
ამოსულა?

— როდის...

— გუშინ... დღეს...

— არა, ვინ უნდა ამოსულიყო —
გზაზე არა ვართ.

— აა... — გაეხარდა ლტოლვილს,
გზაზე არა ხართ, არა?

— არა, ისე კი ამოდის რალა-რალა
ბილიკები, მაგრამ...

— ძნელად მოსაგნებია, არა?

— მე აქ დიდხანს ვერ დაგდგები,
ჩემი საქმეებიც ბევრი მაქვს, — მო-
ულოდნელად გამოაცხადა პირველმა
ყმამ, — მოკლედ, სადამდეც უნდა,
იქამდე იყოსო...

— დიდი მადლობა გადაეცი, დიდი
მადლობა, — მკერდზე ხელი მიიღო
ლტოლვილმა, — ეგეთი კაცი არ შემხ-
ვედრია ჯერ არსად, არასოდეს, — და
უცებ გული აუჩუყდა, მაგრამ შემო-
სულს თვალი რომ გაუსწორა, ენაზე
იკბინა, განზე გაიხედა და ჩუმად გაი-
მეორა: — დიდი მადლობა გადაეცი.

პირველმა ყმამ დამკინავად მომუწა
პირი და გავიდა.

ქიშკართან დეღე ჩამოდიოდა,
ლტოლვილმა განზე გადაგა ფეხები, და-
იხარა და ციცი, ყინულოვანი წყალი
ორივე პეშვით რომ შეისხა, შვებით
აფრუტუნდა — ძალიან ცხელოდა. სა-
ხე არ შეუთმრალეზია, ისე დაადგა გზას.
სოფლის განაპირას გაუწია გულმა.
მშვენიერად იყოდა, სოფლის პატრონ-
მა კარგად რომ მიიღო, მაინც ერიდებ-
ოდა მის ეზოში წრიალი და ტყისპი-
რას ყოფნა მოუნდა — ყველგან, საცა

კი ასეთი დიდი ხეები და ბუჩქნარი
უნახავს, ასე ეგონა, რომ ზვიტყველა-
სი იყო და იქითკენ მიიჩქაროდა. ხეს-
თან რომ მივიდა, მომცროს ტოტი აახ-
ლიჩა, ფოთლები შემოაცალა და მაგ-
რად დაიქნია, ზუზუნით გაიბო ჰაერი.
ყური მიუგდო, ისევე ასწია ხელი და
შორიახლოს ყმაწვილი დაინახა, ხეს
ბეჭეებით მიყრდნობილი. ერთხანს ხელ-
შემართული უყურებდა, მერე უხერხუ-
ლად გაიღიმა, დაიხარა და ტოტი მიწა-
ზე დადო. ისევე შეათვალეირა ყმაწვილი
და, სხვა ღროს იქნებ არც გაკვირე-
ბოდა, მაგრამ ახლა, დამშვიდებულს და
გამაძღარს, თვალი გაუხარა ასეთი
მშვენიერია, ფერმკრთალი ყმაწვილის
დანახვამ. ისიც შესცქეროდა და ლტო-
ლვილს გაუკვირდა—ეს ყმაწვილი სრუ-
ლებით არა ჰგავდა აქაურს, არსად უნა-
ხავს, სოფლელი ბიჭი უქმად რომ
მდგარიყო ხესთან, გულზე ხელუბდაკ-
რეფილი, ნახი თითებითა და ფერმკრ-
თალი სახით.

— შენ ლტოლვილი ხარ არა... —
ჰკითხა ბიჭმა. გამოთქმა მაინც სოფ-
ლელისა ჰქონდა.

— ჰო, — თავი დაუქნია ლტოლვილ-
მა და გაუღიმა, — შენა, დომენიკო?

— საიდან იცით.

— ვიცი.

ერთხანს ჩუმად იყვნენ. ლტოლვილი
მიწაზე დაჯდა, ბალახი მოგლიჯა და გა-
დაყვლეფილ მუხლზე დაიყარა. ბიჭს
გაუკვირდა, თვალი მოაჩრია, უცებ
ვიღაცა დაინახა და მიაჩერდა. ლტოლ-
ვილი არ წამომგდარა. ბუჩქი გადასწია
და დომენიკოს მზერას თვალი გააყოლა
— თვრამეტი წლის გოგო გზაზე მიდი-
ოდა. ლტოლვილმა ღიმილით ახედა
დომენიკოს და გულაღმა წამოწვა.

თვრამეტი წლის გოგო კი გზაზე მი-
დიოდა. მალალი. ჭიშინი გოგო იყო,
კაბა დაეწროებოდა და სიარულისას
მკერდი უხტუნავდა. ძალიან ცხელოდა,
ლოყები წითლად უღუოდა გოგოს,
ზედა ტუჩი ოფლით დაცვაროდა,
ტყისკენ მიიჩქაროდა. ტყეში რომ შე-
ვიდა, გემრიელი ჰაერი ჩაისუნთქა და

თვალი მილულა. ღელესთან მივიდა, ჩამოჯდა, პატარა ღელე იყო, კენჭებიც მოჩანდა ფსკერზე. პეშვით ამოიღო წყალი, სახეზე იპყურა. ესამოვნა, სველი ხელი ყვლზე ჩამოისვა, თმა გაიშალა, კისერზე მოიხვია, მერე სქელი, ფერადი წინდები გაიხადა და ფეხები წყალში ჩაყო. ერთხანს გატრუნული იქდა, უკან გადახრილი, ხელისგულებს დაყრდნობილი და, ნეტარებისაგან თვალდახუტულს, ჩრდილისთვის შეეშვირა სახე. მერე ფეხები წყალში აადგაფენა, იცინოდა და უცებ ტყისა შეეშინდა — დაძაბულმა მოავლო იქაურობას თვალი. მაგრამ შიშმა ჩქარა გადაიარა — წამოდგა და ფეხშიშველამ გაიარა ბალახზე. ჭერ თითისწვერებს დგამდა, წამით ყოვნდებოდა და მერე მთელი ფეხისგულით გრძნობდა მიწის სიკრილეს. ასე გაიარ-გამოიარა და გული რომ იჭერა, ისევ შეეშინდა. საჩქაროდ ჩაიკცა კრელ-კრული, ნაქსოვი წინდები და ტყიდან გამოვიდა. გზაზე ძალიან ცხელოდა, სახეზე და ყვლზე მინც შერჩენოდა ტყის სიკრილე და თამამად მიაბიჯებდა. სოფლის განაპირას-ორიოდე წლით უმცროს ბიჭს მოჰკრა თვალი და ჩაიღიმა — მშვენიერი ბიჭი იყო, თანაც — უმცროსი, და თავისუფლად ემასლაათებოდა. ახლაც, პირდაპირ იმისაყენ დაადო თავი, იარა, იარა და ძალიან რომ მიუახლოვდა, ერთი კი გამომწვევად შეხედა, მერე მკვეთრად შეტრიალდა და ზურგიით დაუდგა:

— ბიჭო, დომენიკო, — უთხრა გოგომ და თითები ზურგზე მოიპოტინა, — ემანდ ღილი გამხსნია, შემეკარი რაა...

— სადა, აბა... — წამით ლტოლვილისაყენ გაიხედა დომენიკომ, მაგრამ ვერ დაინახა, — ბუჩქი ეფარებოდა.

— აი აქა... ვერა ხედავ?

— კი, — ხელებჩამოყრილი იდგა.

— რა იყო, ბიჭო, ხომ არა გრცხვენია? — მხარუქულმა გამოხედა გოგომ.

— მე? მე რისა უნდა მრცხვენოდეს, ქურდი კი არა ვარ.

— ოო, ყოჩაღ... დიდი მადლობა, დომენიკო. ერთი წუთი დაიკანკანესული გიხსნიოთქაა

— რა იყო...

— დომენიკო, გოგოსთვის გიყოცნია?

— როგორ... — სუნთქვა შეეკრა დომენიკოს, — უბრალოდ, თუ...

— უბრალოდ კი არა... ისე, ნამღვილად თუ გიყოცნია...

— რა შენი საქმეა...

— არ მეტყვი და ნუ მეტყვი, ძალიანაც არ მინდა?! — მკვეთრად შეტრიალდა გოგო და თმა მხარზე ჩამოეშალა. ოდნავ რომ გასცდა, მიხედა და გაუღიმა. მერე ყველაფერი გადაივიწყდა, თამამად, ლალად მიაბიჯებდა სოფლის გზაზე.

— ვინ იყო? — წამოჯდა ლტოლვილი.

— ერთი, ჩვენს მეზობლად ცხოვრობს.

— აა, — მიმოიხედა ლტოლვილმა, — მართლა, ეს რა მცენარეა?

— რომელი?

— ესა...

— რომელი, აბა...

— აი ეს, ყველგან რაა...

— აჰ, ეგა? — მიმოიხედა დომენიკომ და ზიზლით დაამატა, — გვიმრა.

— როგორ?

— გვიმრა.

— რა უცნაური მცენარეა, რამეში თუ გამოიყენება...

— არა, არაფერში... რამეში რომ გამოიყენებოდეს, ამდენი იქნებოდა?

— აჰ, არა, არა, ეგ არ გაიფიქრო, — ხელი გაასაგსავა ლტოლვილმა, — რაღაი ამოდის, ალბათ გამოიყენება კიდევ.

— რაში?

— მე რა ვიცი, რაში... თქვენ უნდა იცოდეთ.

— არ გამოიყენება და რა ექნა...

— შეუძლებელია, — განაცხადა ლტოლვილმა.

— აგერ, ვისაც გინდათ, იმას ჰკითხეთ...

— არა, მე კი მჯერა, რომ არ იცნან...

მაგრამ არ შეიძლება, რაიმე დანიშნულება რომ არა ჰქონდეს.

— რასა, გვიმრას? — აგდებულად გაიღიმა დომენიკომ, — მაგას ღორებიც არ ჰქავენ.

— ეგ არაფერს ნიშნავს.

— თხებიც არ ჰქავენ, არც ცხვრები, შიმშილით რომ კვდებოდნენ, პირს არ დააკარებენ.

— მართლა? რა უცნაური მცენარე ყოფილა, — დაინტერესდა ლტოლვილი და ერთი შტო მოწყვიტა, — ხედავ, როგორი ყოფილა?

— როგორი?

— აი, ერთად როცაა, ბუჩქად, მართლაც რომ შეუხედავია, მაგრამ აბა ერთი შტო დაიჭირე მაღლა და ისე გახედე, რა მშვენიერადა აქვს ასხმული ფოთლები... და ფოთლებიც რა უცნაურია... — ლტოლვილი ისევ წამოწვა, ხელში ატრიალებდა შტოს.

დომენიკო გაკვირვებული შესცქეროდა.

— და შენ კიდევ ამბობ, არაფერში გამოიყენებაო, არა?

— აბა რა!

— მაშინ რატომ არ ჰქავენ ღორები?

— მე რა ვიცი.

— რაღაცა არის ამ მცენარეში ისეთი, რომ თხები და ღორები არ ჰქავენ... შენ ალბათ ისიც არ იცი, გველის შხამით რომ მკურნალობენ?

— როგორ — მკურნალობენ...

— ავადმყოფს არჩენენ.

— უხსენებელის შხამით? — დაეკვივდა დომენიკო, და მაშინვე ხელი ჩაიჭინა, — რას ამბობთ, ეგ ხომ ადამიანს ჰკლავს.

ლტოლვილი წამოჯდა და მიმოიხედა:

— რა, თქვენს სოფელშიც არიან?

— როგორ არ არიან... შავები.

— ჰოო? ბევრია?

— არც ისე... მაგრამ ერთი უხსენებელია, მტრისას... ნემსისხელაა, არც ჩანს, არც არაფერი, მაგრამ თუ ვინმეს უჯბინა, იმწამსვე, მაშინათვე ჰკლავს...

— მართლა? რა ჰქვია...

— ვეტყობს... იბრკოლნ ჩი...

— იბრკოლა ჩი... — გაიმეორა ლტოლვილმა, — მერედა, ბევრია?

— არა, ორ-სამ წელიწადში ერთხელ თუ უკბენს ვინმეს.

— ჰოო, ეგ ვერაა კარგი ამბავი... ისე კი, დომენიკო, მცოდნე ხალხი მაგ იბრკოლა ჩის შხამიდან უებარ წამალს დაამზადებდა.

— მართლა?

— მართლა.

— თქვენ საიდანა ხართ, ბოდიში?

ლტოლვილმა არ იცოდა, სად დაიბადა. ისე კი, ბუნდოვნად ახსოვდა ის ადგილი — საითაც გაიხედავდი, ყველგან ზღვა ჩანდა, ალბათ კუნძული თუ იყო მისი სამშობლო. ნაპირთან უზარმაზარი, ყაეისფრად აჩონჩხილი კლდე იდგა, მისი კენწერო ბუნებასა თუ ვილაც ახირებულ მოქანდაკეს პეშვისათვის დაემსგავსებინა და პატარაობისას დიდხანს იდგა ხოლმე იქ. ზღვა ხშირად იცვლიდა ფერს, ხან მწვანე იყო, ხან მუქი ლურჯი, ხანდახან კი, როცა ძალიან ღელავდა, ყვითლად იმღვრებოდა და ელვა იგრიხებოდა ცაში, უზარმაზარი ტალღები მუქარით მოგორავდნენ, ხმელეთზე კი, გრიგალის ატეხისთანავე, მრისხანედ წამოიმართებოდა სამუში და ეს უშველგებელი, საზარელი სვეტი მწივანა სიმღერით დალაჭებდა ნაპირზე. ყველანი გამორბოდნენ ბამბუკის სახლებიდან და ხეებს ეხუტებოდნენ, მაგრად შემოაჭოდნენ მკლავებს, ლოყითაც კი ეკვროდნენ და ალბათ სწორედ აქედან დასჩემდათ ხის სიყვარული. ყველას ჰქონდა საკუთარი ხე — ზოგისთვის მხოლოდ მფარველი იყო იგი, ზოგიერთისთვის კი საქმრო და დანიშნული. ქალიშვილებს ლამაზ, ვერცხლისფერტანა ხეებს ვაჟრავებდნენ ხოლმე — როგორც კი თორმეტი წლისა შესრულდებოდა, თმაგაშლილი მიჰყავდათ ხესთან. იქ კი, ჯერ თავარა სიციხეში დიდხანს უნდა მდგარიყო პატარძალი, თმაგაშლილი იდგა და თუმცა დოლები გაბმულად გუფუნებდა, მაინც ესმოდა საკუთარი გულისძგერა. მერე უკი თეთრწვერა ბერიკაცის ნი-

მანზე, ფრთხილად შედიოდა ხის ოდნავ მოცახცახე ჩრდილში და ვერცხლისფერ მერქანს სახეაღწეილი ჰკოცნიდა. ლტოლვილსაც ეგულებოდა საკუთარი ხე — მას გრილი, მოტკბო ნაყოფი ჰქონდა. თავად ხე არც ისე მაღალი იყო, ძალიან უხეში, აქერცლილი კანით დაფარულიყო და გრიგალი რომ მიწყნარდებოდა, ლტოლვილს მთელი სხეული დაკაწრული ჰქონდა და სისხლი სდიოდა. ამ ხეს მამას ეძახდა ლტოლვილი.

— მამას? — გაიკვირვა დომენიკო.

— ჰო, მამა არ მყავდა.

გორაკები კი მშვენივრად, ცხადად ახსოვდა, ოღონდ ისეთი უცნაური ფერები მერე აღარსად შეხვედრია — იქ ფოთლები მწვანე იყო, მაგრამ ისეთი მწვანე კი არა, ყველგან როა — ღია, ღია მწვანე. მიწაზე ჩამოცვენილი ფოთლები სწრაფად ჰქნებოდა, მაგრამ ისე კი არ ყვითლდებოდა, როგორც სხვაგან — ბაცი, ძალიან ბაცი ყვითელი დაჰკრავდა. სამაგიეროდ, შემოდგომისპირს წითლად ჩახახებდა იქაურობა და დაღლილი მზერა იქითკენ გარბოდა, სადაც ტალღები ჭიუტად ლოკავდნენ ყავისფრად აჩონჩხილ კლდეს.

— ეგეთი მაგარი წითელი იყო?

— ეგეთი მაგარი.

— დიდხანს ცხოვრობდით იქ?

ერთხელ, როცა დიდი გრიგალი დაატყდათ თავს, ის კი ახსოვს, თავის ხემდე რომ ველარ მიალწია, სხვას ჩააფრინდა და მერე, თვალი რომ გაახილა, სქლად დაგრეხილი, ცისკენ მიმავალი თოკები დაინახა, მერე წვერმოშვებული, აგდებულად მომღიმარი სახეები შეათვალიერა და გაკვირვებული წამოჯდა — ირგვლივ ისევ ზღვა იყო, ლურჯი, დაწმენდილი, მზის სხივებით აბრწყვილებული, თეთრი ღრუბლები ალაგ-ალაგ ქათქათებდნენ ცაზე და ამ მშვენიერ, ლამაზ ფერებში მკვეთრად გამოირჩეოდა შავი დროშა.

— ვინ იყვნენ?

ახლაც არ იცის ლტოლვილმა, სადაური მეკობრეები იყვნენ — იმათი ენა

არ გაეგებოდა. მერე კი, მეორე დღეა რომ დაედევნა იმათსას, აიღო და წყალში გადახტა.

— რატომ?

ძალიან ცუდად ექცეოდნენ, საერთოდ, ძალიან ცუდი ხალხი იყო.

— გემი რა არის?

— გემი არ იცი?

— არა, — გაწითლდა დომენიკო.

— რალას მალაპარაკებდი, — გაიღიმა ლტოლვილმა, — გემი ხის დიდი სახლივითაა, ზღვებზე დაცურავს.

— და... ზღვა რა არის?

— ზღვაც აღარ იცი? ზღვა ბევრი, ძალიან ბევრი, დიდი წყალია.

— აა...

— ეეჰ, დომენიკო, დომენიკო, — შეაკვირდა ლტოლვილი, — ნეტაი შენ.

— რატომ?

— რატომ და ეგრე ჯობია.

— როგორ — ეგრე?

— ზღვა და გემი რომ არ იცი, ეგრე შენ ალბათ, მტერიც არა გყავს.

— რათ უნდა მყავდეს, ცუდი ადამიანი კი არ ვარ.

— ეეჰ, — გულიანად გაუღიმა ლტოლვილმა, თავი გვერდზე გადახარა და ისე შეხედა, — მართლაც რომ ნეტაი შენ, დომენიკო...

მამასთან ორი კაცი მივიდა

სალამოხანს მამასთან ორი კაცი მივიდა. გამხდარმა, ჰორფლიანმა ყმაწვილმა ფრთხილად დააკაკუნა და სმენად გადაიქცა — ლოყა გრილ კარს მიადოდა და თვალები აახამხამა.

— შემოდით, — მოისმა მშვიდი ხმა, — შემოდით, ღიაა...

ჰორფლიანმა თანამგზავს მიხედა და ორივემ ფრთხილად გადააბიჯა ზღურბლს. მამა ატკარცალებულ ბუნხართან იდგა, სინათლე ეხახუნებოდა თავსა და ზურგზე, ჰორფლიანმა ყმაწვილმა ხელით მოიხრდილა, მეორე კი, ჯმუხი და შებლმეკრული კაცი, უფრო მოიღუშა.

— რისთვის მოსულხარ, ნანდუ?

ჯმუხი კაცი ქედს აწვალებდა ერთხანს, თავი არ აუწევია. მერე თითქოს რაღაცის მოყოლა დააპირა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა:

— ჯერ მაგანა თქვას.

— თქვას.

— აი, როგორა ვთქვა, — ხელები გაშალა კორფლიანმა, — იმდენი არც არაფერი მომხდარა — მე წყაროზე ჩავედი და მაგისი ცოლი, რა ქვიან, კოკას ავსებდა. მე ავიღე და დავეხმარე — კოკა შევეუდგი მხარზე. ეგ თურმე ბუჩქებში დამალულიყო და ეგონა, რომ აი, როგორ ამბობენ... ვითომ მაგის ცოლს და მე... ვითომ რაღაცა გეპონოდა ერთმანეთში.

— რატომ გეგონა ასე, ნანდუ?

— ეგრეა, — აღელდა კაცი, — აბა, როგორა ვთქვა... ეგრეა, ეგრე.

— რა იცის რომ ეგრეა, რა იცის?

— რა იცი რომ ეგრეა, ნანდუ?

— რათა და მაგან ისეთნაირად ჩაიციანა, რომ... აი ისე, რომ...

— ჩალიმებას გააჩნია, არა?

— ხო! — გაეხარდა ჯმუხს, — ჩალიმებას გააჩნია.

— სიცილი სიცილია, — ითარა კორფლიანმა, — ერთი გავიციენე, რა მოხდა...

— ახლოს მოდი, რესა.

კორფლიანმა ორიოდ ნაბიჯი გადადგა. ბნელოდა და საკმაოდ თამამად მიაჩერდა, მაგრამ მამამ თაროდან კვარი ჩამოიღო და სახესთან მიუტანა. კორფლიანს ფერი ეცვალა და თავი დახარა. თითქოს დამნაშავესავით იდგა, მაგრამ მაინც თითებს წელზე ითამაშებდა, შამას რომ არ დაენახა, ისე.

— შენ რომ დაიბადე, ღრუბლიანი დღე იყო, რესა. ცხელოდა და სუნთქვა კირდა, ნიავის ჰაქანებაც არ იყო, სიო რომ სიოა, ისიც კი არ ქროდა. შენ ჩერებში გახვეული იწექი, სახე გაგლურჯებოდა და კაცმა არ იცოდა, გადარჩებოდი თუ არა, ტირილის თავიც აღარა გქონდა. წყაროს წყალს გასმევდნენ ქალები, წლისა რა შესრული, შლივს გამოიხედე. შენი ტოლები რომ

თამაშობდნენ, ჩრდილში დასველდა ხოლმე დედაშენი და მთელი დღეც ისე იჯექი და პურს ლოლნიდი, რადგან წამოდგომაც არ შეგეძლო — ფეხებში ძალა არა გქონდა, რესა. ერთხელ კი, როცა ჩრდილმა გადაიწია და თაკარა მზეზე აღმოჩნდი, ვერავის გაავიწყინე და ერთ ხანს საწყალად მოთქვამდი, მხოლოდ მე გხედავდი, მაგრამ არ მოვსულვარ შენთან, შორიდან გითვალთვალებდი — ვიცოდი, მზე რომ გპირდებოდა. თქვენს ეზოსთან ვიდექი, ყანიდან წამოსული, დალილი. შენ კი, ტირილით დაოსებული, გულაღმა გადავარდი და შიშველ ფეხებზე მზე გაცხუნებდა. ცოტათი რომ აგრილდა და გონს მოეგე, თბილმა ერთნატილმა დაგიარა ფეხებში, ხელებით დაეყრდენ მიწას, წამოიწიე, წამოიწიე და ფეხზე დადექი — სამი წლისა იყავი მაშინ, რესა. მას შემდეგ დრო გავიდა, მე ყველაფერი კარგად მახსოვს, ყოველთვის გაკვირდებოდი, შენ რომ არ იცოდი, ისე. პატარა ბიჭობაში საქონლის წვალება გიყვარდა, დიდი ანცი ბავშვი იყავი, სულ ტყუილსა და ეშმაკობაზე გეჭირა თვალი. ღინღი რომ ამოგივიდა, სალამურზე დაკვრა ისწავლე და რაც მართალია მართალია, ყველაზე კარგად უკრავდი. დამღერებაც კარგი შეგეძლო, მოსწრებული სიტყვა-პასუხიც კარგი იცოდი და ზოგ ქალს სხვა რა უნდოდა, ასე არ იყო, რესა? მე იშვიათად გხვდებოდი — სამუშაოდ რომ მივდიოდი, შენ ტყბილად გეძინა, ვენახიდან რომ ებრუნდებოდი, სადმე, ტყისპირს, ვიდაცას ტყუილებით ხიბლავდი და მაინც, ათასში ერთხელ პირისპირ რომ შემეჩხებოდი, ვითომ ვერცა მხედავდი, ისე აძარიდებდი ხოლმე თვალს. საერთოდ, ჯანმრთელი ყმაწვილი კი დადექი, არაფერი გაწუხებდა, მაგრამ ერთხელ ცხენმა გადმოგაგდო და ფერდი და მუხლი ისე გტკიოდა, სულ იდაყვებს იკებენდი. რომ მოიკეთე, ერთი პირობა პატიოსნად ცხოვრობდი, იმ ტყვილებით ბუნდოვნად დაშინებულნი, მაგრამ მალე ისევე სიცრუე მოგაგდა

ენაზე, გაუტანლობა ჩაგებვია გულში, რესა.

მამას ხელი გაეშვირა. მაგრად ჩაებლუჭა კვარი და ისე ლაპარაკობდა: მკრთალი სინათლე უფართხალებდა კორფლიანს სახეზე.

— ისე კი, ბევრჯერ გადარჩენილხარ, ეგ მაინც თუ გახსოვს, — ხანჯლით დაგდევნებინა, ისარი აუცდენიათ. ბევრი რამ საერთოდ ვერ გაუგიათ.

— ეგეც გადარჩენაა, ამასწინათ კი, მეზობლის კორწილში მწვანე თასზე უარი რომ გათქმევინე, შიგ საწამლაკი ესხა.

„იიპ,“ — გაიფიქრა კორფლიანმა და შვებით ამოისუნთქა, — მამამ კვარი მოაცილა.

ერთხანს გატრუნულნი იდგნენ, კრინტი არ დასცდენიათ. კორფლიანმა მალულად ისევ აითამაშა წელზე თითები და ამის შემხედვარე ჯმუხი კაცი ისე ჩუმად განრისხდა, ფრჩხილები ჩაესო ხელისგულებში.

მერე მამა ბუხართან, სამფეხა სკამზე დაჯდა და კორფლიანს შეხედა.

— ეს ყველაფერი კარგი, აბა რამე დაგვიყარი, რესა.

— რომელი? — გამოცოცხლდა კორფლიანი, თითები უბეში ჩაიყო და სალამური ამოაძვრინა, — ძლივს არ ვიპოვნე? — წყაროსთან დამრჩენოდა. რომელი დავუტერა?

— რომელიც გინდა. შენ რაც გინდა, ის დაუტარი და ის დაამღერე.

კორფლიანმა ტუჩები წაიწვრილა და სალამური პირზე მიიღო. თითები კოხტად აითამაშა, თვალები ოდნავ მილულა, თამამად, ხალისით უკრავდა, მერე ხელები ჩამოუშვა და დაამღერა, თან სალამურს თეძოზე მსუბუქად ირტყამდა:

ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი მთაზედა,
ქვა შემოივლო გალავნად,
ცა დაიხურა თავზედა
ჰე-ე, ჰე-ე.

ისევ სალამურს ჩაჰბერა და მისთვის
აითამაშა, მერე ღრმად შეისუნთქა

ეს სალამური კოხტაო
რა კაი ხელში მოხვდაო,
ჰე-ე, ჰე-ე...

ხელდან ხელში სავალო,
გამქარეველო დარღისა,
მულამყამს უბით სატარო
როგორც ფურცლო ვარღისა,
ჰე-ე, ჰე-ე...

გახარებულმა იტუცა პირში სალამური, მამა დაეინებით მიჩერებოდა, მაგრამ თვალი ვერაფრით გაახეღინა, მერე უფრო გაბედულ სიმღერაზე გადავიდა რესა:

ნეტაი ერთსა ღამესა
შენთან მქონიყო ბინაო,
ჩემი ნაბაღი დაგვხურა
შენს მკლავზე დამაძინაო,
აღტაცებულმა. ტუჩზე იკბინა:
ლისო, ლისო ქარი ქრისო — ლისიმ
დალაღო,
შევარდენი ფრთასა შლისო — ლისიმ
დალაღო,
არიგებულ, ჩარიგებულ — რა
ტურფა რამ ხარო,
ქმარმძინარი, შენ მღვიძარი, —
რა ტურფა რამ ხარო,
ლისო, ლისო ქარი ქრისო — ლისიმ
დალაღო,
შევარდენი ფრთასა შლისო —
ლისიმ დალაღო.

მამას ყვრიმალეები დაებერა, მაგრამ ბუხარისკენ ზურგიით იჯდა და არაფერი ჩანდა, თანაც კორფლიანს თვალები მაგრად დაეხუჭა და ადგილზე ცმუკავდა, გახარებულმა, ერთი-ორჯერ ჩაბუქნა კიდევ:

შენისთანა საესე ქალი
უნდა ჩავიგდო ხელშია,
ნეტავი ტუჩით შემახო
შენ რომ ვაშლი გაქვს მკერდშია
ჰე-ე, ჰე!

ჯმუხი იატაკს ჩაწერებოდა და ხელისგულიდან სისხლი სდიოდა. ვერდი-

ანად დაქიმულიყო, მაგრამ ზღართან რომ მოესმა, შეკრთა და გაოგნებული დააქცერდა სოხანეზე გაშლართულ მომღერალს — იმას მწვანე ლაქები დაეყრდა გაყვითლებულ სახეზე.

— რა არი, რა მოხდა? — უნებურად იკითხა.

მამა ისევ სამფეხა სკამზე იჯდა, მშვიდი, გამართული, დაფიქრებული.

— რა მოხდა; — გაიმეორა ჯმუხმა და უცებ შეეშინდა, — მე... მე არაფერი, მე უღანაშაულო ვარ, მე არაფერი ჩამიდენია...

— შენ რა შუაში ხარ, — უთხრა მამამ, — აგერ, კვარი აიღე და დახედე.

ნანდუ კვარს წაეტანა და წაქცეულს სახეზე დაანათა. ტუჩიდან ნიკაპამდე წერილი ზოლი შეამჩნია, ეს სისხლი იყო, მაგრამ შიგნით თითქოს რაღაც ირხეოდა. ხელით მოიჩრდილა და უფრო დააქცერდა, მერე კი, რომ გააჩნია, უკან გახტა, კედელს ზურგიით აეკრო და დაიყვირა:

— იირკოლა ჩი!

— იირკოლა ჩი... — წყნარად გაიმეორა მამამ. წაქცეული ახლა უფრო გრძელი ჩანდა.

— კი მაგრამ... აქ საიდან... აქ რა უნდოდა... შიგ ტუჩში უკებნია!

— ალბათ სალამურში თუ შეძერა... წედან არა თქვა, წყაროსთან დამრჩენოდაო.

— რა უცნაურია, რა უცნაურია, — წამოიძახა ნანდუმ და უცებ მოერგო თავს — ძველებურად ჯმუხი და სიტყვაძვირი გახდა.

მამა წამოდგა, წაქცეულთან დახარა და ჩხირი ჩამოუსვა სისხლის ზოლს. რაღაცა პატარა, წერილი, მოძრავი, მაგრად ჩავსო ჩხირს, ეტყობა, სისხლით გაღიზიანებული გველი ჩხირსაც საკებნად ჩააფრინდა. მამა ბუხართან მივიდა, ხელი გაიქნია და ოდნავი ალი ავარდა ნაკვერჩხალს, თან წითლად გაიკლაკნა რაღაც და მერე ყველაფერი მიიღწა. მამამ კვარს დაავლო ხელი და კედელთან ატეხულ უკაცს მიუახლოვდა:

— შემომხედე, ნანდუ, ნანდუ... მკრთალი სინათლე დაბრიალებდა ეშუტ სახეზე, მერე კაცმა გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

— გაგებარდა, არა, ნანდუ?

— არა, რასა ბრძანებთ, — შეკრთა კაცი, — ადამიანის სიკვდილი როგორ გაგებარდებოდა...

მამა ერთხანს ნაღვლიანად შესცქეროდა, კაცმა ისევ სცადა გაღიმება, მაგრამ ამჯერადაც არ გამოუვიდა.

— წადი, გამეცალე, — უთხრა მამამ და ზურგი შეაქცია, — ჩემს სახლში აღარ დაგინახო, წადი, წა...

...კარი რომ მიიხურა, მამა ფანჯარასთან მივიდა და მიმავალს გახედა.

...თვლები მოკბუტა. დაფიქრებული, სიბრალულით გასცქეროდა ღამეში შემავალს და ბუხრიდან გამოვარდნილი, მოკიაფე სუსტი სინათლე ისევ ჭიუტად ეხახუნებოდა თავსა და ზურგზე, დრო... გადიოდა...

ბუსიანი

ქერამდე აბობლებული მძიმე ხალხის ნაცნობ, ტეხილ ხაზებს ზანტად მიჩერებოდა დომენიკო. ეზოში რახანია შემას აბობლნენ, მაგრამ გამეტებით დაქნეული ნაჯახის მკვეთრი, მოკლე ხმა ხანდახან თუ ესმოდა — გაბრუებულს, წამოდგომა ეზარებოდა და, კედლისაკენ პირშექცეული, ძალაუნებურად შესცქეროდა ხალიჩას. რამდენჯერმე ძალით დაამთქნარა, ეგება ძილი მორეოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაინც ეზარებოდა წამოდგომა და თვალგახელილი იწვა, მერე მოწყურდა და იქვე, თავით მიდებულ თუნგს დასწვდა, პირზე მიიყუდა და მაშინვე სახე მოეღრცა — გამთბარიყო წყალი. საბანი ფეხით მოიშორა და წამოდგა. ფანჯარასთან ფეხშიშველი მივიდა, გვერდულად აღვამდა ტერფებს. ეზოში მისი კბილა ბიჭი შემას ჩეხავდა. კი შეეძლო, დაეძახა და წყალი ამოეტანინებინა, მაგრამ, რაღაცნაირად, მოერიდა — ტოლები იყვნენ. საწოლთან დაბ-

რუნდა, ზანტად დასწვდა პერანგს, თითქოს ისევ მოერია ძილი, თვალდახუტული იდგა და ასე იცვამდა. ეზოში ჩასვლა ეზარებოდა, ერთხელ კიდევ გადაიხედა და ბიბო დაინახა, კიშკრისაკენ მიმავალი. პირველი ყმა არ უყვარდა და ამიტომაც გაეხარა მისი დანახვა:

— ჰეი, ბიბო!

— რა იყო?

— წყალი ამომიტანე.

— წყალი? — დაეზარა ბიბოს და მაშინვე იახრა, — ბიჭო, გაიქე, წყალი აურბენინე...

— ახლავე, — თქვა ბიჭმა, ნაჯახი დიდ მორზე დაასო და გაიქცა.

გუნება მოეშხამა. კიბე მძიმედ ჩაიარა, ეზოში აღარც ბიჭი ჩანდა, აღარც ბიბო. შორთან მივიდა და ნაჯახს წაავლო ხელი. მაგრად იყო დასობილი, ღონიერად დაეკიდა; უცებ შემსუბუქდა, ნაჯახიანად უკან გადადგა ორიოდ სწრაფი ნაბიჯი და რაღაც მოხვდა წელზე. შებრუნდა და ბიჭი დაინახა, უხერხულად მომღიმარი, დრჷზე ხელისგულმიფარებული. ღომენიკომაც გაუღიმა, ნაჯახი მარცხენაში გადაიტანა და დოქი პირთან მიიტანა, მაგრამ ცალი ხელით ვერ მოერია — დიდი დოქი იყო. ნაჯახი ფეხზე მიიყუდა, ათივე თითი მაგრად შემოაკლო თიხის გრილ კურკელს და ცივი, გემრიელი წყალი დალია. მერე ნაჯახი მოიმარჯვა, მაგრამ ბიჭმა უთხრა:

— ფეხზე არ მოირტყა.

ღომენიკოს ეწყინა და გამომცდელად შეაკერდა, მაგრამ დაცივისდამავგარი ვერაფერი შეამჩნია. მაინც ხასიათი წაუხდა და უგულოდ გაუწოდა ნაჯახი.

ეზოდან გავიდა, ისე ნელა მიაბიჯებდა, ერთი-ორჯერ მძიმედ დატვირთულმა ურემმაც კი გაუსწრო. არც იცოდა, სად მიდიოდა, სად წასულიყო, რითი გაერთო თავი. გზადაგზა, ყანებსა და ვენახებში, გლეხები მუშაობდნენ — თოხნიდნენ, ბარავდნენ, ხელით იწმენდდნენ ოფლით დაცეარულ შუბლს,

პატარა ხნით წელს ასვენებდნენ და ისევ თოხნიდნენ.

ჰო, მართლა, ლტოლვილი!

ის კი, ტყისპირას ჩრდილში შეუყუთული, თვალდახუტული იწვა, მკლავი ამოდო თავქვეშ და თავისას ფიქრობდა.

ლტოლვილს სუნთქვა შეეკრა და წამოჯდა. დაფეთებულმა მიაგება ხეირა მოსულს და, დამშვიდდა:

— შენა ხარ?

— ჰო, შეგეშინდა?

— არა, უცებ, ვფიქრობდი და... ამას რას ეძახით?

— პანტას.

— მსხალსა ჰგავს, არა?

— ჰო, ტყეში საესეა.

— მსხალი ხომ მოდის თქვენს სოფელში?

— კი, გულაბი.

— ენაზე ღნება, არა?

— კი, კარგია. აბა მაგას რა მაქმევს, მთავეა, — სახე დაედრიცა ღომენიკოს.

— რატომ, კარგია, არა უშავს...

— კარგი რომ იყოს, ტყეში ამოვიღოდა?

— აბა რა, ტყეში ამოვიდა.

— მერე რა...

ლტოლვილმა გაიღიმა და უთხრა:

— ეეჰ, არ გვესმის ერთმანეთის მე და შენ, ღომენიკო...

— რათა...

— მე რა ფიცი, რათა... — მხრები იხეჩა ლტოლვილმა და დაამატა, — ისე კი, ცუდ ზეს და მცენარეს ვერსად შეხვდები, ღომენიკო...

— ვერსად? — დაფიქრდა და გაახსენდა, — აბა ეს გვიმრა რა ჯანდაბის მაქნისია?

— რას ჩააცივდი ამ გვიმრას, — გაიღიმა ლტოლვილმა, — თავისთვისაა. ღომენიკომ თვალი აარიდა, სოფელს გახედა. რომელიღაც გლეხი, შორიდან ვერ გაარჩია, უროს იწნევდა, ხმა კი მოგვიანებით აღწევდა ტყისპირამდე. ღომენიკომ უყურა, უყურა, მერე ცას ახედა, გემრიელად დაამთქნარა, მაგრამ

ლტოლვილის გამოცვლილი ხმა რომ მოესმა, შეკრთა:

— იცი, საერთოდ, ხანდახან... — ძალიან ადევლებული ჩანდა ლტოლვილი, — აი, კარგად რომ დაუკვირდე, არა? ხანდახან ისეთი უცნაურია, რომ... აი, შენ ამბობ, გულაბი კარგიაო და პანტაცული, თუმც არა, არა, ასე ვერ აგისხნი... შენ თუ გაგივია, თუმცა არა, საიდან გეცოდინება, ისე კი, სხვადასხვა ადგილებში, უცნაური მტაცებლები არსებობს.

— ჩვენთანაც კია დათვები, მგლები...

— არა, ცხოველებზე კი არა, მტაცებელ მცენარეებზე ვლაპარაკობ, — ტუჩი აიღოკა ლტოლვილმა, — ასეთი მცენარე თუ შეგხვედრია?

— არა, როგორ — მტაცებელი.

— ჩვეულებრივად... ის მცენარეები ბუხებით, კოლოებითა და რა ვიცი, ათასნაირი მწერებით იკვებებიან.

— მცენარე? — უნდოდ გაიღიმა დომენიკომ.

— კი მცენარე, — უფრო ადელდა ლტოლვილი, — არ გჯერა, არა? შენ რა გინახავს, არაფერი, უნდა დამიჯერო... — და შეაცქერდა, — ხომ არ გეწყინა?

— არა!

— კარგი რა, დომენიკო, — მუხლზე ხელი დაადო ლტოლვილმა, — საწყენად არ მითქვამს. ისე არ გამოიგო, თითქოს ჰკუთით მომჭონდეს თავი, არა, ჰკვიანი კაცის რა მაცხია, მაგრამ მე ბევრი, ძალიან ბევრი რამ მინახავს... რაც, თავი მახსოვს, სულ აღმა-დაღმა დაეხებტები, იცი, მდევნიან ხოლმე, დომენიკო, მმტრობენ, არავის ვუყვარვარ, ვუყვარვარ კი არა, ნეტავ არასოდეს არავინ შემამჩნიოს, ჩემთვის ვიყო მინდა, გესმის, ადრე არ მინდოდა ასე, ახლა კი სულ ვილაც მეღანდება, ხეს ამოფარებულ, ლოდს მიღმა გატრუნული, ჩირგვში ჩასაფრებული, კუშტად მზირალი, ცუდად მომდიმარე... ეს მცენარეებთან რა შუაშია, თუმცა, როგორ არა — ამდენი დაძაბულობისაგან სა-

ოცრად მიწდება დასვენება, და ხანდახან, დომენიკო, როცა სუდმე თითქოს საიმედოდ შევაფარებ თავს და პურის ნატებიც მაქვს, წყალიც, ჩემდაუნებურად ვისვენებ, რალცნაირად, ვლუნდები, ყოველივეს შემხედვარე — ხე იქნება, ბალახი თუ ხოცო, მაგრამ ის მცენარეები რომ შევნიშნე, ისე იმოქმედა... იმდენი ვიფიქრე... გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ?

— არა, რატომ.

— ისე უცნაურია, — ხელი აიქნია ლტოლვილმა, — ვერასოდეს წარმოვიდგენდი, მცენარე მტაცებელი თუ გახდებოდა.

„ნეტა ვინმემ გამოიაროს“, — ინატრა დომენიკომ.

— თანაც, ერთი კი არა, ბევრნაირია, ხომ მისმენ?

— ა?

— ხომ მისმენ?

— კი.

— საერთოდ, მცენარე თურმე ჰაერითა და ნიადაგით იკვებება, — უცებ დამშვიდდა ლტოლვილი, დინჯად, დალაგებულად ალაპარაკდა, — ნიადაგიდან ფესვებით იღებს საზრდოს, პერიოდან კი — ფოთლებით. ზოგი მცენარე კი, რომელსაც საზრდო არ ჰყოფნის, მტაცებლად იქცევა. ერთი მცენარეა, ნეპენტესი — ფოთლებზე დოქის მსგავსი წანაზარდი უჩნდება. ეს დოქი სხვადასხვა ზომისაა, დომენიკო: ხან თითის სიგრძეა, ხანაც მკლავისა. მშვენივრადაა აქრელებული და ნექტარსაც გამოჰყოფს. მწერი დოქზე დაფრინდება თუ არა, მაშინვე თავსახური დაეფარება, მწერი ვეღარ იკიდებს ფეხს დოქის შიგნითა, სლიბ კედელზე და ფსკერზე, სითხეში ვარდება, იქ კი მას მცენარე იწელებს.

— მართლა? — იკითხა დომენიკომ, მაინცდამაინც არ გაკვირვებია.

— მართლა. ერთია კიდევ, სარაცუნია, კაობში იზრდება. მისი ათასფრად მოხატული, აქრელებული ფოთლები საოცრად წააგავს ლამაზ, უცხო ყვავილს. გინდაც გამაძლარი იყოს მწერი,

მანც ამ ყვავილისაკენ მიუწევს გული, ისეთი ლამაზია... პატარა ხანს შორიან-ლოს უტრიალებს, მერე კი, მოხიბლული, მსუბუქად ჩამოჯდება ფოთოლზე და... ზოგიერთი მტაცებელი მცენარე შეუხედავია, ეიწრო ფოთლები ცისკენ თავწაწვდილი გველების ჯგროს მიუგავს, დაკლანილი, უშნო ლეროები აქვს, რომელზედაც დაღლილი მწერი ჩამოჯდება თუ არა, მაშინვე შემოეხვევა და მოგუდავს... ზოგიერთი კი, ცვრიანა, მაგალითად, შესახედავად ისეთი უწყინარი მცენარეა... მისი ფოთლების წვეროები ქინძისთავებჩარჯობილ პაწაწინა ბალიშს წააგავს, მშვიდად ირწყევა, სიოს აყოლილი და მწერი დააჯდება თუ არა, მაშინვე ერთ-ერთ ქინძისთავის-დამაგვარ წანაზარზე ჩამოეგება. შეშფოთებული მწერი აფართხალდება, სხვა ქინძისთავებსაც ეხება და უფრო მაგრად გაებმება ხოლმე მახშიში.

— და რომ არ აფართხალდეს?

— უნდა აფართხალდეს, დომენიკო.

— ისევ აღელდა ლტოლვილი, — ასეთია წესი. მერე კი, მცენარე რომ იგრძნობს, მწერი მაგრად რომაა მიჯაჭვული, მოიკეცება და გასრესს. რამდენიმე დღის შემდეგ, მოშიებული, ისევ უწყინრად გაშლის ფოთოლს და ახალ მსხვერპლს დაელოდება, მონელებული მწერის ნარჩენები კი ქარს მიაქვს.

— ყოველთვის იქერს?

— როგორ გითხრა... ალბათ ხშირად იქერს, მწერებით ცოცხლობს და... საქმე ისაა, რომ ეს მცენარეები არაფრით არ ჰგვანან ერთმანეთს — ზოგი მტაცებლის ფოთლები საოცრად სქელ, წებოვან სითხეს გამოჰყოფს, ზოგიც, რა ვიცი, ათასნაირადაა მოწყობილი, სულ სხვადასხვანაირად, ერთი კია, ყოველ მტაცებელს ნამდვილი, შედარებით დიდი, მოგრძო ყვავილი აქვს, რომელიც თავისი ფოთლების საქმეში არ ერევა, ყოველ შემთხვევაში, თვალით ასე ჩანს, ხანდახან ისეთი ლამაზი ყვავილია...

ლტოლვილი დადუმდა, დომენიკომაც თვალი მოაცილა და შვებით ამოი-

სუნთქა. აქამდე ეუხერხულებოდა, ყუ-რი რომ არ დაეგდო, მაგრამ მტაცებელი იმდენი ილაპარაკა... სოფელს გახედა, უცქირა, უცქირა და უცებ გაახსენდა:

— აქი ცუდ ხეს და მცენარეს ვერსად შეხედებო? — და, რადგან ლტოლვილს თავი არ აუწევია, გამარჯვებულმა გაიხედა სოფლისაკენ. მერე იგრძნო, სახელოზე რომ დაქაჩეს და გაკვირვებულმა შეხედა, ლტოლვილი კი ძალიან ახლოს მიჩოჩდა მასთან, თვლებში შეაქკერდა და ჩუმად უთხრა:

— ერთი იცოდე, დომენიკო: ის ნიადაგი, სადაც მცენარე-მტაცებელი იზრდება, ცუდია. მცენარის ბრალი კი არაა, მწერებს რომ ხოცავს და ასე იკვებება, ნიადაგის ბრალია. კარგად დაიმახსოვრე ეს, დომენიკო.

— აა, — ცივად გააგრძელა დომენიკომ და სახე მოარიდა, — გინდათ, შინ დავბრუნდეთ, მგონია წვიმას აპირებს.

— წავედეთ, დავბრუნდეთ, — წამოღდა ლტოლვილი, — შეიძლება მართლა მოწვიმოს.

— თანაც, დილიდან არაფერი მიკვამია, — რატომღაც ამაყად თქვა დომენიკომ, — მოწყენილობაა აქ, არა?

— არა, რატომ... კარგია, მოუხდება მიწას.

— წვიმა, არა? კი, — და, თითქოს ლტოლვილის ნათქვამი გულს ჩაებუქდაო, ისე იკითხა: — ესე იგი, ის მცენარეები ცუდ ნიადაგზე იზრდებიან, არა?

— ჰო, — სხვათაშორის თქვა ლტოლვილმა, — ჭობში, სილაში, კლდეთა ნაპარლებში და ასე...

— უცნაურია, არა?

— კი, უცნაურია, — უგულოდ დაეთანხმა ლტოლვილი, ეტყობოდა, ახლასულ სხვა რაღაცას ფიქრობდა.

დღასასალო

გაზაფხულობით, როცა ხეების ფერადი კვირტები პაწია ნაყოფად გადაიქცეოდა, ხალხი ერთი დამით სტოვებდა სოფელს. ჩაფიქრებული, მორჩილი სახეებით აიკრავდნენ გუდა-ნაბადს, ჩვი-

ლებს თბილად გაახვევდნენ, საქონელსაც მიერეკებოდნენ და ჭგუფ-ჭგუფად გადიოდნენ, სნულნიც კი გაჰყავდათ ჩარდახიანი, უხალისოდ აღრქიალებული ურმებით. რაღაც უცნაური წესილი კი მიჰქონდათ, მაინც უფრო დიდი სევდა რჩებოდა დაცარიელებულ, უადამიანებო სოფელში. ზორციელის ქაქანება აღარ იყო, ერთადერთი მამა რჩებოდა შინ, ქვის გალავანს მსუბუქად დაყრდნობილი. იგი გასცქეროდა სოფელელებს, რომლებიც მძიმედ აღიოდნენ ამპართში და მერე ბორცვს მიღმა უჩინარდებოდნენ. იქით, ბორცვს გადაღმა უნდა გაეთიათ დღესასწაულისწინა ღამე, კაცებს უნდა ეფხოზლათ და ვეება კოცონთან უხმოდ მსხდარიყვნენ. მამა მარტოდმარტო რჩებოდა იმ უჩვეულო სიჩუმეში, უძრავად იდგა, სანამ არ დაბინდებოდა. შებინდებისას გაბრუებული ჩიტების ქრიაშული რბილად იკარგებოდა ჰაერში, საღამოხანს თითო-ოროლა ფოთოლი წამით თუ აფრთხილდებოდა ხეზე, მერე ისევ სიჩუმე, სიჩუმე, სიჩუმე ტლანქ, მძიმე სიშავედ იღვრებოდა სახლებსა და ეზოებში, გზებზე: თითქოს თვალნათლივ აორთქლებულ კუბრში დინჯად იძირებოდა ყველაფერი და როცა შავად გაფლენთილი, დამძიმებული ჰაერი ყოველივეს წაშლიდა, მამა კვარს ანთებდა და გზაზე გამოდიოდა ხოლმე. იგი მიიბიჯებდა წყნარად, უხმაუროდ, ღამენარევი იდუმალდებით მოცული. და კვარის სუსტი, ოღნავ მოკიაფე სინათლე თანაბრად ირწყოდა ირგვლივ. მიწაზე მოცახცახე რკალი, წინ რომ მიუძღოდა მამას, ღობეზე სწრაფად აცოცდებოდა და ისევ მორჩილად მიცურავდა ბალახზე, მამის ფერხთით კიბეზე ტალღად გადადიოდა და მერე სუსტი ციმციმით ირწყოდა ოთახში — მამა დედაბოძთან ჩერდებოდა და მეზობლის სახლს ათვლიერებდა. კვარი მჭრქალ სინათლეს. ჰყენდა კუთხეში მიყრილ ქალამნებსა და ფერად წინდებს, ჰრულ ნოსხს, თიხის ჰურქელს, ხიდან გამოჩორკნილ კოვხებს, ყველაფერს აკვირდებოდა მამა,

კუნძულებზე* აბლაბუდასაც კი ამჩნევდა იმ დაღუღულ სინათლეში და სულსგულს ადებდა კედლებს, სკამებს, მაგიდას, თითქოს ნივთების მდუმარებასაც კი უგდებდა ყურს. მთელ ოთახს მოივლიდა და მერე, სანამ გავდიოდა, ერთხანს უძრავად იდგა, კედელზე კი მისი წაგრძელებული, კუთხესთან თითქოს გადატეხილი ხელი ბარბაცებდა, კვარის სუსტ ციმციმს აყოლილი, მაგრამ თავად მამას მტკიცე, დაჭიმული მარჯვენით ეკავა კვარი და რაღაცას ფიქრობდა.

დინჯად, მძიმედ გადიოდა შავად დაღუღული ღამე, თითქოს ყოველივეს ეძინა, მაგრამ ღამესაც ჰქონდა თავისი ხმები, საიდუმლონარევი, შიშისმომგვრელი — საღაც ეცემოდა წვეთი, ერთი ციციქნა და უუუუუთის წყალობით მაინც საოცრად მნიშვნელოვანი, კედელს ავად ეხახუნებოდა გამხმარი მიხაკის გვირგვინი, სუსტად გაიჭრიალებდა ღობე და ხანდახან ძილგამკრთალი მწერიც ახმინადებოდა, მაგრამ მამას ეს ხმები სულაც არ უშლიდა ხელს — სოფელელების სახლებში დაიარებოდა და დიდხანს, დაფიქრებული ათვლიერებდა ყველაფერს. მერე კი, ოღნავ რომ შემსუბუქდებოდა ცა, დასალიერზე ოღნავ რომ გაიბზარებოდა სიშავე, მამა კვარს აქრობდა და დიდ ღობეზე დგებოდა: ნელა, ძალიან ნელა თენდებოდა, მაგრამ ისე აშკარად მატულობდა სინათლე... ყოველივე იწოვდა ბინდს, საიდანაც ნიაფი წამოუბერავდა, ხეზე დაიკიმებოდნენ ფოთლები, სახლებიც დინჯად ამოტივტივდებოდნენ მიწიდან და რომელიღაც პატარა, სულელი, ყოჩალი ჩიტი გალობას იწყებდა. ბუნდოვან ჰაერს მკვეთრად აპობდა ეს უზომოდ გახარებული ხმა, და მამა მღელვარებით უყურებდა შორეულ ბორცვს, იქიდან კი, უთენია, ხალხი მოდიოდა! მოდიოდნენ ფეხით, ჯერ კიდევ მოლურჯო ჰაერში აბრღვეილებული ჩირაღდნებით, ჩვილებით ხელში, ჩარდახიანი ურმებით მოდიოდა ხალხი, დიდები, პატარები, მოხუცები,

კეთილნი და ბოროტნი, გულგრილნი, მაცდურნი, შეცდენილნი, ხალხი მოდიოდა!

ისინი ქვემოთ მოაბიჯებდნენ, ერთმანეთის ახლობელნი, ნათესაენი, მძიმედ ჩამოდიოდნენ დაღმართში და ყოველი ნაბიჯი ნეკნებზე აწევებოდათ, მთელი სოფელი მოდიოდა — ზოგი დაბერილ ყვრიმალეებში დაგუბებული, უთქმელი მტრობით, სხვა — გულგრილობის ჭიით გამოფიტული, მაგრამ იმ დღესასწაულით მაინც ოდნავ დაძაბული, ზოგიერთიც რაღაც აუხსნელი, აუწერელი სიკეთით გულში, საბრალო და მართალი ღიმილით სახეზე, ხელი-ხელჩაყიდებული ბავშვები, დარიგებისას თავისას რომ ფიჭობდნენ, მორჩილი, ყავისფერხელება მოხუცები, რომლებმაც როდის ჩაუარეს რაღაც დიდსა და მნიშვნელოვანს გვერდი, არც კი იცოდნენ და ახლა მაინც საოცრად მშვიდნი, რაღაცა უმნიშვნელოს შეგუებულნი, ფრთხილად მოაბიჯებდნენ: საკუთარი თავით უზომოდ აღტაცებული ქალიშვილები და ადრე მოტეხილი ქალები, მაინც ჭრელა-ჭრულა თავსაფრებითა და მძივებით, ბრმები, საოცრად დაძაბული სიმშვიდით სახეზე, ბი-

ბო, პირველი ყმა, აუღელვებელი, დაღვებული და მაინც გულსაგონილოში მიმალული მტრობით, გუჯვეს უსაღისოდ მოძაელი, მისთვის უმინოდღესასწაულზე დუნედ გაბრაზებული, ლტოლვილი, უცხო აღამიანებით გარშემორტყმული, მოკრძალებულად მომღიშარი, დომენიკო, ნორჩი, გამოუცდელი, არმცოდნე, რესას შაოსანი დედა... ხალხი მოდიოდა!

ისინი დაღმართში მოაბიჯებდნენ, ლოდზე შემდგარ მამას უკვე ესმოდა მათი ფეხის ხმა, მოდიოდნენ ჭკროდ, არეულნი, ნაჯახებითა და ნედლი, დრეკადი რტოებით ხელში, ბლაოდა საჭონელი, ურმებს გამომზული ძალღები ჰყუფდნენ, ისინი კი ხმაგაკმენდილნი ჩამოდიოდნენ ბორცვზე და როცა დილის სუსტი და თვალისმომჭრელი მზე ირიბი სხივებით გაანათებდა ღამენათვე, ფერმკრთალ სახეებს, ყველანი მალლა სწევდნენ ხელებს: უცნაური ტყე მოდიოდა მამისაკენ, არეული ტყე — რტოები, ხმლები, ნაგლები, ყვაილები, თოხები, ბარები, ჩვილები, ნაჯახები...

ხალხი, ხალხი მოდიოდა!

თავი II

ბიზო უინ მივიდა და ცოლს გამოვლანააბა. ერთმა მღვსმა მოკრის ახვანი უთხრა.

სულ სხვა ახვანი

— წყალი მოიტანე, ქალო, — თქვა ბიზომ და შეიკმუნხა.

ცოლმა დიდი კოკა შემოიტანა და გაუბედავად მიუახლოვდა.

— მიდი, — პეშვები შეაერთა ბიზომ, — უჭუ, ცივია...

მძიმე კოკა იყო, ქალმა მუხლი შეაშველა და ისე დაუხსა წყალი, უცებ ხმაური მოესმა, მხარუკულმა სწრაფად გახედა ბავშვს, მაშინვე დამშვიდდა. ბიზომ სახეზე შეისხა წყალი, თვალები მაგრად დაისრისა:

— მიდი, დაასხი... მმ... მმ, დაასხი, რას გამოშტერებულხარ!.. მმ... მმ... მ...

კარგი, გეყოფა, — ხელისგული ღონიერად ჩამოისვა ლოყებზე და შერჩენილი წვეთები ჩაიწურა, თვალები დახუჭა და განზე გაიშვირა ხელი, — ჩვარი მომეცი.

სახე შეიმშრალა და მაგიდას მიუჯდა. წინილი ეგემრიელა, მაინც კრინტი არ დაუძრავს. ყველი მოიჭრა, ღვინო დალია, გათბა. რაღაცა გაუღღვა კიდევ გუნებაში და თქვა:

— ის ღლაპი რაღაც ცუდად მიყურებს.

— რომელი, დომენიკო?

— პო.

ცოლმა დუმილი ირჩია, ბიბოც ჩუ-
მად იყო; მერე, ცოლი რომ შეტრიალ-
და, ახედ-დახედა და ინანა, რამ ამაღა-
პარაკაო, გაბრაზდა:

— რას დაბორიალობ აქეთ-იქით!

— რა? — ვერ მიხვდა ქალი.

— რა და, ვერ დაეგდები? რას და-
ეთრევი აქეთ-იქით!

— სადა...

— ჯანდაბაში და ოხრობაში, სადა...
ლტოლვილს ხომ არ ჩამოუვლია.

— არა.

— რაო, რას ამბობენ სოფელში.

— რა ვიცი, იმის მეტს კაცს არ ელა-
პარაკება და...

— ჰოო, — გაიცინა ბიბომ, — ეს კი
კარგადა თქვი, კაცს არ ელაპარაკებო,
დაუჭდეს იმ ბლარტს და იყოს... ოო, ეს
კი კარგადა თქვი, რა ხარ, რა ხარ ვინც
არ გიცნობს?!

პატარა ხნის შემდეგ კი, დიდი სიახ-
ლოვის წუთებში, აღელვებული და ტუ-
ჩებთან ნაოჭდაგროვილი, აქერცილილ
მუშტზე თმაცადახვეული, ცოლს უჩურ-
ჩულებდა:

— იცოდე, არ გახდე, ქალი მსუქანი
უნდა იყოს, ასე...

— კაცო, გავიხედე და, — ჰყვებოდა
ამ დროს წყაროსთან ჩამომჯდარი ცალ-
თვალა გლეხი, — ავღგები დილით, გა-
დატეხილია სიმინდი, ხან ერთი, ხან
ორი, გავბრაზდები, ვამბობ, ეს ოხერი,
რა არის ერთი და ორი სიმინდი-მეთ-
ქი, და წავალ, წამოვალ, დავიძინებ,
გავიღვიძებ — გადატეხილია ისევ, ერ-
თხელაც, გავბრაზდი... დაეავლე ხელი
სახრეს და დავექეი, დავედარაჯდი,
სორო ვიცოდე, საცა ჰქონდა, გავნტრუ-
ნე... რა შესრულდა შუალამე, გამოყო
თავი და თხლამ! — ვდრუხე.

— სადა, თავში?

— შიგ თავში. რა ვიცი, რა დაემარ-
თა, სოროში კი შეეარდა, მაგრამ... რა
ვიცი, მგონია, ველარ გამიფუჭებს სი-
მინდს და...

— პატარა იყო? — ჰკითხა მეორემ,
თან ნამგალს ლესავდა.

არც ისე, აი, ამოდენა იქნებოდა, —
ხელისგულელებში თიქოს წყნო ენხა. ერთ-
მანეთს ისე წვალეებით დაწმორა, დაწმორ-
რა, მერე შეჩერდა და თითები დაძაბუ-
ლობისაგან აუცახცახდა.

— დიდი ყოფილა, რა გინდა.

— ჰო, რა ვიცი, — თქვა ცალთვა-
ლამ და ხელები მოუდუნდა თუ არა,
დომენიკოს ეგონა, ასე წვალეებით და-
წმორებული ხელისგულეები ისევ ტკა-
ცუნით შეეჯახებოდნენ ერთმანეთს, მა-
გრამ გლეხმა ორივე ხელი მშვიდად
დაილაგა მუხლებზე და თავი ჩაღუნა.
მობრლი იჭდა, გვალვისაგან დამსკდარ
მიწას მიუგავდა მოყავისფრო, დანაო-
კებული კისერი.

— მართლა, ეს რანაირი დღესასწა-
ული გცოდნიათ, — დუნედ გაიკვირვა
ლტოლვილმა, — ვერაფერს მივხვდი.

— შიშხარი, ავიხსნი.

— აი, მაგალითად... ხალხმა რომ ხე-
ლები ასწია და მამას მიუახლოვდა,
იმან რატომ იკითხა, ვინმე ხომ არ დარ-
ჩაო.

— წესია ასეთი.

— როგორ — ვინმეს სტოვებთ ხოლ-
მე?

— არა, მაგრამ მამა ყოველთვის ეკი-
თხება ხალხს, კიდევ ვინმე ხომ არ მო-
დისო.

— ვერაფერს მივხვდი... შებინდები-
სას კოცონი რატომ დაანთეთ.

— რა ვიცი, ხალხს ჰგონია, ჩვენი
წინაპრები ციდან ჩამოვიდნენ, ნაწილი
კიდევ იქ დარჩაო და ცეცხლი მალა
რომ აიწვეს და ცისაკენ ენას აათამა-
შებს, ასე ჰგონიათ, თითქოს ცეცხლი
იმათ ესაუბრებო.

— ვინ იმათ?

— ცაში დარჩენილებს.

— ოჰო, — ჩაიცინა ლტოლვილმა,
— ეს როგორი დღესასწაულები გცო-
დნიათ.

— რა ვიცი, რაც თავი მახსოვს, სულ
ასეა.

— რაც თავი გახსოვს? — შეხედა
ლტოლვილმა, — რამდენისა ხარ...

— ჩქარა თერამეტის გავხედები.

„აუჰ!“ — ჩაეცინა ლტოლვილს გუნებაში და მაინც სხვათაშორის იკითხა: — მართლა?

— დიახ. წუხელ ყანაში, ერთ ცალთვალა გლეხს, თქვენ არ იცნობთ, მანვი მოუკლავს.

— რამ გაუფუქა.

— სიმინდი.

— არა, თვალი რამ გაუფუქა.

— რა ვიცი... წუხელის მავან მაჩვი მოკლა.

— მაჩვი? რაა მაჩვი... მასაი ვიყავ!

— ხელი მაღლა ასწია ლტოლვილმა, — ერთხელ ნამდვილი მასაი გავხედი!

— ეგ რასა ნიშნავს...

— ნამდვილი მასაი? — ამაყად იმეორებდა სიტყვებს ლტოლვილი, — ლომის მკვლელს ნიშნავს, ლომის მომკვლელს.

— ლომი... გამიგია. ცხოველთა მეფეა, არა?

— მეფეა, გინახავს?

— არა, საიდან.

— ოო, ღირს სანახავად — შუზე გავფენილი ხორბლის ფერისაა, დიდი ტორები აქვს, ფაფარი, დინჯი მიხრა-მოხრა, მაგრამ თუ გაბრაზდა... კამეჩი მაინც ხომ გინახავს, დომენიკო, იცი, როგორ ჰკლავს—ტორს დაარტყამს ხოლმე ქედზე და ხერხემალს ჩაუღუნეწავს. მერე ყელს გამოადრავს და თბილ სისხლს გემოზე სვამს, ნება-ნება... რომ დაიგრგვინებს, ფრინველები შხელით აიჭრებიან მაღლა, ცაში, დაფეთებული ნადირი ვარბის, იგი კი მდოვრედ დაიარება ტყეში და გრგვინავს — მეფეა, მეფე.

— და თქვენ მოკალით?

— მე მოვკალი, — მეორე ხელიც შემართა ლტოლვილმა, — შავ ხალხთან, მასაებთან მოვხვდი, შავი ხალხი თუ გინახავს, დომენიკო?

— შავი... შავგვრემანი?

— არა, — ლტოლვილმა ხელები დაუშვა და მერე მკერდიდან მუხლამდე ჩამოიციურა, — შავად მოლაპლაპე ხალ-

ხი, ფართო ნესტოებში გაყრილი რგოლებით, ათასფრად აკრელებულნი, დონალების გუგუნს აყოლილნი და კუნთებში აცახცახებულნი, თხის ტყავით იფარავენ სარცხენო ადგილებს, ზოგიერთს კი ფარშევანგის ფრთებით მორთული მაღალი გვირგვინი ადგას თავზე, ესენი ნამდვილი მასაები არიან — ლომი ჰყავთ მოკლული.

ისინი, ამ საოცნებო გვირგვინით თავზე, ამაყად დაიარებოდნენ სოფლად და თუმცა არაფერს იმჩნევდნენ, მშვენივრად იცოდნენ, ალტაცებული და შურთან მშერა რომ დაჰყვებოდათ.

— და თქვენც... მასაი გავხედი?

— მასაი გავხედი, — ისევ აღმართა ხელები ლტოლვილმა, — პირველი თეთრი მასაი გავხედი.

დომენიკო დაფიქრდა.

— ეგეთი შავები არიან?

— ეგეთი შავები.

— გვეგვეზე უფრო?

— ჰე... გვეგვე იმათთან სპილოს ძვალია, მთის მდინარეში ჩაგდებული.

— როგორ მოკალით?

თეთრ-წითელი საღებავებით ტანმოხატული ბელადი ჰყავდათ, მკლავზე რგოლებმემორტყმული, იმასთან მივიდა. მიმჭრალ ნაკვერჩხლებს გაბრუებული დასცქეროდა, ნელა ასწია თავი და ზანტად მიაჩერდა.

— მასაი უნდა გავხედე, ნამდვილი მასაი. თვლებიდან ბინდი გადაეცალა, შესძლებ? — გაკვირვებულმა ამათვალეირა. შეეძლებ, ვთქვი და ერთიანად აეთრთოლდი. ბელადმა ერთხანს მიყურა, მერე მძიმედ დამიქნია თავი. ოთხი მასაი მომიჩინა, ზვიგენივით ბიჭები იყვნენ, ჩამოსხმულნი, კუნთები ულივლივებდათ მთელ სხეულზე, მაგრამ სირბილისას კვამლივით ამჩატებოდნენ ხოლმე. სქელი, დიდი შუბი მომცეს, ძლივს აეწიე, მკლავი მეტკინა, მაგრამ როგორც კი ჩავბლუჯე, მაშინვე გავიფიქრე, რომ სწორედ ის ლომი, ამ შუბის წერა რომ უნდა გამხდარიყო, ახლა, ამ წუთას, ნამდვილად იყო სადღაც. ასე გავიფიქრე და შუბიც მემსუბუქა. დიდი

ხე ძირში მოჩვენეს და მითხრეს, შუბი იმ დაბალ ჯირკსი ჩამესო. მეც, ნამდვილი მასაი უნდა გავმხდარიყავ და დროს უბრალოდ არ ვკარგავდი — ათასჯერ მაინც ჩავაკედე შუბი იმ ჯირკში და როცა აცახცახებული იარაღი პაერში გაიტრუნებოდა, წვალებით ამოვპრობდი ხოლმე და ვგრძნობდი, ატივებულ კუნთების მიღმა, სისხლში, როგორ მემატებოდა ძალა. მერე ორი ნაბიჯის მოშორებით დამაყენეს, იქიდან ვესროდი ხოლმე ჯირკს, მერე სამ ნაბიჯზე, იქამდე ვტყორცნიდი, სანამ ჯირკისგან აღარაფერი რჩებოდა, ნაფოტები კი, იცოცხლე, ბლომად ეყარა ირგვლივ. შვიდი ხე მომიჩვენეს, დომენიკო, შვიდი უხარმავარი ხე, და ყოველი მათგანის წაქცევისას მახსენდებოდა — ის ლომი, მე რომ უნდა მომეკლა, იმ წუთას ნამდვილად იყო სადღაც. საკვებად მხოლოდ რძეში გარეული საქონლის უმი სისხლი მჭონდა, რომ დავიძინებდი, შუბი თავით მედო, გვეიღვიმებდი თუ არა, ხელში შევათამაშებდი, მოვიქნევდი და ზუზუნით მიფრინავდა მახლობელი ხისკენ. შავად ალაპლაპებული ქალები ფართო, სქელი ტუჩებით მიღიმოდნენ, მე კი, უჩვეულო სიამაყითა და სიმკაცრით შეპყრობილი, არც ვუყურებდი მათ და ისევ და ისევ მიზანში ვისროდი მორჩილ იარაღს. მაგრამ ყველაზე ძნელი ის იყო, რომ მწოლიარე ლომის მოკვლა არ შეიძლებოდა, ნამდვილი მასაი რომ გავმხდარიყავ, კამარაშეკრული ლომისათვის უნდა მეძგერებინა შუბი. ამიტომ ოთხი მასაი დიდ კუნძს გააქან-გამოაქანებდა და მერე გამეტებით მესროდნენ, ჩემი დამჯერი იარაღი შტავგზაზე ჩაესობოდა კუნძს, მე კი რამდენიმე ნაბიჯს სწრაფად გადავდგამდი წინ და ზურგსუკან ყრუ ხმა მესმოდა. ასე-გადიოდა დრო და ხანდახან, ხის ძირას მიძინებულს, მოულოდნელად წყალს გადამასხამდნენ, თვალს ვახელებდი, წამოვხტებოდი, მაშინვე შუბს ვბლუქავდი და ვხედავდი, კუნძი უყვე რომ მოფრინავდა ჩემსკენ. მკლავი კი სწრაფი მჭონდა და

უტყუარი — მასაები მხარზე ხელს მირტყამდნენ, კმაყოფილებას ნიშნად. მერე შუბზე ზეთი დავუწოვეს, ლომის დანახვაზე ხელისგულები ოფლით იცვარება თურმე და ამასაც უნდა შევეჩვეოდი. მეც, შევეჩვიე, რა თქმა უნდა და ახლა ყოველთვის, მუდამ მახსენდებოდა, რომ ჩემი ლომი ამ დროს ნამდვილად იყო სადღაც. ნამდვილად იყო!.. ერთი სული მჭონდა, მის საძებრად წავსულიყავი, მაგრამ მასაებში აკრძალული იყო უდანაშაულო ლომის მოკვლა.

დიდხანს ვიცადე, მერე კი, მოთმინება რომ აღარ მეყო, შებინდებისას, ყველასათვის შეუმჩნეველად, ერთ კამჩს მათარაბი დავცხე და სოფლიდან გავავადე. მეორე დღეს კი, რალა თქმა უნდა, ველზე იპოვნეს, ქედრალეწილი, ყელგამოლადრული. თითქოსდა მშვიდად ვიწეჭი, ბამბუკის ჭოსს კეფით მიყრდნობილი, და მოუთმენლად ველოდი მაცუნეს. იმანაც მოიბრინა, ერთხმად აგუგუნდა დოლები და ბელადმა თავი ისე დამიქნია, მძიმე საყურეები აუთამაშდა. მე ხელი დავავლე ჩემს იარაღს, წამოვდეჭი და სოფლის მამაკაცების თანხლებით კვალს მხნედ გავუდექი: მაგრამ ხელისგულები მაინც გამოიფლიანდა. ჯერ არსად ჩანდა, სული მიკაწყაწებდა მოუთმენლობისაგან და ხანდახან ხელი ამითამაშდებოდა — ხომ ვიცოდი, ნამდვილად რომ იყო სადღაც, და როცა ბორცვზე შევედექი და ქვემოთ გადავიხედე, ალტაცებისაგან შევეკრთი — სილაზე წამოწოლილიყო და დილის მზეს ეფიცებოდა, ზურგზე გადაკოტრიალბულიყო და წინა თათებით მზეს თუ ათამაშებდა თავისი კეუით, რა ვიცო... მასაები ბორცვზე გამწყრივდნენ, მე კი დინჯად დავეშვი ქვევით. შორიდან ისევ აღწედა დოლების გაბმული გულისცემა, ოც ნაბიჯზე რომ მივეუახლოვდი, მეგონა, დამინახავდა, მაგრამ ძალიან იყო გართული. ჩშსსსსსს, შეუესისინე და ხელად წამოხტა. რა მოუვიდა, ახლაც არ ვიცი, ცხოველებისა რა გამეგება — არ

ვიცი, დარცხენილბ იყო, ასე ლეკვი-
ვით მოთამაშეს რომ მივუსწარი, გამაძ-
ლარი იყო, წინათგრძნობა ჰქონდა თუ
რა იყო, რა ვიცი, მაგრამ შეტრიალდა
და ვაცლა დააპირა, მერე ვინ — მეფემ!
აფდელი და მარცხენათი ქვეს დაეწვდი,
ვესროლე და ფერდში მოვარტყე. გან-
რისხებული შემოტრიალდა, წკაპუნით
უკბინა ჰაერს, ჩაბუხუნა, მაგრამ ჩემს-
კენ მაინც არ მოდიოდა. ავიღე და მი-
უახლოვდი — ფრთხილად ვადგამდი
ტერფებს, რომ არ წამებოძიკა, თვალს
არ ვაცილებდით ერთმანეთს, ათი ნა-
ბიჯილა რომ დამჩა, შევდექი, სხვა გზა
არა მქონდა, კამარაშეკრულისათვის
უნდა შეტგერებინა შუბი. კარგა ხანს
ვიდექით, იმას დიდი ტორები და
მძლავრი ყბები ჰქონდა, მე კი წვერ-
წამახული სიკვდილი მეპყრა ხელთ, და
ერთმანეთს შევეკეროდით. მერე კი, რა
ვიცი, არც ერთი ლომი არ მოიქცეოდა
ასე, უკანა ფეხებზე ჩაჭდა, ტორები გა-
ქიმა, უზარმაზარი, აფოფრილი თავი
დადო ზედ და თვალმილულული შემო-
მაცქერდა. მეც თვალი არ მომიცილე-
ბია, ისე დაეხარე, მარცხენათი სველი
სილა მოვბლუჯე და სახეში ვესროლე.
ეს კი, ეს, ველარ მოითმინა და, ერთი
დაიგრგვინა და საოცარი კამარა შეკ-
რა. შეშინებაც ველარ მოვასწარ, ერთ-
გული შუბი მისკენ რომ გაფრინდა და
ჰაერში გაწოლილს ეტგერა, მე კი რამ-
დენიმე ნაბიჯი წინ გავიბინე და გა-
მიკვირდა, ზურგსუკან დაცემის ხმა
რომ ვერ გავიგონე. შემოვბრუნდი და
გავშრი — შუბი სწორ ხესავით ამო-
სულეყო სილიდან, შუბის თავზე კი
გასაოცარ ნაყოფად გაფარჩხულიყო
ლომი, გრგვინავდა და ბეჭებშუა წით-
ლად შეღებილი, ორთქლადენილი რკი-
ნის წვეტი მოუჩანდა — სიკვდილის
ყვავილი. თვითონ რალაცნაირად წო-
ნასწორობას იცავდა, მერე, ვაცოფე-
ბულმა ერთი კი გამოშხედა და თვალე-
ბი გადაუტრიალდა — ჰაერში მოკვდა
თავი როგორც ჩაქიდა, შუბი სწრაფად
გადაიხარა და დაცემის ხმა რომ მომეს-
მა, მეც ჩაეჭექი — ხელისგული კი არა,

მთელი სხეული სველი მქონდა, გასა-
წურე ვიყავ. მასაების ყოყინამ გამომატე-
ხიზლა, ისინი ჯგროდ გამობრუნდნენ
ჩემსკენ, და შიში რომ დამეწვია,
ფეხთსაბური გავიძრე, თითქოს სილა
გამოვყარე იქიდან, ისევ ჩავიცივი და
წამოვდექი. ო, ეს მაინც საოცრად კარ-
გად გამომივიდა — ვითომ სილამ შე-
მაწუნა, ლომის მოკვლის შემდეგ უნდა
გენახა, როგორი ზარ-ზეიმით შემოყვა-
ნეს სოფელში: საკაცზე დამსვეს და
ასე ციმციმ ჩამატარეს ბამბუკის ქო-
ხებს შორის, დიდიან-პატარაინად შე-
მომეხვივნენ, ყველა მიღიმოდა, მგონი,
მეც ვიღიმებოდი; მერე კი ბელადმა
ფარშევანგის ფრთებით მორთული
გვირგვინი დამადგა — ნამდვილი მა-
საის თავსამკაული.

— ო, — გაიკვირვა დომენიკომ და
შეათვალიერა. ლტოლვილი წამოწვა და
ხელები აათამაშა:

— აი, სწორედ ასე იქნედა ტო-
რებს. მოგეწონა ამბავი, დომენიკო?

— დიახ.

— დიდი უცნაური ამბავი იყო.

— და ის გვირგვინი რა უყავით?

— რა?

მართლაც, უცნაური ამბავი იყო —
ერთი კაცი ძალიან ავიწროებდა ლტო-
ლვილს, აგდებულად ელაპარაკებოდა,
მოსამსახურესავით აგზავნიდა აქეთ-
იქით, ბევრჯერ წამოუტრტყამს თავში.
არადა, ლტოლვილზე მეტი არც ღონე
ჰქონდა, არც შეძლება და ისიც მარტო
იყო. სიცოცხლე გაუშწარა და ლტოლ-
ვილი შორს გადაიხვეწა, იარა, იარა და
მასაებთან მოხვდა. იქ კი საოცარი სურ-
ვილით აღივსო და ბოლოს მართლა
მოკვლა კამარაშეკრული ლომი. დიდ
პატივში კი იყო, მაგრამ მეორე დღეს-
ვე გამობრუნდა, იმ კაცისაკენ მიიქა-
როდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა,
მომავალი შეხვედრისათვის ემზადებო-
და და ყვრიმალეებს ბერადედა, ღონივ-
რად აუღ-ჩაუღიოდა მეკრდი. და, რო-
გორც იქნა და იმ კაცამდე რომ მიად-
წია, ამაყად დაიდგა გვირგვინი, ფეხები
განზე გადგა და თვალეებში შეაკერ-

და. მაშინვე ინანა — კაცი გაკვირვებული ათვალიერებდა ერთხანს, მერე აგდებულად ჩაიციან, მისკენ წამოვიდა და ლტოლილმა უნებურად თვალები აახამხამა, ხელისგულები დაეცვარა, გვერდზე გადასწია თავი, მოიბუხა. იმ კაცმა კი ხელუკუღმა სთხლიშა და გვირგვინი გადაუგდო, ლტოლილი ასაღებად დაიხარა, ამ დროს პანდურიც მოხვდა და სასწრაფოდ გაშორდა იქაურთას, სირბილით მიადწია მახლობელ ტყემდე, ნაბიჯი შეანელა, შეჩერდა, ჩაბლაუჭებულ გვირგვინს დახედა, უყურა, უყურა და ღელეში ჩაავლო.

— რა?

— ის გვირგვინი რა უყავით?

— ის გვირგვინი... ის გვირგვინი ერთ ქალს ვაჩუქე.

— ქალს... ლამაზი იყო?

— ისე, რა... არა უშავს, — ჩაილაპარაკა ლტოლილმა, განზე გაიხედა და თვალები მოჭუტა: — აი, იქით, შორს რომ დგას, გადაღმა, ვინაა?

— გვეგვე?

— მართლა?

— კი, — თქვა დომენიკომ და ლტოლილის დაეკვებულ მიაჩერდა.

გვეგვე წერაქვს თავსზემოთ სწევდა და ღონივრად, ქოშინით ურტყამდა მიწას. იქვე, ორიოდ ნაბიჯში ტყე იყო, ნაწვიმარ ხეებს შუე დადგომოდა და მწვანედ ახასხასებდა, მაგრამ გვეგვე არაფერს უყურებდა, ვერც ფიქრობდა, მუშაობდა თავისთვის. ერთხელაც დაიქნია ხელები და წერაქვი ღრმად ჩაესო მიწაში. გამოსწია, მაგრამ იარაღი არ დაემორჩილა; მერამდენედ მოსვლია ასე, ერთი პირობა მაინც გაუყვირდა; კიდევ დაეჯავჯურა და მიხვდა: ქვა ყოფილა. მაინცდამაინც არცა სწყენია, პირიქით, გახალისდა. ჯერ ფრთხილად მოსინჯა ქვის სიდიდე — ტარს ორივე ხელით მსუბუქად დააწვა, მერე კი, ქვის კიდემ ოღნავ რომ ამობურცა მიწა, ამოვაგდებო, გაიფიქრა და ისევ ფრთხილად, ოღონდ უფრო ღონივრად დააწვა წერაქვს. კიდევ, ცოტა კიდევ, ცოტათი და... ტარი გადატყავა.

— ფუჰ! — ხელში შეკრჩნენილ, ხმაურებისაგან გაპრიალეხულ ლტოლილს გაბრაზებული დააჩერდა გვეგვე და შორს მოისროლა, — ფუ, შენი გამკეთებლის...

რალა დარჩენოდა — ტყისკენ წავიდა. მიუახლოვდა ერთ ხეს, ახედა, წვრილი ტოტები ჰქონდა, არ გამოადგებოდა, მივიდა მეორესთან, ათვალიერა ისიც, არ ეგაშნიკა... სხვა ხეს ააყოლა თვალი და ციყვი დაინახა, გაფაციცებული დაჰყურებდა გვეგვეს და თავები გაეფარხა.

— ფუტ! — შეშინება დაუპირა გვეგვემ, მაგრამ ციყვს ყურიც არ შეუბერტყავს. „ამას უყურე“, გაუვირდა გვეგვეს და ქვას დაუწყო ძებნა. თითი ჩაასო რბილ, ნამიან მიწაში და ქვა ამოაგდო, მოიმარჯვა და ისევ ახედა, მაგრამ ციყვი აღარსად ჩანდა.

— ჰმ, შენი... — ხეს შემოუარა გვეგვემ, მერე ხელი ჩაიქნია და ერთი ტოტი მოეწონა — მშვენიერი სატარე იყო. ქამარში გარკობილი ნაჯახი მოიმარჯვა და ერთი მოქნევით მოჩეხა ტოტი. ცალ მუხლზე დაიჩოქა, შტოები აასხიპა, თვალთან მიიტანა და გახედა — კარგა სწორი იყო, გამოადგებოდა. ცოტათი მსხვილი იყო, თორემ სხვაფრივ არა უშავდა. შეასწორა-შემოასწორა, ისევ მიიტანა სახესთან, გახედა და შორეულ ბორცვზე ორი ადამიანი ძლივს გაარჩია, დააკვირდა, უყურა, უყურა და იცნო.

— რა ხელებს იქნევს, ოხერი, — გაბრაზდა გვეგვე.

— მასაი გავხდი, — ხელები შემართა ლტოლილმა, — ვფიცავ, დომენიკო, გუფიცები, მასაი გავხდი, პირველათეთრი მასაი ვიყავ!

სომხთა მოვიდა ზამოგაგოა

ღღემ მოიმატა, დათბა. ნაზამთრალ მიწას სახნისით გადაუსერეს მკერდი, ძალუმი ოხშივარი ავარდა ჰაერში, საკინძე შეიხსნეს გლეხებმა. კალთააკრეფილი, კოჭლი გლეხი

რწევით მიმოდირდა ხნულში და ხელის ყოველ მოქნევაზე თითო პეშე ხორბალს ანევედა — შემოდგომამდე ჯერ საღ იყო, მაგრამ შემოდგომა სწორედ ახლა, გაზაფხულზე იწყებოდა. ბალისა და ალუბლის კენკვიით მაგარ, ციცქნა ბურთულეებს სითეთრე შეერია, ლელვის ხაოიანი ფოთლების მიღმაც ალაგ-ალაგ შეიმჩნეოდა ნაყოფი, წითლად ასაჩახახებელი ბროწეულის ხეები ჩამწყრივებულყვინენ ღობეების გასწვრივ, წვიმდა... თბილი წვეთები ეცემოდა გლეხებს, ზურგზე ეტმანებოდათ ნაცრისფერი, გახუნებული ხალათები, ხის ძირას ღვებოდნენ, ზოგი ამოზნექილ ფესვებზე ჯდებოდა, იცდიდნენ, ამდენი წვიმა არ გამოგია, ამბობდა ბიბო. მიწა იყლინებოდა, ლებოდა, მერე თანაბარი, ჩუმი გუგუნე ცალკეული წვეთების ხმამდე დადიოდა, ნათღებოდა, მზე ამოდოდა ცაზე, თავთავიანთ ყანას უბრუნდებოდნენ შარვალდაკარწახებული, ფეხშიშველა გლეხები, მძიმედ მიაბიჯებდნენ და ხანმოკლე დამლად აჩნდებოდა დამბალ მიწას მათი ფართო ნაფეხურები. მზე აცხუნებდა, ორთქლი ასდიოდა ბელტებს, უფრო მძიმდებოდა ისედაც გამაბრუებელი ჰაერი, მოკლე ბალახი ამოიზიდა, დამკლევებულ საქონელს მზეზე ულაპლაპებდა მიწისაკენ დახრილი კისრები, გამოზაფხულდა, ცხენები აკიზინდნენ. მოიისფრო ბინდში ბრუნდებოდნენ სოფლად ნამუშევარი, მადამლილი გლეხები, წვნიანით საესე თიხის ჯამებში ხმელა პურს ჰყრიდნენ და პურითვე გულდაგულ ასუფთავებდნენ ჯამების გატრეცილ ფსკერს, წვიმდა, ისევ წვიმდა... მსუბუქი, სველი თითები აკაკუნდებოდნენ სახურავზე, უფრო მოიბუზებოდა კიბის ქვეშ შეყუჟული ძაღლი, ფოთლები მძიმდებოდა, გუბები ახამხამდებოდნენ შარავზაზე, გვერდს იცვლიდნენ მძინარე გლეხები, წვიმდა... ღელეები ადიდდა, ყვითლად იმღვრეოდა ტბა, მერე ღრუბელშემოცლილი ჰზის სიივი ჯერ მსუბუქად ათამაშდებოდა ზედაპირზე, გაიკლაკნებოდა და,

ძალმოცემული, ჯიუტად მიიწევდა ფსკერისაკენ; მიიწევდა და რაკეტა ბლოსდაბოლოს საწაღელი აფრულავდა ბიჭმა, სიცილისას ზედა ღრძილები უკლებრივ რომ მოუჩანდა, ტბაში პირველმა იბანავა, აძაგავებული ამოხტა, შეციებულ მკერდზე გადაიჯვარდინა ხელები და შეცბუნებულ გამვლელებს მორცხვად გაუღიმა. გაზაფხულდა, მერცხლები მოფრინდნენ... დაღლილი გლეხი, საღამოხანს ხის ძირას დასასვენებლად მიმჯდარი და ხორკლიან მერქანს კეთამიყრდნობილი, ვერა და ვერ დგებოდა, კი ეძინებოდა, მაგრამ მაინც დაუდევრად შესცქეროდა აციაგებულ ფოთლებში ჩაბუდებულ ძველი მთვარის შუქს და გატრუნულიყო, იქვე კი, მის ფერხითი, ვეება ქოფავი იწვა და დროდადრო სევდითა და შიშით ახედავდა პატრონს. გათენებისას მაინც ციოდა, მხოლოდ თვალისათვის შესამჩნევი ზმულით იწელებოდა ნისლი, ეხოებში გამოდიოდნენ სიცივისაგან მზრებაწურული გლეხები, ისევ ყიოდნენ მამლები, კარები კრიალებდა და დილაადრიან მოწყურებულმა, სახეშეშუპებულმა ყმა კუხე ალუჩა მოწყვიტა, დაქვებულმა უცქირა ერთხანს და მაინც ჩაკბინა. უთენია გაღვიძებულ ლტოლვილს ერიდებოდა ამ უცხო ხალხში გარევა და იცდიდა, სანამ მინდვრად არ გავიდოდნენ გლეხები, მერე კი ტყისკენ დაადებდა თავს და გზადგზა რომელიმე ხესთან შეჩერდებოდა და ხელისგულს მიადებდა, ყველაზე გრილი ქერქი ბალსა ჰქონდა, დამწიფებული ნაყოფიც გრილი, დათაფლული იყო. მერე ალუბალიც შემოვიდა, ტბილ-მომთავო ხილს სიამოვნებისაგან სახეშეშუპებულნი შეექცეოდნენ გლეხები — უკვე ცხელოდა, მუშაობით დაღლილებს, პირი უშრებოდათ და მისწრება იყო ამ დროს ალუბალი. დაცხა, შარავზა გაშრა და ამტვერდა, ტბაში შერბოდნენ სოფლელი ბიჭები, წუწწობდნენ, გარგარი და ქლიავი დამწიფდა, გაზაფხული დათბა, გახურდა, გავარავარდა და ზაფხულად იქცა, გამაგ-

რებულ მიწას უფრო ღონივრად ურტყამდნენ თოხს თავწაქრული გლეხები, წვიმის მადლი მოაკლდა ნიადაგს, ნაყოფიან ხეებს აქა-იქ ფოთლები შემოაჭვნა, ბორცვებზე კი ჭიუტად, ღონივრად იზრდებოდა სარეველა ბალახი, ერთადერთი, გვიმრა შეყვითლდა... ცხელოდა, გათენებინასაც, მზე რომ ამოიწვერებოდა, უკვე სუნთქვა ქირდა, შუადღით კი, შუადღით, მოკლე ჩრდილში თავშერგული, განრისხებული გვიგვე მთელს თვალსაწიერზე ალივლივებულ, ტორტმანა ჰაერს წარბშეკრული გასცქეროდა, გაბრუებული მიიყუდებდა დოქს და ზიზლით ემანკებოდა სახე — ფუი, გამთბარა ოხერი... დაკლავნილ დღელს მიუყვებოდა ლტოლვილი, გზადაგზა შეშინებული ბაყაყები წამით გაიჭიმებოდნენ ჰაერში და წყალში აღენდნენ ზღართანს, ლტოლვილი ტყის პირას დომენიკოს პოულობდა, ესაუბრებოდა და უეკირდა — იპ, ეს რა სიციხეა, შენ იქ უნდა გენახა, მასაებთან, ეს რა სიციხეა...

არადა, ცხელოდა... ათასგან გაიბზარა მოწყურებული მიწა, დასკდა, მაგრამ მზესაც სწყუროდა, ყოველ ნასერტში ჩაებჯინა სხივები და ციკქნა სინედღეს შებინდებამდე წუწნიდა. ქანცგაწყვეტილი ყმების მხარდამხარ მუშაობდა მამა, თოხი ევლარ ერეოდა გამკვრივებულ მიწას და ბარაყდნენ, მერე ევლარც ბარი შევლოდათ, თუ არ მოწვიმა, დავიღუბებით ნამდვილად, ამბობდა ბიბო, რაიმე უნდა ვიღონოთ, უნდა ვიღონოთ რაიმე... რაც კი თიხის ჭურჭელი ჰქონდათ, გარეთ გამოიზიდეს და მიწაზე დააღაგეს გლეხებმა, ამომშრალ დოქებსა და ჭამებს ავედრებდნენ ზეცას, წვიმა რომ გამოეგზავნა: ყველგან, მთელ სოფელში, ჭურჭელი ელაგა, უცნაური სანახავი იყო მზის გულზე გახურებული ჭურჭლის ეს უტყვი ხეწენა. ამან რომ არ ვასტკრა, გასაოცარი ხერხი იხმარეს, ლტოლვილსაც კი არ ენახა ამდაგვარი რამე:

— კი მაგრამ, ის ქალი რატომ დასვით ბორცვზე?

— რა ვიცი, წესია ასეთი... ყველაზე ლამაზ ქალს ბორცვზე რამდენადაც მოსწონდა, ხალხი იძახის, მზე რომ ასეთი უნდა იქნებოდეს ქალს შიშველს დაინახავს, შეჩერება მოუწდება, ეს კი არ შეიძლებაო და გზა მშვიდად რომ განაგრძოს, ღრუბლებით დაფარავს იმ ქალსო, ღრუბლებიდან კი, ვინ არ იცის, წვიმა მოდის... ეგება მოწვიმოსო, იმიტომ დასვეს ბორცვზე შიშველი ქალი...

— უცნაურია, უცნაურია...

მაგრამ მამა იმავე დღეს მივიდა ქალთან და შინ დაბრუნება უბრძანა. დასიციხულ მხრებზე ცილა წაუსვეს, ქალი კენესოდა, ღრუბელი კი არა და არ ჩანდა, არც მაშინ გამოჩნდა, წვიმის ღვთაება რომ გამოჩორკნეს ხისვან და მზეზე დააგდეს — ეგება თავად დასცხესო: მამას გაეღიმა, ხელის ზურგიით მოიწმინდა ოფლი და ყანებს გახედა — ცოტაც, ცოტაც და ყველაფერი დაიღუბებოდა, წვიმა იყო საჭირო... ხის კერბი კი მზეზე ეგდო, ეგდო, და გამოხმა აიღეს და შორს მოისროლეს, ორი დღეც, და ამბობდა ბიბო, ორი დღეც და დავიღუბებით... სიციხე არ უნახავთ ამათ, ფიქრობდა ლტოლვილი, ნამდვილი სიციხე არ უნახავთ, ისე, მდევარს კი დავზარება იმ მტერიან გზებზე წაწალი... გლეხები ეზოებში დაბორიანობდნენ და თავპირზე წყალს ისხამდნენ, ქარმა მაინც წამოუბეროსო, ნატრობდნენ... მაგრამ ქარი სწორედ მაშინ ამოვარდა, ორიოდე ღრუბელი რომ მოგროვდა ცაზე და შორს გადაარეკა. დაძინების წინ უიმედოდ მოათვლიერეს ვარსკვლავებით მოქედილი ცა, გათენებისას კი, ძილ-ღვიძილში, ჩუმი გუგუნი მოესმათ, გრილოდა, საბანი წაიფარეს და მაშინვე მიხვდნენ — წვიმა! ქალამნებში ფეხი წააყვეს, აივანზე გამოვიდნენ, ხელისგულებით დაეყრდნენ მოაჯირს და, გაბრუებულებმა, დინჯად მოავლეს თვალი იქაურობას — წვიმადა, წვიმადა! მსხვილი წვეთები ათრთოლებდნენ მტვერჩამორეცხილ ფოთლებს, ყანა დამძიმდა, დამსკდარი მიწა გადაივლია და ატა-

ლახდა, მხოლოდ სოფლის განაპირას, უზარმაზარ გამოქვაბულში იყო სიმშრალე და გლვებმა იქ მოიყარეს თავი — თითო ხელადა ღვინო, პური, კაკლის ფოთლებში გამოხვეული ყველი და წნილი მოჰქონდათ, მიწაზე დაალაგეს, ჭამები ჩამოირიგეს, სუფრის თავში ბიბო დაჯდა, ხუმრობდა: — სულ ქათამს არა ჰგავს, ჰა? გლვებში დინჯად იღიმებოდნენ, ღვინო ჩამოასახეს. ცოტათი რომ შეთვრნენ, სიჩუმე ჩამოვარდა, ერთმანეთს გადახედეს და სამი გლვები წამოდგა, გამოქვაბულის გლუვ კედელთან მივიდნენ, თავი მიადეს ერთმანეთს, ჭერ საიდუმლოდ წაიღიღინეს, მერე გაიმართნენ და ერთმა წამოიწყო: — მი-მი-ნო მყვანდა, მიყვარდა... დანარჩენები მიწაზე ისხდნენ, მომღერლებს უზომოდ მაღლიერნი, მაინც თვალს არიდებდნენ — ეხამუშებოდათ პირში ცქერა და სავსე ჭამებში იყურებოდნენ, სამი გლვები კი მთელი ხმით ამღერდა და გამოქვაბულის კედლებში ღონივრად დატრიალდა სიმღერა, ჭერ სამთავე ღელავდა, მერე ორს გადაუარა, ყველაფერი დაივიწყეს, თვალები დახუჭეს და ისე მღეროდნენ, მესალეს კი თითებში ჩაებლუჯა სუფრიდან შემთხვევით გამოყოლილი პურის ყუა და ხელი უკანაკალებდა. მერე პირველმა ღრმად შეისუნთქა და თავი გააქნია: მამიკლეს ჩემი მიმინო! ის ორი დინჯად, ნაღვლიანად, ღირსეულად აპყვა: მა-მი-კლეს ჩე-მი მი-მი-ნო, მამიკლეს ჩე-მი მი, მი, ნოო, ჰეე... — კარგი იყო, კარგი, დაიძახა ბიბომ და ჭამი ასწია, — კარგა ვიყოთ, ეს გაუმარჯოს...

მიწა სუნთქავდა. ძალამიცემული და ორთქლადენილი, ყოვლისშემძლე, მკერდში ჩაბლაუქებულ ფესვებს წყალს აწვდიდა: ახლა, პირქვე გაწოლილ, თავაწეულ ლტოლვილს ისიც ეგონა, რომ ჰაერში მოტივტივე ღონიერ ხეებს ნიდაგში ჩასობილი კლანჭებით ეჭირათ მიწა, მაგრამ თვითონაც მშვენიერად იცოდა, ასე რომ არ იყო. თავი ჩაღუნა და აფორიაქდა, მაინც რა იყო ეს მიწა

— ასეთი ტრიალი, გადაშლილი, ხრამად ჩაქცეული, მთად აღზევებული, უკიდურესად განო, უფსკერო, ხანდახან გემგმინავანი მოწყვდელი, საარეველათა და ვაზის დედა, მაღლიანი, ყოველივეს ამტანი, ნაჭიჯვნი, ბევრისაგან გადათელილი, შერყვნილი და მაინც მარად შურყვნილი, ერთგული, დალოცვილი, დალოცვილი, მაინც რა იყო ეს მიწა, ყანით, გვიმრით, ბალახ-ბულახითა და უსახელო ყვავილებით დაფარული, ახლა, შემოდგომისპირს, აღარც ჩანდა, მაგრამ ეს წვნიანი, ბუსუსებნიანი ატმები, დახლეჩილი ბროწეულები, შეთვალული, ჭგროდ ასხმული ყურძნის მარცვლებიც ხომ მიწა იყო, მორჩილებაში მყოფი ხისა და გამოზოგილი წყლის მაღლით დაპურებული, ხომ მიწა იყო!

ბიბო კი არხეინად მიმოდიოდა სოფლად და ამბობდა: — ცოტაც, ცოტაც და შემოდგომა მოვა...

ბაასთან. და კოვკი

მარჯვედ გასროლილი ქვა სამჯერ აისხლიტა წყალმა, მერე კი იქიდან, სადაც უკანასკნელად გაერთა, ფართო წრე გაიშალა.

— ოჰ, ყოჩად, — გაიკვირვა ლტოლვილმა, — მოდი, მეც ვისვრი.

— ბრტყელი ქვა უნდა შეარჩიოთ, აი, ეს კარგია.

— აბა, ვნახოთ...

ლტოლვილმა ღონივრად მოიჭნია ხელი, მაგრამ ქვა მაშინვე ირიბად ჩავსო წყალში.

— ეგრე კი არა, — თქვა დომენიკომ და გადაიხარა, — აი, ასე...

ქვა ხუთჯერ აისხლიტა წყალმა.

— ბრავო, — მხარზე ხელი დაკრა ლტოლვილმა, — ბრავო, დომენიკო.

— რა თქვით?

— ბრავო-მეთქი.

— ეგ რანაირი სიტყვაა.

— იმდენი არაფერი, თქვენებურად ბარაქლას ნიშნავს.

— მართლა? მე არ გამიგია.

— ჰო, შენ საიდან გაიგებდი, მაგ

სიტყვას მხოლოდ ქალაქელები სმარობენ.

— რომელ ქალაქში...

— თითქმის ყველგან. აი, თუნდაც ლამაზ-ქალაქში, წამდაუწუმ მაგას გაიძახიან.

— ეგ რაწაირო ქალაქია...

— ოო, — ლტოლვილმა თავი გადასწია, თვალები დახუჭა და სადღაც შორს გადაიხეწა: — ლამაზ-ქალაქში ჰრელი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ მაინც ერთმანეთს ჰგვიანან.

— რატომ?

— ქალაქელები არიან.

— როგორ — ქალაქელები.

— როგორ და... ასე რაწაიროდ ავიხსნა, დომენიკო.

— ისე... დიდი?

— რა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, დომენიკო. ფერად-ფერადი სახლები დგას, მოციხფრო, ვარდისფერი... ისე კი, ამიერიდან იცოდე, რომ ქალაქი იმიტომაა ქალაქი, რომ დიდი. პატარა რომ იყოს, ქალაქი აღარ იქნებოდა — მიმიხვდი?

— დიახ.

— იქ რომ მოგახვედრა, — მუხლზე წკიპურტი დაირტყა ლტოლვილმა, — ხომალდს ნახავდი. ლამაზ-ქალაქთან დიდი ტბაა, ასეთი კი არა, — ხელი გაიშვირა, — ხეზეც რომ აძვრე, თვალს ვერ გაუწვდენ. იმ ტბაზე ხომალდი დაეცურავს და მგზავრები გადაჰყავს.

— ბევრი?

— ჰეე — რამდენიც გინდა.

ლტოლვილი ჭვას დასწვდა, ჰაერში აისროლა და მარჯვედ დაიქირა თუ არა, თქვა:

— შენ იქაური ქალები უნდა ნახო, ზოგი ისეა მოვლილი... სოფლელებივით მზეზე კი არ იხრუკებიან, თეთრები არიან.

დომენიკო გაინაბა.

— იმდენი ხალხია, — არხეინად განაგრძობდა ლტოლვილი, — გიყი რომ გიყია, ოთხი ჰყავთ. აქ არ არიან?

— გიყები? არა. ოღონდ ერთი იყო, თმაში ყვავილებს იწნავდა.

— კაცი?

— არა, ქალი.

— კიდევ რას აკეთებდა.

— არაფერს, მაგრამ თმაში ყვავილებს იწნავდა.

— ჰეე, — ხელი აიწინა ლტოლვილმა, — რეებს იძახი, ასე რომ წახვიდე, მთელი ლამაზ-ქალაქის დედაკაცობა გიყი გეგონება — მერე რა, ყვავილს თუ იწნავდა, ა, დომენიკო?

— რა ვიცი, მაგრამ არც დღესასწაული იყო და არც არაფერი.

— დიდი ამბავი.

— თანაც უკვე გათხოვილი იყო.

— მერე რა, ქალი ქალია.

— რა ვიცი, აბა, სოფელში კი ასე ეგონათ და...

— რაო, გიყიაო? არ დაიჯერო, დომენიკო, ლამაზ-ქალაქში ერთი ქალია, ლამ-ლამობით თეთრ საღებავს ისევამდა სახეზე, მაგრამ გიყს კი არ ეძახდნენ, ყველას მოსწონდა.

— და ეგრე დაიარებოდა?

— არა, რას ამბობ, დაძინებამდე ისევამდა ხოლმე.

— თქვენ საიდან იცით?

— ვიცი, — გაამაყდა ლტოლვილი და თვალები ეშმაკურად მოკუტა, — ვიცი.

* * *

სოფლის განაპირას, კოშკში, სამოსელი პირველი ინახებოდა. მამა აღიოდა ჩირაღდნით ხელში, ციკაბო კიბეზე, ნესტიან, სქელ კედლებს შორის მიაბიჯებდა. მიდიოდა მძიმე ურდულით დახშულ კართან და თითების მსუბუქად შეხებისთანავე ამაზრუნეად გაიჭრიალებდა კარი. მრგვალი ოთახის შუაგულში მკრთალად აბუტუბულ სამოსელს ზღურბლიდანვე დაფიქრებულა შეაკერებდებოდა. ხის დაბალ ტახტზე უჭირფასესი კაბა იყო გაფენილი. მამა მძიმედ უახლოვდებოდა, ჩირაღდანს დაანათებდა და სამოსელიდან უამრავი კამკამა სხივი ეღრიალით იწელებოდა ბნელში. ისფრად ციაგებდა დიდი ამეთვისტო, მინანქრით მოკედლილ საყელსთან მიბნეული, მწვანედ ლივ-

ლივებდნენ ზურმუხტები, მთელი კაბის სიგრძეზე მწყობრად დატანებულნი, ყოველ ზურმუხტს შორის ლურჯად კამკამებდნენ ფირუზები, გვერდით კი ყოველ ქვას წყვილი მარგალიტი ებნია. მთელი კაბა ოქრომკერდით იყო მოკედელი, ცივი, ყინულოვანი ციმციმით თითქოს ერთმანეთში ზრატუნით იფშენებოდა უამრავი ყვითელი ნამცეცი, სინათლე ლივლივებდა მთელს სამოსელზე და იქვე, ტახტის ფეხთან მიწყოზილ ორ ხამლზე წყვილი ალმასი კაშკაშებდა, ხარის თვალის ოდენა. სამოსლის მინანქრით მოკედელ ქამარზე ბეჭედი იდო, ყვითლად შემოჭარულ ოქროში ავად კიაფობდა თლილი ბრილიანტი.

ჩირალდანს კედელზე ამაგრებდა მამა, გულხელს დაიკრეფდა, ასე მიმოდიოდა ოთახში და მერე ისევ სამოსელთან ჩერდებოდა. ალი თრთოდა და ფერადი გველები იკლაკნებოდნენ ჰაერში,

მხოლოდ დიდი ამეთვისტო ციაგებდა იისფრად, მკრთალად. დაფიქრებული დასცქეროდა მამა სამოსელს. შიშობოდა, ისევ დასცქეროდა. მერე დინჯად ახედავდა ჩირალდანს და უცნაურად აწეწილ, გასუსულ ალს თვალემოკუტული უყურებდა. მერე კი დიდხანს ზურგშეკცევით იდგა ტახტთან, მძიმედ შემოტრიალდებოდა, სამოსლისაკენ დაიხრებოდა, გაშლილ ხელისგულს ნაზად დაადებდა დიდ ამეთვისტოს და სხვა ყველაფერს კი უცნაურად შესცქეროდა — რაღა არ ჩანდა მამის თვალებში — რისხვა, სიბრაღელი, ზიზღი... ყოველ ქვას უბაცდებოდა თამამი კაშკაში და მხოლოდ დიდი ამეთვისტო გრძნობდა დაკოყრილი ხელისგულის სიბზოზს...

მამა წელიწადში ერთხელ ადიოდა კოშკში, გვიანი გაზაფხულის რომელიმე დღეს.

დასავლეთის გეგანულმანერადი ღივი

ნელო ზაქსი (1891-1970) — ებრაული ჩამომავლობის გერმანული ლირიკოსი ქალაქორე მხოვლო ომის დაწყებისთანავე წავიდა ანტიფაშისტურ ემიგრაციაში, შეცვლია (სტოკჰოლმი). თავდაპირველად შეედურ ლირიკას თარგმნიდა გერმანულ ენაზე, შემდეგ თვითონვე დაწერა ორიგინალური ლექსების წერა, შეედეთში იქცა ნელო ზაქსი პოეტად (აქვს რამდენიმე ლირიკული პოეზია). მისი შემოქმედების მთავარი თემა ებრაული ხალხის ტანჯვა ნაცისტურ გერმანიაში. გამოქვეყნებული აქვს ლირიკულ ლექსთა კრებულებები: „სიკვდილის საფლავი“ (1947), „ვარსკვლავთა დაბნელება“ (1949), „და შემდეგ არავინ უწვის“ (1957), „გაქცევა და გარდასახვა“ (1959), „სიკვდილი კვლავ სიცოცხლეს ზეიმობს“ (1961), „მოგზაურობა უმტვერო სამყაროში“ (1961), „გაფარვარებული გამოცნება“ (1964); 1966 წელს ნობელის პრემია მიეცეთვანა.

• • •

ვინ გადმოფანტა თქვენს ხამლებიდან,
 როს სასიკვდილოდ ემზადებოდით,
 ქვიშა, რომელიც ისრავლმა თან წამოიღო,
 ქვიშა ყარობთა?

სინაის მწველი, ცხელი ქვიშა...
 შერეული ბუღბულთა ყვლებში,
 შერეული პეპელათა ფრთებში,

შერეული გველთა ნატვრის მტვერში,
 შერეული სოლომონის სიბრძნეში,
 შერეული სიმწერის საიდუმლოში,
 თქვენი თითები,
 სიკვდილის ხამლთა ქვიშას რომ ცლიდა,
 ხვალ მტვერად იქცევა
 და თქვენს მომყოლთა
 ფეხსაცმელებში ჩაიფანტება!

• • •

ღამის მოტირალ ბავშვებს რა ვუყოთ!
 სიკვდილით აღბეჭდილ ღამის ბავშვებს!
 ძილი განდევნილია ღამიდან.
 საშინელი გუშაგები ჩამდგარან
 დედების მაგიერ
 და ხელის კუნთებში სიკვდილი
 მოუქცევიათ,
 სიკვდილს თესავენ სახლის კედლებსა და
 კარნიშებში,
 ძრწოლის ბუდეებს ფუთფუთი გაუდით,
 პატარები დედის რძის მაგიერ
 შიშს წოვენ.

ჯერ კიდევ გუშინ თეთრ მთვარესავით
 დედამ პატარებს ძილი მოჰგვარა,
 ცელქი თოჯინა ლოყაწითელი
 ბავშვმა ჩაბღუჯა.
 დღეს კი თოჯინა
 სხვასთან გადავა,
 სიკვდილის ქარი წამოუბერავს
 ააფრიალებს პერანგებს ცალკე და
 თმას გაჩრჩავს,
 რომელსაც არვინ აღარ დავარცხნის.



და იყო იგი,
 ეინაც შოფარს¹ ჩაპბერა —
 თავი უკან გადაიდგო,
 როგორც ამას ირმები შერებიან,
 სანამ წყაროს დაეწაფებოდნენ.
 აქლერებს:
 „ტეკია“
 სიკვდილი ხენუშით აიშვებს თავს —
 „შევარიმ“
 თესლი ეცემა —
 „ტერუა“

ქაერი სინათლეზე რაღაცას გვიამბობს! თქვენ
 მიწა ბრუნავს და ვარსკვლავებიც
 ტრიალებენ შოფარში,
 რომელსაც ვიღაც უკრავს —
 შოფარის ირგვლივ ტაძარი იწვის —
 და ვიღაც უკრავს —
 შოფარის ირგვლივ ტაძარი ჩამოიქცევა —
 და ვიღაც უკრავს —
 შოფარის ირგვლივ ფერფლია მხოლოდ
 და ვიღაც უკრავს.

თქვენ შოჩიდან გახშირდნო

რომელთა თვალწინ ხოცავდნენ ბალებს,
 თითქოს ზურგიდან ხვრეტავდნენ მზერა:
 ასევე იგრძნობთ თქვენს სხეულზე
 მოკლულთა თვალებს.
 რამდენი მკვდარი თვალი შეგხედავთ,
 როს დააპირებთ იის მოწყვეტას!
 რამდენი ხელი მადგერბელი
 მოგჩვენებთ ბებერ მუხათა
 დაღრკინილ ტოტებში?
 რამდენ რაიმეს მოგაგონებთ

მწუხრის მზის სისხლი?
 ო, უმღერელო ძილისპირულო
 გვრიტის დამეულ სიმღერაში.
 ზოგს ვარსკვლავები უნდა ეწყვიტა,
 აწ კი ორმოში გამომწყვდელა!
 თქვენ, განზე მდგარნო მაყურებელნო,
 ხელი საკლავად არ აღვიმართავთ,
 მაგრამ არც თითი მივიდით მეორე თითზე,
 იდექით განზე, სდუმდით, იდექით...

შენც, ჩემო საყვარელო,
 ორმა ხელმა გაგაძრო
 ფეხსამოსელი,
 სანამ მოგკლავდნენ,
 ორმა ხელმა
 ბრძანების შესასრულებლად გაჩენილმა.
 ორი ხელი,
 მონობაში რომ ამოხდებოდა სული.
 შენი ფეხსამოსელი ხბოს ტყავიანგან იყო,
 კარგად მოთრიმლული, - კარგად შეღებილი,
 სადგისით დაჩხვლეტილი —
 მაგრამ ვინ იცის,

იქნებ კადეც სადმე ფეთქავდა
 უკანასკნელი სუნთქვა?
 შენი სიცოცხლე ამ ქვეყანას
 რომ ეყრებოდა,
 მათ ქვიშა ჩაზოგეს შენს ფეხსამოსებში,
 როგორც საათი,
 ყოველ წამში სიკვდილით
 რომ ივსება.
 შენი ფეხები!
 მათ ფიქრები წინ უსწრებდნენ,
 ისინი უკვე ღმერთთან იყვნენ,
 შენი ფეხები კი დაიღალნენ,

¹ შოფარა — ურჩის რქა, რომელიც აქლერა, როს ღმერთი გამოეცხადა ებრაელებს სი-
 ნაის მთაზე.

დაიკაწრნენ და შენს გულს
ვეღარ ეწეოდნენ.
ხბოს ტყავი კი,
რომელზეც ალბათ დედა-ძროხის
თბილი ხათიანი ენა გადასმულა,

სანამ ხბოს ტყავს გააძრობდნენ —
ახლა კი ხელმეორედ
შენ წაგაძვრეს
ფერხთაგან,
ო, ჩემო საყვარელო!

შაქს ბოლივერი — დაიბადა 1929 წ. კლარუსში (შვეიცარია), დიდხანს მონაცვლეობით ცხოვრობდა ინგლისში, საფრანგეთსა და ლუქსემბურგში. ახლა ცოცხლობს მასლოზლად. ადლახვილში ცხოვრობს. ბოლივერის ლექსთა კრებულებებია: „ლექსები“ (1958), „წარვლენილი მტრები“ (1958).

ნაკვინილი გზები

მაგრამ გული
ხომ წარვლენილი მტრედია,
ფეხებზე რგოლით მონიშნული
შინ უნდა დაბრუნდეს,
გზა უნდა იპოვოს
დაფლეთილი ფრთებით
და ბრმა თვალებით,
შინ უნდა დაბრუნდეს,
ისევ შინ, საკუთარ თავს
უნდა დაუბრუნდეს.

ანიზე კოლტი — დაიბადა 1928 წ. ლუქსემბურგში და ამ ქვეყანაშივე ცხოვრობს. მის კრებულებებია: „ლექსები“ (1959), „შვიდით მიმართული კვლები“ (1960), „ქვები და ჩიტები“ (1964).

გარშემო თოვლია

გარშემო თოვლია
ყოველივე თეთრია და მძიმე
ან შავი
არც ერთ ფერში
არ არის სიმშვიდე
წითელია მხოლოდ
ბოშათა ფორანი
შორს ვგერ მინდორში
თავისი ფერი მას
გადააეიწყდა
ის ოცნებობს
გაჭუნებულ ცხენებზე
თოვლივით თეთრებზე

ინგებორგ ბახმანი (1926-1973 წ.) ავსტრიელი ლირიკოსი ქალი, სწავლობდა ფილოსოფიას, დისერტაცია დაიცვა პაიდეგორის ფილოსოფიაზე, მონაცემებით ცხოვრობდა პარიზში (1959), ვენაში (1951-53), იტალიაში (1953-57), მიუნხენში (1957-1958), ციურაში (1959), ფრანკფურტის უნივერსიტეტში პოეტის დოცენტად მუშაობდა (1959-1960).

გამოქვეყნებული აქვს ლირიკული კრებულები: „უვალგასული დრო“ (1953), „მონოდება დღი რვილისაღმა“ (1956), მისი ლექსები შევიდა აგრეთვე კრებულში „ლექსები, მოთხრობები, რადიო-პიესები, ესეები“ (1964).

ბახმანის პოეზია მიჩნეულია ფილოსოფიურ, ზოგ შემთხვევაში ინტელექტუალურ-აბსტრაქტულ ლირიკად, რომელსაც ახასიათებს ინტელექტისა და პოეტურობის სპეციფიური შერწყმა, მუსიკალობა, მელანქოლია, ურთიშობა და თავისუფალი რიტმები. ძირითადი თემა: შეშფოთება გაურკვეველად, ხიფათისშეშვეული მომავლის გამო; თანამედროვე დასავლეთის შექცევითი ადამიანი, რომელიც უმწეოდ, უიმედოდ, მარტოდმარტოდ დგას უაღმაანოდ, ტქნიკურ-ცივილიზატორული ხინაშვილის წინაშე.

მიღებული აქვს მრავალი ლიტერატურული პრემია.

ყავდგასული დრო

უფრო მძიმე დღეები დადგება
განდგომისათვის განვადებული ჟამი
ჩნდება პორიზონტზე.
მალე შენ ფეხსაცმლის თასმები უნდა
შეიკრა

და ძაღლები ზღვის პირს მირეკო.
რადგან თევზების შიგნეულობა
სულ მთლად გაცივდა ამ აკვარში.
საწყლად ანათებს ლუპინების შუქი.
შენი მშურა გზას იკვლევს ნისლში.
განდგომისათვის განვადებული ჟამი
ჩნდება პორიზონტზე.


გადაღმა ქვიშაში გეფლობა შენ სატრფო,
ქვიშა უფარავს გაწეწილ თმებს,
ქვიშა ერევა სიტყვაშიც,
ქვიშა უბრძანებს, რომ დადუმდეს,
მომაკვდავი ჩანს
და განშორების მოსურნე
ყოველი ჩახვევის შემდგ.
არ გაიხედო.
ფეხსამოსი შეიკარ.
ძაღლები გარევე.
თევზები ჩაყარე წყალში.
ჩააქრე ლუპინები!
უფრო მძიმე დღეები დადგება.

ყოველ დღეს

ომს აღარ გამოაცხადებენ,
არამედ გააგრძელებენ. გაუგონარი
ყოველდღიური გახდა. გმირი
ბრძოლებს გაურბის. სუსტი
წინა ხაზზე მიიწევს.
ყოველდღიურობის უნიფორმა მოთმინებაა,
ნიშანი კი — იმედის საწყალობელი
ვარსკვლავი ჩვენს გულებზე.
მას მიანიჭებენ,
როცა აღარაფერი ხდება,
როცა დაფდაფის ხმა მიწყდება,

როცა მტერი გაუჩინარდა
და მარადიული შეჭურვილობის
ანრდილი ზეცას გადაეფარა.
მას მიანიჭებენ
დეზერტირობისათვის,
მეგობრის წინაშე
გულადობისათვის,
უღირს საიდუმლოებათა
გამხელისათვის
და ყოველგვარი ბრძანების
უპატივემლობისათვის.

გვერდი ნათესაჲდარი


 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

სველი დროშები ჰკიდია ანძებზე
 ისეთი ფერისა, როგორც არცერთ ქვეყანას არა აქვს
 და ფრიალებენ დასილული ვარსკვლავებისთვის
 და მთვარისათვის, რომელიც მწვანედ შემომჯდარა ანძაზე.

აღმოჩენათა ხანის წყლის სამყარო!

ტალღები ფარავენ ყველა გზას,
 და ზემოდან ახალი ქუჩების ბადეებიდან
 წვეთავს სინათლე, ქაერშივე გადაყვანილი.

ქვემდით წყლები ფურცლავენ ბიბლიებს,
 და კომპასის ისარი ღამეზე შეჩერებულა.

სიზმრებიდან ოქროს რეცხავენ,

და ზღვას რჩება მხოლოდ სიმარტოვე.

არცერთი მიწა არ დარჩენილა ფეხშეუდგამი!

და დაიფლითა თვეზმჭერი ბადე,

რადგანაც შმაგი და მცინარი აღმომჩენები

მკვდარ წყალს შეერთენენ.

გზისაღი

მნიშვნელოვან მთვარეზე და მის კეთილშობილ სინათლეზე

უფრო მშვენიერ,

ვარსკვლავებზე, ღამის დიდებულ ორდენებზე,

უფრო მშვენიერ,

ბევრად მშვენიერ, ვიდრე კომეტის ცეცხლოვანი გადანათება

და მშვენიერისთვის მოწოდებული, ვიდრე რომელიმე მნათობი,

რადგან სიცოცხლე შენი და ჩემი მასზე

ჰკიდია, — ეს არის მზე.

მშვენიერი მზე, რომელიც ამოდის, თავის საქმეს არ ივიწყებს

არც ამთავრებს, ზაფხულშია ულამაზესი, როცა დღე

ნაპირებზე ორთქლდება და აფრებს ირგვლავს —

შენს თვალებში იძირება, სანამ არ დაიღლები და

თავის საქმეს იმოკლებს.

უმზეოდ ხელოვნებას ფარდა ჩამოეფარებოდა,

ვერც შენ გამოჩნდებოდი, ვერც ზღვა და ქვიშა,

ჩრდილებით გასილაქებულნი, ჩემს ქუთუთოებს

აფარებენ თავს.

მშვენიერი სინათლე, რომ გვატობს, გვინახავს და ზრუნავს,

რომ ვიყურებოდე და შენ გხედავდე!

მზის ქვეშეთში უმშვენიერესი არა არის რა,

ვიდრე მზის ქვეშე ყოფნა...

უფრო მშვენიერი არაფერია, ვიდრე კვერთხის წყალში ხილვა,

ზემოთ ჩიტისა,



რომელიც თავის გაფრენას იაზრებს, და ქვემოთ თევზების გუნდისა.
 თევზნი შეფერილნი, ფორმიანნი, ამ ქვეყნად მოვლენილნი
 სინათლის მისიით,
 გარსშემოვლას რომ ვუყუროთ, შინდერის კვადრატს, ჩემი ქვეყნის
 ყოველ კუნძულს
 და იმ კაბას, შენ რომ გაცვია, და შენს კაბას,
 ფართოს და ლურჯს!
 მშვენიერ ცისფერს, რომლითაც ფარშეგანგები დასეირნობენ
 და თავს იხრიან,
 შორეთის ცისფერს, ბედნიერების ზონების ცისფერს — ჩემი
 გრძნობის გაამინდებით,
 ცისფერ შემთხვევითობას ჰორიზონტზე! და ჩემი ალტაცებული
 თვალები
 ფართოდებიან ისევ და ისევ, კრილობებიან, იწვიან, კრთებიან.
 მშვენიერ მწუთ, რომლისადმიც მტვერს ალტაცება
 მეტი მართებს,
 არა მთვარისთვის, არც ვარსკვლავთათვის,
 დამე კომეტით რომ ტრახახობს და მასულელებს,
 არამედ შენთვის და შენს გამო გაუთავებლად
 მშართებს გოდება, რადგან თვალთა სინათლეს

ვეარგავ.

კარლ კროლ (დაიბადა 1915 წ.). სწავლობდა გერმანისტიკას, რომანისტიკას, ფილო-
 სოფიასა და ხელოვნების ისტორიას. ლირიკოსი და ესეისტი. მისმა ლირიკამ განიცადა ფრანგი
 და ესპანელი სიურრეალისტების გავლენა. ცხოვრობს ვერ-ში, ქ. ღარშუტატში. მისი პოეზიის
 მოტივები საერთოა მთელს თანამედროვე დასავლურ ლირიკასთან: თვითგადცხოვება, ფონტაქ-
 ტობა, ღმერთის მიერ მოტოვებული ადამიანის შიში და ა. შ. მეორე მხრით, მის გვიანდელ
 ლექსებში შეიქრა ანტიშილიტარისტული, ატომური ომის ხიფათის მანიშნებელი ტენდენციები.
 კარლ კროლის ლექსთა კრებულებია: „ხოტბაშენხველი, კარგი ცხოვრება“ (1943), „სახელი“
 (1948), „ამქვეანად“ (1949), „სოფლიოს წიწხები“ (1952), „ქარი და ღრო“ (1954), „აღლები
 და დაშვები“ (1956), „უცხო სხეულები“ (1959), „უბილავი ხელები“ (1962), „ჩვეული ლექსე-
 ბი“ (1962), „ლიანდშაფტები ჩემთვის“ (1966).

გვიანი ზაფხული

მამაშეცივიერ აღარ გადმოყურებს
 ქათმების მტკრის აბანოს

ლანდშაფტის მომწვანო წარბი
 თხელდება.

წყნარსახიანი მამაკაცები

ქარის წისქვილისკენ მიეშურებიან,
 რომელიც ჰორიზონტს რაღაცას ეწურჩულება,
 მათ საუბარს ყურს მიუგდებს სვეტმემბერი,
 რომელიც თავის მხრივ კალიებს
 თავშესაფრიდან ერგება

ანნე

ხეალ წითელივით იქება ცხადი.

არა ერთ ლექსში გადმოსცა პოეტმა მომავლის დღი პერსპექტივა, საბჭოთა ხალხის მაღალი სულიკეთება:

სალამი ხანსა, რომ გასცდა ჩარჩოს!
ღროშას, ვაწევას, ძალთა მოკრებას!
ინტერნაციონალის ხმას გაუშარქოს,
ინტერნაციონალის ამბოპკრებას.



გალაქტიონი მხარდაშეზარ მოპყვებოდა ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის დიდ პროცესს, მას არ სწამდა პოეტური ნაწარმოები, რომელიც მოწყობილი იქნებოდა დროსა და სივრცეს:

დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს —
ეს წელიწადი, დღე და საათი.

ეს უბრალო ფრაზა ჩოღია, ეს თვალსაზრასია, მთელი კონცეფციაა, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს ახალი რეალისტური ღირსება. მისი უბრუნებელი ნიშნები იყო თავი გალაქტიონის შემოქმედება; პოეტი მოითხოვს ლექსს წელიწადი, დღე და საათი მოაწერო. და მთავარი გალაქტიონის კონცეფციაში აი რა არის: ყოველდღიურობაში დანიშნულობა, რაც მარადიულია, წარუვადია, დანიშნულია დანიშნის სულიერი ღირსების ზედმეტად, რაც ვაყვება მთელ საუკუნეებს. ამ პოეტური მწამისის ბრუნებელი განხორციელება იყო გალაქტიონის ღირსება, რომელიც გამოსახავდა რა ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს, ახლაც ხელს უწყობს თანამედროვე ადამიანს გრძნობათა სრულქმნას.

ნაწარმოებმა რომ ააღვლავს მკითხველი, აღძრავს მისში ფიქრები, გამოიწვიოს სასურველი გრძნობა, ამისათვის მარტო დამაზი ფერი, სიტყვა, ფრაზა, მწვენიერი მელოდია როდი შეიძლება; აქ უმთავრესია, როგორც გალაქტიონი ამბობს, იდეა, აზრი, „მთაში ახსენება მგოსნის ძალა და მოქმედება, ისეთი, ყველას სიხარულიდ რომ მოედება“. ამ სიცოცხლის დამამკვიდრებელ პოეზიას ოქტომბერში უფაროების ახარება მისცა, გამსჭვალა ფიცი ოქტომბრის სულიერებით, მხნე განწყობილებით. დღევანდელდობა, მომავლის რწმენა, იმედიანობა, სიმართლე და ბუნებრიობა, ზალხურობა და პარტიულობა — აი რით ხასიათდება პოეტის შემოქმედება.

ამ კონცეფციიდან გამომდინარეობს პოეტის განცხადება იმის თაობაზე, რომ მისი ლექსის ყოველი სწავარი „არის გაჭრილი კლასობრივ ომად“; ამის ბრუნებელი დადასტურებაა ლექსები: „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ახალი და ძველი ხიდი“, „პოეტი არის მებრძოლი“ და მრავალი სხვ. გალაქტიონი პარადპირ ფორმულასავით მკაფიოდ აუალიხებს და განსაზღვრავს ახალი დროის პოეტის დიდება და სამატიო როლი: „პოეტი არის მებრძოლი, ახალი ქვეყნის მშენებელი, წინა დგას ცხარე ბრძოლებში, როგორც კვიციანის კვადელი“.

როგორი მძაფრი და რადიკალური გვიჩვენება ის გარდატეხა, რომელიც გალაქტიონმა განიცადა ახალი ეპოქის გავლენით. ადრე, რეველუციამდე ფიცი წერდა:

სადმე ყრთ ადგილს დაეცახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანა,

სადაც იქნება ცოფი ნაყლები
და უფრო ნაყლები — ადამიანი.

პოეტის იმდროინდელი ლექსები („სამღესობის ქნარი“, „ორი ზარი“, „ლურჯა ცხენები“ და სხვ.) აღსაქვს იყო დიდი სევდიოთა და ტრევილებით: ეს განწყობილებები წარმოშვა და განპირობა პირველი რევოლუციის დამარცხებაში; ამრავად, ამ სევდისაც თავისი საზოგადოებრივი სათავე ქონდა, ისიც ეპოქის გამოძახილი იყო, დროის კალიობით აღმეჭიდლი.

გალაქტიონის ლიტერატურული ბიოგრაფია 1908 წლიდან იწყება. ამ დროს თავისმპრობელობა და ბურჟუაზია რევოლუციურ ძალებზე გამარჯვებას ზეიმობდნენ. სტუდენტთა და მოსწავლეთა არალეგალურ სადამოწმ წაყიობა მან თავისი პირველი ლექსი, რომელშიც პოეტი გმობს იმდროინდელ სინამდვილეს, ყოველგვარ ჩაგვრას, გამოსახავს რწმენას, რომ მთელ სისხლსა და ბოკილებში ვერ ჩაჰკლავს ამოპირებული ხალხის მისწარებას თავისუფლები-საყენ.

დრო მოვა და ისევე
პროლეტარიატი
მისის ვარდებით
სიცოცხლს აივსებს,
სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ გაწვევას,
იმ პირველ მისებებს!

ამ ლექსში („პირველი მათის“) უკვე იგრძნობოდა გ. ტახთაის დიდი პოეტური ძალა, სოციალური მოვლენების უშუალო შეგრძობების უნარი და მთელი მისი შემოქმედების ობტმისტური ხასიათი. თავისუფლებისათვის მებრძოლი ზალხისადმი ღრმა თანაგრძნობითა და ხიყვარულითაა გამსჭვალული ლექსი „გადანახული დრომები“ (1909), რომელშიც გამოხატულია, ერთი მხრივ, პოეტის სევდა 1906 წლის რევოლუციის დამარცხების გამო, ხოლო მეორე მხრივ, შინაგანი წინათგრძნობა ზალხის გამარჯვების დროებთ გამოხატონებული რეაქციის ბნელ ძალებზე, ამიტომაც დუდგა პოეტი ერთგულ დარჩაღ

დრომებს, მრავალ ბრძოლა ნახულს,
დრომებს მომავლისათვის
საიწიედოდ გადანახულს

გალაქტიონი თავიდანვე მჭიდროდ იყო დიკავშირებული ზალხთან, ღრმად შესტკიოდა ვული მის ტირ-ვარაშზე; ამას მოწმობს ლექსი „წევით ასწიეთ შზე, ზევით!“ (1910). ამ ლექსში კვითხულობთ:

წვენ შზე გვსურს... ზალხო, შეერთდით —
ზევით ასწიეთ შზე, ზევით!

მის აღდგომასთან მნათობის სხივებზე გადავიცქვიეთ!

მომდევნო წლების მანძილზე პოეტმა ერთგვარი ხარკი გადაუხადა იმ დროის ლიტერატურაში გამბატონებულ მისტიკურ განწყობილებებს. იგი უკვე შეტრფვის მიღმა სამყაროს, თითქოს ცდილობს ვახდოს რაღაც სიღრმეულურსა და იმჭვენიერ სამყაროს შორის; ამ მისწრაფებათა გამოხატულებაა „ორი წარი“, „ედგარი შესაჲედ“, „ლურჯა ცხენები“, სადაც ჩვენს თვალწინ იშლება ბურუსიანი სივრცეები, სადაც მისტიკური ლტოლვით მოქმედული პოეტის ხელს სიცოცხლის ამაოების გრძნობა დაუფლებია:

კუბოს ფიერებზე ძელების რაბუნით,
მეცდართა გუფუნით თრთოჯა ქვესენელი,
შეგრუოდა ცოცხალთ ძახილი
და მეცდართა მოთქმა უკანასკნელი...
და დიდხანს, დიდხანს ეისმენდა გუგუნს,
და დიდხანს, დიდხანს წარი ჰგოდებდა...
მაგრამ ამაოდ მოეუწოდებდი
მით ეინც ამაოდ მომიწოდებდა...

ცხოვრების ამაოებისა და სულიერ ობლობის ეს მძიმე განწყობილება გ. ტაბაძემ დიდი ლირიკული მღვდლარებით გამოხატა ჭერ კიდეც 1913 წელს დაწერილ ერთ ლექსში, სადაც უნუგეშო დღეებით გაწამებული პოეტი თავის ერთადერთ მეგობრად და მესაიდუმლედ უჩილღო ღამეს აღიარებს. ის თვდაწინეებით ეძლევა თეთრი ღამის რომანტიკას. მარტოღმარტო დგას ხარკმელთან და უსმენს ნახედ მოწურჩულედ ხიოს, რომელიც მას „ველთა ზღაპარს“ უამბობს:

ებლა, როცა ამ სტრიქონს ეწერ,
შუღამე იწვის დნება,
სიო, სარკმლით მონაჭროლი, გელთა
ზღაპარს მუღუნება.
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს
იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საღუნოდ
შენახული.
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს
სარკმელში მოკამყამემ,
იცის ზემი საიდუმლო, ყველა იცის
თეთრმა ღამემ.
იცის როგორ დაერჩია ობლად, როგორ გვეწე
და ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე,
მე და ღამე!

ახეთი იყო გზა პოეტისა. აქ უნდა აღვნიშნოთ: ჩვენთვის ძვირფასია ყველაფერი, რასაც გალექტიონის სახელი ქვეა, ყველა სტრიქონი, სადაც პოეტის ხელის მართლვარებაა გადმოცემული. ეს მარტო ერთა პოეტის შემოქმედე-

ბის ევოლუცია როდია: ეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაა, უფრო მეტად მარტო ზაზის ისტორიული გზის ნათელი მარტო მემოქმედების უკვე პირველ პერიოდში პოეტა წერს ლექსს „არასდროს ისე არ მენატრება“, რომელშიც ნათქვამია:

არასდროს ისე არ მენატრება
თავისუფლება ვით გაზაფხულზე,
როცა ბუნება ახმარულდება
ღეღამიწისა ვაფინურ გულზე.

მაგრამ ამ ტრფილის სიცოცხლისა და გაზაფხულისაში თან სდევს სასოწარკვეთილების გრძნობაც:

ელიც მეძახის სიცოცხლისაყენ,
სიყვდილის გზაზე თრთოლვით მიმავალს...
ევაღას! ვერავის ირგვლივ ვერ გვხვდავ
და ისევ ცრემლი მახუქინებს თვალს.

ერთი სიტყვით, ლექსები „არასდროს ისე არ მენატრება“, „წერილი მეგობრისადმი“, „არწივებს ჩასძინებოდათ“, „ნასაკრალთან“, „გაზაფხული“ და სხვა — წარმოადგენს მეორეულ-მინორული განწყობილებების მეტად თავისებურ შერწყმას, რაც დამახასიათებელია გ. ტაბაძის რევოლუციამდელ ლირიკისათვის საერთოდ. ყველაფერი ეს დროის გამოძახილია, და აქ ყველაფერ იგრძნობა ერთი შთავარი იდეა, რომელიც გახდევს შთელს მის შუანაშნავ და უსადაუდებელ ვრცელ პოეტურ ეპოქას: ესაა კეთილშობილური, უღერესად ჭეშანტური და პატრიოტული მისწრაფებანი. მის შემოქმედებაში საშობლოს სიყვარულის თემას მუდამ საპატიო ადგილი უჭირავს. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ქვეშარბიად ამაღელვებელი სტრიქონები:

საშობლოს წინსვლა გასაყვირველი,
მზის მსურველება გარს რომ ავლია —
თი პირველი! თი პირველი!
რის სიყვარულიც მე მისწავლია.

საშობლოს თემაზე მსოფლიო ლიტერატურამ შექმნა არა ერთი ღიბსშესანიშნავი ნაწარმოები, რომლებიც ჩვენს მესხიერებაში ახლაც ცოცხლობენ და მომავალშიც გაუძლებენ დროს, ამ პიროვნული მსაჭულის უღმობელ გამოცდას. ამ ნაწარმოებთა შორის გალექტიონის ლექსებს მუდამ თავისი საპატიო ადგილი ექნებათ დათმობილი.

ოქტომბრის რევოლუციამ ზოლო მოდო სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას; ახლა ჩვენში ყველაფერი ხალხს ეუფენის, ხალხია ქვეყნის ბატონ-პატრონი. ამიტომაც ეს ხალხითა და მონღოლებით იღწვის, ცხოვრობს ამას ღრმა და ნათელი რწმენით, რომ თავისი წარმომად აწმყოსა და კიდეც უკეთეს მომავალს აშე-

ნებს. აქედან გამომდინარე პატრიოტიზმის თე-
მაზე ჩვენს ლიტერატურაში ახალი იდეურია გა-
ზრდება აქვს. ამისი ერთ-ერთი საუკეთესო ნი-
მუშია ჯ. ტაბიძის „მშობლიურ ჩემო მიწავ“,
რომელიც სოციალისტური საშრობლოს უსაზ-
ღვრო სიყვარულის ნათელ პოეტურ წარმო-
სახვეს შეიცავს:

ქარმა მიანგრ-მოანგრია
ძველი ქვეყნის სახუდარი,
აჲ სხვაგვარი ქარნი ჰქრიან,
ჩვენ მხარე გვაქვს საკუთარი...
მშობლიურ ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ერთა ძიობას,
მეგობრობის ფიცს დავიცავ!

ამ ლექსში, სადაც საბჭოთა მოქალაქის ხმა
ისმის, როგორც ერთგულებას ფიცა თავისი
სოციალისტური საშრობლოსადმი, შევეთრად
გამოხატული ახალი პატრიოტიზმის ცხოველ-
შეყოფელი გრძნობა, რაც ნათელი და მწიერი
ფერებითა ამტკავებულია. სამამულო ომის
ქარიშხლიან დღეებში პოეტი წერდა „ვერ შეს-
ძლებს მტერი, რომ ჩაქროს ახალი აღი, ვერ
შესძლებს დასწვას ზღბთა აწმყო და მომავა-
ლი“.

„ხევასტოპოლის დამცველებს“, „მე, მამუ-
ლო“, „თასი“, „ქარი სიმღერით მოდის“, „იავ-
ნანა“, „მშობლიური მოწოდებებით“, „დნეპრი“
და სხვა ლექსები — ცოცხალი ილუსტრაცია
პოეტისა და ხალხის განუყოფელი სულიერი ერ-
თანობისა, რაც ახალი საბჭოთა ლიტერატურ-
ის უპირველესი და უმთავრესი თავისებურე-
ბაა. მძიმე განსაცდელის ფაზს პოეტი თავისი
ხასის კალმით, თავისი მარად ნაუქრობელი
შთაგონებით მებრძოლთა მოწინავე რიგებში
იღვას; ხშირად საზოგადოებრივი წყობილე-
ობის, საბჭოთა ადამიანების მორალური და ფი-
ზიკური სამტაციის სერიოზული გამოცდა იყო.
ეს შეაკრა გამოცდა ბრწყინვალედ ჩაბარა
საბჭოთა ზღბსა, რომლის უდიდესი პატრიო-
ტული თავგანწირვა და ვაჟაკური შემართება
ჯ. ტაბიძის მრავალი ლექსის შთაგონების წყა-
რო გახდა.

დამთავრდა სამამულო ომი. გამარჯვებული
საბჭოთა ადამიანები დაუბრუნდნენ საკლმეუ-
რნეო მიწებებს, დაჯგუხს და შალარობს. პო-
ეტები აქტიურად ჩაება მშენებლობა შემოქმე-
დებით შრომის ფერხულში და ჩანდა ახლა
სამშვიდობო ხმაზე აწყო, მხარდახმარ გაყვა
შრომის გმირებს.

და აი რა არის აქ ხაზგახსნილ აღნიშვნის ღირ-
სი: პოეტი შრომაზე წერს მშინიც კი, როცა
წარსულის დიდებული ძეგლებს უტკნობი
მშენებლის გადმოცემას ცდილობს. გალაკტიო-
ნის ომისშემდგომი პერიოდის ლექსებიდან აქ
განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ „ქებათა

ქება ნიკორწინდის“, სადაც პოეტი ძველი
ქართული ხუროთმოძღვრების შედევრის ხელ-
ვით მოხიზლული და გაოცებულ კლდეებს
ძველი ოსტატის იმ მადლიან მარჯვენას, რო-
მელმაც ეს სასწაული მოახდინა, ქართულ ჩუ-
ქურთმებში თავისი სული და გული ჩააქოვა
და საუკუნეებს ეს ბრწყინვალე ძეგლი დაუ-
ტოვა:

გზნებით დამქარავი
გრძნულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამქარავი
ნახი შექურ-თმებით,
ნეტაე ეინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ზელმა აზიდა
მაღლა ნიკორწინდამ!

პოეტმა ცხოველყოფელი სული შთაბერა
ნიკორწინდის, და არ შევეცდებით თუ ვიტყ-
ვით, რომ მის სიღამზეს ახალი შუქი, ახალი
ფერები მიუშავა. ამ უნიკალურ ხუროთმოძღ-
ვრულ ძეგლს იგი აღაქვამს როგორც დიდ
ეპოქალურ ხელოვნებას, რომელშიც გამოიხა-
ტა ქართული სული. ჯ. ტაბიძემ შესანიშნავად
იყოფა, რომ ერთი ისტორია უპირატესად ხე-
ლოვნებაში ისახება, ამიტომაც ასე მძლავრად
ამტკავება და გააცოცხლა მან ნიკორწინდის
გრძნული ჩუქურთმები.

მოქალაქეობრივი გრძნობით გამსჭვალული
პოეტი მოვალეა იფაქროს მთელი პლანეტის
ზედზე. ეს კარგად იყოფა გალაკტიონმა; ამ
მხრივ უაღრესად საინტერესოა ლექსების ის
დიდი ციკლი, რომელიც პოეტმა შექმნა პარ-
იზში მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე.

1935 წელს გალაკტიონი მიემგზავრება პა-
რიზში, სადაც პირველი მსოფლიო ანტიფაშის-
ტური კონგრესი მოწეო. ქართველი პოეტი
მზურვალედ ფერხს მხარს მთელი პროგრესუ-
ლი კაცობრიობის ბრძოლას ფაშისმის წინააღ-
მდეგ; ლექსებში „კაცო მოწა“, „უშუშევაი“,
„ქუჩის მომღერალი“, „უბინაო დედა“, „პატა-
რა პიერი“ და სხვა — გალაკტიონი ამბილებს
მსოფლიო რევოლუციის ზნელ ძალებს, რომელთაც
სურდათ კაცობრიობის წინსვლა შეეფერხებო-
ნათ. საზღვარგარეთ ფშუალოდ ნახაზმა და
განცვილმა პოეტს შესაძლებლობა მისცა შევე-
თრი ფერებით დაუბრისპირებინა ორი სამუა-
რო — სოციალისტური და კაპიტალისტური,
ენჯნებინა პირველის უპირატესობა, ჩვენს სო-
ციალისტური საშრობლოს ძლიერობილება და
სიღადავ:

რას, რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ,
რომ ის ჩასთვალო მზედ ანდა მთავარედ?
არ ღირს მსოფლიოს მთელი სიმდიდრე
ერთ გაქროლებად, საშრობლო მხარედ.

გალაქტიონი მგზნებარე ტრიბუნი და ახალი ეპოქის დიდი ტრუმადური იყო. იგი, როგორც ქვეინის მოწინავე მოქალაქე, თავისი პატრიოტული ლექსებით მშვიდობის წმინდა საქმის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა და ხალხის ძაღებისადმი ღრმა რწმენას გამოთქვამდა; პოეტი დიდების პიქსს უმღეროდა ხალხს, რომლის მტაცვე ნებასყოფა, ვაჟკაციური შემართება და ზღაპრული ენერჯია გამირუღად ვადალხავეს ყოველთვის, რაც კი აფარხებს და წინ ეღობება პროგრესულა კაცობრიობის ნათელ იდეებს („წინ, წინ, სამშობლო მხარეც“).

მაღალი მოქალაქეობრიობის ვრძნობით არის გამსჭვალული ვლადიკიონის ლირიული პეიზაჟიც. პოეტის ლექსს შიხს ელვარე სხივები ანათებენ, მის სტრიქონებს გამარჯვებული გავაფხულეს შარავანდედი მოხავეს.

ცა უსაფხესო
 სიალით ბრწყინავს,
 მისის ნახი
 მოდის სურნელი,
 რაც ვარდი ყინვას,
 გადაუყინავს
 გაზაფხულა
 მისი მკურნალი.
 ვაქრა ზამთარი
 გულგამყინველი,
 მკვლელი სითბოსი,
 აღერის ფერის...
 ხმოვანს სიმღერას
 მღერის ფრინველი
 იგი ბუნების
 აღდგომას მღერის...
 მისითნ ერთად
 შენც იგარძნე, გულო,
 ახალგაზრდობა
 ჩემი მამულის,
 მისი დღეები
 საგაზაფხულო
 გამოღვივების
 და ტრამულის.

(„სალამი მასსა“)

როცა ამ ლექსს ვკითხულობო, გვაგონდება ალექსანდრე უსხევის შთამავანებელი სიტყვები: „ბუნება კარგია მხოლოდ მაშინ როდესაც შუგ სიცოცხლე ტრიალებს და ბრუნავს... რა არის მთვარე მოკვამაზე, რომელიც აშუქებს ათას ვეჯივლებს, თუ იქვე ვერდეს არ უღვას სულღვქული, რომელზედაც ასე თუ ისე გაუღენა აქვს, ახარებს, თუ ჩაწყვედადებულ გულს წუგვს აძლევს. ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი გონება, ვერც ჩემი კალამი ვერ მიუბრუნდებიან მკვდარს, მოქმედებამოკლებულ საჯანს“; გ. ტაბიძის პეიზაჟიც სწორედ ამ მხრივ გამოირჩევა, მის ბუნების სურათებში ნამდვილი სიცოცხლე ბრუნავს და ტრიალებს დიდი მ-

ცოცხლებელი ძალით. ამიტომ ვამბობთ, რომ გ. ტაბიძე კლასიკური პოეტიკის ღირსშესანიშნავი ტრადიციების გამგრძელებელია, რომ მისმა პოეზიამ შესისხლბორცა, რაც კი მერყეობს იყო კლასიკური ლიტერატურის დიდ საუნქეში.

პირველ რიგში, ეს იყო ტრადიცია რუსთაველისა, რომლის გენია მუდამ შთაგონების წყარო იყო მეოცე საუფუნის ჩვენი ვეჯივლე დიდი პოეტის ფანტაზიისათვის, რუსთაველისადმი ხიყვარულისა და მისი ტრადიციისადმი ერთგულების პირველი დადასტურება იყო ვლადიკიონის „პოემა ვეფხისა“, რომელიც 1927 წელს დაიწერა. შემდგომში პოეტი ასე გამოცხმობდა დიდ წინაპარს:

ვეწარ ვინეუ მესხი მეღვქე,
 რაც კი მოვლია მე გუნბი,
 ვერ ლექსი მწეავდა, ვერე მზე,
 ვერ მზე და ვერე ლექსები.

ამ სტრიქონებში ვლადიკიონმა გახსნა თავისი ესთეტურა კონცეფცია და შეხედულება პოეზიაზე, რომელიც სიცოცხლის მომნიჭებელ მწესავით ეფინება სამყაროს, ხიყეთითა და ხიყვარულის მხურვალე გრძნობით ადაცუნებს ადამიანს.

თავის ლექსებში ვლადიკიონმა „შოთა რუსთაველი შვიი ზღვის პირად“ და სხვ. ნათლად გვიჩვენა რუსთაველის სიახლეე ჩვენს ეპოქასთან; რუსთაველა მისთვის ქართული პოეზიის დიდი შექტარაა, გზის მაჩვენებელია. მისი გამართბა — ტიპური საბეზია, გვერდით რომ უღვანან მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე საუფეთესო სახეებს, შეუპოვრად ებრძვიან ბორტებთან და ამარცხებენ მას. ისინი თავიანთი შესანიშნავი მორალური თვისებებით, ძლიერი სულსიყვებებით ხელს უწყობენ ერის ცხოვრების წინსვლას.

აწმყო დროის შესანიშნავ პოეტს ფესვები ღრმად ჰქონდა ვადგმული წარსულში. „ვინაც ვაიგებს ნეტურთამას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას ვაიგებს“, ამბობდა ვლადიკიონი. ქართულმა ხალხმა კარვად ვაიგო მაღლი და ძალი მისი პოეტური ვენიხა. ის, ვისაც თავისი დაუღალავი შრომით აღუშენებია ახალი საბჭოთა საქართველი, არ შეიძლება მდიდარ სულიერ საზრდოს არ პოულობდეს ვლადიკიონის ლექსებში, სადაც პოეტის საოქმელი გამოხატულია ხან ორატორული მგზნებარეობა, ხან ინტიმური ღრმარეის ნახი ინტონაციით, ხან კი პეიზაჟის ნათელი მზიური სურათებით. გ. ტაბიძე საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მოკლენას მუდამ ნიშანდობლივ სტრიხებით ხატავს, თანაც იმჯვარი უშუალოებით, რომ მკითხველის შემეცნებაში ერთმანეთს ერწყმას ეპოქის პათოსი და ლირიული სითბო.

სიტყვის კონა ანუ ცოდნის საღარო

საენციკლოპედიო მუშაობის შარსული, კმეყო და მომავალი

„ამა წინეთა შინა არიან საბელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და სამაგებელნი, უბადონი და ცუდნი. არა თუ კაცებვისათვის აღმწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღესწერე“.

სულხან-საბა ორბელიანი

ქართული ხალხის ისტორიულმა წარმატებებმა, ეკონომიურმა აღმაჯობამ და კულტურულმა წინსვლამ, მეცნიერებისა და ტექნიკის არნახულმა განვითარებამ ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის არსებობის წინამძღვრები შექმნა. და აი, ამ რამდენიმე წლის წინ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეტად მნიშვნელოვანი დადგენილების მიხედვით, ჩვენში გაიშალა მუშაობა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსაცემად. ენციკლოპედია, ყველა სხვა კულტურულ მიღწევებთან ერთად, ჩვენი ერის მაღალგანვითარებულობის ახალი მაჩვენებელი იქნება. ის ერები, რომელთაც ტრადიციულად ენციკლოპედიის გამოცემის დიდი წარსული აქვთ, ეროვნული უნივერსიტეტების გვერდით განიხილვენ მის მნიშვნელობას და ამაჯობენ თავიანთი ენციკლოპედიური საქმიანობის ტრადიციებით. მსოფლიოში არსებულ ენციკლოპედიურ ლიტერატურათა შორის უდიდესი ადგილი უჭირავს „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიას“, რომლის შესახებ გამოცემა ამქერად ხორციელდება.

საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში ეროვნული ენციკლოპედიის გამოცემა მეტად დიდი მნიშვნელობის მოკლენაა. იგი ერთხელ კიდევ ნათლად ადასტურებს ჩვენი პარტიის ბრძნული ღონისძიების ეროვნული პოლიტიკის კურსის ცხოვრებაში განუზრუნვად გატარებას. ენციკლოპედიების გამოცემა მოკავშირე რესპუბლიკებში მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ინტე-

ლიტრალური ძლიერების ახალი გამოვლინება იქნება, ჩვენი მიზანია წინამდებარე წერილი საქართველოში ენციკლოპედიური საქმიანობის წარსულის ზოგიერთი საკითხის ასახვას, აგრეთვე დღესდღეობით ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის წინაშე მდგარი პრობლემების გადმოცემას მიუძღვნათ.

ორიოდე სიტყვა ქართული ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური ცოდნის ისტორიიდან

„მე, სულხან საბა ორბელიანსა, ვაბუჯობისა ეამსა და საყრმესა ფრიადი შრომა დამიცხ ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ეამთა ვითარებათა უჩინო კმნილი იყო, რომელსა მებუთო ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა უწოდა“ — ავტორი ამ სიტყვებისა, გამოჩინილი ქართველი ლექსიკოგრაფი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი, ამ ორი საუკუნის წინ ჩიოდა, რომ „ქართულთა ენათა ლექსიკონი ადარა იპოებოდა“. ამ შემთხვევაში ჩვენ ეს მომენტი გვანტერესებს (საერთოდ, ს. ორბელიანის მოღვაწეობაზე საგანგებოდ შევჩერდებით ქვემოთ). რაკი საბას დროს ასეთი ლექსიკონი აღარ არსებობდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ძნელებლობის ეამს დაიარა და ვეღარ მოადრწია. მართლაც, თუ გავადევნებთ თვალს ქართული ლიტერატურის განვითარე-

ბას, ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ლიტერატურის სიმდიდრე ნაირფეროვანი ენობრივობითა და მეცნიერული დარგებით. ჩვენში დამწერლობის მანძილის უმაღლესი წილია კრისტალიანი მწერლობის დარგები — მიხეილოვანობა, პიროგრაფია და ავიოგრაფია. შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისტორიოგრაფიას, პოლემიკას, კანონიკასა და ფილოსოფიას. ეს თავისთავად მოასწავებდა ქართველ მწიგნობართა წოდებას თუ სპეციალური აზრის სიფართოვებს, ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების სიმრავლემ თავის მხრივ განამარტობდა აუცილებელი არსებობა ისეთი დამწერელი მეცნიერული დარგებისა, რომლებიც მოწოდებული იქნებოდნენ მივით მკითხველისათვის ნათელი წარმოდგენა მათთვის უცნობ სხვადასხვა სამეცნიერო ცნებებზე.

საბატონო, ფილოსოფიურ-თეოლოგიური და საერო-მხატვრული მწერლობის განსაკუთრებული აყვავება ხდება XI-XIII საუკუნეებში. ეს არის პერიოდი, როცა სამწერლო ხასიათზე გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები: ვიოგრაფი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, არსენ ივალთოელი, იოანე პეტრიწი, დიონისე მროველი, იოანე შავთელი, შოთა რუხთაძე, ჩაბრუნაძე და სხვ. კულტურულ ხასიათზე ასეთი დიდი მოღვაწეობის მოხელამ ახალი ძვრები მოიტანა, ხელი შეუწყო ქვეყნის კულტურულ პროგრესს. შეიქმნა საბატონო-საერო სკოლები, დაიწყო სასწავლო სახელმძღვანელოები, შეიქმნა სხვადასხვა თარგმანისა და კომენტარების შედგენის მეთოდები, ფილოსოფიური სტაბილი და ტერმინები, დაწესებული იქნა სახატო და ეპიკური პოეზიის წარწერა. ხსენებულმა მოღვაწეებმა ახალი მემკვიდრეობის დაუდგენს საფუძვლად თავიანთ საქმიანობას და მათმა შემოქმედებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

ქართული მწერლობისა და მეცნიერების ამ აყვავების პერიოდში ახალი შეთავაზებით, ცხოველი ძალით დაიწყო ფილოსოფიურ-ენათმეცნიერული კვლევა. უდიდეს როლს ამ მხრით ასრულებენ ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის სალიტერატურო სკოლები, რომლებიც სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასთან ერთად ლექსიკოლოგიურ მუშაობასაც ეწევიან. ამ პერიოდში ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თუ საისტორიო-ავიოგრაფიულ თხზულებებს თან ერთვის ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებები, სადაც მკითხველი იკვებდა, როგორც უცხოური ცნებების, ტერმინების, ასევე საკუთარ გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა მნიშვნელობებს. ამგვარი განმარტება-კომენტარები საკმაოდ უხვად გვხვდება ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწისა და არსენ ივალთოელის შრომებში. ამ მხრივ საინტერესოა კონსტანტინე (გვატაძე) დიაკონის (IX ს.) მიერ ბერძნულიდან თარგმნილი თხზულება: „სიტყვა ექსორიზმით აღმოყვანების

სათვის სხეულისა წმინდისა ნიკიფორისა“ (გელათური მეთაფრასი № 2, გვ. 172-205). რომელსაც ერთდროულად ისტორიული და მეთოდოლოგიური სახელების კომენტარები. აღსანიშნავია ასევე ეფრემ მცირის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „ფაბრიკისა ეფენიანის“, რომელშიც შეკრებილია ძველი ბერძნული მეთოდოლოგიური სახელები და ბერძენ ფილოსოფოსთა ნაშრომები და განმარტებანი, რომელთა ნათელ წარმოდგენას აძლევს მკითხველს მითოლოგიურ მოვლენებსა და ფილოსოფიურ ცნებებზე.

ქართული ენციკლოპედიური ცოდნის განვითარებას დიდ როლს შეუწყო ხელი არსენ ივალთოელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომების კრებულმა „დოქმატკონმა“, იოანე პეტრიწის „პროსოვ დიადოხოსის კავშირთა კომენტარებმა“, ნემესიო ემესელისა და ამონიოს ერმისის ფილოსოფიურ-ლოგიკურ თხზულებათა ქართულმა თარგმანებმა. შემორჩენილია თარგმნილი ლექსიკონთა ფრაგმენტები. მაგალითად, „წმინდათა და ღმრთივ სულიერთა წიგნთაგან ღმერთ-შემოსილთა მამათა მიერ გამოკრებული ენობრივთა ენისა სახელები რაოქენიმე თარგმანებათ ლექსიკონისა“¹. აქ 121 უცხო სიტყვაა განმარტებული. წვენი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად მართებული ეარაუდია გამოთქმული, რომ ამგვარი ლექსიკონები სხვა ენებშია ქართულ ენაზე. ზოგი ცნობით, სამეცნიერ ბიბლიოთეკაში ყოფილა სხვადასხვა ლექსიკონები, რომლებშიც შეიძლება იქნა თუ იმ სადავო სიტყვის მნიშვნელობის გაგება.

ქართული საენათმეცნიერო-ლექსიკოლოგიური საქმიანობა ახალ აღმშენებლობის განიცდის სულხან-საბა ორბელიანის სამოღვაწეო ახარებზე გამოცემით. ეს ფაქტობრივად ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. სულხან-საბა ორბელიანმა ვიგანტური შრომა გასწია თავის „ქართული ლექსიკონის“ შესაქმნელად. „რომელნიცა მწიგნოსი სიტყვანი არა ვიცოდით, ღრმათა წიგნებთა შინა ვპოე. და რომელნიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილეთ რომელნიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე, რომელნიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერე“. ს. ს. ორბელიანს გამოუყენებია ბერძნული, ლათინური, არაბული, სომხური და რუსული ლიტერატურა („გარანა რაოდენ ძალ-შედეგა, ვეცადე

1. ი. ლოლაშვილი, ქართული ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური ცოდნის ისტორიიდან, ხელნაწერი (დაცულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის არქივში).
2. ლ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები; თბილისის უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 267.
3. ა. ლონატი, ნარკვევები, 1955, გვ. 111-112.
4. სულხან-საბა ორბელიანი, III, ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1963, გვ. 305-306.

უღწეოა, უათონოა, სომხობა, რუსთა და არა-
ბოთა წიგნებისაგან და მათ გამოვიღო". მეც-
ნიერის დიდი ამოცანა დაუხსნავს თავისი შრო-
მისათვის — იგი უნდა ყოფილიყო იმ ლექსი-
კონის შემცველელი, რომელიც ადრე პქონიათ
ქართველებს და ეამთა მწიგნობრობის გამო და-
კარგულიყო; ამ ნაშრომით უნდა შევსწავლათ
ენა ქართული, შევსრულებთ და ვავრცელე-
ბული ფარსავაჲ ქართველთა პირველისა მეფისა
მეგრ^ა.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქარ-
თული“ ენციკლოპედიურა ხასიათის განმარტე-
ბითი ლექსიკონია, მასში, ვარდა წმინდა ენობ-
რივი საქათებისა, განმარტებულია მნიშვნე-
ლოვანი საენციკლოპედიო მასალა — მეც-
ნიერული ცნებები, გეოგრაფიული, ეთნოგრა-
ფიული და საყოფარო სახელები, უცხო სიტყ-
ვები და გამოთქმები და სხვ. სულხან-საბას ქა-
რვად ესმოდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ენ-
ციკლოპედიური ხასიათის ნაშრომის შექმნა და
სამშროუღ გამოტანა ბევრ დაბრკოლებასთან იქ-
ნებოდა და ვაგუშარბულია. გამოჩნდებოდადენ
აღბთა ისეთიყო, რომლებიც ვაკვირვადენენ
მეცნიერის ნივთს, შემაბუვეთი არ არის,
რომ თვით საბაც ვარაუდობდა ამგვარ შეხედუ-
რას მისი ლექსიკონისადმი: „ვიცი, მრავალი
საზარალივად დახდებენ ნაშრომსა/ამთა ჩემ-
თა, მათ თუცა წერაღნი უფარან, მრავალნი
სხვანი წერაღნი არაან ხალხოთნი და სეროთნი,
და რომელიც ენებოსთ იგი იკითხუნენ“¹.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონსა უღა-
დესი როლი ითამაშა ქართული ენციკლოპედი-
ური ცოდნის განვითარებაში. საკითხების სიმ-
რავლემ და სიფაროავე, ჰეშმარბენი ენციკ-
ლოპედიურობამ ეს სარწმინვალე ნაშრომი დღემ-
დე მნიშვნელოვან სამაგიდო წიგნად აქცია.
წიგნად, რომელსაც ფართოდ იყენებენ ყოველ-
დღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა დარგის სპე-
ციალისტები.

XVIII-XIX საუკუნეებში ლექსიკოლოგიური
მუშაობა კვლავ ვრცელდება. გამოჩნდენენ მწიგ-
ნობარნი, რომლებიც პერსიებენ და აზუსტებენ
„ქართულ ლექსიკონს“. ამ მხრე იღანიშნავია
ქობულაი მოეტისა და შწინიბარის დავით რე-
ქტორის საქმიანობა, რომელმაც XVIII საუკუ-
ნის მიწურულს ვადაწერა „ქართული ლექსიკო-
ნი“ და შეავსო ახალი. ენციკლოპედიური მნიშ-
ვნელობის მასალით. მერად მნიშვნელოვანია
იოანე ბატონიშვილის „ქართულ-რუსული ლექ-
სიკონი“, რომლის შემდგენელი, როგორც გამო-
კვლეულია, საბა ორბელიანის ნაშრომს ეყა-
რება; თან ავსებს მას ახალი ლექსიკური მასა-

ლით, იძლევა ცალკეული სიტყობრივი ერთეუ-
ლების მკაფიო ვრამატყულ დახასიანუღწე-
მეფინერულად დასაბუთებულ განმარტებებსა და
ყოველაც ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ
საქართველოში ქველთაგანეყო ყოფილა ენციკ-
ლოპედიური ნაშრომების შედგენის სერაო-
ზული ცდები.

XIX საუკუნის დასაწიუსში იქმნება ფრიად
მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ნაშრომი —
იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. ფაირველ-
ნად ყოვლისა, ეს ძეგლი ბარწინვალე ლიტერა-
ტურული ნაწარმოებია. ამასთან, ეს არის დი-
ლოგის ფორმით დაწერილი ენციკლოპედიური
სიტყვარი. „კალმასობის“ მთავარი ემირი იოანე
ბუღაშვილი მოგზაურობის საქართველოს სხვა-
დასხვა კუთხეში ვწად მას ხედებთან სხვადასხვა
დამიანები, რომელთაც შევარამეველურად
აქნობს შევინერებისა და ხელოვნების სხვადა-
სხვა დარგებს. ისტორიულ ამბებს, ქართველ
მოღვაწეებს და სხვ. ამგვარად „კალმასობაში“
წარმოადგენილია მამინდელი კოდნის თითქმის
ყველა დარგი — ისტორია, ფილოსოფია, საღ-
მართო რწმუნე, ლიტერატურა, პოლოგია, ბუ-
ნებისმეტყველება, შედარება და სხვ. ავტორი
სარგებლობს როგორც ქართული, ასევე რუსუ-
ლი და უცხოური წყაროებით. იოანე ბატო-
ნიშვილსათვის ენციკლოპედიურ ნამაღვაწარს
საუქვალად დაუდო ეპიკოს მოწინავე სიცი-
დურ-პოლიტიკური იდეები და ამ დროის შე-
საფარება დარბა მეცნიერული ცოდნა.

ცალკე აღნიშნავს იმასურებს ის ფაქტი, რომ
1828 წელს პეტერბურგში ქართულად გამოქ-
ვეულად „ენციკლოპედია ანუ შევარამელება წმე-
ობითთა სწავლათა პარტთან, და განწინი სხვა-
თა და სხვათა ნივთთათვის. დათხზული და აღ-
სმწული ამანთა ზედა და ფარსაციცულია წე-
რითაგან რუსულსა ზედა ვარდამოღებული
კოლელესკის ასესტორის იოანე პოკოლონსკის
მეგრ. ხოლო რუსულსა ენისაგან ქართულსა
ზედა ითარგმნა ტიტულარნი სოვეტნიკის ვიორ-
გი ჩუგუნოვის მეგრ“. ეს წიგნი სულ 159
ვევრდს შეიცავს (თანაც მცირე ფორმაციასა)².

XIX საუკუნის მიწურულს რუსულ-ქართუ-
ლი ენციკლოპედიური ლექსიკონის მომზადებისა
და გამოცემის თაოსნად გამოდის ცნობილი
საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომიშვილი,
რომლის რედაქციითაც 1888-1889 წლებში გა-
მოქვეანდა ოთხი წიგნი: „საღარო ცოდნისა
რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკო-
ნი“. აღნიშნულ ოთხ წიგნში მოცემულია მასა-
ლები მხოლოდ A-დან I-მდე. ეს დიდი საქმე
ხოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

ცხოვრების წინსვლა, მეცნიერების დონის

1 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქარ-
თული, I, 1966, გვ. 28.

2 ვ. ბერძენი, დავით რექტორი — ლექსიკო-
გრაფის საბა ორბელიანის გამგებლებული,
თსუ შრომები, I, 1936, გვ. 310-332.

11. „მნათობი“, 36 9.

1 ა. დლონტი, ფილოლოგიური ნარკვევები,
ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის შრო-
მები, II, 1955, გვ. 286.

2 ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ.

ამდღეობა და კულტურის განვითარება ჩვენი საუყუნის დასაწყისში ახალი ძალით აყენებს ენციკლოპედიის გამოცემის საქონის სწორედ ამ სამოქალაქოადგი წლის წინ ქართულმა პროგრესულმა მოაზროვნე მოღვაწეებმა მოიწადინეს ენციკლოპედიის გამოცემა. ამ საქმეს სათანადო ედვანს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე სწავლულები: პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, თელისის უნივერსიტეტის პროფესორი ვახო პეტრიაშვილი და მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ალექსანდრე ხანაიშვილი.

„საქართველოს ენციკლოპედიის“ გამოცემით შეიქმნა ახანაგობა „ცისკარი“, რომლის გამცემაში შევიდნენ ი. გოგებაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, პ. გოთუა, პ. თუმანიშვილი, კ. თუმანიშვილი და ა. მუხარბაძე. მოწვეულ თანამშრომელთა შორის იყვნენ ცნობილი მოღვაწეები: ზ. ავალიშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. თამარაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ნ. მარი, ი. ჭავჭავაძე, მ. ჭანაშვილი, პ. მულაქიშვილი და სხვ.

შედეგებით იქნა დასრულებული პროგრესული ენციკლოპედიის გამოცემა გათვალისწინებული იყო ამ გაწეოლებზე. პირველ გაწეოლებში, რომელიც საქართველოს ისტორიის ფომოზდა, უნდა განხილულიყო საქართველოს ისტორიისა და ქართული ისტორიოგრაფიის წყაროები, საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ისტორია. მეორე გაწეოლება მთლიანად საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის საქონებს ეძღვნებოდა: შემდეგ უნდა განხილულიყო საქართველოს მონახილება, მისი ეკონომიური მდგომარეობა, სხვა კვებებში საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა ისტორია, ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით აღწერილიყო საქართველოს ქალაქები და დასახლებული პუნქტები, ცენტრალური დაწებულებების, საგებუნრო, სამაზრო და სასოფლო მმართველობის ორგანიზები.

ცალკე გაწეოლებში განხილებოდა სხვა ენათა ოქანში ქართული ენის ადგილის განსაზღვრის საქონი, ქართული ენის განვითარების ისტორია, ქართული ენის გრამატიკა, ენციკლოპედიში ასევე სათანადო ყურადღება ეთმობოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურულ ურთიერთობათა, ბეჭდვისა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესის პრობლემაზე. შემდეგ აისახებოდა განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების საქონი.

საქართველოს ენციკლოპედიის მეათე, უკანასკნელ მონაკვეთში განხილებოდა ქართველთა სამართლებრივი მდგომარეობა, უფრო, წინა-ხე-

ულებები, ქართველთა ურთიერთობები ქრისტიანულ ხალხებთან, ქართველი ქალი-ქართველი საზოგადო მოღვაწეები და სხვა. ქართველი და თვისი მნიშვნელობით უფრადსადები მოვლენა თუ საქონის საქართველოს სოციალური და კულტურული ცხოვრებოდა.

საქართველოს ენციკლოპედიის წემოთ მოცემულ პროგრამაში ბევრი ისეთი საქონია გათვალისწინებული, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი ქართული მეცნიერების განვითარების დონეზე.

მანინდელმა პრობლემა საშუალება არ მისცეს წვენს სახელოვან სწავლულებს და მათ თანამოაზრებებს ენციკლოპედიის გამოცემაში პატრიოტული საქმე განსწორებულბოათ.

ენციკლოპედიური სპეციალიზაცია სპეციალური ხელისუფლების წლებში

ისე როგორც მეცნიერებისა და კულტურის უფლა დარგის განვითარება, ლექსიკოლოგიური მუშაობის აღორძინება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება. იქმნება შემართება ხელსაყრელი პირობები მოსახლეობის ფართო მახების სწავლა-განათლებისათვის, ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, განსარდა მოთხოვნილება ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაზე. 1927 წელს გამოდის რუსული ახლდების „რუსული-ქართული ლექსიკონი“ ხალიტერატურა, სამოლტიკო, სპეციალური, და უცხო სიტყვათა და ტერმინთა ჩართული (ნაწ. I. A-II).

უარესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარტისა და მოაზრობის ნიერ სათანადო გადამწეობალებოათ მიღება ამერკავკასიის ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ. ამას მოჰყვა საკანონო კმ ამერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წლის 22 სექტემბრის დადგინდება, რომლის მიხედვითაც გადამწეობა ცალ-ცალკე კოფილიყო გამოცემული ენციკლოპედიები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამ დადგინდების საფუძველზე საქართველოს კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოცემა „ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის“ სარდაქციო კოლეგია. მოვარტედაქტორად დამტკიცებული იქნა მალაქია ტორაშვილი, მოადგილე — კარლო ორაგველიძე. სწავლულ მდივნად მინიშ ყაუჩიანიშვილი, კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ: ნიკო მარი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ვეკოლ ბერატი, აკაკი შანიძე, გიორგი ახლუდიანი, გიორგი საქაშიაძე, ხანდრო ეფელი, ერმილე ბეგია, სილაბისტრო თოდოსა და სხვ.

სარდაქციო კოლეგია ფართო ხორგანისცო მუშაობა ვაშლა. ღვედელ შემორჩენილი საარქივო მახალა გვიჩვენებს ენციკლოპედიის სწავლული მდივნის პროფ. ს. ყაუჩიანიშვილის

1 ამ საქონის შესახებ უფრო ვრცლად იხ. კ. კინწერაშვილი, ისტორიის საუარადღებო ღურთკული, ლიტერატურული საქართველო, 1974, № 13.

დედ შერეობებშია საქმიანობას. იგი საგანგებოდ იქნა მივლინებული ხარკოვში, მოსკოვსა და ლენინგრადში ენციკლოპედიის გამოცემის საქმისთვის განსაკუთრებით მსხვილ დადგენას დასრულებული და საენციკლოპედიო ლიტერატურის შექმნა, სწორად კ. უაუზნიშვილის მიერ მოპოვებული გამოცდილება დაედასაფუძვლად ენციკლოპედიური საქმიანობის დაწყებას.

სარედაქციო მუშაობის დაწყებისას პირველ რიგში ჩამოყალიბდა სიტყვების გარეგნული რამდენად უნდა შეედგინა სრული სია იმ სიტყვა-ტერმინებისა (ანუ დაქვეყნებული), რომელზედაც უნდა დაწერილიყო წიგნები. საფუძვლად აღებული იქნა „სიალია სიტყვებისა ენციკლოპედიისა“. რომლის სიტყვანი მთლიანად იქნა გაქარხვებული სარედაქციო აპარატის საშუალებით. და უკვე 1933 წლისათვის მზად იყო 32.000 სიტყვისაგან შედგარო სიტყვანი. ამის გარდა, ცალკე დარგების მიხედვით სპეციალურად შეიქმნა ანტირედაქციისა და საქართველოს სინამდვილის შესახებ არსებული ტერმინების სიტყვანი (ეკონომიკა, გეოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა და სხვ.). ამ სპეციალური სიტყვანის შესადგენად რედაქციამ მოიწვია ხათანაძე სპეციალისტები — მეცნიერები (ახამედე კაცი). მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს ჩატარების შემდეგ მომზადდა გამოცემის მთლიანი სიტყვანი, რომელიც 50.000 სიტყვა ტერმინს შეიცავდა.

1933 წელს, სიტყვანის შედგენის შემდეგ, რედაქციის დაუწვია სტატისტიკის მომზადება პირველ სამ ასოზე (ა, ბ, გ). რომელზეც შეადგინა რედაქცია — 604, ნიშნითა რაოდენობით კი 6 648 567. 1933 წლის ბოლოს რედაქციამ შეუწყვიტა სამ ასოზე სტატისტიკის მომზადება და დაუწყოთა ახე დაწერა სტატისტიკის დასრულება-მონტაჟი. ეს სამუშაო, როგორც ჩანს, საქმიანად ინტენსიურად ჩატარდა და 1934 წლის პირველ თვეებში ამის ტომი გაუშვადებოთ დასაბეჭდად.

სტატისტიკის დასრულება-მომზადების პარალელურად ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგია მუშაობდა გეოგრაფიული რუკების შედგენის მეტად შრომატევად საქმეზე. სულ პირველ ასოზე 88 რუკა იყო მომზადებული (ახალის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის, აზიურკავკასიის, აზრბაიჯანის, აფხაზეთის, აქარის, ადიგენის, ამბოლუარის, ახალქალაქის, ახალციხის და სხვ.). 1933-34 წწ.

რუკების უმრავლესობა მომზადებული იყო კლასიკური ანუ გერმანული სტილით. ამასთან ბევრი რუკა ფერადი იყო (გერმანული სტილი). ნაწილი კი ტექსტურად მიდიოდა (გერმანული სტილი). აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ იმ დროის ენციკლოპედიისთვის დამახასიათებელი რუკების მომზადების საქმეში. მანამდე გამოცემული რუკები ზოგადი იყო, განდობილი იყვნენ მათი მრავალი რუსული რუკების მიხედვით. აქედან კი ამირეჯავასიხა და საქართველოს რუკები მომზადდა ადგილობრივი (ტოპოგრაფიული-გეოგრაფიული) სამართაულის და საქართველოს ციფრის) მასალების მიხედვით. სერტიფიკატის რუკები „დედ საბუთა“ და „სერტიფიკატ საბუთა“ ენციკლოპედიებში დაბეჭდილი მასალების მიხედვით დამზადდა. მონაწილეობა იქნა იგივე ქართული რუკების მომზადებაში ნიშნულატურის დადგენა. ეს პირველი შემთხვევა იყო ქართულად მხოლოდ რუკების დამზადების (ერთდროის იყო 1927 წელს გამოცემული „ახავარსებობები“) და ნომენკლატურის (50.000 სიტყვარუკებისაგან შემდგარი) ენციკლოპედიის წყალობით იქნა დამუშავებული. ეს ნომენკლატურის განათლების სახალხო კომისარიატის გამოყენებითა სახალხო რუკების დამზადებისას.

მეგრად, როგორც ვნახეთ, 1934 წელს უკვე მზად იყო დასაბეჭდად პირველი ტომის სტატისტიკის (გარდა რამდენიმე სტატისის, რომელთათვისაც უკანასკნელი მასალები მოსკოვიდან უნდა ჩამოსულიყო). ამის გამო, რომ ბეჭდვისათვის საჭირო ქაღალდი უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, შეუძლებელი გახდა მასალების გადაცემა სტამბაში. ქაღალდი მიუღიათ მხოლოდ 1934 წლის აპრილში, ისიც მ ტონა ნაცვლად პირველი ტომისათვის საჭირო 18 ტონაზე. ბეჭდვის შეუძლებლობა რედაქცია იძულებული გახდა შეენელებინა მუშაობა, შემცირებული იქნა სტატისტიკის მუშაობა მხოლოდ ამის დანაკლის სტატისტიკაზე მიმდინარეობდა. სხვა ასოებზე მუშაობას, როგორც ჩანს, აზრი არ ჰქონდა, რადგან ბეჭდვის საკითხი გადაუწყვეტელი იყო და არ იყო გამორიცხული, რომ სტატისტიკის დასრულებული და ხელახლა განაკეთებელი გამხდარიყო. გარკვეული შეფერხება იყო რუკების ბეჭდვის საქმეში.

საბეჭდო ქაღალდი რედაქციის მხოლოდ 1933 წლის გაზაფხულზე მიუღია. ამის შემდეგ დაუწვიათ მასალების აწეობა (1933 წლის ზაფხული). აქ, როგორც ირეყვა, თავი იჩინა ამ სიტუაციამ, რომ ენციკლოპედიის წეობა ხდებოდა პეტიტო, მანამდე საქართველოში არ უყოფილა შემთხვევა, რომ მთელი წიგნი პეტიტო დაბეჭდილიყო და ბუნებრივია, სტამბას არ ექნებოდა შრიფტის სრული კომპლექტი. ამიტომ რამდენიმე თვე ახალ შრიფტის ჩამოსხმას დასჭირდა, ჩამოსხმა ნახის შრიფტის ქართული პეტიტო, მისივე შავი და აჯიდოური, რუსული პეტიტო და გერმანული პეტიტო.

1 ამ საკითხის შესწავლისათვის ჩვენ ვისარგებლეთ ქართულ საბუთო ენციკლოპედიის და ცალკე ქართულ მასალებით.

2 იმ ქართული საბუთო დიდი ენციკლოპედიის ანგარიში 1933-36 წწ. (ქართული საბუთო ენციკლოპედიის არქივი).

1936 წლის სექტემბრისათვის უკვე აწეობილი იყო 17 თაბახის ოდენობის მასალა, აქედან 11 თაბახი უკვე დაბეჭდილი იყო მთელი ტარაქის ოდენობით. მუშაობას შეზღუდვა გავრცელება შეუძლებელი ვახდა სხვადასხვა მიზეზების გამო. საქარო ვახდა მთელი მასალის ზედმადი საფუტელოანი ვადამუშევება და გოსსევა. ენციკლოპედიაზე მუშაობას გარკვეულად შეუშალა ხელი მეორე მსოფლიო ომმა. დღემდე შემორჩა მთელი რიგი მასალები, რომლებიც განუყოფილი იყო ენციკლოპედიაში შესატანად. აგრეთვე მაკეტის სახით დაბეჭდილი რამდენიმე თაბახი.



სამაშელო ომის დამთავრების შემდგომ ჩატარებულმა გრანდიოზულმა აღმშენებლობითმა საქმიანობამ, საბჭოთა ქვეყნის წინაშე დასმულმა ინტელექტუალურმა ფრონტის გაზრდა-გაფართოების აუცილებლობამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში ერთგვარი ენციკლოპედიების გამოცემის საკითხი. 1965 წელს სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკებში ენციკლოპედიების გამოცემის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის დადგენილებაში ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ ხაზგასმულია, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია უნდა იყოს სისტემატარებული კრებული. სოციალურ-ეკონომიური, საბუნების-მეტყველო და ტექნიკური ცოდნისა, იგი უნდა იყოს უნივერსალური ცნობარი, რომელიც ვაშუქებს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროს; ყოველთაე ამასთან ერთად, ქართულმა საბჭოთა ენციკლოპედიამ უნდა ასახოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურა რესპუბლიკის მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის დარგში, ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და მისი აწმყო.

ენციკლოპედია თავისა დანიშნულებათ შორს სცილდება საცნობარო ლიტერატურის ჩარჩოებს. იგი უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის გამოცემაა. პოლიტიკური ამბტომ, რომ მან უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მეცნიერების ყველა დარგის შეხახებ და ამასთან ერთად მკვეთრად უნდა იყოს გამოკვეთილი ჩვენი მსოფლმხედველობა — ორთოდოქსალური მარქსისტულ-ლენინური პოსციადებუ. ერთი ზატყვათ, ამოცანა ის არის, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია პოლიტიკური თვალსაზრისით უზადო იყოს. ეს მომენტი არსებობსა დღესდღეობით ამბტომაც, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე ვატარებულა მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე პრინციპებიდან გამომდინარე სერთაშორისო მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, ეს მნიშვნელოვანი მსოფლიო მასშტაბის აქციები, რასაც

პარტია ამ უკანასკნელ პერიოდში ატარებს. ისეთ სოლიდურ გამოცემას, როგორც ცენტრალური ენციკლოპედია, მეტად დიდ მნიშვნელობა უყენებს. უპირველესი ამოცანაა ქართული საბჭოთა ენციკლოპედია იყოს ეპოქის მოთხოვნათა სიმალეზე. ყოველივე ამაზე ვამახვილებთ ყურადღებას ამბტომ, რომ მასზე მოთხოვნილება, ზუნებრივია, საზღვარგარეთაც დიდია. ჩვენმა ენციკლოპედიამ კი სწორედ უცხოელ მეკითველსაც უნდა ვასცეს პასუხი მთელ რიგ საკითხებზე. სამწუხაროდ ისეთი სოლიდური და ტრადიციული გამოცემები, როგორიცაა ინგლისური („Encyclopedia Britannica“), ამერიკული („Encyclopedia Americana“), ფრანგული („Grand Larousse Encyclopedique“), გერმანული — „ბროკჰაუზის („Brokhaus Enzyklopädie“), იტალიური („Enciclopedia Italiana“), „ისლამის“ („Islam Ausiklopedisi“) ენციკლოპედიები, რომელთაც მთავრებული ანფორმაციის ობიექტურობის დიდი პრეტენზიები აქვთ, საბჭოთა სინამდვილესთან დაკავშირებულ ზეტარ მოკლენას საკმაოდ დამახინჩებულად ვაღმოგვეცემენ. ვანსაუთობებულად მიჩქარებულა ეს მიღწევები და წარსინებები, რაც საბჭოთა სელახულობად მოუტანა ჩვენს ხალხს, არასწორადაა შეფახებული სხვადასხვა მოკლენები. სამაგალითოდ შეიძლება გავისწეროთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ ინფორმაციის შეთხვედრისადმი მიწოდება. აქ ერთი რამ აშკარაა — კალიბრისტურ ქვეყნებში გამოცემული ენციკლოპედიები შესაბამისი დედოფლოვური პრეპარატებისა მისნო გამოიყენება. ამის აშკარა დადასტურებაა საქართველოს ისტორიული წარსულისა და აწმყოს ამხაველი წერტილები „Grand Larousse encyclopedique“ (1962, № 5, გვ. გვ. 452-453) ძალზე პრინციპულად ვადასინებებს საქართველოში მუშაო კლასის ჩამოყალიბებასა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის საყვობებს. მართალია შეფახება აქვს მთავრებული 1906 წლის რევოლუციას — იგი მხოლოდ „სტრიალულ მიღვეარებადაა“ გამოცხადებული. სრულიად არასწორადაა ახსნილი საბჭოთა ხელისუფლების ვამარცება საქართველოში... ფაქტების მსახვ დაამახინჩება შეხედებით „ამერიკანში“, „იტალიანსა“ და „ისლამის ენციკლოპედიაში“. ამბტომ ჩვენ მათზე არ შენებრდებით, აღენიშნათ მხოლოდ ერთს, რომ ისლამის ენციკლოპედიაში დაბეჭდილ საქართველოსადმი მიძღვნილ ზატატაში (იხ. Islam Ausiklopedisi, № 5, 1961, Istanbul, გვ. გვ. 887-888) ფაქტების სხვაგვარ დამახინჩებასთან ვვაქვს საქმე. ერთად ამწარად იგრძნობა ავტორის პაროტიკული განწყოზილება და დიდ სტრეფილი მთელი რიგი მოკლენებისა დააკავშირონ საქართველოზე ორტიკეთის ვაულებასთან. სტატისის მიხედვით,

თურქები უძველესი დროიდან არსებობენ საქართველოში. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში სამხრეთიდან მოსულა თურქები სელჩუკებზე უფრო ადრე, აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში შესულან და იქ ადრე მოსულ თურქებთან ერთად დასახლებულან. სტატის ავტორის რედი საქართველოს ისტორიაში კულიმინაციურ წერტილს ადევს მაშინ, როცა სელჩუკებს დამპყრობლებად კი არა, ჯვაროსანთა შემოტევისაგან კავასიის მხნელებად მიიჩნევს. სტატიაში უცერემონიოდაა ორბილები (ორბელანები) თურქებად მონათლული, მათ თურქე ქართველები ირანის ბატონობისგან იხსნენ და ჭაღღად მუდმივი მთავარსარდლის წოდება მიიღეს. ეს მდგომარეობა მათ 1177 წლამდე შეინარჩუნეს, ვიდრე აღმოსუელი თანამედროვე უიჯარლებმა არ დაიკავეს. თამარის კარზე თურქებს დიდი გავლენა ჰქონათ. სერაოზული ტონით კამათი „Islam Ausiklopedisi“-ში მოთავსებული ამ სტატის ავტორთან შეუძლებელია. საქმეში ღრმად ნაუბლადი მკითხველი კი კარგად მიხვდება, რომ ადგილი აქვს ფაქტების აშკარა თვითნებურ გაყვანებას; რაც შეეხება მსჯელობას, იგი შეტად გულუბრყვილია. ამდენად, სტატის ავტორის წინაშე დასახული საქართველოს ისტორიის გაყვანების ამოცანის გადაჭრა ძალზე პრიმიტიულია. საერთოდ, თუ კი შემოდდასახლებულ ენციკლოპედიებში ჩვენს მიერ საილუსტრაციოდ მოტანილ მასალას გვახსენებთ, აშკარად დავინახავთ მკვეთრ ტენდენციურობას ჩვენს ქვეყნის წარსულისა და დღევანდელიობის ასახვაში, აქ სიმრუდე აშკარა და თვალშისაცემია. უველა ენციკლოპედია დუმილით უაღის გერდს საბჭოთა ხალხის კულტურულ და ეკონომიურ ამაველობას, მეცნიერებს და ტექნიკოს არსებულ წინსვლას, რასაც ამ უპასუხეული ორმოცდათწლეულის დროს ჰქონდა ადგილი. ამასთან აშკარაა თანამედროვე ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევათა გაუთვალისწინებლობა. ისტორიული ნაწილი შესრულებულია 20-30-იანი წლების დონეზე. ეს აშკარად ჩანს მითითებული ლიტერატურის სიღარიბე (ბიბლიოგრაფიას აძლევს უველა ენციკლოპედია, ვარდა „ლარუსისა“).

ამგვარად, უცხოურ ენციკლოპედიებში ქართული მასალის გაშუქება, როგორც ფაქტობრივი, ასევე კონცეფტუალური თვალსაზრისით არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს და მიზანდასახული ტენდენციურობა ვარკვეულ, ანტისაბჭოურ მიზნებს ემსახურება.

დიდი ამოცანების წინაშე

უველადვე შემოქმედული არსებითად ზრდის „ქართული საბჭოთა ენციკლოპედის“ წინაშე დასმული ამოცანების მნიშვნელობას. ჩვენმა

გამოცემამ პრინციპულად სწორი, იდეურად გამართული, მარქსისტულ-ლენინისტური დოკტრინის პრინციპებიდან გამომდინარე, სუბი უნდა ვასტეს მთელ რიგ საკითხებზე. მან ჩვენი ფართო მკითხველი მასების მოთხოვნათა დამაკოფილესთან ერთად საბჭოთა სინამდვილის მრუდედ, გააულებულად წარმოდგენებს უნდა უპასუხოს ფაქტების კუმარიტო ასახვით. ქართულ ენციკლოპედიაში უნდა აისახოს უოველივე საუკეთესო და ღირსშესანიშნავი, რაც კავშირობას დავტროვებთა თვისობა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე; გაშუქდეს მეცნიერებისა და ტექნიკის უპასუხეული მიღწევები, ის სოციალური ჭრები, რაც უპასუხეული ხანს ჩვენს ბლანეტაზე მოხდა, რელიეფურად უნდა გამოიკვეთოს საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარტებები, გამოცემაში ნაწვენება უნდა იყოს ქართული ხალხის მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ამდენად, ქართული ენციკლოპედიისტების წინაშე მტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა დება.

ამეხად ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემას სათავეში უდგას მთავარი სარტაქციო კოლეგია, რომელშიც შედგან გამოწვეული ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, მთავარი რედაქტორია პოეტა-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

პრაქტიკულ საქმიანობას (სიტუანის დამუშავება, სტატების მონახდება, რედაქტირება და სხვ.) ახორციელებს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სტეციალური სამეცნიერო რედაქცია. აქ თხოვმები სამეცნიერო-დარგობრივი რედაქცია (სსრკ ხალხთა ისტორიის და სსკ ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ეკონომიკის, სამართლის, ენისა და ლიტერატურის, სტეცონების, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის, დედამწიწის შემსწავლელ მეცნიერებათა, ფიზიკის, მათემატიკისა და ქიმიის, მედიცინის, ბიოლოგიის, სოფლიბ მურწიების, ტექნიკის, ფალოსოფიის), სამეც. წ. ფუნქციონალური რედაქცია (სამეცნიერო კონტროლის, სალიტერატურო კონტროლის, სიტუანისა და ბიბლიოგრაფიის), არის აგრეთვე ისეთი დამხმარე რედაქციები, როგორიცაა კარტოგრაფიის რედაქცია, ილუსტრაციისა და ტექნიკური გაფორმების რედაქცია.

სამეცნიერო-დარგობრივი რედაქციების მუშაობის უვეთ წარმართუნებათის თითოეულ რედაქციასთან შექმნილია სამეცნიერო საბჭოები და სექციები (დღესდღეობით ასეთი საბჭო და სექცია სულ ნა-ია), რომელთა შემადგენლობაშია მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილო წევრები და წევრ-კორესპონდენტები, მეცნიერებისა თუ იმ დარგის წამყვანი სპეციალისტები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, სსრკ და საქართველოს სახალხო არტისტები, მწერ-

ლები, მხატვრები, კომპოზიტორები, სამხედრო საქმის სპეციალისტები, კრიტიკოსები, ეურნა-ლისტები, სპორტის მოღვაწეები, შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათი საერთო რიცხვი 600-ს აღემატება. აღნიშნულ სამეცნიერო სამუშაოებს და სექციებს შეთადრებული მუშაობის უწყვეტ სამეცნიერო დარგობრივ რედაქციებს, არჩევენ ავტორებს, სპეციალისტებს აკონტროლებენ სტატიების მეცნიერულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეს, საბულოებისა და სექციების აქტიური მუშაობა, მათი მჭიდრო კავშირი დარგობრივ რედაქციებთან შემდგომი წარმატების საწინდარია.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ შეიქმნა სპეციალური სენციალური შრომები (ავტორი — ანტონ დუმბაძე), რომელიც ეკონომიკური და ამა თუ იმ საკითხზე ფართო ინფორმაციას მიწოდების საშუალებას იძლევა.

ამჟამად დადგენილია გამოცემაში ცოდნის დარგთა ზედმეტად წილი, განსაზღვრულია მასალათა ურთიერებები, მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრების დარგობრივი სამეცნიერო სამუშაოსა და სექციების დახმარებით შემუშავებულია გამოცემაში ტერმინთა შეტანის პრინციპები, დადგენილია სტატიათა ტიპები და კატეგორიები, საშუალო მოცულობები, მიზლითგრაფიები, კარტოგრაფიული და სილუსტრაციო მასალით აღჭურვის პრინციპები.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსვლას წევნი საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდება. ამ უკანასკნელ ხანს ენციკლოპედიის გამოცემის საკითხს საგანგებო ყურადღება მიექცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის მიერ გამოყოფილია სპეციალურმა კომისიამ საფუძვლანად შეინსწავლა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სპეციალური სამეცნიერო რედაქციის მუშაობა, გამოამყარა მთელი რიგი სერიოზული ნაყოფინებებისა, რამაც პირველი

ტომის გამოსვლა შეაფერხა, მიღებულია შეტად ქმედითი ღონისძიებები ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის დასრულებისათვის.

დღესდღეობით უყვე დიდი სამუშაოა მხატვრული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომის უახლეს ნაწილს გამოსცემისათვის. ამჟამად მიმდინარეობს ბეჭდვითი სიტყვის კომპინატიდან (ვადაცათ ტექსტი ასაწყოად 1178 წლის მარტში) მიღებული ანბანების კორექტირება. ვადაცემულია კარტოგრაფიული და სილუსტრაციო მასალა (ფერადი ილუსტრაციები მზადდება მოსკოვის პირველ და მეორე სტამბებში). გამოცემის ღირსება და ამასთან მკითხველისათვისაც ხასიათი იქნება ეს გარემოება, რომ სხვა მრავალ ავტორებთან ერთად ენციკლოპედიაში იხილვენ ივანე ჭავჭავაძის, სიმონ ჭანაშიას, კორნელო კეკელიძის და სხვ აწ განსვენებულ მოღვაწეთა სტატიებს (ეს სტატიები თავის დროზე იყო შექმნილი ენციკლოპედიისათვის და ამჟამად ქართული ენციკლოპედიის არქივში). დადგება დრო, როცა წევნი დაიწეება უნივერსალური ენციკლოპედიის გერდამ დარგობრივი (ისტორიული, ფილოსოფიური, სამედიცინო და სხვ.) ენციკლოპედიების გამოცემა.

ახლა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დროულად გამოსვლის საქმე. სპეციალურ სამეცნიერო რედაქციასთან ერთად, ქართველი პოლიგრაფისტების ზედმეა და მათ თავდადებულ, შეთანხმებულ შრომებზე ძალზე ბევრია დამოკიდებული.

ვაივლის კიდევ რამდენიმე ხანი და წევნი რესპუბლიკის მიღწევათა მატარებში ჩაიწერება ახალი დიდმნიშვნელოვანი ფურცელი — გამოვა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომი, რომელიც ახალ „სიტყვის კონად“ ანუ ცოდნის საღაროდ მოველინება წევნს ხალხს.



სახელი და სასიათი

ვაჟა-ფშაველას მხატვრული პალიტრა მრავალი პრობლემის საწყობს შეიცავს და მდიდარ მასალას იძლევა ძიებისათვის. პეტრი თქმულა ამ კვშიარიტად ბუმბერაზი მწერლის შემოქმედების საეციფიკურ ასპექტებზე და კიდევ უფრო მეტი ითქმება.

ვაჟას მხატვრული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ნაკლებგაშუქებული ასპექტი საკუთარი სახელთა საშუაროა. ვაჟას პერსონაჟთა საკუთარი სახელები დღემდე არ ქცეულა საგანგებო დეკორაციების საგნად. ორიგინალურია ვაჟას არა მარტო თეორიული შეხედულებები, თემატიკა, სიუჟეტური სხტემა და ხედევა, გმირის სულიერი ტკივილების ჩვენების მხატვრული ხერხები, არამედ თვით პერსონაჟებიც თავიანთი შეტყველებით, ქცევით, მოქმედების არეალით, საკუთარი სახელებითაც კი.

პერსონაჟის გამოხატეათად ვაჟა, ხასიათის ჩვენებასთან ერთად, თავისებურად ხატავს პორტრეტს და, რაც მთავარია, ამ პერსონაჟს უნარჩუნებს გარეგან და შინაგან მთლიანობას, არეალური საკუთარი სახელით ნათლავს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, და ეს საოცრებად არ უნდა ჩაითვალოს, რომ მიწლია ვერ იქნებოდა მიწლია, ვაჟას მისთვის გიორგი ან ივანე რომ ეწოდებინა, თუშეა ვიორგი მეტად სამახსოვრო პერსონაჟია, მაგალითად, ილიას უყვდევი „სოთარანთ ქარიისა“, სოლო ივანე — ე. ნიწიშვილის ერთი მშვენიერი მოთხრობისა („პალიასტომის ტბა“), თავის მხრით „სოთარანთ ქარიისა“ და „პალიასტომის ტბის“ პერსონაჟი ვერ იქნებოდა მიწლია. მიწლია უნდა ერქვას სწორედ „ველიანშუამელის“ პერსონაჟს, სახელი თითქოს რადეც შინაგანი აუცილებლობითაა ნაკარნახევი და ვაჟამაც მწერლური ინტელეციით იგარმოს ეს აუცილებლობა. შეედეგია არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ვაჟას

ზოგიერთი პერსონაჟის პორტრეტის წარმოდგენაში მკითხველს მეტ-ნაკლებად ანთროპომორფიცი ეხმარება.

ვაჟას პერსონაჟთა საშუარო საკითხთა მთელ კომპლექსს უყავშირდება. მწერლის ფანტაზია პერსონაჟის ხატს ქმნის თავისი შინაგანი და გარეგანი ატრიბუტებით. ამასთან „ვაჟა გარეგნობის მარტო თვლით მხილველი პოეტი კი არ არის, არამედ მას შეუძლია შექმნას წარმოდგენა თვით პერსონაჟზე მისი სულის მოძრაობის მიხედვით. ვაჟა ახერხებს იმას, რომ სულის მოძრაობის დხატევი შექმნას პერსონაჟის ოპტიკური ხატი, თავისი გმირებს მოქმედების, მათი ქცევის, მათი სიტუვა-პასუხის და ურთიერთობის გამოყვევით მიუვავართ ჩვენ ვაჟას ამ გმირთა გარეგნობის მძლავრ ხატის შექმნამდე“. მაგრამ საკუთარი სახელი ამ ატრიბუტებში არ იგულისხმება. მწერლის ფანტ.ზია, ცხადია, გარკვეულ როლს საკუთარი სახელის შერჩევაშიაც თამაშობს, თუმცა საკუთარი სახელი შაინც შუა მასალიდანაა ამოღებული, ტრადიციულია, ხასიათის შუა მასალია მწერალს არა აქვს. სხვის მიერ შექმნილ ხასიათს ვერ იღებს. პროტოტიპი კი, რაც უნდა ახლოს იდგეს პერსონაჟთან, შაინც უსულთ ჩონჩხია და არა სულიანგმული მხატვრული სახე, ხასიათი.

ამის მიხედვით, ვაჟას პერსონაჟთა სიტემაში უნდა გავარჩიოთ ორი არხებით მხარე ერთია — ხასიათი, მეორე — სახელი. ხასიათი მწერლურია, ნაყოფი მისი მხატვრული ფანტაზიისა, სახელი — არამწერლური, ამორჩეული მწერლის მიერ ენის ანთროპომორფიციის ნაკადეგან. ჩვენი თეზისი იხე არ უნდა იქნას

1 ვრ. კიწანაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957, გვ. 259.

გაგებული, თითქოს პერსონაჟის სახელში არა-
ფერია მწერლური. მართალია, სახელი სახე-
ლია, რაც მწერლის ნების გარეშე არსებობს,
როგორც ენის გარკვეული ფენომენი. მაგრამ
სახელთა მართლმართლ მწერალზე ბევრი რამა
არ გამოიღებულა, მწერლისათვის სულ ერთი
არ შეიძლება იყოს უოველი სახელი. იგი
არჩევს სახელს და ამ შერჩევაში გვაჩვენებს
თავის დამოკიდებულებას იმ ფენომენზე, რო-
მელიც მის ნებასუტვიდს არ ექვემდებარება.
სახელი მწერალი არჩევს და იღებს ენის საუბ-
რადან, როგორც შხა ფარმულა, როგორც
სიტყვობრივ მასალას. შერჩევა სახელითა მაინც
არ არის შევანიტური, გაუზრებელი პროცესი.
არამწერლურში მაინც გამოხატულების მწერლუ-
რი, ინდივიდუალური მდგომარეობა, სტატუსტურ-
რი პირობა.

ამიტომ ხანამ უშუალოდ ვიყავს პერსონაჟთა
ანთროპომორფიკის შეფასებამდე, ორივე სიტ-
ყვა უნდა ვთქვათ სახელის თეორიისა და ეპი-
კურ ქმნილებათა პერსონაჟთა სახელდებაზე.

რამდენადაც ეპიკურს ქმნილება ადამიანის
გარეშე ვერ წარმოადგინება, ამდენად ეპოსი
პერსონაჟისა თუ პერსონაჟთა ცხოვრების წარ-
მოსახვაა დროსა და სივრცეში. ეპოსისათვის
